საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№21 (112)

15 – 21 ივნისი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

12 შორს «ცივილიზებული მეძავისგან!» წინ, ეკლესიისკენ!

ანზორ მაისურაძე:

## უვიზო რეჟიმი, რომელიც საქართველომ ირანთან დაამყარა, ვაშინგტონთან შეთანხმებით, ან სულაც მისი კარნახით გაკეთდა 6





პაატა ზაქარეიშვილი:

## 8 ირანთან უვიზო რეჟიმის შემოღება ამერიკის რესპუბლიკურ პარტიასთან იყო შეთანხმებული



გულბაათ რცხილაძე:

## ჩერქეზთა გენოციდის აღიარება საქართველოსთვის მხოლოდ უარყოფითი შედეგის მომტანია 9



14 ანზორ გაბიანი:

## საქართველოში სამასი ათასზე მეტი ნარკო-დამოკიდებულია

მარიხუანა იწვევს «ჰაშიშის ფსიქოზს», რომლის სიმპტომებია: აკვიატებული შიში, პიროვნების გაორება, აუტიზმი, მწვავე ჰალუცინაციები

რა ბედი ეწევათ საშუალო რგოლის ჯალათებს? 2

საააკაშვილმა ისევ ყველაფერი გააფუჭა 4

დავით თარხან-მოურავი:

10 ფრანგი სენატორები დამპირდნენ, რომ პირადად სარკოზის მიაწვდიან ინფორმაციას იმაზე, რაც თბილისში 26 მაისს მოხდა



პარმენ მარგველაშვილი:

## «ჭამა და სექსი! მეტი ინტერესის სფერო აღარ იკვეთება!» 7

Human Rights House Foundation · The Norwegian Helsinki Committee · fidh International Federation for Human rights · OMCT SOS-Torture Network

## საერთაშორისო ორგანიზაციებმა სააკაშვილს პროტესტი გამოუცხადა 11

# 451

## გრადუსი ფარენჰეიტით

ეს ბავშვები, ყველანი სპეცნაზელებს განასახიერებდნენ, ბოროტების საწყისს, იმ დაპროგრამებულ რობოტებს, რომლებიც აფთართა ხროვის მსგავსად ადამიანების ნაკუწ-ნაკუწ დასაგლეჯად არიან მზად.



13

## ტუსაღი, რომლის ჯანმრთელობის უმძიმეს მდგომარეობაზე «საქართველო და მსოფლიო» იტყობინებოდა, გასულ კვირას ციხიდან გამოასვენეს 16



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციები და უცხო ქვეყნების წარმომადგენლები სააკაშვილის ხელისუფლებას მოუწოდებენ, 26 მაისს მომხდარი გამოიძიოს. ამასთანავე, ძალიან ძნელია, საქართველოში იპოვო ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ 26 მაისს პოლიციელების მხრიდან დანაშაულის ჩადენას ადგილი არ ჰქონიაო. გამოძიება გარდაუვალია; დღეს თუ ხვალ, ადრე თუ გვიან, ის აუცილებლად დაიწყება. სხვა საკითხია, რამდენად ობიექტურად ჩატარდება ის. მაგრამ საზოგადოება, ძალიან დიდი ალბათობით, არ მოისვენებს მანამ, სანამ დამაკმაყოფილებელ შედეგს არ მიიღებს, რადგან 26 მაისს მომხდარის დავიწყება ახლო პერსპექტივაში წარმოუდგენელია.

## გაჟურნაზეთებიდან



**რობერტ სტურუა,** **რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:**

სულ არ მინდა, საქართველოს პრეზიდენტი იყოს ამერიკელი. გამოგვიგზავნიან ვინმე ლუზერს და თვალებში უნდა ვუყურო. არც იტალიელი მინდა. აი, გერმანელებზე რომ მიდგება ხოლმე საქმე, შეიძლება შევჩერდე. სულ ცოტა ხნის წინ ტელეფონით გამომიგზავნა წერილი სომეხმა მეგობარმა და აი, რას მწერს: „რობიკ, ეგ შენი აზრია, რაც თქვი, ჩვენ კი შენს მხარეზე ვართ“.

*„ინტერპრესნიუსი“*



**სოსო მანჯავიძე,** **„წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

ავტორიტარული რეჟიმი გამოირჩევა აგრესიულობით. მისი მართვა ძალიან ადვილია საგარეო ძალების მხრიდან. ეს რეჟიმი შიდა მართვისთვის ქმნის და იყენებს მტრის ხატს. სწორედ ამ ფაქტთან გვაქვს ჩვენც საქმე. შუბზე შეიძლება დაეყრდნო, მაგრამ მას სავარძლად ვერ გამოიყენებ. ხალხის დაშინებით, სააკაშვილის ხელისუფლება შუბზე დაჯდომას ცდილობს.

*obieqtivi.net*



**ალექსანდრე ანქვაბი,** **აფხაზეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი:**

არჩევნები დაგეგმილ ვადაში გაიმართება, არანაირი რყევები აფხაზეთში არ იქნება, მიუხედავად ცალკეული ბნელი პროგნოზისა. ჩვენ საკმაოდ მომწიფებული საზოგადოება, საკმაოდ მომწიფებული პოლიტიკური ძალები და საკმაოდ დემოკრატიული საარჩევნო კანონმდებლობა გვაქვს.

*„საქინფორმი“*



**ნესტან კირთაძე,** **ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანი:**

კარგად ჩასუქებული, კარგად გამაძღარი, უკაცრავად ამ გამოთქმებისთვის, მაგრამ კარგად ნაძარცვი ფულებითა და ქონებით მოყელყელავე პერსონები უხსნიდნენ ამ მშიერ, ტანზე სამოსშემდნარ ადამიანებს, თუ რა მძიმე და გაუსაძლისია საქართველოში ცხოვრება.

*„ვერსია“*

# დანაშაული & სასჯელი, ანუ რა ბედი ეწევათ საშუალო რგოლის ჯალათებს?

**26 მაისის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები ერთ უცნაურ აზრს ავითარებენ, რომელიც ყველაზე სხარტად კახა ბენდუქიძემ ჩამოაყალიბა: „ის ადამიანები, რომლებიც სცემეს, მსგავს ექსპერიმენტებში მონაწილეობას აღარ მიიღებენ“.**
**ამ მოკლე ფრაზის მიღმა საკმაოდ უცნაური ლოგიკა, მეტიც, სავარაუდოდ, მთელი მსოფლმხედველობაა.**



...მუშაობენ კომისიები, ქვეყნდება ოდესღაც საიდუმლო მასალები, თუმცა „ქვედა და საშუალო რგოლის ჯალათების“ აბსოლუტური უმრავლესობა გარეთ დადის...

გამორიცხული არაა, რომ, როდესაც ახალგაზრდა კახა ბენდუქიძეს (ან სააკაშვილის ხელისუფლების სხვა გამოჩენილ წარმომადგენლებს) ქუჩაში სცემდნენ, ის მართლაც სახლში იკეტებოდა, სასწავლებელში სიარულს წყვეტდა და ცრემლებით გაჟღენთილ ბალიშს ან უცაბედად დაცალიერებულ მაცივარს, ჰანიბალის არ იყოს, საზეიმო ფიცს აძლევდა (თავიდან მინდოდა, დამეწერა „სკარლეტ ო'ჰარას არ იყოს“, მაგრამ შინაგანმა ცენზორმა გამკოჭა), რომ გაიზრდება და მჩაგვრელებს, მარტივად რომ ვთქვათ, დედას უტირებს. თუმცა ყველა ადამიანი ასე როდია მოწყობილი, ბუნებრივი რეაქცია ამ შემთხვევაში, ალბათ, მაინც არის „Stand Up and Fight!“ („ადექი და იბრძოლე!“). **მთავარი მამოძრავებელი ძალა ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, არა რაღაც აბსტრაქტული ჰეროიზმია, არამედ ბანალური ლოგიკა და თვითგადარჩენის ინსტინქტი. მან, ვინც გუშინ უსამართლოდ გცემა, ხვალ შეიძლება ასევე უსამართლოდ მოგკლას. აქედან გამომდინარე, მისი დამარცხება (შეჩერება) პრიორიტეტული ამოცანა ხდება.**

მსგავსი გათვლებით, **ხელისუფლება, სავარაუდოდ, 2007 წლის ნოემბერშიც ხელმძღვანელობდა და შედეგად მიიღო ის, რომ მომდევნო აქციებზე ასი ათასობით განრისხებული ადამიანი გამოვიდა.** პირდაპირი პარალელების გავლება დღევანდელ მდგომარეობასთან, ალბათ, არამართებული იქნება, თუმცა პრინციპი ერთია, **ხელკეტითა და ტყვიითაც კი ადამიანს პოლიტიკიდან ვერ გააგდებ. ასე რომ ყოფილიყო, კაცობრიობის ისტორია სულ სხვანაირი იქნებოდა.**

საერთოდ, ხელისუფლების წარმომადგენელთა მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ „ხალხი ქუჩაში აღარ გავა“, შეიძლება ორ გარემოებაზე მიანიშნებდეს: ან ისინი სიტუაციას საკუთარი, მძიმე ბავშვობაში გვარიანად ნაბეგვი ლუზერების საზომით უდგებიან, ან ცდილობენ, თავი დაირწმუნონ, რომ 26 მაისის დარბევამ მათ რაღაც დადებითი შედეგი მოუტანა. ვინაიდან ამ კომპლექსებში ქექვა ვერანაირ ინტელექტუალურ კმაყოფილებასა და ესთეტიურ სიამოვნებას ვერ მოგვანიჭებს, სჯობს, დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე გადავიდეთ.

**1945 წლის აპრილში, ბოლო ოპერატიულ თათბირზე თავის ნახევრადდანგრეულ სამინისტროში, იოზეფ ჰებელსმა, რომელიც იმ მომენტამდე ხელქვეითების კამათში არ ერეოდა, უცებ თავი აწია და თქვა: „ბატონებო, რატომ თანამშრომლობდით ჩვენთან? ახლა თქვენ ამისთვის დაგსჯიან...“,** ადგა და ოთახიდან ისე გავიდა, რომ პროპაგანდის სამინისტროს პირდაღებულ ჩინოვნიკებს ზედაც არ შეხედა. ისე, მისი სამინისტროს სრული სახელწოდება „სახალხო განათლებისა და პროპაგანდის სამინისტრო“ იყო. ეს არ ნიშნავს, რომ ის განათლების სისტემას კურირებდა. ამით „მეცნიერების, აღზრდისა და სახალხო განათლების“ მინისტრი ბერნგარდ რუსტი იყო დაკავებული. ჰებელსის შემთხვევაში „სახალხო განათლება“ მოსახლეობის იდეოლოგიურ გამოთაყვანებაზე ზრუნვას გულისხმობდა, დაახლოებით ისე... ვინაიდან თქვენ, ალბათ, უკვე მიხვდით — „დაახლოებით როგორ“, მესამე რაიხის ისტორიიდან დანაშაულისა და პასუხისმგებლობის თემაზე გადავინაცვლოთ, ანუ „ბატონებზე, რომლებიც მათთან თანამშრომლობდნენ“.

**გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციები და უცხო ქვეყნების წარმომადგენლები სააკაშვილის ხელისუფლებას მოუწოდებენ, 26 მაისს მომხდარი გამოიძიოს. ამასთანავე, ძალიან ძნელია, საქართველოში იპოვო ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ 26 მაისს პოლიციელების მხრიდან დანაშაულის ჩადენას ადგილი არ ჰქონიაო. გამოძიება გარდაუვალია; დღეს თუ ხვალ, ადრე თუ გვიან, ის აუცილებლად დაიწყება. სხვა საკითხია, რამდენად ობიექტურად ჩატარდება ის. მაგრამ საზოგადოება, ძალიან დიდი ალბათობით, არ მოისვენებს მანამ, სანამ დამაკმაყოფილებელ შედეგს არ მიიღებს, რადგან 26 მაისს მომხდარის დავიწყება ახლო პერსპექტივაში წარმოუდგენელია.**

გამოძიების დასრულების შემდეგ კი (თუ პოლიციელების ბრალეულობა გამოიკვეთება) გამოჩნდება ორი გზა და საქართველოს ერთგვარი ტესტის ჩაბარება მოუწევს. **სააკაშვილის ხელისუფლებასთან მიახლოებული მახასიათებლების მქონე რეჟიმების დანაშაულებებთან დაკავშირებით მსოფლიოში ორი ძირითადი მიდგომა არსებობს. ერთს პირობითად „ევროპულს“ უწოდებენ. ის ეფუძნება იმ პოსტულატს, რომ სამართალმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იზეიმოს და ყველა დამნაშავე დაისაჯოს** (სასჯელი შეიძლება ზომიერი იყოს, თუმცა ეს უკვე სხვა საკითხია). **მეორე მიდგომა კი აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში დომინირებს. იქ წინა პლანზე „ჭეშმარიტების ძიება და ეროვნული თანხმობის მიღწევა“ გადმოდის.** მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში, აპარტეიდის რეჟიმის დემონტაჟის შემდეგ, არც ერთი სასამართლო პროცესი (ცხადია, განხილული თემის კონტექსტში) არ გამართულა, მიუხედავად იმისა, რომ იქაურმა ძალოვანებმა არაერთი ამაზრზენი დანაშაული ჩაიდინეს. იქ „ჭეშმარიტების დადგენისა და შერიგების“ კომისია მუშაობდა არქიეპისკოპოს დესმონდ ტუტუს ხელმძღვანელობით; მან მთელი რიგი მამხილებელი მასალებისა გამოაქვეყნა, თუმცა აშკარად გასასამართლებელთა 99% არ გაუსამართლებიათ.

მართალია, სამხრეთ აფრიკა ცოტა რთული შემთხვევაა და იქ სასამართლო პროცესების სერია თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის, სავარაუდოდ, ვითარების დაძაბვას გამოიწვევდა, მაგრამ **დაახლოებით ასეთი პრობლემების წინაშე ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნებისა იდგა** (ჩილე, სალვადორი, არგენტინა, ეკვადორი...). **ამასთანავე, იქ კრახისკენ მიმავალი დიქტატორების მიერ მართული პარლამენტები ხშირად იღებენ კანონებს, რითაც რეჟიმის მსახურებს მომავალი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს** (იურიდიული ფორმულირება, ცხადია, სხვანაირია, თუმცა არსი ეგ არის). **ბოლივიაში ეს კანონები არ გაუუქმებიათ და დღეს პრეზიდენტ რენე ბარიენტოსისა და სხვა მსგავსი დიქტატორების ფრიად გასვრილი ხელქვეითები თავისუფალი არიან. მართალია, ისინი მარილზე არნახული ინტენსიურობით გადიან, თუმცა ამას, კანონის უზენაესობასთან საერთო არაფერი აქვს; კერძო პირების თვითშემოქმედებაზე დაფუძნებულ ანგარიშსწორების ასეთ მეთოდებს, ცხადია, ლეგიტიმურს ვერ ვუწოდებთ.**

მოკლედ, მუშაობენ კომისიები, ქვეყნდება ოდესღაც საიდუმლო მასალები, თუმცა „ქვედა და საშუალო რგოლის ჯალათების“ აბსოლუტური უმრავლესობა გარეთ დადის. **მათი დასჯა** (ირიბად ამით მათი ოჯახების წევრებიც ზარალდებიან), **ფაქტობრივად, რამდენიმე ათეული ათასი მოქალაქის დასჯასა და გარკვეულწილად საზოგადოებისგან გარიყვას ნიშნავს, რაც ამა თუ იმ არასტაბილური ქვეყნის მდგრადობასა და ეროვნულ სოლიდარობას ხელს ნამდვილად ვერ შეუწყობს.**

**გამორიცხული არაა, საქართველო ახლო მომავალში მსგავსი დილემის წინაშე დადგეს. ზოგადად, მსგავს ვითარებაში „დანაშაულისა და სასჯელის“ ურთულეს თემაზე უამრავი დისკუსია იმართება. საინტერესოა, როგორ არჩევანს გავაკეთებთ: „ევროპულს“ თუ „ლათინოამერიკულს“? პასუხის გაცემა ამ კითხვაზე შეიძლება არც ისე მარტივი აღმოჩნდეს, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.**

## მოკლედ

## კადაფის წერილი — კონგრესს



**„ფრანს-პრესის“ ინფორმაციით, ამერიკის კონგრესს მუამარ კადაფიმ წერილით მიმართა, რომელშიც მზადყოფნას გამოთქვამს, აშშ-ის შუამდგომლობით ამბოხებულებთან მოლაპარაკებები გამართოს.** სამგვერდიან წერილში კადაფი ნატოსა და აჯანყებულებს ცეცხლის შეწყვეტისა და შერიგებისკენ მოუწოდებს. ლიბიის ხელისუფლების ლიდერი იმედოვნებს, რომ კონგრესი გააგრძელებს ნატოსა და მისი მოკავშირეების მიერ ჯამახერიაში ჩადენილი სამხედრო დანაშაულის გამოძიებას. ამ სამხედრო დანაშაულისას ლიბიაში 700-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

## კადაფიზე დარტყმის უფლება

**გაეროს რეზოლუცია ნატოს უფლებას აძლევს, კონკრეტულად ლიბიის ლიდერზე, მუამარ კადაფიზე დარტყმები განახორციელოს. ამის შესახებ CNN-ს ნატოს მაღალჩინოსანმა განუცხადა.** ეს ამ სახის პირველი განცხადებაა, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხრიდან გაკეთდა. აქამდე, ლიბიის სამხედრო ოპერაციაში მონაწილე ქვეყნები ამტკიცებდნენ, რომ მათი ოპერაციის მიზანი არა კონკრეტული ადამიანები, არამედ სამხედრო ობიექტების განადგურება იყო. გაეროს მიერ 17 მარტს მიღებული რეზოლუციის თანახმად, მსოფლიო თანამეგობრობას, გარდა სახმელეთო ოპერაციისა, შეუძლია „ყველა საჭირო ზომა“ გამოიყენოს ლიბიის მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად.

ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოში, რომელსაც „ნაციონალები“ მართავენ, მაგრამ რომელიც ეროვნული არ არის; რომლის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის უდიდესი მიღწევა ახალგორის სამხრეთ ოსეთისთვის მიკუთვნება და კოდორისთვის ზემო აფხაზეთის დარქმევა იყო; რომელმაც ომი მოიგო და ტერიტორიები დაკარგა; სადაც ამომრჩევლის 30%-ის მხარდაჭერისას მანდატების 70%-ს ითვისებენ; სადაც მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურესად გაღატაკებულია და დღენიადაგ უმცირესობის საამურ ცხოვრებას აყურებინებენ.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ჯორჯ ბუშის ქუჩით აზიზიეს მეჩეთამდე

**იტალიის დამოუკიდებლობის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე მყოფი მიხეილ სააკაშვილი 28 მაისს ანაკლიის პატრიოტთა ბანაკის გახსნას ვერ დაესწრო, მაგრამ ეს ხარვეზი 7 ივნისს გამოასწორა. მართალია, სააკაშვილზე არანაკლებ ექსცენტრიული პრემიერ-მინისტრის — ბერლუსკონის პატრონ იტალიელებს კოლიზეუმის წინ დამოუკიდებლობის დღე მომიტინგეთა სისხლისღვრით არ აღუნიშნავთ, მაგრამ გია თორთლაძე არც იქ მიიწვიეს, ისევე, როგორც ჩვენმა ხელისუფლებამ დატოვა დაუპატიჟებელი შერონ სტოუნთან შეხვედრაზე.**

ნანა დევდარიანი



სწორადაც მოიქცნენ იტალიელები, რადგან არავინ იცის, რა მოხდებოდა, მას რომ შუაგულ ევროპაში ნამგალ-უროიანი წითელი დროშები დაენახა. არადა, ყველა მასობრივი საპროტესტო აქცია ევროპაში სწორედ ამ დროშებით იმართება. თუმცა თორთლაძე ამ საკითხს შემდეგ საპარლამენტო ვადაში მოაგვარებს, მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა სიმბოლიკას სრულიად ამოძირკვავს.

თორთლაძე კარგად იყოს თავის „მრავალრიცხოვან“ პარტიასთან ერთად (აკი დაუთვალა შალვა რამიშვილმა!), ჩვენ კი კვლავ ანაკლიას მივაშუროთ, რომელიც, სააკაშვილის განცხადებით, „ბიჭვინთას სჯობია“. ნორჩ „პატრიოტებს“, ცხადია, ბიჭვინთა არ ახსოვთ. ზოგს ის ადგილი ჰგონია, ზღაპრებში რომ აღწერენ — „ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით“, ანუ არავის რომ არ უნახავს, ამიტომაც იოლად დაიჯერეს.

იტალიიდან გამოყოლილი შთაბეჭდილებებით აღსავსე სააკაშვილი კიდევ უფრო შორს წავიდა და განაცხადა: **„ზოგიერთი ოპოზიციონერი მე მიწოდებს შადრევან პირველს და სულაც არ მწყინს. შადრევან პირველი ნამდვილად ჯობია ჩინგისხან მეორეს ან კალიგულა მესამეს“!**

სააკაშვილმა რომ იცოდეს, რას უწოდებენ მას ხალხში, ჩინგისხანობასა და კალიგულობას ინატრებდა. ესეც რომ არ იყოს, რომაული შეგონებაა: **„სჯობს პროვინციაში პირველი იყო, ვიდრე რომში – მეორე“!**

პირველ-მეორეზე გათვლის არმოყვარული ქართველები კი ამ საკითხს უფრო ფართოდ განიხილავენ: **„ფარა რომ შემობრუნდება, კოჭლი ცხვარი სათავეში მოექცევაო“!**

ჩინგისხანისა და კალიგულას ხსენებამ სააკაშვილს ისტორიული მოგონებები გაუღვიძა და ამ, ჯერაც „უწვრთელ“, ახალგაზრდებს საქართველოს ისტორიის მცირე კურსიც წაუკითხა. მისი ვერსიით, ანაკლია ისტორიულად ისეთივე მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, როგორც ბათუმი, სოხუმი, ტრაბზონი და ფოთი (!). სააკაშვილის მიხედვით, **„ბოლოს ანაკლიაში დარჩა ძალიან პატარა დასახლება, თუმცა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო, კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრი და მისი მშენებლობა ისტორიული რეგიონული ცენტრის აღორძინებას ნიშნავს“.**

**ქართველ ისტორიკოსთა შორის ამ ვერსიას ვერავინ ადასტურებს, თუმცა ერთი სიმართლე სააკაშვილსაც წამოსცდება ხოლმე; ანაკლია მეგრული „ანარკიადან“ მოდის და იმ ადგილს აღნიშნავს, საიდანაც მუდმივად კივილი ისმოდა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან ქართველი ტყვეები სწორედ ანაკლიიდან გაჰყავდათ „ჩვენს ისტორიულ მეგობარ თურქეთში“. თუ ამას გულისხმობდა სააკაშვილი, მაშინ გასაგები ხდება, თუ როგორი „რეგიონული სავაჭრო ცენტრის აღორძინებას“ აპირებს ანაკლიაში. პატრიოტები ნურც იმას დაივიწყებენ, რომ სტამბოლის ბაზარზე ხნიერებსა და „ჩარეცხილებს“ არავინ გაიყვანს და იმისთვისაც მზად უნდა იყვნენ, რომ სადმე ერაყში ან ავღანეთში გოჩა და ხვიჩა ისევ გადაეყრებიან ერთმანეთს. იქნებ, მაშინ მაინც მიხვდნენ, რომ „ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები არიან“.**

იქნებ, არც ღირს საკუთარი სახელმწიფოს ისტორიის ამგვარ პროფანაციაზე ლაპარაკი, მით უფრო, რომ ილორისა და სულორის ვერგამრჩევ პიროვნებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ქართული პოლიტიკური გეოგრაფია უკვე სულ უფრო ანეკდოტურ ხასიათს იძენს. ორიოდე წლის წინათ სააკაშვილმა განაცხადა: **„ჩვენ ვცვლით საქართველოს გეოგრაფიას“!** დღენიადაგ საკუთარ კომფორტზე მზრუნველი პოლიტიკოსები მხოლოდ იმან შეაწუხა, რომ პარლამენტი ქუთაისში გადადის. სამაგიეროდ, ყურადღების მიღმა დარჩათ თბილისის გეოგრაფიული გაფართოება, რის წყალობითაც თბილისის მერს დღეს უკვე თითქმის იმდენივე ამომრჩეველი ჰყავს, რამდენიც საქართველოს პრეზიდენტს.

**სულ ახლახან გუდაურიც თბილისი გახდა; ყოველ შემთხვევაში, მასაც თბილისის მერი პატრონობს. სულ მადლობა აძახებინეს კოჯრელებსა და წავკისელებს დოკუმენტების გაცემის გამარტივებისთვის (თითქოს ამ ქვეყანაში საბუთის მარტივად მიღება მარტო თბილისელებს ეკუთვნოდეს), სულ მალე კი, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მათ მიწის გადასახადი „თბილისურად“ გაუზარდეს – 39 ლარიდან 82 ლარამდე!**

**საჯაროდ არავის უთქვამს, მაგრამ 26 მაისის შემდეგ თბილისია თელავიც, საგარეჯოც, მცხეთაც, რუსთავიც, გარდაბანიც, მარნეულიც, ბოლნისიც, კასპიც, სიღნაღიც, ყვარელიც, ზესტაფონიც, სამტრედიაც, ბაღდათიც, ოზურგეთიც, ჩოხატაურიც და ლანჩხუთიც, რადგან თბილისში დაკავებული მომიტინგეები, ადგილები რომ არ ეყოთ, სწორედ იქ გადაიყვანეს.**

სამაგიეროდ, 2008 წლის აგვისტოში სიხარულით გვამცნეს, რომ **„რუსული ტანკები თბილისში არ მოდიან, ორჭოსანში გადაუხვიეს“!** სულ ახლახან კი „სარკომ“ (საფრანგეთის პრეზიდენტის მოფერებითი სახელი ქართულად) გაიკვირვა: **„რას ერჩით რუსეთს, მან ხომ პირობა შეასრულა და თავისი ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან გაიყვანაო?“.**

ირაკლი ოქრუაშვილს რომ დავუჯეროთ, იგი პარიზში კი არა, ცხინვალშია 2007 წლის 1 იანვრიდან. გოკა გაბაშვილისთვის რომ დაგვეჯერებინა შევარდნაძის პრეზიდენტობისას, იბერია კარგა ხნის გაბრწყინებული უნდა ყოფილიყო.

ერთი სიტყვით, ახალი პოლიტიკური გეოგრაფია ოდენ სააკაშვილის გამოგონება როდია. ნუ ვიქნებით მეტისმეტად მკაცრი ჩვენებურების მიმართ; ინტელექტით „განთქმულმა“ ჯორჯ ბუშმა-უმცროსმა ავსტრიაში ყოფნისას ამ ნეიტრალურ ქვეყანას ერაყის სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობისთვის მხურვალე მადლობა უძღვნა. გაოცებული ავსტრიელები ვერ იჯერებდნენ, რომ მსოფლიოს ზესახელმწიფოს ლიდერი ავსტრიასა და ავსტრალიას ერთმანეთისგან ვერ არჩევს!

**კრის დე ბურგი და შერონ სტოუნი კი ერთმანეთისგან რუსეთსა და საქართველოს ვერ არჩევენ.** სააკაშვილის კერპმა — კრისმა, რომელსაც ის თურმე ჩუმად უსმენდა საბჭოთა წლებში (თითქოს ვინმე დევნიდა იმთავითვე რუსეთზე შეყვარებულ და იქ გასტროლებზე ხშირად მყოფ ბრიტანელ მომღერალს!), ერთობ გაანაწყენა საკუთარი მაღალი თაყვანისმცემელი. **შარშან ბათუმში გამართული კონცერტისას კრის დე ბურგმა განაცხადა, რომ შეყვარებულია რუსეთზე, უყვარს რუსული „ვოდკა“ და რუსი ლამაზმანები, სიამოვნებით გაემგზავრება რუსეთში და ამ ყველაფერს მოაყოლა სიმღერა სახელწოდებით „რუსსკაია ვოდკა“.** ამ კონცერტს სააკაშვილთან ერთად მოლდოვის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი მიხაი გიმპუც ესწრებოდა, რომელმაც შემდეგ „რეგიონის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო, კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრში“ ანაკლიაში სააკაშვილის მიერ დასასვენებლად ჩამოყვანილი 120 მოლდაველი ბავშვი მოინახულა.

ბუშთან, კრის დე ბურგთან და მიხაი გიმპუსთან რა მოსატანია, მაგრამ ბესო ჯუღელს არ მოეწონა ძირძველი ქართული სოფლის — ჭოპორტის სახელი და მას „მშვენიერა“ შეარქვა. აწ უკვე მიშაზე ნაწყენ და იტალიაში გახიზნულ ჯუღელს, ალბათ, ჰგონია, რომ ბაზარში ახლა ჭოპორტულის მაგივრად „მშვენიერას“ პომიდორს ეძებს ქართველი მყიდველი! თუმცა არც ბესო ჯუღელია დიდი ნოვატორი; საბჭოთა წლებში საქართველოში ასობით წითელსოფელი გაჩნდა, რადგან ბოლშევიკებს მათი პირვანდელი სახელწოდება ისევე აფრთხობდა, როგორც ეშმაკს — ჯვრის დანახვა. ჩემს სოფელსაც დაარქვეს წითელსოფელი, მაგრამ ყველა ისევ მირონწმინდას უწოდებდა. დღესაც მირონწმინდაა.

**ათასობით ლენინის ქუჩა იყო იმ წლების საქართველოში, სამაგიეროდ, დღეს ბუშის ქუჩა გვაქვს; ბათუმის საკრებულომ კი ხიმშიაშვილის ქუჩიდან ლეონიძის ქუჩის შეერთებამდე არსებულ მონაკვეთს არაბი შეიხის ნახაიან მაბაქარ ალ ნახაიანის სახელი მიანიჭა.**

ლეონიძეს გადაულაპარაკებია ხიმშიაშვილისთვის: — ეგ ქუჩა ტაძართან მიმიყვანსო? ხიმშიაშვილს კბილებში გამოუცრია: — ეგ გზა აზიზიეს მეჩეთთან მიგიყვანს და ამიტომ იწექი მანდ, თუ ძმა ხარო!

თუ მაინც და მაინც სახელის დარქმევა უნდოდათ ვარდის სახელით მოსულებს, ფიროსმანის სახელი მაინც დაერქმიათ იმ პატარა ქუჩისთვის.

მილიონი ვარდი აღარ სჯობს 10.000 პალმას?

ცნობისათვის: პოლიტიკური გეოგრაფია მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას, გეოპოლიტიკურ სტრუქტურებს, პოლიტიკურ ძალთა განლაგებას და ტერიტორიულ შეფარდებას სწავლობს. მისი ძირითადი საკვლევი მიმართულებებია: ცალკეული ქვეყნების პოლიტიკური და სახელმწიფო წყობის, მმართველობის სისტემისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თავისებურებანი; სახელმწიფოს ტერიტორიისა და მისი საზღვრების ფორმირება, გეოგრაფიულ განსხვავებათა განხილვა მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში (მათ შორის, მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური შემადგენლობა); პოლიტიკურ ძალთა განლაგების ანალიზი; ხელისუფლების ორგანოებში არჩევისას გეოგრაფიული თავისებურებების გამოვლენა.

**ამოცანის ამოხსნაც აქ უნდა ვეძებოთ. ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოში, რომელსაც „ნაციონალები“ მართავენ, მაგრამ რომელიც ეროვნული არ არის; რომლის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის უდიდესი მიღწევა ახალგორის სამხრეთ ოსეთისთვის მიკუთვნება და კოდორისთვის ზემო აფხაზეთის დარქმევა იყო; რომელმაც ომი მოიგო და ტერიტორიები დაკარგა; სადაც ამომრჩევლის 30%-ის მხარდაჭერისას მანდატების 70%-ს ითვისებენ; სადაც მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურესად გაღატაკებულია და დღენიადაგ უმცირესობის საამურ ცხოვრებას აყურებინებენ. ასეთ სახელმწიფოში ანაკლია რეგიონული ცენტრიცაა და „ბიჭვინთასაც ჯობია“!**

თურქების ხელში ქართველი ტყვეებით ვაჭრობის ბუდედქცეული ანაკლია ოსმალეთის იმპერიას 1805 წელს რუსეთმა გამოჰგლიჯა ხელიდან. ოსმალეთმა მაინც არ დათმო. 1812 წელს, ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებით, იგი რუსეთს მიეკუთვნა, რაც ხელმეორედ დაადასტურა 1826 წელს აკერმანის კონვენციამ.

ვივაჭროთ?

ჯორჯ ბუშის ქუჩა თბილისში




აზიზიეს მეჩეთი ბათუმში



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**იმისთვის, რომ სააკაშვილი-ალასანიას სახელობის ბიპოლარულ მოდელზე გადაწყობა მოხდეს, თამაშიდან უნდა ამოვარდეს ქართული პოლიტიკის „ბერმუდის სამკუთხედის“ მესამე საკვანძო ელემენტი, ნინო ბურჯანაძე. პროპაგანდა დაჟინებით კი ირწმუნება, რომ მიზანი უკვე მიღწეულია, თუმცა ეს სიმართლეს, ალბათ, მაინც არ შეესაბამება. თუნდაც საინფორმაციო ასპექტი რომ ავიღოთ, ვნახავთ, რომ ბურჯანაძე ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ (თუ არა №1) ნიუსმეიკერად, ახალი ამბების შემქმნელად რჩება. დღეს, აქტიური მცდელობის მიუხედავად, ირაკლი ალასანია ამ პოზიციაზე გასვლას ვერ ახერხებს. ან რა ქნას ალასანიამ, როდესაც სააკაშვილი, იმის ნაცვლად, რომ ბურჯანაძე თამაშიდან გაიყვანოს, თავისი მოუზომავი ნაბიჯებით, ფაქტობრივად, აძლიერებს მას?**

# სააკაშვილმა ისევ ყველაფერი გააფუჭა

**„ვფიქრობ, მიხეილ სააკაშვილმა მხოლოდ იმის მესამედი გააკეთა, რის გაკეთებაც ჯერ კიდევ შეუძლია,“ — განაცხადა ბუბა კიკაბიძემ გასულ კვირას. კაცმა რომ თქვას, ალბათ, გაცილებით ჰუმანური იქნება, ამერიკელმა პარტნიორებმა ერთი მოზრდილი ბირთვული ბომბი გვესროლონ, ვიდრე სააკაშვილმა საკუთარი ძალისხმევა გაასამმაგოს; სამჯერ მეტი ტერიტორიის დაკარგვა, სამჯერ მეტი გაჭირვება და უსამართლობა — ამის წარმოდგენაც კი ნებისმიერ ქართველს ღრმა დეპრესიაში ჩააგდებს. არადა, იმის ალბათობა, რომ ყოველივე ეს ნამდვილად მოხდება, მაღალია როგორც არასდროს და ამას ობიექტური წინაპირობები აქვს.**
**სად ვართ? საით გვაქვს გზანია?**
**26 მაისის შოკის შემდეგ ქართულ საზოგადოებაში ისედაც მყარად დამკვიდრებული არასტაბილურობის შეგრძნება განსაკუთრებით მძაფრი გახდა. უაღრესად ბუნდოვანი პერსპექტივიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად მას აინტერესებს, თუ „რა მოხდება შემდეგ?“, ხოლო მიმდინარე მოვლენებზე, პოლიტიკურ აწმყოზე მსჯელობის სურვილი ნაკლებად აქვს. საზოგადოება, როგორც ჩანს, ცდილობს, მაქსიმალურად სწრაფად დაშორდეს წერტილს, სადაც ახლა იმყოფება.**



ეს ძალიან ჰგავს პანიკურ გაქცევას ადგილიდან, სადაც დიდი უბედურება ტრიალებს; შუა საუკუნეებში შავი ჭირის ეპიდემიის კერებს ხალხი, ალბათ, სწორედ ასე, უკანმოუხედავად გაურბოდა. არადა, მშვენიერი მომენტია იმისთვის, რომ მკაფიოდ დავაფიქსიროთ სხვაობა პოლ გოგენის ცნობილ კითხვასა და მის ქართულ ვერსიას შორის: **ერთის მხრივ, — „საიდან მოვდივართ? ვინ ვართ? საით მივდივართ?“, მეორეს მხრივ კი — „ვინ ვართ? საიდან მოვდივართ? სად ვართ? საით გვაქვს გზანია?“. კოორდინატების ზუსტად დადგენის გარეშე მომავალზე საუბარი ძალიან გაჭირდება; იმის განსაზღვრა. თუ „სად ვართ“ დღეს, ალბათ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია.**

პოლიტიკური პროცესი, ნუგზარ წიკლაურის კოგნიტური პროცესისგან განსხვავებით, ქაოტური, სტიქიური უბედურების მსგავსი რამ არ არის. ის შეიძლება შევადაროთ სახლს (თუ საპატიმროს?), რომელსაც გარკვეული შაბლონისა და წინასწარ დამტკიცებული გეგმის მიხედვით აშენებენ. **იმის ამოცნობა, თუ რას გააკეთებენ მშენებლები ხვალ,**

## «Western-oriented» ათასი მამაძაღლი იყო, რომელიც ვაშინგტონმა ნახმარი ხელთათმანივით სანაგვეზე მოისროლა

**არც ისე რთულია, თუმცა როდესაც საქმეს ხელს ცუდი მშენებელი, ძველად რომ იტყოდნენ, „უბადრუკი ქვისმთლელი“ ჰკიდებს, სამშენებლო მოედანი ფსიქიატრიულ კლინიკას ემსგავსება. დაახლოებით ასეთი სიტუაციაა დღეს საქართველოში, თუმცა ეს არც გეგმის გაუქმებას და არც მშენებლობის შეწყვეტას ნიშნავს.**

29 დეკემბერს „საქართველო და მსოფლიომ“ 2011 წლის პოლიტიკური პროგნოზი გამოაქვეყნა. იქ (მათ შორის) განხილული იყო შიდაპოლიტიკური ცხოვრების ორი სავარაუდო ეტაპი, რომელთა მიჯნაზე, როგორც ჩანს, სწორედ ახლა ვიმყოფებით. იმ პროგნოზიდან ორი მოცულობითი ციტატის მოყვანა დაგვჭირდება, რაც პროგნოზის ფორმულირებას გაგვიიოლებს.

ციტატა: **„2011 წელი, საკმაოდ დიდი ალბათობით, რადიკალურ ოპოზიციაზე გადამწყვეტი შეტევის, ერთგვარი პოლიტიკური „ზაჩისტკის“ წელი გახდება, უპირველესად, ეს ნინო ბურჯანაძესა და მის პარტნიორ ორგანიზაციებს შეეხება. როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ამ მიმართულებით?**

**პირველ ეტაპზე, რომლის დაწყებას ბევრი არაფერი აკლია, ხელისუფლება, სავარაუდოდ, შეეცდება, ნინო ბურჯანაძესა და მის გარშემო გაერთიანებულ ძალებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის საშუალებები მაქსიმალურად შეუზღუდოს. ამასთანავე, ის ამ ბანაკში შიდა განხეთქილების პროვოცირებას შეეცდება და ხელს შეუწყობს მასზე სხვა ოპოზიციური ჯგუფების საინფორმაციო თავდასხმას, იქნება ეს ლევან გაჩეჩილაძე და „ქართული პარტია“ თუ ირაკლი ალასანია თავისი მოკავშირეებით. ყოველივე ამის მიზანი შეიძლება არა მხოლოდ მოწინააღმდეგის დასუსტება იყოს...**

**ვინაიდან ამ შეტევის ობიექტი პოლიტიკურ და საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნოლოგიებში ხანდახან ძლიერ მოიკოჭლებს. მან შეიძლება ადეკვატური პასუხი ვერ გასცეს ამ გამოწვევებს და შეექმნას მყარი შთაბეჭდილება, რომ ყოველ ახალ დღეს მისთვის საოპერაციო სივრცის შეზღუდვა და მის ხელთ არსებული რესურსების შემცირება მოაქვს. ასეთ სიტუაციაში, საპროტესტო აქციების აგორებასთან დაკავშირებით, ის შეიძლება შემდეგ დასკვნამდე მივიდეს: „რაც — მალე, მით უკეთესი“. თუ რადიკალური ოპოზიცია პროტესტის „უკანასკნელ ტალღას“ სათანადო მომზადების გარეშე ააგორებს, ამ სიტუაციისგან „მოდელირებული“, წარუმატებელი „ბიშკეკის“ მიღება ხელისუფლებისთვის მხოლოდ ტექნიკის საქმე იქნება.**

**ეს მოვლენათა განვითარების ძალზე მძიმე სცენარია, რომელიც, სამწუხაროდ, შეიძლება ბევრ პოლიტიკურ ძალას აწყობდეს, რადგან მას პოლიტიკური სივრცის მათთვის სასურველი გადაფორმატება მოჰყვება. ჩემი სუბიექტური შეფასებით, მსგავსი პროცესების განვითარების ალბათობა საკმაოდ დიდია“.**

ამ სავარაუდო (რაღა სავარაუდო?) გეგმის 100%-იანი რეალიზებისთვის ხელისუფლებას დასკვნით ეტაპზე სწორედ რომ „ტექნიკა“ არ ეყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი პროპაგანდა 24-საათიან რეჟიმში გვიმტკიცებს, რომ ადგილი სახელმწიფო გადატრიალების აშკარა მცდელობას ჰქონდა, საკმარისი ▶

### გამოხმაურებანი



**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

ის, ვინც ამბობს, რომ მიტინგის დარბევაზე პასუხისმგებლობა ოპოზიციურ ძალებს ეკისრება, სააკაშვილზე უარესი მკვლელი და პროვოკატორია.

*„ყველა სიახლე“*



**თინათინ ხიდაშელი, თბილისის საკრებულოს წევრი:**

ხელისუფლებამ უნდა თქვას, მიტინგი აღლუმის გამო დაშალა თუ იმიტომ, რომ რუსეთი გადატრიალებას გეგმავდა. ორივე ამბავი ერთად არ გამოდის. აქ იგი საკუთარ მახეში გაება და ბოლოს აბსურდამდე მივიდა.

*„ვერსია“*



**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:**

ამერიკის საგარეო პოლიტიკა არის გაცილებით სისხლიანი, ვიდრე საბჭოეთისა. ამას ისიც ადასტურებს, რომ სპეცნაზელებმა, რომლებმაც 26 მაისის დარბევაში მიიღეს მონაწილეობა, ამერიკული მხრიდან ქება და დიდება დაიმსახურეს.

*obieqtivi.net*



**მამუკა კაციტაძე, „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

უნდა მოვრჩეთ თარიღების წინასწარ დათქმას. გამოცხადებულ რევოლუციებს და გულში მჯიღის ცემას. მოკლედ, ცხელი ტვინითა და ცხელი გულით მოქმედება უნდა დასრულდეს.

*„ყველა სიახლე“*



**დავით მაღრაძე, პოეტი:**

საქართველო ზონდერქვეყნად გადაიქცა. ამ ფორმადაკარგულ ქვეყანაში არიან პოლიტზონდერები, ტელეზონდერები და მკვლელი ზონდერები. ამათი ილუზიური პროგრესულობა აღმოჩნდა უსუსური, პრიმიტიული დიქტატურა.

*„კვირის პალიტრა“*

### მოკლედ

## ვანუატუმ აფხაზეთი მაინც აღიარა

**პატარა ქვეყანა ვანუატუმ აფხაზეთის დამოუკიდებლობა მაინც აღიარა. როგორც გაზეთი „კომერსანტი“ იუწყება, ეს ფაქტი დადასტურებულია დოკუმენტით, რომელსაც 23 მაისს პრემიერებმა — სერგეი შამბამ და სატო კილმანმა მოაწერეს ხელი.** შეგახსენებთ, ამ საკითხის ირგვლივ სკანდალი მას შემდეგ გაჩაღდა, რაც კუნძულოვანი სახელმწიფოს წარმომადგენელმა გაეროში დონალდ კალპოკასმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ქვეყანა პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.



## ესპანეთი გერმანიას კომპენსაციას სთხოვს

**გერმანიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გამო, რომლის მიხედვითაც გერმანიაში გაჩენილი ნაწლავური ინფექცია ესპანური კიტრით იყო გამოწვეული, ესპანეთი გერმანიას 100%-იანი კომპენსაციის გადახდას სთხოვს.** ამის შესახებ ესპანეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა როზა აგილარ რივერომ განაცხადა. ამ ინფორმაციის გავრცელების გამო, ესპანეთიდან ბოსტნეულის იმპორტზე ბევრმა ქვეყანამ უარი განაცხადა. შედეგად, ესპანეთის სოფლის მეურნეობას სერიოზული ზარალი მიადგა.

**სააკაშვილის ამერიკელი მეგობრები ლათინოამერიკულ ქვეყნებში ძალიან ხშირად იყენებდნენ ორპარტიულ მოდელს, სადაც ერთმანეთთან თითქოსდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული, თუმცა ვაშინგტონზე ორიენტირებული ორი (საბოლოო ჯამში, მარიონეტული) ძალა უპირისპირდება ურთიერთს. ეს სისტემა არჩევანის თავისუფლებისა და დემოკრატიის ერთგულების საკმაოდ მყარ ილუზიას ქმნის. რაც უფრო გაძლიერდება აშშ-ის გავლენა საქართველოში, ამ მოდელს, სავარაუდოდ, სულ უფრო მეტად მივუახლოვდებით. 2012 წლის არჩევნები ამ ტრანსფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად განიხილება.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

◀ დამადასტურებელი ფაქტები, ისეთი, როგორიც იქნებოდა, მაგალითად, ოპოზიციონერების შეჭრა ადმინისტრაციულ შენობებში ან განცხადება ხელისუფლების აღების შესახებ, საზოგადოებამ ვერ იხილა.

ყოველივე ამის პროვოცირების მცდელობას ადგილი, როგორც ჩანს, ნამდვილად ჰქონდა. „სახალხო კრებაში" იყო (სავარაუდოდ) ინფილტრირებული პროვოკატორების აქტიურობა; ასევე იყო 26 მაისს ალყაშემორტყმული მომიტინგეებისთვის პარლამენტის შენობისკენ გასასვლელის დატოვებაც, თუმცა „ბიშკეკის მოდელირება" მაინც ვერ მოხერხდა. **ოპოზიციონერთა მხრიდან მასობრივი კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შემთხვევაში, საზოგადოება (და უცხოელი პარტნიორები) სააკაშვილის პოლიციის არაადამიანურ მოქმედებას, შესაძლოა, რაიმე გამართლებას მოუძებნიდა, მაგრამ მსგავსი რამ არ მომხდარა, შესაბამისად, სადისტური დარბევის გამართლებაც შეუძლებელი შეიქნა.**

ერთი შეხედვით, ეს მხოლოდ ტაქტიკური მომენტია, თუმცა დარბევამ და ხსენებულმა პოლიტიკურმა „ზაჩისტკამ" ყოველივე ამის გათვალისწინებით, ალბათ, ლეგიტიმურობის (ფართო გაგებით) 90% დაკარგა. ამ გარემოებამ კი დღის წესრიგში სავარაუდო სცენარების კორექტირების საკითხი დააყენა.

## როდესაც მესამე ზედმეტია

რაც შეეხება მომდევნო ეტაპს, მასზე იმავე 29 დეკემბრის პროგნოზში „საქართველო და მსოფლიო" წერდა: **„2011 წლის შემოდგომა, სავარაუდოდ, პოლიტიკური სპექტრის ორპოლუსიან მოდელზე (სააკაშვილი-ალასანია) გადაწყობას დაუკავშირდება. იქნება ბევრი ხმაური, თუმცა მნიშვნელოვანწილად ეს დაპირისპირება წარმოსახვითი იქნება, როგორც „მოქავშირი"- „ალორძინების" ბატალიები 1999 წლის არჩევნების წინ. იმ მომენტისთვის, როგორც უკვე ვთქვით, ხელისუფლება, სავარაუდოდ, რადიკალური ოპოზიციის „ზაჩისტკას" მოახდენს. ირაკლი ალასანია და მისი მოკავშირეები კი 2012 წლის არჩევნებისთვის მზადებას უფრო ადრე დაიწყებენ, ვიდრე ეს ქართველ პოლიტიკოსებს სჩვევიათ. გაისად, განსაკუთრებით შემოდგომაზე, ისინი ახალი პოლიტიკური (საარჩევნო ბლოკის კონსოლიდაცია) და მედიაპროექტების განხორციელებას შეეცდებიან."**

თუმცა იმისთვის, რომ სააკაშვილი-ალასანიას სახელობის ბიპოლარულ მოდელზე გადაწყობა მოხდეს, თამაშიდან უნდა ამოვარდეს ქართული პოლიტიკის „ბერმუდის სამკუთხედის" მესამე საკვანძო ელემენტი, ნინო ბურჯანაძე. პროპაგანდა დაჟინებით კი ირწმუნება, რომ მიზანი უკვე მიღწეულია, თუმცა ეს სიმართლეს, ალბათ, მაინც არ შეესაბამება. თუნდაც საინფორმაციო ასპექტი რომ ავიღოთ, ვნახავთ, რომ ბურჯანაძე ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ (თუ არა №1) ნიუსმეიკერად, ახალი ამბების შემქმნელად რჩება. დღეს, აქტიური მცდელობის მიუხედავად, ირაკლი ალასანია ამ პოზიციაზე გასვლას ვერ ახერხებს. ან რა ქნას ალასანიამ, როდესაც სააკაშვილი, იმის ნაცვლად, რომ ბურჯანაძე თამაშიდან გაიყვანოს, თავისი მოუზომავი ნაბიჯებით, ფაქტობრივად, აძლიერებს მას? შექმნილი ვითარება პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ „მედიანიუსთან" საუბარში ასე შეაფასა: „აქციის უშედეგოდ დასრულება „სახალხო კრების" მიმართ საზოგადოების ნდობაზე უარყოფით გავლენას მოახდენდა, მაგრამ ხელისუფლებამ იმისთანა რამ ჩაიდინა, რომ „სახალხო კრების" მიმართ ნდობის საკითხი გადაფარა კარდინალურმა უნდობლობამ, პროტესტმა ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკისადმი. ამ საპროტესტო მუხტის ფონზე, მაშინ, როდესაც, ფაქტობრივად, პროტესტის მატარებელი პოლიტიკური ძალა საქართველოში, „სახალხო კრების" გარდა, უკვე არც ერთი აღარ არსებობს, ვგულისხმობ აქტიურ ძალებს, რადგან დანარჩენები პასიურ მდგომარეობაში არიან. ალბათ, „სახალხო კრებას" აქვს იმის პერსპექტივა, რომ უფრო მეტი მხარდამჭერი მოიპოვოს".

**როგორც ჩანს, წინასაარჩევნო პერიოდამდე დარჩენილ მოკლე დროში ხელისუფლება შეეცდება, „სახალხო კრებას" ნებისმიერ ფასად (!) „ბულდოზერით გადაუაროს", წინააღმდეგ შემთხვევაში, ის საფრთხის ქვეშ დააყენებს ბიპოლარულ საინფორმაციო მოდელზე დაფუძნებულ არჩევნებს, ხელისუფლების შემდგომ გადაფორმატებას და ა.შ. სახლის მშენებლობასთან გავლებულ პარალელს თუ დავუბრუნდებით, ვნახავთ, რომ სააკაშვილმა თავისი უხეში, იმპულსური მოქმედებით (მთვრალი ბულდოზერისტის ქცევას ჰგავს) საფრთხე არქიტექტორის გეგმასა და მშენებლობის გრაფიკს უკვე შეუქმნა.**

**სააკაშვილის ამერიკელი მეგობრები ლათინოამერიკულ ქვეყნებში ძალიან ხშირად იყენებდნენ ორპარტიულ მოდელს,**





**იმისთვის, რომ სააკაშვილი-ალასანიას სახელობის ბიპოლარულ მოდელზე გადაწყობა მოხდეს, თამაშიდან უნდა ამოვარდეს ქართული პოლიტიკის „ბერმუდის სამკუთხედის" მესამე საკვანძო ელემენტი, ნინო ბურჯანაძე.**

**სადაც ერთმანეთთან თითქოსდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული, თუმცა ვაშინგტონზე ორიენტირებული ორი (საბოლოო ჯამში, მარიონეტული) ძალა უპირისპირდება ურთიერთს. ეს სისტემა არჩევანის თავისუფლებისა და დემოკრატიის ერთგულების საკმაოდ მყარ ილუზიას ქმნის. რაც უფრო გაძლიერდება აშშ-ის გავლენა საქართველოში, ამ მოდელს, სავარაუდოდ, სულ უფრო მეტად მივუახლოვდებით. 2012 წლის არჩევნები ამ ტრანსფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად განიხილება.**

ეს არ ნიშნავს, რომ 2012-ის შემდეგ სისტემა დასრულებულ სახეს მიიღებს და მასში ინტეგრირებული ოპოზიცია მმართველი ჯგუფისგან სრულიად დამოუკიდებელი ან თანაზომადი ბერკეტების მქონე გახდება. თუმცა იდეაში ამ არჩევნებს ერთპარტიულ მმართველობასთან რამდენიმე (ალბათ, უფრო სიმბოლური) ნაბიჯით უნდა დავეშორებინეთ. გარდამავალ, პოსტსაბჭოთა ეტაპზე, ფაქტობრივი ერთპარტიულობა სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთადერთ შესაძლებელ მექანიზმს წარმოადგენდა, თუმცა დღეს, შეცვლილ პირობებში, მას, კრიზისების მუდმივი წარმოქმნის გარდა, არანაირი „სარგებელი" აღარ მოაქვს. მართული ორპოლუსიანი სისტემა, პრინციპში, გაცილებით სტაბილურია, თუმცა „მესამე ძალის" გამოჩენა და გაძლიერება მის ფორმირებას აფერხებს.

## რევოლუცია ისე არ მოდის

**დღეს ქვეყანა, ალბათ, საინტერესო წერტილში, გზაგასაყართან იმყოფება: ან კვლავინდებურად თანდათანობითი „ბიპოლარული ტრანსფორმაციის" გზით წავალთ (წაგვიყვანენ), ან სააკაშვილი სომოსას როლს მოირგებს. არის კიდევ ერთი ნაკლებად** სავარაუდო, თუმცა შესაძლებელი ვარიანტი: იმ შემთხვევაში თუ სააკაშვილი ყოვლად უიმედო შეიქმნება, **ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ მარიონეტების მთელი ამ თეატრის მფლობელი აამოქმედებს რეჟიმის სასწრაფოდ შეცვლის გეგმას, საქმეში ჩახედული გერმანელები რომ იტყოდნენ, „Operation Walkure"-ს დაქოქავს.**

თუმცა უცხოელი პარტნიორებისთვის ყველაზე სასურველ „სამუშაო ვარიანტად", ალბათ, მაინც არჩევნებთან და რეჟიმის ნელ (ასე, 7-8 წელიწადზე გაწელილ) ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული სცენარი უნდა განვიხილოთ. არადა, დღეს ყველაფერი, თითქოსდა იმაზე მიანიშნებს, რომ სააკაშვილი აღვირახსნილი დიქტატურის ჩამოყალიბების გზას მიუყვება.

**სააკაშვილი სიტუაციას, ერთი შეხედვით, მყარად აკონტროლებს, თუმცა პოლიტიკურად, ალბათ, მაინც სუსტდება, „სისხლისგან იცლება", თანაც სწრაფად. მან საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილთან მისასვლელი გზა, სავარაუდოდ, სამუდამოდ მოიჭრა, ხოლო 26 მაისის შემდეგ დემოკრატი მმართველის იმიჯს მას უკვე მამაზეციერიც ვერ მოარგებს.**

მართალია, დახასიათება **„WESTERN-ORIENTED"-ი (დასავლეთზე ორიენტირებული) ისევ ძალაშია, თუმცა ცალკე აღებული ის განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავს; „WESTERN-ORIENTED" ათასი მამაძაღლი იყო, რომელიც ვაშინგტონმა ნახმარი ხელთათმანივით სანაგვეზე მოისროლა.**

ამერიკელებისთვის კი არსებითი მნიშვნელობა, სავარაუდოდ, მხოლოდ რამდენიმე ფაქტორს აქვს: **ა) რამდენად ეფექტურად ინარჩუნებს სააკაშვილი კონტროლს ქვეყანაზე და რამდენად მყარია მისი პოზიციები; ბ) რამდენად შორს წავა იმისთვის, რომ ვაშინგტონის სურვილები დააკმაყოფილოს; გ) რამდენად ძვირი დაუჯდება აშშ-ს კონკრეტული რეჟიმის შენარჩუნება (ან მისი შეცვლა) საგარეო-პოლიტიკურ, ფინანსურ და საიმიჯო ასპექტში, მოსალოდნელ ამონაგებთან შედარებით.** სულ ეს არის, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე პროცესებს ძალზე ემოციურად აღვიქვამთ, სინამდვილეში მათ უკან საბუღალტრო დოკუმენტაციასავით პროზაული გათვლები დგას, თავისი პლიუსებითა და მინუსებით, მოგებით, ზარალითა და საერთო ბალანსით.

**ამ ჩამონათვალის „ბ" პუნქტი ვაშინგტონზე მიბმულ ნებისმიერ ქართველ პოლიტიკოსს უბიძგებს, საკუთარი ქვეყანა კიდევ უფრო მორჩილი გახადოს, ფაქტობრივ კოლონიად აქციოს. სანამ თამაშის ეს წესი ძალაშია და ვიდრე ლეგიტიმურობის მთავარ წყაროდ საქართველოს მმართველებისთვის თეთრი სახლი რჩება, ჩვენ, სავარაუდოდ, ვერ მივაღწევთ ვერაფერს, გარდა იმისა, რომ ერთ მარიონეტს, მეორე, ცოტა უფრო დავარცხნილი ჩაანაცვლებს.**

მართალია, ეს ძლიერ სასიხარულო იქნება იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც სააკაშვილის ხელისუფლებიდან გაშვება ღირსების საქმედ იქცა, მაგრამ „რევოლუციას" ამას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. საუბარი რევოლუციაზე ადეკვატური, ალბათ, მხოლოდ მაშინ გახდება, თუ საპროტესტო მოძრაობას გამოკვეთილად ანტიკოლონიური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათი ექნება და ის თამაშის წესების გადახედვისკენ იქნება მიმართული; თუმცა ვიდრე იქამდე მივალთ (თუ მივალთ), ალბათ, მაინც მოგვიწევს პასუხის გაცემა მთავარ კითხვაზე „სად ვართ?", რომელსაც ასე უკანმოუხედავად გაურბივართ.

**დიმიტრი მონიავა**

## გამოხმაურები

**ნონა გაფრინდაშვილი,**
**„სახალხო კრების" თავმჯდომარე:**



ჩვენ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით, რომ იქ ხელისუფლება სასაკლაოს მოაწყობდა. ისინი ცდილობენ, დაშინების პოლიტიკა გაამძაფრონ, მაგრამ უსასრულო არაფერი არ არის.

*„ახალი თაობა"*

**ირაკლი სესიაშვილი,**
**ექსპერტი:**



ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელსაც ქვეყნის ბიუჯეტი საკუთარი ჯიბის ფული ჰგონია.

*„ყველა სიახლე"*

**გურამ ფირცხალავა,**
**მსახიობი:**



მეგობრები ხშირად მეკითხებიან, როგორ გადარჩიო, რაზეც ასე ვპასუხობ, ჰკითხეთ ფაშიზმის დროს გადარჩენილ ებრაელებს, სიცოცხლე როგორ შეინარჩუნეს-მეთქი...

*„რეიტინგი"*

**ბასა ჯანიკაშვილი,**
**მწერალი:**



ქართველ ხალხს შემიძლია ვურჩიო, რომ ტელევიზორები გამორთონ და დალიონ ძალიან ბევრი დამამშვიდებელი აბი.

*„ყველა სიახლე"*

**ვახტანგ ტატიშვილი,**
**ანსამბლ „ივერიის" წევრი:**



სირცხვილი იმ ადამიანებს, ვისაც სახალხო არტისტები ჰქვიათ და ხალხის ნაცვლად ხელისუფლებას უდგანან გვერდით!

*„ყველა სიახლე"*

**ერეკლე საღლიანი,**
**პოეტი:**



როდესაც ხელისუფლება საკუთარ ხალხთან მხოლოდ ხელკეტით და რეზინის ტყვიებით ლაპარაკობს, ეს ნიშნავს, რომ ხალხი და ხელისუფლება სხვადასხვა ენაზე საუბრობენ.

*„ყველა სიახლე"*

## მაქსიმალურად უსაფრთხო თვითმფრინავი

**ამერიკელმა ინჟინრებმა პრეზიდენტ ბარაკ ობამასთვის შექმნეს ახალი თვითმფრინავი, რომელიც სახელმწიფოს მეთაურს ყველა შესაძლო კატასტროფისგან, მათ შორის — მეტეორიტების წვიმისა და ბირთვული ომისგან, დაიცავს.** „ბოინგ-747"-ის ბაზაზე აგებული სპეცდანიშნულების ხომალდი 4997 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, რაც 65 კმ/სთ სიჩქარით მეტია ჩვეულებრივი მოდელის სიჩქარეზე. გარდა ამისა, თვითმფრინავი აღჭურვილია ხმელეთთან და აშშ-ის სამხედრო ფლოტის წყალქვეშა ნავებთან მუდმივი კავშირის სისტემით, სამაგიეროდ, მასში არ არის საშხაპე. თვითმფრინავი აშშ-ის მთავრობას 223 მლნ დოლარი დაუჯდა.



## რეიტინგით ობამაზე მეტი

**აშშ-ში ჩატარებული გამოკითხვები მოწმობს, რომ აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას რეიტინგი დაეცა.** გამოკითხვა ტელეკომპანია ABC News-მა გაზეთ The Washington Post-თან ერთად ჩაატარა და დაადგინა, რომ ობამას რეიტინგით რესპუბლიკელი მიტ რომნი უსწრებს. დღეს რომ არჩევნები ჩატარებულიყო, ამერიკელები სწორედ მას აირჩევდნენ პრეზიდენტად. რომნის გამოკითხულთა 49% უჭერს მხარს. ობამას კი, რომლის ეკონომიკურმა რეფორმებმა ფიასკო განიცადა, — 46%.

საქართველო და მსოფლიო
ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**დაზვერვის სკოლაში ერთი, ძალიან ჭკვიანი კაცი გვიკითხავდა ლექციებს და ერთხელ, ეს იყო 1966 წელს, მან გვითხრა: არ შეიძლება აშშ-ს გავეჯიბროთ შეიარაღებაში და, ძალიან მარტივად, მაგრამ სავსებით გასაგებად აგვიხსნა, თუ რატომ. ვთქვათ, აშშ ბიუჯეტი არის 20 დოლარი, საბჭოთა კავშირის — 10 მანეთი. აშშ შეიარაღებისთვის ხარჯავს 5 დოლარს, ჩვენ — 5 მანეთს. იმათ რჩებათ 15 დოლარი, ჩვენ — 5 მანეთი. ერთ მშვენიერ პერიოდში აშშ ამ მიზნისთვის დახარჯავს 10 დოლარს, ჩვენც იძულებული გავხდებით, დავხარჯოთ 10 მანეთი. იმათ დარჩებათ 10 დოლარი, ჩვენ — აღარაფერი და დაინგრევა ეს ქვეყანაო.**

# ანზორ მაისურაძე: უვიზო რეჟიმი, რომელიც საქართველომ ირანთან დაამყარა, ვაშინგტონთან შეთანხმებით, ან სულაც მისი კარნახით გაკეთდა

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა რეპლიკა იმასთან დაკავშირებით, რომ დიდმა ბრიტანეთმა სამხედრო მრჩეველი ოფიციალურად დაგვინიშნა („ბანანიზაცია, ანუ გმადლობთ, რომ იხოცებით“...). დღეს გთავაზობთ ინტერვიუს ამავე თემაზე პროფესიონალთან, უშიშროების ყოფილ მინისტრთან, გენერალ-მაიორ ანზორ მაისურაძესთან, რომელსაც საზღვარგარეთ და საქართველოში ამ სფეროში მუშაობის პერიოდში დიდი გამოცდილება დაუგროვდა.**

— დიდი ბრიტანეთის სამხედრო მრჩევლის საქართველოში მოვლინება, — **ამბობს ბატონი ანზორი,** — ნიშნავს, რომ ჩვენი „პატარა ქვეყანა“ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოს (რომელსაც დაზვერვის დიდი ტრადიციები აქვს) — ინგლისის, ინტერესის საგანი გახდა.

სამხედრო მრჩეველი, როგორც წესი, არის იმ ქვეყნის დაზვერვის წარმომადგენელი, რომელმაც მოავლინა.

**— სამხედრო დაზვერვის?**

— რა თქმა უნდა. ყველა თანამშრომელს, რომელიც ამ თანამდებობაზე იწყებს მუშაობას, შესაბამის დავალებას აძლევენ.

**არ ვიცი, სად იქნება ამ მრჩევლის რეზიდენცია — ინგლისის საელჩოში, თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. მაგრამ, სადაც გინდა იყოს, მას დავალებული ექნება, რომ გამოავლინოს ის პირები, რომლებიც შეიძლება ჩვენს სამხედრო უწყებაში მუშაობდნენ სხვა ქვეყნის სასარგებლოდ.**

— სულ ესაა?

— **(ეცინება).** ეს მხოლოდ ერთ-ერთია. ამასთან ერთად, მას დავალებული აქვს, გაარკვიოს, რა პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს ქვეყნის შიგნით.

უეჭველად მოიპოვოს ინფორმაცია იმ პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებზე, რომლებიც საქართველოში მოქმედებს. ჰქონდეს ზუსტი წარმოდგენა იმაზე, თუ ვინ შეიძლება იყოს დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის დასაყრდენი საქართველოში.

**— ინგლისის სამხედრო დაზვერვის?**

— ინგლისს რომ ვამბობ, მე აშშ-საც ვგულისხმობ — ერთად არიან. ახლო კონტაქტი ექნება იმ უწყებასთან, რომლის ფუნქციაშიც შედის ეს საქმე. კერძოდ, საქართველოს სამხედრო კონტრდაზვერვასთან, წესით, უნდა ჰქონდეს, ასევე — საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტთან.

სამხედრო მრჩეველმა უმჭიდროესი კონტაქტები უნდა დაამყაროს ჩვენი სამხედრო უწყების მაღალჩინოსნებთან, ჩაიხედოს ამ სამინისტროს „სამზარეულოში“, როგორც პირადად, ასევე იმათი მეშვეობით, ვინც ამის საშუალებას მისცემს.

თქვენს მკითხველებს ვთხოვ, მომიტევონ, ასე დაწვრილებით რომ ვშიფრავ სამხედრო მრჩევლის ფუნქციებს, რადგან უმეტესობას ჰგონია, რომ მრჩეველი ნიშნავს კაბინეტში მჯდომარე ჩინოვნიკს, რომელიც დრო და დრო რაღაც რჩევას აძლევს იმ ქვეყნის ხელმძღვანელებს, სადაც მივლინებით იმყოფება.

ამაზეც გეტყვით. ახლა კი დავუმატებ, რომ **სამხედრო მრჩევლის მოვალეობაში შედის ინფორმაციის მოპოვება იმ ქვეყნების შესახებ, რომლებიც მის ხელმძღვანელობას აინტერესებს. უწინარეს ყოვლისა, ეს არის რუსეთი, შემდეგ — ირანი, თურქეთი, ჩრდილოეთ კავკასია და, რა თქმა უნდა, ჩვენი მეზობლები — სომხეთი და აზერბაიჯანი.**

ინგლისის პოლიტიკა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში ყოველთვის ხანგრძლივ პერიოდზე კარგად გათვლილი, წინდახედული, გამართული იყო. ამიტომ სამხედრო მრჩევლის გამოგზავნა ნიშნავს ამ ტრადიციული ქვეყნის მხრიდან ინტერესის გაძლიერებას კავკასიისადმი, კერძოდ, საქართველოსადმი. ეს არის ჩემი პირადი აზრი, რომელიც, ვფიქრობ, უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

## ვინმეს ეჭვი ხომ არ ეპარება, რომ ახლა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ყველა მნიშვნელოვან საკითხს ვაშინგტონთან ათანხმებს?

**— განსაკუთრებული ინტერესი?**

— დიახ.

**— ირანთან ხომ არ არის დაკავშირებული? იმ მართლაც განსაკუთრებულ ინტერესთან, რომელსაც აშშ იჩენს ამ ქვეყნის ნავთობსარეწების მიმართ, ასევე — ირანის ბირთვულ პროგრამასთან და ა.შ.? ბოლოს და ბოლოს, „ფერადი რევოლუციის“ შესაძლო მოწყობასთან ამ ქვეყანაში?**

— ვარაუდი ყველაფრის შეიძლება, მაგრამ დაბეჯითებით თქმა, — არაფრის. ასეთი შემთხვევისთვის არსებობს ტრადიციული ფორმულა — არაფერი გამორიცხული არ არის. მას შემდეგ, რაც აშშ-მა ერაყში სამხედრო ოპერაცია განახორციელა იმ მოტივით, რომ სადამ ჰუსეინი ფლობდა მასობრივი მოსპობის იარაღს, შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი ბლეფი იყო, კატეგორიულ მტკიცებებს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

**— მაგრამ ვარაუდს ვინ გვიშლის?**

— არავინ. საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა. ტრანზიტი მარტო ტვირთის მიმოქცევას არ ნიშნავს. ტრანზიტი შეიძლება იარაღის, ნარკოტიკების, იდეების და, რა თქმა უნდა, „ფერადი რევოლუციებისაც“. თუმცა, გულახდილად გეტყვით, რომ ირანში „მწვანე რევოლუციის“ გამარჯვება ნაკლებ მოსალოდნელია მთელი რიგი ფაქტორების გამო. უწინარეს ყოვლისა, რელიგიური ფუნდამენტალიზმის და იმ უმყარესი ტრადიციების გამო, რომლებიც ამ ქვეყანაში საუკუნეობით მყარად არის დამკვიდრებული.



## საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა. ტრანზიტი შეიძლება იარაღის, ნარკოტიკების, იდეების და, რა თქმა უნდა, «ფერადი რევოლუციებისაც»

**— მაგრამ ამერიკა ამ წინაღობებს არ ეპუება. ცნობილია, რომ აშშ-მა უკვე მიიღო კანონი ირანში თავისუფლების მხარდაჭერის შესახებ და აშკარად აფინანსებს ირანის ოპოზიციურ დაჯგუფებებს ხელისუფლების დამხობის მიზნით.**

— მაგრამ 2009 წლის „მწვანე რევოლუცია“ უშედეგოდ დამთავრდა.

**— მაგრამ არ დამთავრებულა აშშ-ის მცდელობა თავისი მიზნების მისაღწევად. ამ მიმართებით მუშაობენ მთელი რიგი ფონდები და ინსტიტუტები. მაგალითად, რიჩარდსონის ფონდი, ბრუკინგსის ინსტიტუტი, სპეცსამსახურები...**

— არა მარტო. თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ უვიზო რეჟიმი, რომელიც საქართველომ ირანთან დაამყარა, ვაშინგტონთან შეთანხმებით, ან სულაც მისი კარნახით გაკეთდა? მაგრამ ისიც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ირანიც მუშაობს საქართველოში და ისიც შეეცდება თავისი მიზნებისთვის ჩვენს გამოყენებას.

ტრანზიტი ორმხრივია: აქედან იქით — „ფერადი რევოლუცია“, იქიდან აქეთ — ისლამური ფუნდამენტალიზმი, თუნდაც, ჩრდილოეთ კავკასიაში.

მოკლედ, თუ დასჭირდათ, გამოიყენებენ.

აქედან გამომდინარე, ერთი რამის თქმა შეიძლება დაბეჯითებით: ნებისმიერი სამხედრო მრჩეველი მოწოდებულია, მოიპოვოს ის ინფორმაცია, რომელიც მისი ქვეყნის სპეცსამსახურს, მაშასადამე, მთავრობასა და ხელისუფლებას, უპირველესად, საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკის შესამუშავებლად სჭირდება იმ პერიპეტიებზე ადეკვატური რეაგირებისთვის, რომლებიც მოცემულ რეგიონში შეიმჩნევა. მოპოვებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი მისი ქვეყნისთვისაა გამიზნული, ზოგი რამ საქართველოში დარჩება.

**— ამიტომაცაა მრჩეველი და მითითებების მიმცემი?**

— მითითებების — უკაცრავად! რჩევების — კი, ბატონო.

**— ხომ არ გამორიცხავთ, ბატონო ანზორ, საბჭოთა სამხედრო მრჩევლების მონაწილეობას იმ გადატრიალებებში, რომლებიც, თუნდაც ავღანეთში ერთიმეორის მიყოლებით ხდებოდა?**

— გამორიცხვა როგორ შეიძლება! მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მარტო მრჩეველი არაფრის გამკეთებელი არ არის. იმავე ავღანეთში, მაგალითად, 345-ე სადესანტო პოლკი, რომელიც აგერ, ჩვენს მეზობლად, განჯაში იდგა, 2000 თუ 2500 კაცი, პირველი ჩაფრინდა ავღანეთში და განახორციელა ის ოპერაცია, რომელიც ხელისუფლების შესაცვლელად იყო დაგეგმილი...

ავღანეთში სამხედრო მრჩევლების დიდი ჯგუფი მუშაობდა. მათ ერთმანეთისგან განსხვავებული აზრი გააჩნდათ, რამაც ფრიად უარყოფითი როლი ითამაშა. საერთო მიზანი საერთო აზრის უქონლობის გამო ძნელად მისაღწევი გახდა.

**— საბჭოთა შეზღუდული საარმიო კონტინგენტის შესვლა-არშესვლის თვალსაზრისით?**

— დიახ. და კიდევ სხვა საკითხებშიც... ამიტომ ისე ნუ წარმოიდგენთ, რომ სამხედრო მრჩეველი ყოვლისშემძლე კაცია და უკანასკნელი ინსტანცია, თუნდაც ამა თუ იმ რეგიონის მასშტაბით.

**ავღანეთის კამპანიას თუ დავუბრუნდებით, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჯარის შეყვანა ავღანეთში იყო ის აქტიური ღონისძიება, რომელიც უცხოეთის ლიდერმა ქვეყანამ თავს მოახვია იმდროინდელ საბჭოთა ხელმძღვანელობას.**

**— თუ შეიძლება, განმარტეთ.**

— 1965 წელს საბჭოთა კავშირის დაზვერვამ ამერიკის შეერთებული შტატები ჩაითრია ვიეტნამის სამხედრო კონფლიქტში. ამის გამო 10 წლის განმავლობაში მთელი მსოფლიო ლანძღავდა ამერიკას, თვით შეერთებულ შტატებშიც კი ძლიერი მოძრაობა დაიწყო ამ უსამართლო ომის საწინააღმდეგოდ. 1974 წელს უამრავი დანაკარგისა და მსხვერპლის შემდეგ ამერიკელებმა დატოვეს ვიეტნამი. მე ნანახი მაქვს დოკუმენტური კადრები, თუ როგორ გამორბიან ამერიკელი ჯარისკაცები ვიეტნამიდან. მაგრამ ეს სამარცხვინო დამარცხება სსრ კავშირმა არ გამოიყენა ფართე პროპაგანდისთვის — ამერიკელები რომ არ გაღიზიანებულიყვნენ.

5 წლის შემდეგ 1979 წელს აშშ-მა მოახერხა საბჭოთა კავშირის ჩართვა ავღანეთის საწინააღმდეგო ომში, რომელსაც 10 წლის შემდეგ ძლივს დავაღწიეთ თავი.

ეს იყო ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი საბჭოთა იმპერიის დარღვევის.

**— ესე იგი, საბჭოთა ჯარები ავღანეთიდან რომ არ გამოსულიყო, არ დაიშლებოდა სსრკ?**

— არა, ეს არ მითქვამს. საბჭოთა კავშირმა ამ ომს ვერ გაუძლო, უწინარეს ყოვლისა, — ქვეყნის ეკონომიკამ ვერ გაუძლო. დაზვერვის სკოლაში ერთი, ძალიან ჭკვიანი კაცი გვიკითხავდა ლექციებს და ერთხელ, ეს იყო 1966 წელს, მან გვითხრა: არ შეიძლება აშშ-ს გავეჯიბროთ შეიარაღებაში და, ძალიან მარტივად, მაგრამ სავსებით გასაგებად აგვიხსნა, თუ რატომ. ვთქვათ, აშშ ბიუჯეტი არის 20 დოლარი, საბჭოთა კავშირის — 10 მანეთი. აშშ შეიარაღებისთვის ხარჯავს 5 დოლარს, ჩვენ — 5 მანეთს. იმათ რჩებათ 15 დოლარი, ჩვენ — 5 მანეთი.

ერთ მშვენიერ პერიოდში აშშ ამ მიზნისთვის დახარჯავს 10 დოლარს, ჩვენც იძულებული გავხდებით, დავხარჯოთ 10 მანეთი. იმათ დარჩებათ 10 დოლარი, ჩვენ — აღარაფერი და დაინგრევა ეს ქვეყანაო.

**— გამაგებინეთ, ბატონო ანზორ, თუ რიგითი ლექტორი ამას ხვდებოდა, ნუთუ საბჭოთა ხელმძღვანელობამ ეს ვერ გაიგო?**

— შეიარაღებაში შეჯიბრებას სწორედ ასეთი შედეგი უნდა მოჰყოლოდა. ეს ლოგიკური იყო, მაგრამ პოლიტბიუროს ტვინგაყინული ხელმძღვანელობა იმდენად ატაცებული იყო „საბჭოთა უპირატესობის“ დემონსტრირებით, აშშ-თან შეჯიბრში, თავისი მოკლე ეკონომიკური საბანი იმდენად გაწი-გამოწია, რომ მთლიანად შემოეხა და შემოეფხრიწა. მეტსაც გეტყვით: საკავშირო ცეკამ ▶

## სამხედრო მრჩეველი, როგორც წესი, არის იმ ქვეყნის დაზვერვის წარმომადგენელი, რომელმაც მოავლინა

**საქართველოში გარკვეულმა ძალებმა გამოიწვიეს საგანმანათლებლო სისტემის, მეცნიერების ნგრევა. ამის შეჩერება კი ისეთივე რთულია, როგორც მოვარდნილი ცუნამის. საქართველოში ზოგადსაბუნებისმეტყველო მეცნიერება პრაქტიკულად აღარ გვაქვს. ამ სფეროთი აღარც ახალგაზრდები ინტერესდებიან.**

განათლება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

აბსოლუტურად უყურადღებოდ დატოვა 30-ტომიანი დეტალური ინფორმაცია, რომელიც საკავშირო უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი ამ პრობლემების შესახებ წლობით აწვდიდა.

**— ჩვენ, საქართველო, ხომ არავის ვეჯიბრებით?**

— არ ვეჯიბრებით, მაგრამ, როგორც ვთქვი, საინტერესო ქვეყანა ვართ, როგორც გლობალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტი კავკასიაში. ყველასთვის საბოლოოდ გაცხადდა, რომ საქართველოს გარეშე ვერ გადაწყდება ის პრობლემები, რომელთა განხორციელებისთვისაც არიან მოწოდებული მსოფლიოს მამოძრავებელი ძალები. ამიტომ გვიგზავნიან სამხედრო მრჩეველს. მოსალოდნელია, რომ ამ მიმართულებით სხვა ნაბიჯებიც გადადგან.

**— საქართველოსთვის ასეთი ყურადღების მიქცევის მიზეზი ისიც ხომ არ არის, რომ აშშ-ინგლისის კოალიციას ავღანეთში თანდათან და განუხრელად აკლდება მოკავშირეები, საქართველო კი ზრდის იქ მივლინებულ თავის კონტინგენტს?**

— ესეც არ არის გამორიცხული: სხვა ქვეყნებს გამოჰყავთ ჯარისკაცები, ჩვენ ვზრდით მათ რაოდენობას. შეიძლება ითქვას, ამიტომაც გვეღოლიავებიან.

**— მაგრამ ისიც ხომ უეჭველია, რომ ინტერესის გაძლიერება გავლენის გაძლიერებასაც იწვევს? ლოგიკურად ასეა. მაშასადამე, შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველო, უპირველესად, ჩვენი ხელისუფლება სულ უფრო და უფრო ექცევა დასავლეთის გავლენის ქვეშ.**

— რა თქმა უნდა...

**— ...რაც, ბუნებრივია, იწვევს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გაღიზიანებას.**

— ასეა.

**— ისე ხომ არ გამოვა, რომ ამ გაღიზიანებამ შეიძლება შეგვიწიროს?**

— ყველაფერია მოსალოდნელი. **მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ დამნაშავენი არ ვართ. 90-იან წლებში ყველამ მიგვატოვა, უწინარეს ყოვლისა კი — რუსეთმა. მაშინ ჩვენ თვითონ რომ არ გვეძებნა გადარჩენის გზები, შიმშილით ამოვწყდებოდით. ალბათ, ყველას ახსოვს, რომ იმ პერიოდში სწორედ ამერიკამ გამოგვიგზავნა ხორბალი, სხვადასხვა სახის დახმარება გაგვიწია. მილიარდობით დოლარის ხარჯს რომ გაწევს ისეთი ქვეყანა, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, შემდეგ თავისი ინტერესების რეალიზაციას აქ თუ არ შეუდგება, ასე ფილანტროპული კმაყოფილებით აღსავსე აქედან არ წავა.**

ეს ისტორიული პროცესია და რამდენ ხანს გაგრძელდება ან დამთავრდება თუ არა საერთოდ (რაც ნაკლებ სარწმუნოა), არავინ იცის.

**— უწინ, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობისას, ვერ ამბობდნენ, რომ დიდი ბრიტანეთი დაინტერესებული იყო საქართველოთი, თუმცა აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა, უმაღლესი დონის ვიზიტები და ა.შ. ხორციელდებოდა.**

— როცა საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის კონსულტანტი ვიყავი, ჩემი წინადადებით შევხვდი ინგლისის ელჩს საქართველოში. ეს ის დრო იყო, როცა იუგოსლავიას ბომბავდნენ. სიმპათიური კაცი იყო. ვუთხარი მას, რომ მაშინ, როცა მთელს ახლო აღმოსავლეთში გაწონასწორებულ, რეალისტურად გათვლილ პოლიტიკას განახორციელებთ, საქართველო რატომ ვერ მოექცა თქვენი ინტერესის სფეროში?

ინგლისის დაზვერვის რეზიდენტი მაშინ ბაქოში იჯდა. ამ ჩვენი საუბრის შემდეგ ლონდონიდან ჩამოვიდა კაცი, რომელიც ინგლისის დაზვერვის კონსულტანტი იყო, ჩემი კოლეგა, ასე ვთქვათ. შევხვდით რესტორან „შტუტგარტში", ვაჟა-ფშაველას პროსპექტის დასაწყისში. ვსაუბრობთ. განმიცხადა, რომ ღვინოს არ სვამდა. მეც არ ვეძალებიმეთქი, მაგრამ ინგლისის დედოფლის სადღეგრძელო უნდა დავლიოთ აუცილებლად. შევსვით. სხვა რა გზა ჰქონდა? ამას კიდევ კიდევ ორი-სამი ფუჟერი დავუმატეთ.

ვეკითხები: რატომ ბომბავთ-მეთქი იუგოსლავიას? მიპასუხა, რომ მიზეზი მილოშევიჩის პრობლემაა.

აგერ ორი საათია, ვსაუბრობთ-მეთქი, ვეუბნები, და უკვე გვესმის ერთმანეთის. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ მილოშევიჩის მოცილებას ამდენი ხარჯი (110 მილიარდ დოლარს მიაღწია საბოლოო ჯამში) არ სჭირდება?

კიო, მაგრამ ასე ჩათვალეს საჭიროდო.

საჭიროდ, გეტყვით, რატომაც ჩათვალეს. **სერბეთი მართლმადიდებელი ქვეყანაა. ისტორიულად იგი რუსეთის იმპერიის დასაყრდენი იყო შუა ევროპაში. ახლა კი თქვენ გსურთ, რუსეთის გავლენა ამოძირკვოთ ბალკანეთის ამ ქვეყნიდან.**

**ჩაიღიმა და დამეთანხმა.**

**დღეს იგივე შეიძლება ითქვას ლიბიაზე, იემენზე, სირიაზე... იქ რუსეთის გავლენა ძალიან დიდი იყო. ესე იგი, უტევენ რეგიონებს, სადაც რუსეთის გავლენა ძლიერია.**

**— საქართველოსაც ამ ჭრილში განიხილავთ?**

— დიახ, რადგან ეს აშკარაა.

**— ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ერთი სამხედრო მრჩევლის ჩამოსვლას?**

— ჯერ ერთი, მრჩეველს, წესით, მთელი აპარატი უნდა ჩამოჰყვეს. მეორე — ნორმალური ქვეყნის საელჩოში აუცილებლად არის სამი წარმომადგენლობა: პირველი — წმინდა დიპლომატიური, მეორე — სამხედრო ატაშატი, მესამე — დაზვერვის წარმომადგენლობა. სამივე ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობაში მოქმედებს და სამხედრო მრჩეველი ისედაც არ დარჩება მარტო „საბრძოლო ველზე".

**— ახლა ჩვენი კუთხით შევხედოთ. სხვისი ინტერესის საგანი რომ ხდება ქვეყანა, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ამ დროს იგი თავისი დამოუკიდებლობის რაღაც ნაწილს კარგავს, რადგან იმ სხვა ვინმეს გავლენის ქვეშ ექცევა?**

— ეს თავისთავად ცხადია. ვინმეს ეჭვი ხომ არ ეპარება, რომ ახლა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ყველა მნიშვნელოვან საკითხს ვაშინგტონთან ათანხმებს?

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# პარმენ მარგველაშვილი: «ჭამა და სექსი! მეტი ინტერესის სფერო აღარ იკვეთება!»

**დღეს უკვე აღარავინ დავობს იმაზე, რომ ზოგადსაბუნებისმეტყველო მეცნიერებები საქართველოში უსამძიმროდ და უჭირისუფლოდ „გარდაიცვალა". ვინც წლების განმავლობაში ჭირისუფლობდა, ზრუნავდა და პატრონობდა ქართულ მეცნიერებას, დღეს ჩარეცხილები, წითელი პროფესურა უწოდეს და აკადემიებიდან გამოაძევეს. უპატრონოდ დარჩენილი მეცნიერების ზრუნვისთვის კი სახელმწიფოს არც ფინასები დარჩა და აღარც დრო... ბედისანაბარად მიტოვებულ ზოგადსაბუნებისმეტყველო დარგებში არსებულ დღევანდელ მდგომარეობაზე პროფესორი პარმენ მარგველაშვილი გვესაუბრება.**



— დღეს მსოფლიოში საბუნებისმეტყველო მეცნიერებები განვითარებული და წინ წასულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით საქართველოზე. **დღეს ისეთი ეპოქაა, ზოგადსაბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარების გარეშე თანამედროვეობას ვერაფრით აუწყობ ფეხს. ამის გარეშე დღეს ადამიანი იგივეა, რაც პირველყოფილი ადამიანი, რომელმაც არ იცოდა, რა შესაძლებლობები ჰქონდა და ცხოვრობდა მარტო ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.**

## საქართველოში ზოგადსაბუნებისმეტყველო მეცნიერებები მოკვდა

**საქართველოში გარკვეულმა ძალებმა გამოიწვიეს საგანმანათლებლო სისტემის, მეცნიერების ნგრევა. ამის შეჩერება კი ისეთივე რთულია, როგორც მოვარდნილი ცუნამის. საქართველოში ზოგადსაბუნებისმეტყველო მეცნიერება პრაქტიკულად აღარ გვაქვს. ამ სფეროთი აღარც ახალგაზრდები ინტერესდებიან.**

რატომ? იმიტომ, რომ ახალგაზრდა ფიქრობს: რატომ უნდა ვისწავლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, რა პერსპექტივა და მომავალი მექნება, თუ ამას გავაკეთებ? ზოგადსაბუნებისმეტყველო მეცნიერებები ისეთი დანგრეული და განადგურებულია, მომავლის პერსპექტივასა და ინტერესს ვერ ულვიძებს ახალგაზრდებს. ამიტომაც არ მიდიან ამ მიმართულებით. ყველა ცდილობს, ის ისწავლოს, რაც პურს აჭმევს. ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტი ბრძანებდა, ისწავლეთ 3 თვეში შემდუღებლის პროფესია პროფესიულ სასწავლებლებში და თქვენ გექნებათ სამსახურიო. სამწუხაროდ, არც ხელისუფლებას და არც პრეზიდენტს არ სურს ზოგადსაბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარება, 15-20 წლის განმავლობაში მასზე ზრუნვა. **სამწუხაროდ, განათლება და მეცნიერება მთლიანად გადაიყვანეს საბაზრო მოთხოვნილებაზე. ეს მოიტანა ახალმა რევოლუციურმა ხელისუფლებამ და რეფორმებმა, მაგრამ ეს არის უდიდესი შეცდომა. განათლებისადმი, მეცნიერებისადმი, სამედიცინო დარგისადმი ასეთი დამოკიდებულება დამღუპველია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ხელისუფლებას აბსოლუტურად არ აწუხებს. ის თვლის, რომ ესაა პიროვნული პრობლემა და რომ ეს მისი გადასაჭრელი არაა. ფიქრობს, რომ შენ უნდა გადაწყვიტო, შემდუღებელი გინდა იყო თუ უპერსპექტივო ფიზიკოსი.**

**— ალბათ, მომავალი თაობა, რომელიც არ ირჩევს ამ სფეროებს, ყველაზე ნაკლებადაა დამნაშავე, რადგან ის ცდილობს, თავისი მომავალი პროფესიით უზრუნველყოს...**

— დღეს ამბობენ, რომ სოციალისტური წყობა ცუდი იყოო. სოციალისტური სისტემის დროს ნებისმიერი დარგის კურსდამთავრებულს ჰქონდა იმის გარანტია, რომ თავისი პროფესიით ემუშავა, იქნებოდა ეს ფიზიკა, ქიმია თუ სხვ. დღეს ასეთი გარანტიები აღარ არსებობს. შეიძლება დისერტაცია გქონდეს დაცული, მაგრამ ტაქსის მძღოლად მოგიწიოს მუშაობა. ეს არის თავისუფლება და დემოკრატია?! მე კი ვფიქრობ, რომ ეს არის არჩევანის და თავისუფლების წართმევა. სახელმწიფოში, რომელსაც განვითარებულობაზე აქვს პრეტენზია, ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, საკუთარი ნიჭი გამოამჟღავნოს და განავითაროს.

**დღევანდელ ხელისუფლებას არ აინტერესებს, ადამიანს რა მისწრაფება, რა შესაძლებლობა, რა ნიჭი და მიდრეკილება აქვს. ეს ყველაფერი მისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, იმიტომ, რომ დღეს პიროვნების, როგორც ინდივიდის, პატივისცემა დაკარგულია ქვეყანაში.**

## ინგლისურის და კომპიუტერის ცოდნა არ არის განათლება

**— ინგლისურისა და კომპიუტერის ბოლოდროინდელ პოპულარიზაციას როგორ შეაფასებთ, თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა მხოლოდ ინგლისურისა და კომპიუტერის სწავლა თუნდაც სამსახურის საშოვნელად?**

— ინგლისურისა და კომპიუტერის ცოდნა არ არის განათლება. დღევანდელ ეპოქაში ეს ისეთივე აუცილებლობაა, როგორც წერა-კითხვა. ამის ცოდნასაც ინფორმაციული XXI საუკუნე ითხოვს, მაგრამ ამაზე აქცენტის გაკეთება და ამით პრივილეგიების მინიჭება არ შეიძლება. მხოლოდ ამით ადამიანი სრულფასოვან პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდება. სრულფასოვან ადამიანად ჩამოყალიბებასა და აღზრდას მხოლოდ და მხოლოდ საფუძვლიანი, ფუნდამენტური განათლება განაპირობებს. დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, მგონი, აღარც ფუნდამენტური განათლება აინტერესებთ. **დღეს ყველაფერი გადასულია ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე: ჭამა და სექსი! მეტი ინტერესის სფერო აღარ იკვეთება! ამის დასტურია ის სულელური გადაცემებიც, რომელთაც ყოველდღიურად აჩვენებენ ტელევიზიებით. საერთოდაც, ვერ ვხედავ იმას, როგორი სახელმწიფოს მოწყობა სურს დღევანდელ ხელისუფლებას. ამდენი ხნის განმავლობაში კარგი არაფერი გამოკვეთილა. მხოლოდ და მხოლოდ სკამების შენარჩუნებაზე ფიქრობენ.**

**— განათლების სისტემის გარეშე, ხელისუფლების დაუხმარებლად შესაძლებელია თუ არა მეცნიერებმა თავად იზრუნონ მეცნიერების გადარჩენაზე?**

— ბიბლიოთეკები აღარ გვაქვს, სამეცნიერო სკოლები, ლაბორატორიები... როგორ უნდა გადარჩეს მეცნიერება? რა უნდა ქნას მეცნიერმა შიშველი ხელებით, რომელსაც სამუშაო ასპარეზი აღარ აქვს? საერთოდ ჩამოართვეს ადამიანებს შემოქმედებითი ასპარეზი. მათ კი, ვინც ამ პირობებში მაინც შეძლო საკუთარი მონდომებისა და ნიჭის ხარჯზე მაღალი დონის განათლების მიღება, განვითარებისთვის და შემოქმედებითი ასპარეზის საძიებლად, გეზი ყველას საზღვარგარეთ აქვს აღებული. საქართველოში კი ვინ რჩება?! სხვა თუ არაფერი, საუნივერსიტეტო მეცნიერების შენარჩუნება მაინც შეგვეძლო, თანაც მინიმალური დანახარჯებით. ის არაფერს ითხოვდა, გარდა იმისა, რომ ესუნთქა, ეცოცხლა. დღეს კი ისეთ მდგომარეობამდე მივედით, მეცნიერები მიდიან ბაზარზე და, რაც წიგნები აქვთ, ლუკმაპურისთვის ყიდიან.

**— როგორ ფიქრობთ, დღევანდელი რეფორმირებული განათლების სისტემა რით არის ძველზე უკეთესი?**

— საბჭოთა განათლების სისტემას აგინებენ, ჩარეცხილებად და წითელ პროფესურად მოიხსენიებენ, მაგრამ ის საგანმანათლებლო სისტემა, სწავლებისა და აღზრდის თვალსაზრისით, ძალიან კარგი იყო, პატარა იდეოლოგია იყო შესაცვლელი. არ სჭირდებოდა ასე ძირფესვიანად დანგრევა და მოსპობა! ეს არის ტრაგედია, როდესაც ერს არ აძლევ ღვთიური ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას, მაშინ, როდესაც საოცარი ნიჭიერებაა საქართველოში, გინდ საბუნებისმეტყველო მიმართულებით, გინდ ხელოვნებაში და საერთოდ, ნებისმიერ სფეროში. **როდესაც ფიზიკას რაღაც „ტრიმესტრის" სისტემით ასწავლი, საერთოდ უკარგავ სწავლის ინტერესს ბავშვს და ამავე დროს უნერგავ იდეოლოგიას, რომ არ გინდა, რაში გჭირდება, წადი ბუჩქებში და „გაერთეო", ეს კონცეპტუალურად დამღუპველია, არასწორია.**

ძველი საგანმანათლებლო სისტემიდან გამოსული თაობა დღესაც საკმაოდ მაღალკონკურენტუნარიანობით გამოირჩევა და მსოფლიო ბაზარზეც ასპარეზობს. დღევანდელი განათლების სისტემიდან გამოსულები კი, მე არ ვიცი, რას შეძლებენ. ვფიქრობ, პირველ რიგში, სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული, მისი მოქალაქე მსოფლიო მასშტაბით პროფესიონალი და სახელგანთქმული იყოს. ქართული ნიჭის ხელშემწყობი და მფარველი სწორედ რომ სახელმწიფო უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის ნიშნები საერთოდ არ ჩანს. დღეს საქართველოში მაღალინტელექტუალური შრომის ბაზარი არ არსებობს. ასეთი კურსით სვლა კატასტროფამდე მიგვიყვანს.

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„საქართველომ შემხვედრი ნაბიჯები უნდა გადადგას და აგრძნობინოს რუსეთს და, პირველ რიგში, ევროპას, რომ ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ რუსეთთან ჩრდილოეთ კავკასიის საკითხებზე. რუსეთს უნდა ვუთხრათ, რომ დაინტერესებული ვართ ჩრდილოეთ კავკასიაში მშვიდობით, ასევე იმით, რომ არ გაგაღიზიანოთ-თქო. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პრეტენზია გვაქვს რუსეთთან, ეს იქნებოდა სერიოზული მესიჯი მთელი მსოფლიოს დასანახად. დღეს კი საქართველო ისეთ ნაბიჯებს დგამს რუსეთთან დაკავშირებით, რომელთაც, შესაძლოა, ჩვენთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვეს“.**



# პაატა ზაქარეიშვილი: ირანთან უვიზო რეჟიმის შემოღება ამერიკის რესპუბლიკურ პარტიასთან იყო შეთანხმებული

**პოლიტიკურ წრეებში საქართველო-ირანს შორის უვიზო რეჟიმის შემოღებაზე საუბარი დღემდე არ წყდება. რა საფრთხეებს შეიცავს ირანთან უვიზო რეჟიმის შემოღება, არის თუ არა პანკისში ტერორისტების მოსამზადებელი ბაზა და რამდენად სწორად იქცევა საქართველო ჩრდილოკავკასიელებთან დაკავშირებით, პოლიტიკის ექსპერტი და რესპუბლიკური პარტიის წევრი პაატა ზაქარეიშვილი გვესაუბრა.**



## «საქართველო ტერორისტული აქტების დასაგეგმი ადგილი გახდება»

**— ბატონო პაატა, ბოლო დროს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ირანთან ვიზების გაუქმების გადაწყვეტილება საქართველოს ხელისუფლებამ ამერიკასთან შეთანხმებით მიიღო. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაცია საქართველოს ხელისუფლებას აღიქვამს ჩამოუყალიბებელ, მერყევ და ცანცარა სუბიექტად. რასაკვირველია, საქართველოს ტერიტორიას ამერიკელები რაღაც ფორმით საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ, მაგრამ ისიც კარგად ესმით, რომ თუნდაც ირანთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებამ, ადვილი შესაძლებელია, „გადააგდოს“ ამერიკაც კი, რადგან ასეთ საქციელში სააკაშვილი არაერთხელაა შემჩნეული.

**ვერ დავადასტურებ, რომ საქართველოს მთავრობის ირანთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები შეთანხმებული იყო თეთრი სახლის დღევანდელ ადმინისტრაციასთან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ირანთან უვიზო რეჟიმი და თბილისის სხვა ნაბიჯები ამ მიმართულებით შეთანხმებული იყო ამერიკის რესპუბლიკურ პარტიასთან, რომელიც მაკეინის, ლუგარის, დონალდ ტრამპისა და სხვათა მეშვეობით სააკაშვილს მეურვეობას უწევს.**

სხვათა შორის, სააკაშვილი ამერიკაში რომ ჩადის, კაბინეტში სტუმრობს ტრამპს და უჯდება მაგიდის მეორე მხარეს. ესაა ყველანაირი დიპლომატიური და პროტოკოლური ურთიერთობების დარღვევა, მაგრამ, როგორც ჩანს, სააკაშვილმა ეს არ იცის. პრეზიდენტი ღირსებას ულახავს ქვეყანას, როდესაც ის კაბინეტში ეახლება ბიზნესმენს, რომელიც სულაც არ არის პოპულარული ამერიკაში.

**საქართველოს ხელისუფლებამ რომ მთავარ პრიორიტეტად ტურიზმი აიღო, მიუღებელი და დამღუპველია. ავიღოთ თუნდაც ეგვიპტე, ტუნისი, საბერძნეთი. ტურიზმი ყველგან მაღალ დონეზეა განვითარებული, მაგრამ, როგორც კი პატარა კრიზისი გაჩნდება, მაშინვე მთელი ტურისტული ინფრასტრუქტურა ინგრევა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო არ არის ტურისტული მექა. ევროპელი რომ საბერძნეთში ჩადის, იქ თავის ისტორიას ხედავს, საბერძნეთი მისი კულტურაა. სვეტიცხოველი კი ჩვენი კულტურის ნაწილია, სხვას არავის არაფერს ეუბნება. რაც შეეხება ბათუმს, უბრალოდ, სასაცილოა მასზე აქცენტის გაკეთება, მაშინ, როცა ევროპაში ბარსელონაა და ამ ტიპის უამრავი ქალაქი.**

რაც შეეხება ირანთან უვიზო რეჟიმის საფრთხეებს, თუ ამას დავამატებთ ჩრდილოეთკავკასიასთან უვიზო რეჟიმის ცალმხრივად შემოღებასაც, პრაქტიკულად, საქართველო ხდება ისლამური სამყაროს მოედანი, სადაც სრულიად ადვილი შესაძლებელია, საქართველოს იმიჯისა და უსაფრთხოებისთვის ფრიად სახიფათო მდგომარეობა შეიქმნას. ისლამისტებს სხვაგან არ აქვთ ასეთი მოედნების ფუფუნება. ყველგან ჩაკეტილები არიან. ახლა კი ჩაჯდებიან მანქანაში და ნებისმიერ დროს შემოვლენ საქართველოში.

**საქართველო კონტრაბანდის, ნარკოტიკების, იარაღის სატრანზიტო საშუალება და ასევე ტერორისტული აქტების დასაგეგმი ადგილი გახდება. საქართველოში არ იქნება ტერაქტები, არავის სჭირდება ეს, მაგრამ აქ ტერორისტული აქტების დაგეგმვა საკმაოდ მოსახერხებელი იქნება.**

**დარწმუნებული ვარ, ირანიდან, ჩრდილოეთკავკასიიდან შემოსული ტურისტების 99 პროცენტი პატიოსანი დამსვენებელი იქნება, მაგრამ ის ერთი პროცენტიც საკმარისია, საქართველო ტერორისტების ყურადღების ცენტრში რომ მოექცეს.**

ტერორისტებსა და კორუმპირებულ ფიგურებს ნარკოტრაფიკის მესვეურები ასეთ ადგილებში ეძებენ. ფული ოხრად აქვთ, მშვენიერი სასტუმროები აუშენეს, კარგად დაისვენებენ, კარგს შეჭამენ, შესვამენ და პარალელურად ისეთ რამეს დაგეგმავენ, რაც მსოფლიოსთვის მიუღებელი იქნება. საქართველო ნელ-ნელა ხდება უფრო და უფრო უინტერესო და საფრთხისმომცველი ქვეყანა. ქართველებს კი ამით ცივილურ სამყაროში გაწევრიანების პერსპექტივა დღითიდღე გვაკლდება.

**— ბოლო დროს პანკისის ხეობა ისევ ყურადღების ცენტრში მოექცა, კეთდება მინიშნებები, რომ, შესაძლოა, პანკისის ხეობა ტერორისტების მოსამზადებელი ბაზა იქნეს, რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

— პანკისში აშკარად იგრძნობა ცვლილებები. **თუ ამდენ ხანს პანკისის ხეობაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ უხუცესებს, რომლებიც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ ყოველთვის, დღეს მათ საერთოდ არავინ არაფერს ეკითხება. მთელი გავლენები ახალგაზრდა ვაჰაბისტებმა მოიპოვეს. პანკისის ასეთი მიშვებით ჩვენ ხელს ვუწყობთ იქ ჩვენთვის არასასურველი მოვლენების განვითარებას.** ხშირად პანკისის ხეობას ახსენებენ, როგორ ჩეჩენი „ბოევიკებისა“ და ტერორისტების მოსამზადებელ ბაზას. პანკისის ხეობაში მხოლოდ ერთხელ ვარ ნამყოფი, შევარდნაძის დროს, ახლა, არ ვიცი, იქ რა ხდება. არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს გამოგონილი ამბავი, ისევე, როგორც არ გამოვრიცხავ, რომ ამ განცხადებებში იყოს სიმართლის მარცვალი. ამ ყველაფერს გამოძიება და შემოწმება სჭირდება.

**— როგორ შეაფასებთ ბოლო დროს საქართველოს ხელისუფლების მისწრაფებას ჩრდილოეთ კავკასიასთან ახლო, კეთილმეზობლური ურთიერთობების დასამყარებლად?**

— ყველამ ვიცით, რომ დღეს ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის შემადგენლობაშია. **ყოველთვის გვაღელვებდა და მკაცრად ვაპროტესტებდით, როდესაც რუსეთი ჩვენს საქმეებში ერეოდა სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებით. საინტერესოა, რატომ ვიქცევით ჩვენც ისევე, როგორც იქცეოდა „ცუდი რუსეთი“?!**

ჩვენ არ შეგვიძლია რუსეთს ჯერ პრობლემები შევუქმნათ კავკასიაში, მერე ჯარები შევიყვანოთ და დავიპყროთ. ეს არის აშკარად პროვოკაციული და ავანტიურისტული ნაბიჯები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, რომელიც მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის გაღიზიანებისკენ. ეს კეთდება ძალიან ბანალური გათვლით — იქნება და, ისევ შემოიჭრას რუსის ჯარი და მსოფლიოს ვაჩვენოთ, რამდენად აგრესიულია რუსეთი...

**— თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანად მოიქცა საქართველოს ხელისუფლება, როდესაც ჩერქეზების გენოციდი აღიარა?**

**— ჩერქეზების გენოციდის აღიარება არის ყოვლადდაუშვებელი და მიუღებელი ფაქტი, უხეში პოლიტიკური შეცდომა. ჩვენ ამორალურად მოვიქეცით.**

წლებია, სომხეთი და ჩვენი სომეხი მოქალაქეები სომხეთის გენოციდის აღიარებას გვთხოვენ. ეს ადამიანები ამბობენ, რომ მე შენი მოქალაქე ვარ და მინდა, რომ ჩემმა სახელმწიფომ ჩამოაყალიბოს პოლიტიკა გენოციდის მიმართ. ჩვენ ვეუბნებით აბსოლუტურად სამართლიანად, რომ დიდი ბოდიში, პატივს გცემთ, საშინელება მოხდა ოდესღაც ოსმალეთის იმპერიაში, მაგრამ თურქეთიც და სომხეთიც დღეს ჩემი მეგობრები არიან და, რეგიონული ინტერესებიდან გამომდინარე, მირჩევნია, თავი შევიკავო და არ ვილაპარაკო გენოციდზე, არც სომხეთი არ გავაბრაზო და არც თურქეთი. ეს აბსოლუტურად გასაგები პოზიციაა. ახლა მსგავს არგუმენტს ვერ მოიყვანს ხელისუფლება ჩერქეზებთან დაკავშირებით. შენთვის თუ რეგიონულ უსაფრთხოებას მნიშვნელობა აქვს და ამბობ, რომ მეზობლების საქმეებში არ ერევი, მაშინ რატომ აღიარე შენი სხვა მეზობლის, რუსეთის ტერიტორიაზე გენოციდი?! **სრულიად ალოგიკურ და აბსურდულ სიტუაციაში ჩავვარდით თურქების, სომხების, რუსეთის წინაშე. თურქეთი, რომელსაც არ აწყობს სომხების გენოციდის აღიარება, ისიც კი შეშფოთდა ჩვენი საქციელით, იმიტომ, რომ შეიძლება ყოველთვის ეს გავაკეთოთ. თუ ეს ნაბიჯი გადავდგით ერთი მეზობლის წინააღმდეგ, ხვალ, თუკი დაგვჭირდება, სხვა მეზობლის წინააღმდეგაც გადავდგამთ იმავე ნაბიჯს. ამით კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ საქართველო არის არამდგრადი ჩამოუყალიბებელი სახელმწიფო, რომელიც დღეს ერთს ამბობს, ხვალ — მეორეს!**

მსოფლიოში პირველი სახელმწიფო ვართ, ვინც ეს გააკეთა. ვის მოვფხანეთ ამით გული?! მხოლოდ და მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებ გენოციდის მსხვერპლ ჩერქეზების შთამომავლებს, რომლებსაც არანაირი გავლენა არ აქვთ კავკასიაში. ეს გენოციდის აღიარება კარგს არავის მოუტანს. ამით კიდევ უფრო მეტ დაძაბულობას შევქმნით რეგიონში.

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ ჩრდილოკავკასიელ ხალხთან მშვიდობიანი ურთიერთობა დავამყაროთ, რომ ამით არ განაწყენდეს არც ერთი ჩვენი მეზობელი და ის საფრთხეებიც თავიდან ავიცილოთ, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ?**

— საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან გონივრული პოლიტიკა და ქმედებები. აუცილებელია, რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება. მართალია, ჩვენ დღეს რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს უამრავი სხვა საკითხი, რომლებზეც ჩვენ მაინც გვიწევს მოლაპარაკება. ხომ გავხსენით ლარსის გამშვები პუნქტი? ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე ჩამოვიდა რუსული დელაგაცია ერევანში და შეთანხმება მოხდა. უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ მზად ვართ, ჩვენი მეგობარი ევროკავშირის სახელმწიფოების მხარდაჭერით, თუნდაც შვეიცარიის, რომელიც ჩვენი შუამავალია, ვილაპარაკოთ რუსეთთან, როგორ ვმართოთ ერთდროულად და შეთანხმებულად ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესები. კი არ უნდა ჩავერიოთ რუსეთის ინტერესებში, არამედ მასთან ერთად გავაკონტროლოთ მოვლენები. **საქართველომ შემხვედრი ნაბიჯები უნდა გადადგას და აგრძნობინოს რუსეთს და, პირველ რიგში, ევროპას, რომ ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ რუსეთთან ჩრდილოეთ კავკასიის საკითხებზე. რუსეთს უნდა ვუთხრათ, რომ დაინტერესებული ვართ ჩრდილოეთ კავკასიაში მშვიდობით, ასევე იმით, რომ არ გაგაღიზიანოთ-თქო. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პრეტენზია გვაქვს რუსეთთან, ეს იქნებოდა სერიოზული მესიჯი მთელი მსოფლიოს დასანახად. დღეს კი საქართველო ისეთ ნაბიჯებს დგამს რუსეთთან დაკავშირებით, რომელთაც, შესაძლოა, ჩვენთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვეს.**

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

„საქართველოს ხელისუფლება აქამდე არ აღიარებდა სომხების გენოციდს, ვინაიდან, ქვეყნის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს მდგომარეობდა შემდეგში: ხელისუფლება აცხადებდა, რომ ისტორიული ფაქტების შეფასება და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მიცემა არ არის სახელმწიფოს განსახილველი თემა. ახლა კი რა გამოდის? რომ ჩვენ ერთ ისტორიულ ფაქტს, მე-18 საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში მომხდარ ამბებს ვაფასებთ და მე-20 საუკუნის დასაწყისის უფრო აქტუალურ ფაქტს ყურადღების მიღმა ვტოვებთ?!“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



### გულბაათ რცხილაძე:

# ჩერქეზთა გენოციდის აღიარება საქართველოსთვის მხოლოდ უარყოფითი შედეგების მომტანია

**ქართულ საზოგადოებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა ცოტა ხნის წინათ „რუსეთის იმპერიის მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების შესახებ“ რეზოლუციის პროექტი დაამტკიცა და ამ ნაბიჯით 1763-1864 წლებში ჩერქეზთა წინააღმდეგ ეთნიკური ნიშნით განხორციელებული გენოციდი ოფიციალურად აღიარა. მაგრამ საზოგადოების ნაწილი კვლავაც ფიქრობს, რომ აღნიშნული ქმედება საქართველოსთვის მხოლოდ უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება. სწორედ ჩერქეზთა გენოციდის საკითხსა და ამ პროცესში საქართველოს ინტერესებს ეძღვნება კონფერენცია, რომელიც 15 ივნისს არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობისა“ და „ევრაზიის ინსტიტუტის“ თაოსნობით გაიმართება. კონფერენციის მიზნებისა და ინიციატივების შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი, ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორი გულბაათ რცხილაძე ესაუბრა.**

— 15 ივნისს გაიმართება კონფერენცია, რომლის თემაც არის ე. წ. ჩერქეზთა გენოციდის საკითხი და საქართველოს ინტერესები. საკითხი უკავშირდება საქართველოს პარლამენტის მიერ გენოციდის აღიარებას. პოლიტოლოგები, ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობისა“ და „ევრაზიის ინსტიტუტის“ წევრები განიხილავენ, თუ რამდენად არის მისაღები ჩერქეზთა გენოციდის აღიარება საქართველოსთვის და რა მოტივები ამოძრავებდა ხელისუფლებას, როდესაც აღნიშნული რეზოლუციის პროექტს ამტკიცებდა.

**— კონფერენციაში მხოლოდ ქართველები მონაწილეობენ?**

— სასურველი იყო, მეზობელი სახელმწიფოებიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, თუნდაც ჩერქეზეთიდანაც მოგვეწვია სტუმრები და მათი აზრიც მოგვესმინა, მაგრამ ამის შესაძლებლობა დღეს, პრაქტიკულად, არ არსებობს, ვინაიდან ხელისუფლება რუსეთიდან ქვეყანაში მხოლოდ იმ ხალხს უშვებს, ვინც მას ხელს აძლევს და ვისაც თავად უხდის ფულს. მაგალითად, საქართველოში გზა ხსნილი აქვთ ისეთ საზიზღარ პერსონებს, როგორიცაა იულია ლატინინა და ვალერია ნოვოდვორსკაია. ყველაზე მარგინალ ადამიანებს, რომლებსაც რუსეთში ყურადღებას არავინ აქცევს, საქართველოში კი მათ დიდ მოღვაწეებად წარმოაჩენენ.

**— რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ახლავს საქართველოს მიერ ჩერქეზების გენოციდის აღიარების ფაქტს?**

— არის მოვლენა, რომელიც შეიძლება ცალსახად ან დადებითად, ან უარყოფითად შეაფასო და მიმაჩნია, რომ **აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოსთვის მხოლოდ უარყოფითი შედეგის მომტანია, თუმცა ეს შედეგი ჯერ კიდევ არ დამდგარა. ეს არის ხანგრძლივადიანი პროცესი და საქართველო დიდი საფრთხის წინაშეა, რათა არ მოხდეს მისი იზოლაცია საერთაშორისო არენაზე, ვინაიდან საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ჩერქეზების გენოციდი აღიარა. ეს გამოიწვევს საქართველოს წარმოჩენას მარგინალურ ქვეყნად, მარგინალური ხელისუფლებითა და მარგინალური პოლიტიკით.**

ამას გარდა, უკვე წამოჭრილია სომხების გენოციდის საკითხიც, რომელიც ჩერქეზებისგან განსხვავებით, უკეთაა საერთაშორისო საზოგადოებისთვის ცნობილი.

**— გენოციდის აღიარების თხოვნით, საქართველოს პარლამენტს სომხებმაც მიმართეს, როგორი უნდა იყოს საქართველოს პოზიცია მეზობელი ქვეყნების კონფლიქტში?**

— საქართველოს ხელისუფლება აქამდე არ აღიარებდა სომხების გენოციდს, ვინაიდან, ქვეყნის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს მდგომარეობდა შემდეგში: ხელისუფლება აცხადებდა, რომ ისტორიული ფაქტების შეფასება და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მიცემა არ არის სახელმწიფოს განსახილველი თემა. ახლა კი რა გამოდის? რომ ჩვენ ერთ ისტორიულ ფაქტს, მე-18 საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში მომხდარ ამბებს ვაფასებთ და მე-20 საუკუნის დასაწყისის უფრო აქტუალურ ფაქტს ყურადღების მიღმა ვტოვებთ?! არადა, საქართველო სომხების გენოციდს ვერ აღიარებს, ანუ ეს ფაქტი უკვე ძალიან უხერხულ ვითარებაში აყენებს საქართველოს. ფაქტობრივად, ჩიხში შევიდა ქვეყანა.

აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია გასათვალისწინებელი — თვითონ ჩერქეზები და სხვა ჩრდილოკავკასიელები როგორ აფასებენ გენოციდის ფაქტს. **საქართველოსთვის ჩერქეზეთიდან არავის უთხოვია, რეზოლუცია მიეღო. საქართველოს პარლამენტმა ზოგიერთი საეჭვო რეპუტაციის მქონე დიასპორის წარმომადგენელი მოიწვია, თავად მოახდინა საკითხის ინიცირება და მერე ვითომ ჩერქეზების თხოვნა დააკმაყოფილა. ჩერქეზებსა და იმ ხალხებს, ვისთვისაც გენოციდის აღიარების ფაქტი მნიშვნელოვანია, მიაჩნიათ, რომ, უპირველესად, რუსეთმა უნდა აღიაროს მათი ისტორიის ტრაგიზმი და უშუალოდ რუსეთის ხელისუფლებასთან უნდა მოილაპარაკონ, ხოლო აქ ისეთი დაინტერსებული მხარე, როგორიც საქართველოა, სრულიად ზედმეტია.**

ჩვენს ხელისუფლებას ჩრდილოკავკასიელები სულელები ჰგონია; ფიქრობს, ჩერქეზები დაუჯერებენ, რომ „სიყვარულის ბუშტი“ გაუსკდა ხელისუფლებას, მაშინ, როცა თავიდან სწორედ ეს ხელისუფლება მლიქვნელობდა რუსეთის წინაშე. ყველას კარგად ახსოვს, როგორ დაატყვევეს ჩეჩნები და გადასცეს რუსეთს. ამით სურდათ, რუსეთის ხელისუფლება მოესყიდათ, რაც ამაზრზენი ფაქტი იყო.

**ყველას ესმის, ხელისუფლება თავის ნაბიჯებში მოტივირებულია მხოლოდ უგუნური და ფსიქოპათიური მოტივებით და გარკვეული დავალება აქვს მიცემული დასავლეთისგან, რომელსაც აწყობს, რომ კავკასიაში მუდმივი დაძაბულობა იყოს და რუსი და ქართველი ხალხი ვერასდროს შერიგდეს.**

საქართველოს ხელისუფლებას საკუთარი სუვერენიტეტი არ გააჩნია, განსაკუთრებით საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში. ვხედავთ, ამერიკის ელჩი როგორ უშუალოდ ერევა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში და ქართველ ხალხთან საუბრობს, როგორც სამხედრო კომენდანტი. როცა ასეთ დონეზეა ქვეყნის სუვერენიტეტი დარღვეული და ფეხქვეშგათელილი, საქართველოს შეუძლია რაიმე გადაწყვეტილება თავად მიიღოს?

**ამერიკა რუსეთთან უშუალო კონფრონტაციაზე, რა თქმა უნდა, არ წავა. რუსეთზე ზეწოლის მოსახდენად კარგი საშუალებაა საქართველო. არც ამერიკა და არც ერთი სხვა ქვეყანა ჩერქეზების გენოციდს, რა თქმა უნდა, არ აღიარებს, ეს ჩვენ ვართ განსაკუთრებულად დამორჩილებული ქვეყანა რეგიონში.**

**— თქვენ ამერიკის ინტერესები ახსენეთ, თუმცა ზოგიერთი ექსპერტი ბოლო წლებში ჩერქეზების გააქტიურებას 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადასაც უკავშირებს, რომელიც ჩერქეზების გენოციდის 150 წლისთავს ემთხვევა. ვინაიდან არც ერთ მხარეს არ სურს აღნიშნული ოლიმპიადის ჩატარება, ამ შემთხვევაში, თითქოს საქართველოსა და ჩერქეზების ინტერესების თანხვედრა მოხდა...**

— მსგავსი რამ ჩერქეზებისგან არ მომისმენია. ჯერ ერთი, ვთქვათ, რომ ჩერქეზ ხალხს წარმოადგენს ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთისა და ადიღეს ავტონომიური რესპუბლიკების ოფიციალური ხელისუფლება და არა დიასპორა. ვფიქრობ, არ შეიძლება დიასპორების წარმომადგენლებმა ჩერქეზების სახელით ისაუბრონ.

ჰყავს ამ ავტონომიურ რესპუბლიკებს ლეგიტიმური ხელმძღვანელობა, ეს ხალხი იღებს რუსეთიდან ხელფასებს და არანაირ აღიარებასა და რუსეთის შემადგენლობიდან გასვლას არ ითხოვს.

**— თქვენ ახსენეთ, რომ ადგილობრივი ჩერქეზები არ ითხოვენ აღიარებასო, თუმცა, რამდენადაც ცნობილია, ყველა ჩერქეზი ერთხმად აღიარებს, რომ გენოციდს ადგილი ჰქონდა.**

— აფხაზები არ არიან დარწმუნებული, არ იციან, რომ ოდესღაც მათი, ასე ვთქვათ, „გენოციდიც“ მოხდა? მაგრამ დღეს აფხაზეთი რუსეთის მზეს ფიცულობს. ყველამ კარგად იცის ყველაფერი. **კი, ბატონო, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარეობდა რუსულ-კავკასიური ომი, რომელშიც დამარცხდნენ კავკასიელები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამას გენოციდი ვუწოდოთ და საკითხის განსჯა დავიწყოთ. ეს არის პროვოკაცია ქართული მხრიდან, რასაც თავად ჩრდილოეთ კავკასიაც ცუდად შემოგვიბრუნებს.**

**— იყო მოლოდინი, რომ საქართველოს მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების ფაქტი კავკასიაში გარკვეულ ცვლილებებს გამოიწვევდა. შეიცვლება თუ არა ვითარება და შეძლებს თუ არა საქართველო კავკასიის რეგიონში ლიდერის ფუნქციის აღებას?**

— საქართველოს ხელისუფლებას იმდენად დაკარგული აქვს ავტორიტეტი, რომ ეს შეუძლებელია მოხდეს. **კავკასიაში საქართველოს გავლენა დაკარგულია. 2008 წლის აგვისტოს ომმა განსაკუთრებით ცუდი იმიჯი შეუქმნა საქართველოს, როცა სააკაშვილმა თავის მიერვე წამოწყებული ომი ორ დღეში წააგო.**

**— ანუ თქვენ ემხრობით რუსეთის ვერსიას, რომ ომი საქართველომ დაიწყო?**

— რეალურად ასეა. ჩრდილოკავკასიელებმა ხომ კარგად იციან, რომ ომი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო. 8 აგვისტოს თურმე ერთ-ერთ ქელეხში ბრძანდებოდა თემურ ალასანია და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა, გილოცავთ, აღდგა ჩვენი საქართველოს სუვერენიტეტი ცხინვალის რეგიონზეო. ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი ჰქონდათ. იმედოვნებდნენ, რომ რუსეთი დაფრთხებოდა და ვერ ჩაერეოდა ამ კონფლიქტში. როგორი ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს ისეთ ლიდერს, რომელიც მიწაზე ფორთხავს და ჰალსტუხს ჭამს? ასეთ ლიდერს პატივს არავინ სცემს, განსაკუთრებით კავკასიაში.

**ხელისუფლება რუსულ „ლიბერასტულ“ ჟურნალ-გაზეთებს დიდ ფულს უხდის, რომ საქართველოს რეფორმებზე მითები შექმნას, მაგრამ სიმართლე ყველამ კარგად იცის.**

**— მაგრამ ხელისუფლება მსგავს ნაბიჯებს იმით ამართლებს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე პიარი ქვეყანას სჭირდება.**

— მაშინ შედეგი სად არის? როდესაც ნოვოდვორსკაიასა და ლატინინას მსგავსი ადამიანები გაქებენ, ეს კიდევ უფრო უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის იმიჯზე, რადგან რუსი ხალხი ანტიპათიურადაა ამ ადამიანების მიმართ განწყობილი, თუ საერთოდ იცის მათი არსებობა. სააკაშვილის ხელისუფლება საკუთარი თავის ტკბობასა და ნარცისიზმშია გადავარდნილი. საქართველოს ხელისუფლება ამერიკაშიც ბევრ ფულს ხარჯავს, რათა სხვა ქართველ ოპოზიციონერებს, მაგალითად, ირაკლი ალასანიასა და გიორგი თარგამაძეს აჯობოს. მიმდინარეობს ბრძოლა არა ქვეყნის კეთილდღეობისთვის, არამედ ამერიკის გავლენიანი წრეების ნდობის მოსაპოვებლად.

ესაუბრა
**შორენა ციქარაშვილი**

**საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ჩერქეზების გენოციდი აღიარა. ეს გამოიწვევს საქართველოს წარმოჩენას მარგინალურ ქვეყნად, მარგინალური ხელისუფლებითა და მარგინალური პოლიტიკით**

**ხელისუფლება რუსულ «ლიბერასტულ» ჟურნალ-გაზეთებს დიდ ფულს უხდის, რომ საქართველოს რეფორმებზე მითები შექმნას, მაგრამ სიმართლე ყველამ კარგად იცის**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ჩვენს ქვეყანაში არის რეჟიმი, დიქტატურა, ისეთივე, როგორიც იყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და ამგვარ რეალობაში ბრძოლა საკუთარი უფლებებისთვის უნდა იყოს ხანგრძლივი და მშვიდობიანი. ეს ნიშნავს იმას, რომ მაგალითად, ყოველ შაბათს, რუსთაველის ძეგლიდან პარლამენტამდე, კონკრეტული მოთხოვნით 100000-კაციანი მანიფესტაცია უნდა მოეწყოს; მაგალითად, თავისუფალი სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს დეცენტრალიზაციის მოთხოვნით.**

# დავით თარხან-მოურავი: ფრანგი სენატორები დამპირდნენ, რომ პირადად სარკოზის მიაწვდიან ინფორმაციას იმაზე, რაც თბილისში 26 მაისს მოხდა

**თუ რა განსხვავებაა ევროპასა და ამერიკას შორის, საქართველოსადმი დამოკიდებულებაში; როგორ აფასებენ ფრანგი პოლიტიკოსები 26 მაისს რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს; რაზე მოსთხოვენ ისინი პასუხს ვიცე-პრემიერ გიორგი ბარამიძეს და რა გზებითა და საშუალებებითაა შესაძლებელი სააკაშვილის ხელისუფლების ნეიტრალიზაცია, ვესაუბრეთ „საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის“ თავმჯდომარეს — დავით თარხან-მოურავს, რომელიც, მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელ ირმა ინაშვილთან (რომელიც ამავე დროს „წინააღმდეგობის მოძრაობის“ მედიაომბუდსმენია) ერთად, საფრანგეთის სენატის წარმომადგენლებს შეხვდა.**

დავით თარხან-მოურავი ფრანგ სენატორებთან შეხვედრის დროს



**— კონკრეტულად ვის შეხვდით საფრანგეთის სენატში და რაზე ისაუბრეთ?**

— 8 ივნისს, პარიზის დროით ოთხის ნახევარზე, საფრანგეთის სენატის შენობაში, საერთაშორისო საქმეთა, თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარეს, ჯოზელან დე როჰანს შევხვდით. ამ შეხვედრას ორი სენატორი ესწრებოდა, რომელთაგან ერთ-ერთი, ალან ჟოურნაკი ამავე დროს არის ქალაქ პეკის მერი და საფრანგეთის სენატში ქართულ-ფრანგული ურთიერთობების ჯგუფის ხელმძღვანელი.

ეს შეხვედრა 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე მშვიდობიანი აქციის დარბევამდე გაცილებით ადრე დაიგეგმა, მაგრამ საუბარი ამ თემით დავიწყეთ, რადგან ახლა ყურადღების ცენტრში სწორედ ეს მოვლენებია.

**— რამდენად ინფორმირებული არიან და როგორ შეფასებას აძლევენ ფრანგი სენატორები ამ ფაქტს?**

— ჩემი აზრით, საფრანგეთის ელჩი არსებული ვითარების ადეკვატურ შეფასებებს იძლევა და თავის ქვეყანას მართალ ინფორმაციას აწვდის. შესაბამისად, საფრანგეთშიც ადეკვატურად აფასებენ იმას, რაც 26 მაისს მოხდა.

დარბევის დროს ჩემი ბავშვობის მეგობარი ნიკა კვინტრაძე მოკლეს, ხელფეხშებოჭილი აიტანეს და მეტრო „თავისუფლების მოედნის“ მიმდებარე შენობის სახურავზე დადეს, სადაც, ცხადია, ხელფეხშებოჭილი ადამიანი სხვანაირად ვერანაირად მოხვდებოდა. ამ ადამიანს პირველი კლასიდან ვიცნობდი, ერთი სკოლა დავამთავრეთ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებამ სასტიკი დანაშაული ჩაიდინა — მშვიდობიანი დემონსტრანტები ალყაში მოაქცია, იქიდან გასვლის საშუალება არ მისცა და უმოწყალოდ დაარბია; ეს სპეციალურად, დაშინებისა და დასჯის მიზნით გააკეთა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. ხელისუფლება აცხადებს, რომ 4 ადამიანი გარდაიცვალა. საზოგადოება ამბობს, რომ აქციის დარბევის შედეგად 9 ადამიანი დაიღუპა.

**ფრანგი სენატორები თვლიან, რომ, რაც მოხდა, ყოველგვარი დემოკრატიის ფარგლებს სცდება. ჩვენი აზრით, საქართველოში დიქტატურაა. მათი პოზიცია ასეთია — საქართველოს ხელისუფლებას უკვე ძალიან უჭირს, თავისი არასწორი და არასამართლიანი ქმედებების დაფარვა და შეფუთვა.**

**რაც 26-ში მოხდა, ყველანაირ დემოკრატიას რომ სცილდება და არის დანაშაული, ამაზე თანხმობა არსებობს — ჩვენი შეხვედრის დროს სიტყვა დანაშაული ფრანგ სენატორებს არ უთქვამთ, მაგრამ „ყოველგვარი დემოკრატიის ფარგლების გადაცდომა“ დიპლომატიურ ენაზე დანაშაულებრივ ქმედებას ნიშნავს.**

**— ისაუბრეთ არსებული სიტუაციიდან გამოსავალზე?**

— რასაკვირველია, ვისაუბრეთ. შეხვედრა საათ-ნახევარი გაგრძელდა. ჩვენ 26 მაისის მოვლენების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა ჩავიტანეთ. ისინი დამპირდნენ, რომ პირადად პრეზიდენტ სარკოზისა და ევროსტრუქტურებს მიაწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ, რაც თბილისში 26 მაისს მოხდა.

მათგან შევიტყვეთ, რომ 16 ივლისს გიორგი ბარამიძე საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტით ჩადის, რა დროსაც მას მოსთხოვენ პასუხს მშვიდობიანი მომიტინგეების სასტიკად დარბევასთან დაკავშირებით. ბარამიძე რომ თავს გაიმართლებს, რა თქმა უნდა, ეს ფრანგ სენატორებსაც ესმით.

ამასთან, **20-დან 25 ივნისამდე ბრიუსელში ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართება — ევროსტრუქტურების მაღალჩინოსნები საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს ხვდებიან. შეხვედრა დახურულია, მაგრამ რამდენიმე დღით ადრე ჩვენ ევროსტრუქტურების სწორედ ამ მაღალჩინოსნებს შევხვდებით და მერწმუნეთ, რომ დაგეგმილ შეხვედრაზე საქართველოს ხელისუფლება უკვე იოლად ვეღარ შეძლებს თავის მართლებას, იმაზე, რაც 26 მაისს მოხდა და რაც ზოგადად ხდება ჩვენს ქვეყანაში, ანუ ბრძოლა ახალ ფაზაში გადადის — ჩვენ უნდა დავამარცხოთ ეს ხელისუფლება, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.**

რაც შეეხება გამოსავალს — ფრანგი მეგობრების აზრით, ეს არის არჩევნები. საფრანგეთის სენატში გამართულ შეხვედრაზე ვისაუბრეთ ამომრჩეველთა სიაში არსებულ ეგრეთ წოდებულ მკვდარ სულებზე — **რეალურად საქართველოში დაახლოებით 2 მილიონ 200 ათასი ამომრჩეველია და სააკაშვილის სიაში 3 მილიონ 700 ათასია დაფიქსირებული.**

როცა ვუთხარი, რომ რუსულ ლიტერატურაში არის ასეთი ცნება — „მკვდარი სული“, მომიგეს: „ვიცით, გოგოლი წაკითხული გვაქვსო“. ფრანგულ ენაში ყოფილა ერთი სიტყვა, რომელიც მკვდარ სულს აღნიშნავს.

ვისაუბრეთ იმაზე, რომ **ამ პრობლემის გადაჭრაში აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა და ერთობლივი ძალებით იდენტიფიცირების (აღწერა არასწორი ტერმინია) მოხდენა. ამომრჩეველთა იდენტიფიცირება უნდა განხორციელდეს — ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ საქართველოში არის 2 მილიონი ამომრჩეველი.**

**— კონკრეტულად როგორ წარმოგიდგენიათ ამომრჩეველთა სიების დაზუსტება?**

— საჭიროა ფართო გაერთიანება არა მარტო პოლიტიკური პარტიების, არამედ მთელი საზოგადოების, ამ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა და მთელი მსოფლიოსთვის იმის დანახვება, რომ ჩვენ ვართ არა სამი მილიონ შვიდასი ათასი, არამედ — ორი მილიონ ორასი ათასი. ამის მიღწევას, როგორც გითხარით, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება სჭირდება როგორც პრაქტიკული, ისე ფინანსური კუთხით. შევთანხმდით იმაზე, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები კვლავ გაიმართება და დეტალების დაზუსტება მოხდება.

**— თქვენი აზრით, შეცვლის თუ არა 26 მაისის დარბევის ფაქტი დასავლეთის დამოკიდებულებას, მათ საჯარო შეფასებებს, საქართველოს ხელისუფლებასთან მიმართებაში?**

— დასავლეთის შეფასებები უკვე შეცვლილია. ის, რომ სააკაშვილის მიმართ ევროპასა და ამერიკას შორის აზრთა სხვადასხვაობაა, ნათელია. სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას, მაგალითად, საფრანგეთი, გერმანია და იტალია უფრო საღად უყურებს და აფასებს, ვიდრე ამერიკა. ევროპას ამგვარი დამოკიდებულება ახლა არ გასჩენია, დიდი ხანია, ასეთი პოზიცია აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ბრიუსელში 20-დან 25 ივნისამდე დაგეგმილ შეხვედრაზე მძიმე საუბარი იქნება.

**ჩვენ ვთავაზობთ მთელ საზოგადოებას, სამოქალაქო სექტორს, პოლიტიკურ პარტიებს, — დღესვე დაიწყონ გადაუდებელი მუშაობა და შრომა იმისთვის, რომ ბრიუსელში საქართველოს ხელისუფლებამ ადვილად ვეღარ შეძლოს თავის მართლება.**

**— თქვენი აზრით, საშინაო ასპარეზზე რა უნდა გაკეთდეს?**

— აუცილებლად უნდა გაიმართოს საპროტესტო აქციები, უფლებრივი მოთხოვნებით. ის, რომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ინიციატივით გამართულ მრავალათასიან მიტინგებს სტრატეგია არ ჰქონდა, 11-12 მაისს ფილარმონიაში „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ორგანიზებით გამართულ აქცია-მარათონზე ვთქვი; ამას შარშან და შარშანწინაც ვამბობდი — რეჟიმის პირობებში მხოლოდ „მიშა წადის“ ძახილი საკმარისი არ არის.

**ჩვენს ქვეყანაში არის რეჟიმი, დიქტატურა, ისეთივე, როგორიც იყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და ამგვარ რეალობაში ბრძოლა საკუთარი უფლებებისთვის უნდა იყოს ხანგრძლივი და მშვიდობიანი. ეს ნიშნავს იმას, რომ მაგალითად, ყოველ შაბათს, რუსთაველის ძეგლიდან პარლამენტამდე, კონკრეტული მოთხოვნით 100000-კაციანი მანიფესტაცია უნდა მოეწყოს; მაგალითად, თავისუფალი სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს დეცენტრალიზაციის მოთხოვნით.**

მოგეხსენებათ, რომ დღეს შსს-ში შედის: დაზვერვაც, კონტრდაზვერვაც, საზღვრის დაცვაც, საპატრულო პოლიცია, სოდიც, კუდიც და სახანძროც. დედამიწის ზურგზე არ არის ქვეყანა, სადაც შსს აერთიანებდეს ამდენ ძალოვან უწყებას, რაც დიქტატურის პირველი თვისებაა. შსს შვიდ დამოუკიდებელ უწყებად უნდა დაიშალოს და არ უნდა იყოს ერთი მონსტრი, რომელსაც სათავეში ვანო უზის.

**— როგორ მიიღებს პერმანენტული აქციების იდეას საზოგადოება, თუკი ეს დაიგეგმება?**

— შეგახსენებთ, რომ 28 მაისს რუსთაველის ძეგლთან, ჩვენს აქციაზე 15 ათასი კაცი მოვიდა. ქართული საზოგადოება არის ძალიან მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე საზოგადოება. არ არსებობს ქვეყანა, სადაც 200 ათასი კაცი ქუჩაში საპროტესტო აქციაზე გამოდის, მანიფესტაციები გაივლის ნახევარ ქალაქს და ამ დროს არ იმართება ჩხუბი, არ იმტვრევა მანქანა, არ ტყდება მაღაზია.

**ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი ინციდენტის გარეშე არაერთი ასეთი აქცია გამართულა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აქ ცხოვრობს დისციპლინირებული, მაღალი კულტურის მქონე ხალხი. თუ ჩვენ და ამ შემთხვევაში თქვენ, ჟურნალისტებიც, ფართო პროპაგანდას გაწევთ და ქართულ საზოგადოებას ავუხსნით, რომ საპროტესტო აქციაზე არ უნდა გამოვიდეთ იმის მოლოდინით, რომ მიტინგის შემდეგ მიშა აღარ იქნება; რომ შაბათობით 100 ათასი კაცი კონკრეტული მოთხოვნებით უნდა შევიკრიბოთ, მანიფესტაციით მივიდეთ პარლამენტამდე, დავიშალოთ და ეს ვაკეთოთ ყოველ შაბათს, შედეგს აუცილებლად მივიღებთ. როცა 10-ჯერ და 20-ჯერ შეიკრიბები და მოითხოვ შსს-ს დაშლას და ამას დაინახავს მსოფლიო, ხელისუფლება იძულებული გახდება, ეს მოთხოვნა შეასრულოს.**

ხალხს თუ ამას გავაგებინებთ, გავუხსნით, მრავალათასიანი აქციებიც გამართება და ხელისუფლებასაც მოვერევით. ეს ტაქტიკა ჩვენმა საზოგადოებამ უნდა გაითავისოს, გულისხმაჰყოს, გონებაში ჩაუჯდეს, რომ **მშვიდობიანად შევიკრიბოთ რაც შეიძლება ბევრნი — 100 ათასი, 200 ათასი და მოვაწყოთ მანიფესტაციები კონკრეტული მოთხოვნებით, რომ გვინდა თავისუფალი სასამართლო, შსს-ს დაშლა, ფართო ამნისტიის გამოცხადება და ასე შემდეგ.**

ესაუბრა
**ნინო მიქიაშვილი**

სიტყვა დანაშაული ფრანგ სენატორებს არ უთქვამთ, მაგრამ «ყოველგვარი დემოკრატიის ფარგლების გადაცდომა» დიპლომატიურ ენაზე დანაშაულებრივ ქმედებას ნიშნავს

ჩვენი ორგანიზაციები ღრმად არიან შეშფოთებული ზემოთ ნახსენები მოვლენების გამო და საქართველოს მოუწოდებენ, დაუყოვნებლივ გაამხილოს იმ დაკავებულთა ადგილსამყოფელი, რომლებიც დღემდე დაკარგული არიან და სრულად შეასრულოს ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) მიერ, 2010 წლის თებერვლის ვიზიტის შემდეგ, ფორმულირებული რეკომენდაცია. CPT-მ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს ის, რომ ადვოკატთან დაკავშირების უფლება ნამდვილად მიეცემა ყველა დაკავებულს და ყველა მათგანს გარანტირებულად ექნება დამოუკიდებელი ექიმის კონსულტაციის მიღების უფლება.

## რეაქცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# საერთაშორისო ორგანიზაციებმა სააკაშვილს პროტესტი გამოუცხადა

**ფონდი ადამიანთა უფლებების სახლი (HRHF), ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ფედერაცია (FIDH), მსოფლიო ორგანიზაცია წამების წინააღმდეგ (OMCT), ჰელსინკის ნორვეგიის კომიტეტი (NHC) გმობენ თბილისში 2011 წლის 26 მაისის ღამეს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ პოლიციის მიერ ძალის გადამეტებით გამოყენებას. ამ ორგანიზაციებმა ერთობლივი წერილით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, ასლი კი შინაგან საქმეთა მინისტრსაც გაუგზავნეს.**

**საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს**

**ასლი: ივანე მერაბიშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრს**

უფლებადაცვითი ორგანიზაციები: ფონდი ადამიანთა უფლებების დაცვის სახლი (HRHF), ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ფედერაცია (FIDH), მსოფლიო ორგანიზაცია წამების წინააღმდეგ (OMCT), ჰელსინკის ნორვეგიის კომიტეტი (NHC) გმობენ თბილისში 2011 წლის 26 მაისის ღამეს მშვიდობიანი ანტისამთავრობო გამოსვლის მონაწილეთა წინააღმდეგ პოლიციის მიერ ძალის გადამეტებით გამოყენებას.

**ჩვენი ორგანიზაციები შეშფოთებული არიან იმით, რომ ეს შემთხვევა წარმოადგენს კიდევ ერთ მაგალითს იმისას, თუ როგორ არ სცემენ საკმარისად პატივს ქართველი ხელისუფალნი მშვიდობიანი შეკრებების უფლებას. მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც 2011 წლის 3 იანვარსა და 25 მარტს ჩატარდა, ასევე ძალადობრივად დაშალა პოლიციამ.**

ხელმომწერმა ორგანიზაციებმა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მიიღეს დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა მშვიდობიანი დემონსტრაციების ძალადობრივ დაშლას. ეს დოკუმენტები იმის ილუსტრაციაა, რომ საქართველო არ სცემს პატივს არც თავის საერთაშორისო ვალდებულებებს, არც კონსტიტუციის მოთხოვნას მშვიდობიანი შეკრებებისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.

2009 წლის ივლისში საქართველოს კანონში შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ შეტანილი იქნა ცვილებები, რომლებიც ზღუდავს ოფიციალური შენობების წინ შეკრებების გამართვის უფლებას და აწესებს უფრო რთულ პროცედურებს ნებართვის მისაღებად. მას შემდეგ რამდენიმე შემთხვევამ დაადასტურა ამ ჩასწორებათა ნეგატიური ზემოქმედება შეკრებების თავისუფლებაზე.

**სულ ახლახან, 2011 წლის 25 და 26 მაისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ შეკრებილი ოპოზიციის ასობით მხარდამჭერი ძალადობრივად დაშალეს, მას შემდეგ, რაც მათთვის მიცემული ნებართვის ვადა ამოიწურა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დაშავებულია 8 პოლიციელი, ერთი ჟურნალისტი და 27 მოქალაქე, დაპატიმრებულია 105 ადამიანი.**

მაგრამ **ადამიანის უფლებათა ცენტრის მონაცემების თანახმად, რომელიც ახორციელებს ღია საზოგადოება საქართველოს პროექტს „შეკრებათა თავისუფლების მონიტორინგი", დაშავებულია 17 ჟურნალისტი და რამდენიმე დაპატიმრებულია. ომბუდსმენის ქართულმა ოფისმა კი განაცხადა, რომ 152 ადამიანია დაპატიმრებული და რომ „პოლიციამ გამოიყენა არაპროპორციული ძალა, სამართალდამცავი სამსახურების თანამშრომლებმა დაუზიანეს აღჭურვილობა ჟურნალისტებს და მათ სიტყვიერად და ფიზიკურად ესხმოდნენ თავს."**

უფრო მეტიც, დაპატიმრებულთაგან ზოგიერთს სცემეს ციხეებში, მათ არ აძლევდნენ ნათესავებთან და ადვოკატებთან დაკავშირების საშუალებას. ბევრი მათგანი რამდენიმეჯერ გადაიყვანეს სხვადასხვა საპატიმროში ისე, რომ არ აცნობეს შესაბამის ოჯახებსა და ადვოკატებს, რაც იწვევდა შეშფოთებას მათი უსაფრთხოების გამო. ქართული უფლებადაცვითი ორგანიზაციის „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ცნობით, ათობით დემონსტრანტი ჯერ კიდევ დაკარგულია.

**ჩვენი ორგანიზაციები ღრმად არიან შეშფოთებული ზემოთ ნახსენები მოვლენების გამო და საქართველოს მოუწოდებენ, დაუყოვნებლივ გაამხილოს იმ დაკავებულთა ადგილსამყოფელი, რომლებიც დღემდე დაკარგული არიან და სრულად შეასრულოს ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) მიერ, 2010 წლის თებერვლის ვიზიტის შემდეგ, ფორმულირებული რეკომენდაცია.** CPT-მ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს ის, რომ ადვოკატთან დაკავშირების უფლება ნამდვილად მიეცემა ყველა დაკავებულს და ყველა მათგანს გარანტირებულად ექნება დამოუკიდებელი ექიმის კონსულტაციის მიღების უფლება.

ეს ინციდენტები ცხადყოფს იმას, რომ **საქართველო, როგორც ევროპის საბჭოს წევრი, არ ასრულებს საერთაშორისო საზოგადოებისა და ასევე ქვეყნის წინაშე არსებულ მოვალეობებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.** მას აღებული აქვს ვალდებულება, დაიცვას და გაავრცელოს ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებანი, მათ შორის გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრებებისა და გაერთიანებების უფლება, რაც დადგენილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ECHR) მე-10 და მე-11 მუხლებით. იმავე უფლებებს იცავს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი.

საქართველომ 2011 წლის ივნისში უნდა გაიზიაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის რეკომენდაცია 106.52, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკამ წარმოადგინა („გადახედოს 2009 წლის ივლისის შეკრებებისა და მანიფესტაციების კანონს, რომელიც შეზღუდვებს აწესებს შეკრებებისა და დემონსტრაციების უფლებაზე, რათა უზრუნველყოს ამ უფლებით თავისუფალი და დაუბრკოლებელი სარგებლობა"). ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე, ამ კონკრეტული რეკომენდაციის მიღება განსაკუთრებით სასწრაფოა, რათა წინ აღუდგნენ დემონსტრანტთა რეპრესიებს პოლიციის მხრიდან.

**შეშფოთებული ვართ რა სიტუაციით, ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას:**

- **უზრუნველყოს მშვიდობიანი შეკრებებისა და გამოხატვის თავისუფლება, რაც გარანტირებულია ECHR-ითა და საქართველოს კონსტიტუციით;**
- **გამოსცეს ცხადი ინსტრუქციები უშიშროების ძალებისთვის, რათა შეიზღუდოს დემონსტრანტთა წინააღმდეგ გადამეტებული ძალის გამოყენება საერთაშორისო სტანდარტების დაცვით; მათ შორის, ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საბაზისო პრინციპებისა და სამართალდამცავი ძალების თანამშრომელთა ქცევის კოდექსის შესაბამისად;**
- **დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს დაკავებული და დაპატიმრებული მშვიდობიანი დემონსტრანტები და 2011 წლის 26 მაისს მშვიდობიან შეკრებაში მონაწილე პირების წინააღმდეგ გააუქმოს ყველა სახის ადმინისტრაციული ბრალდება და ჯარიმა;**
- **დაუყოვნებლივ დაიწყოს ამომწურავი და მიუკერძოებელი გამოძიება ძალის გადამეტებით გამოყენების, საპატიმროებში დემონსტრანტთა მიმართ ცუდი მოპყრობის გამო და ამ ძალადობაში დამნაშავენი გადასცეს სასამართლოს;**
- **უზრუნველყოს ყველა დაზარალებული კომპენსაციით, რეპარაციითა და რეაბილიტაციით; ECHR-ის მე-5 პარაგრაფის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობა ვალდებულია, გადაუხადოს კომპენსაცია ყველა უსაფუძვლოდ დაპატიმრებულსა და დაკავებულს;**
- **გაატაროს ეფექტური ზომები, რათა უზრუნველყოს რეპრესიების აღკვეთა: ყველა დაპატიმრებული სწრაფად წარდგეს სასამართლოს წინაშე, დაპატიმრებისთანავე შეეძლოს დაკავშირება მის მიერ შერჩეულ ადვოკატთან, დამოუკიდებელ ექიმთან და ჰქონდეს ოჯახის წევრებთან შეხვედრის უფლება; ნებისმიერ დაკავებულს უფლება უნდა ჰქონდეს, დაკავების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე მხარეს;**
- **შეიტანოს შესწორებები კანონში შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ ისე, რომ კანონი შესაბამისობაში მოვიდეს ქვეყნის საერთაშორისო უფლებადაცვით ვალდებულებებთან.**

წერილის ასლები გადაეგზავნა:

**UN Special Rapporteur on the rights to freedom of peaceful assembly and association, Geneva**
**UN Special Rapporteur on the promotion and protection of the right to freedom of opinion and expression, Geneva**
**UN Special Rapporteur on torture and other forms of cruel, inhuman or degrading treatment or punishment**
**UN Working Group on Enforced or Involuntary Disappearances**
**Directorate General of Human Rights and Legal Affairs of the Council of Europe, Strasbourg**
**Office of the Commissioner for Human Rights of the Council of Europe, Strasbourg**
**The Office for Democratic Institutions and Human Rights of the Organisation for Security and Cooperation in Europe, Warsaw**
**Mission of the Czech Republic to the United Nations at Geneva**
**Mission of the United Kingdom to the United Nations at Geneva**
**Members of the Parliamentary Assembly of the Council of Europe**
**Delegation of the European Union in Georgia**
**The Subcommittee on Human Rights of the European Parliament**
**The Norwegian Ministry of Foreign Affairs**
**The Standing Committee for Foreign Affairs of the Norwegian Parliament**
**The Public DefenderVs Office in Georgia**
**Members of the Parliamentary Assembly of the Council of Europe, Strasbourg**

## იაპონელები ბირთვული ენერგიის გამოყენებას აპროტესტებენ

**ტოკიოში გამართული აქციის მონაწილეები ბირთვული ენერგეტიკის გამოყენების წინააღმდეგ გამოვიდნენ. ქალაქის ცენტრში ასობით ადამიანს ხელში პლაკატები ეჭირა და ბირთვული ენერგეტიკის საწინააღმდეგო ლოზუნგებს სკანდირებდა.** იაპონელები პერიოდულად მცირერიცხოვან აქციებს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში მართავენ. ისინი ქვეყანაში სამი თვის წინათ მომხდარი კატასტროფის შედეგებთან დაკავშირებით მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ.



## ჯაშუში პროკურორი

**პოლონეთის სამხედრო პროკურატურამ აშშ-ისთვის საიდუმლო ინფორმაციის გადაცემაში ამხილა პროკურორი, რომელიც პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის თვითმფრინავის კატასტროფის საქმეზე მუშაობდა.** მარეკ პაშჩონეკასთან დაკავშირებით სამსახურებრივი მოკვლევა უკვე დაწყებულია. „კანონი და სამართლიანობის" ლიდერმა, დაღუპული პრეზიდენტის ძმამ იაროსლავ კაჩინსკიმ უკმაყოფილება გამოთქვა პაშჩონეკის მოხსნასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ასეთი გადაწყვეტილების მიღებით, პოლონეთი გარკვეულწილად მიენდო რუსეთს და არა აშშ-ს, რომელიც პოლონეთის დიდი ხნის პარტნიორია.

გიორგი კორძაძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ნუთუ ქალბატონმა ნინომ არ იცოდა, რომ სააკაშვილი მომიტინგეებს სასტიკად გაუსწორდებოდა? რატომ არ გააფრთხილა მან შეკრებილნი არათუ მიტინგის დაშლის ან დარბევის, არამედ სადამსჯელო ოპერაციის დიდ ალბათობაზე?! რა, სააკაშვილი ვერ გაიცნო ხუთი წლის (2003-2008) განმავლობაში?! დავიჯერო, არ იცოდა, რომ ეს „ზნეობრივი სიმახინჯე“ ყველაფერზეა წამსვლელი?! ბოლოს და ბოლოს, ხომ შეეძლო, ადამიანურობიდან გამომდინარე, კატეგორიულად მოეთხოვა, მიტინგი დაეტოვებინათ მოზარდებს, ქალებსა და მოხუცებს! არა, მან ეს არ გააკეთა!**

# შორს «ცივილიზებული მეძავისგან!» წინ, ეკლესიისკენ!

**26 მაისს „ნაციონალების“ ჯალათებმა ჩემი ბავშვობის მეგობარი ნიკა კვინტრაძე მოკლეს... „კვინტრა“...**
**„სახალხო კრების“ ლიდერთა მგზნებარე მოწოდებები — „ქუდზე კაცი“ და მრავალი ამის მსგავსი, რაც 21 მაისიდან გვესმოდა, მხოლოდ მოწოდებებად დარჩა. არც მოსახლეობის სინდისზე „აგდებამ“ — „გამოეთრიეთ სოროებიდან“ — გაჭრა. მასის „დუღილი“ ჯიუტად არ აღწევდა „კრიტიკულ წერტილს“. ეს გასაკვირიც არ იყო, რადგან „მასას“ ოპოზიცია 2007 წლის ნოემბრიდან ატყუებდა, ხოლო ხელისუფლება — ატყუებდა, სცემდა და, წარმოიდგინეთ, კლავდა კიდეც!**

მე არ ვარ მოსამართლე, რომ ვინმეს საბოლოო განაჩენი გამოვუტანო, მაგრამ მაქვს უფლება, მქონდეს საკუთარი შეხედულება მომხდარზე.

**დავიწყებ ქალბატონ ნინო ბურჯანაძით. სამწუხაროდ, ქართული საზოგადოება ამნეზიითაა დაავადებული! მიტინგზე მყოფ ხალხს რომ ხსომებოდა, რა ცინიკურ კომენტარებს უკეთებდა ქალბატონი ბურჯანაძე 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევას, სურვილი არ გაუჩნდებოდა, აჰყოლოდა 21 მაისის პოლიტიკურ ავანტიურას! დიახ, არ წამომცდა — ავანტიურას!**

ჯერ მარტო „სახალხო კრების“ განცხადებებს რომ მოისმენდა, საღად მოაზროვნე კაცი იოლად დარწმუნდებოდა მათ სიყალბეში: **„გავაძევოთ!“, „რეჟიმი მალე დავამთავროთ!“, „ჩავუშალოთ აღლუმი!“ და ა.შ. ამ ლოზუნგების რეალობას, ჩემი აზრით, ან ძალზე გულუბრყვილო, ან ბნელი, ანდა სულით ავადმყოფი თუ დაუჯერებდა!**

ჩვენდა საბედნიეროდ, ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე ხალხის უმრავლესობას გონება გაუნათდა — მიხვდა, რომ არავითარი ხეირი არ ექნება სახელმწიფოს, თუ ერთ ვიგინდარას მეორეთი შეცვლი!

## „შეფიცულები“

**საერთოდ, როცა აყალიბებ ნახევრადგასამხედროებულ ორგანიზაციას, რომელსაც აკისრებ მშვიდობიანი მომიტინგეების დაცვას, უპირველეს ყოვლისა, უნდა იზრუნო ამ ადამიანების სათანადო საბრძოლო მომზადებასა და აღჭურვილობაზე. თავად შექმნის ფაქტი კი, ცხრა მთას იქით უნდა გადამალო! აქ მოხდა პირიქით! შეფიცულები „გააპიარეს“ — „მოგვიქნევენ და ისეთს მოვუქნევთო!..“**

ხელისუფლებამაც არ დააყოვნა და დააპატიმრა ამ „რაზმის“ ხელმძღვანელი, მსახიობი გია ბურჯანაძე, მერე გამოუშვა... ეს იყო დაცინვა და შეურაცხყოფა! საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ „შეფიცულებმა“ არა თუ მომიტინგეები ვერ დაიცვეს, თავად გახდნენ დასაცავნი სისხლის სუნისგან გახელებული „ზონდერებისგან!“ გასასვლელი „დერეფანიც“ კი ვერ „გაჭრეს“...

## აღლუმის „ჩაშლა“

**შესაძლოა, ქალბატონ ბურჯანაძეს, მართლაც და, სამართლიანობა ამოძრავებდა — არ შეიძლება მხდალმა მთავარსარდალმა აღლუმი ჩაიბაროსო. მაგრამ ჩნდება ლოგიკური კითხვა — „სამართლიანობამ“ რატომ არ შეაწუხა ყოფილი სპიკერი და ორჯერ ყოფილი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი თუნდაც შარშან?!**

ეგზეკუციის შემდეგ, მომხდარი ტრაგედიის მსგავსს ისტორიაში ვეძებდი. 1905 წლის 9 იანვარს მღვდელმა გიორგი გაპონმა, უამრავი ხალხი დაძრა, რომ მეფისთვის — ნიკოლოზ მეორისთვის პეტიცია გადაეცათ, სადაც აღწერილი იყო უბრალო მშრომელების გაუსაძლისი ცხოვრება. მოსახლეობა შველას ითხოვდა. „ზამთრის სასახლესთან“ ჯარი ხალხს ზალპით შეხვდა. უამრავი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის — ბავშვებიც... **ეს იყო და, ბურჯანაძე „ქართველ გაპონად“ უნდა გამომეცხადებინა, რომ წავიკითხე: „მან (გაპონმა) წინა დღით მუშები გააფრთხილა, რომ შესაძლოა, ესროლონ და მსხვერპლი იქნება. მუშებმა კი, შეჰფიცეს, რომ მოკვდებიან, მაგრამ უკან არ დაიხევენ. თავად გაპონი მოწინავე კოლონას ჩაუდგა სათავეში და შემდეგ დაჭრილი თანამებრძოლებმა ძლივს გამოიყვანეს იმ სასაკლაოდან“. ასე რომ, ჩემ მიერ გაკეთებულმა პარალელმა — ბურჯანაძე-გაპონი — კრახი განიცადა!**

**ნუთუ ქალბატონმა ნინომ არ იცოდა, რომ სააკაშვილი მომიტინგეებს**

ეს „ბიოროზოტი“ მიბჯენით ესვრის ადამიანს!



**სასტიკად გაუსწორდებოდა? რატომ არ გააფრთხილა მან შეკრებილნი არათუ მიტინგის დაშლის ან დარბევის, არამედ სადამსჯელო ოპერაციის დიდ ალბათობაზე?! რა, სააკაშვილი ვერ გაიცნო ხუთი წლის (2003-2008) განმავლობაში?! დავიჯერო, არ იცოდა, რომ ეს „ზნეობრივი სიმახინჯე“ ყველაფერზეა წამსვლელი?! ბოლოს და ბოლოს, ხომ შეეძლო, ადამიანურობიდან გამომდინარე, კატეგორიულად მოეთხოვა, მიტინგი დაეტოვებინათ მოზარდებს, ქალებსა და მოხუცებს! არა, მან ეს არ გააკეთა!**

ვინაიდან იქ არ ვყოფილვარ, ეს ეპიზოდი გადავამოწმე. ოთხი მომიტინგიდან, სამს არ ახსოვდა, გააკეთა „სახალხო კრების“ ლიდერმა განცხადება შესაძლო დარბევაზე თუ არა. მარტო ერთმა მითხრა დაბეჯითებით, რომ არ გავუფრთხილებივართ, თუმცა ვგრძნობდით, საშინელება დატრიალდებოდაო. საბოლოოდ იმ „ბართლომეს ღამის“ პირდაპირი რეპორტაჟის ჩანაწერის ნახვამ გამიფანტა ყველა ეჭვი. **პირიქით, ბურჯანაძე დაუღალავად მოუწოდებდა ადამიანებს (მიუხედავად იმისა, რომ ხედავდა მომდგარ „სააკანტროპის ლაშქარს“), მოსულიყვნენ მიტინგზე და „თავისი უფლებები დაეცვათ“. საინტერესოა, რისი ან ვისი იმედით „პატიჟებდა“ დარბევისთვის განწირულ მიტინგზე ქალბატონი ნინო ამ ხალხს?! „შეფიცულების“? იცით, არსებობს ძველი პროვოკაციული მეთოდი, რომლის მიზანია, ხელისუფლება მაქსიმალური მსხვერპლისკენ წააქეზო, მერე რომ იყვირო: აი, ხედავთ, რა დამნაშავე ხელისუფლება გვყავსო!**

უნივერსიტეტში უმაღლესი დონის მასწავლებლები მიკითხავდნენ ლექციებს. ერთ-ერთი მათგანი — სოლომონ ხუციშვილი გვიმეორებდა: „ადამიანის სულს მაშინ ჩასწვდებით, როცა გაიგებთ, რა ზნეობრივი ატმოსფერო სუფევს მის ოჯახშიო“. რა „ზნეობრივი ატმოსფერო“ სუფევდა და სუფევს ანზორ ბურჯანაძის ოჯახში ბევრისთვის, მათ შორის ჩემთვისაც, ცნობილია. ამიტომ, პირადად მე მივედი ამ დასკვნამდე — **ნინო ბურჯანაძემ იმიტომ დაძრა ხალხი სასაკლაოსკენ, რომ ვიღაცისგან, ძალზე გავლენიანი ადამიანისგან, მიიღო პირადი ხელშეუხებლობის 100-პროცენტიანი გარანტია! სხვანაირად ეს ქალბატონი, რომლის ცხოვრების მთავარი სტიმული ძალაუფლება და ფულია, სასიკვდილო რისკზე არ წავიდოდა!**

## „მშობლიური“ ხელისუფლება

უპირობოდ — ბოროტმოქმედი №1, რადგან „მონოპოლია ძალადობაზე“ (ასე „მოროხა“ ერთმა „მეტად ჭკვიანმა“ ანალიტიკოსმა) მხოლოდ ხელისუფლებას აქვს!

ნაციონალმა გარეწრებმა იმოქმედეს ისე, როგორც შეეფერება ხელისუფლებაში ქუჩიდან მოთრეულ მაწანწალებს! ესენი არა მხოლოდ კლინიკური, არამედ სოციალურად ავადმყოფი ფსიქიკის პატრონები არიან! ეს „ყოჩალი“ კონტინგენტი არც კი ფიქრობს, რომ აუცილებლად დადგება ის დრო, როცა ხელისუფლებაში არ იქნება და სრულიად ბუნებრივად მასზე ადამიანები შურს იძიებენ!

**ნაციონალები გაიქცევიან? — ყველგან მიაგნებენ! მერე ის „ცივილიზებული მეძავი“ — დასავლეთი, მორიგ პოლიტიკურ კონიუნქტურას აყოლილი, თვითონ გადმოგცემს: მიდით, ძვირფასო მოკავშირეებო, დაკალით!**

ნაციონალებს ყველაფერი იქითკენ მიჰყავთ, რომ ქართულ საზოგადოებაში ვენდეტის ფსიქოლოგია ამუშავდეს (თუ უკვე ამუშავებული არაა!).

რაც უნდა მოხდეს მომავალში, მათ სამაგიერო ვერ ასცდება! რას ვიზამთ, ეს ბუნების კანონია... არ ასცდება, რადგან, როცა სამართალი არ მოქმედებს, მაშინ ადამიანები საკუთარი ძალით აღასრულებენ სასჯელს, რასაც ეს ბოროტმოქმედები იმსახურებენ!

## ეპილოგის მაგივრად

**ყურადღებით ვაკვირდები „ძლევამოსილი გიორგის“ ქანდაკებას თავისუფლების მოედანზე. ღმერთო ჩემო, ეს ხომ მოოქროვილი დასაქოქი თოჯინაა! ტირაჟში გაშვებული, ბეგმიური ძეგლია, რომლის დანიშნულებაა, შთანთქას წმიდა გიორგის ჭეშმარიტი სახე და სული!**

**სააკაშვილსა და მის ხროვას სურს, რომ ჩვენ თაყვანი ვცეთ არა ხატს, არამედ მის გამობურცულ სუროგატს, გავაფეტიშოთ ეს არაპროპორციული ქანდაკება, რომელიც ვერ „ჯდება“ მოედნის ზომებშიც, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით რევოლუციის ბელადის — ლენინის ძეგლზე. ო, ეს „ფიგურა“ სრულ ჰარმონიაში იყო გარემოსთან! მაინც ნიჭიერი ხალხი იყვნენ კომუნისტები, საქმეს პროფესიონალებს ანდობდნენ. აქ კი, უნიჭო ნაციონალ-სოციალისტ..., ბოდიში, ნაციონალ-სააკაშისტებთან გვაქვს საქმე!**

წმიდაო გიორგი, წმიდაო გიორგი!.. რატომ მიგვატოვე? ნუთუ, ჩვენ ისეთივე ქართველები არ ვართ, რომლებსაც წინ მიუძღოდი დიდგორისა თუ ბახტრიონის ომებში? ვეკითხები მას და ვგრძნობ, რომ ვფარისევლობ! დღეს ხომ ჩვენ ზნედაცემული, ღირსებააყრილი ვართ; ზნედაცემულს კი წმინდანი დახმარების ხელს ვერ გაუწვდის, ანუ წმიდა გიორგი ჩვენთან ბრძოლის ველზე არ გამოვა, თუნდაც ერთი მიზეზის გამო — გავყიდით! ესე იგი კვლავ დავმარცხდებით... ამიტომ წინ, ეკლესიისკენ!!!



**P.S. „სააკანტროპის ლაშქარს — ზონდერებს“ მივმართავ დაჟინებული თხოვნით, გულით მოინანიონ ჩადენილი დანაშაული, რათა უდანაშაულოთა დაღვრილი სისხლით მათი შთამომავლობა არ დაიხრჩოს და პირადად მათი „უკვდავი სულები“ ხელთ არ იპყროს ჩემმა „ძმამ და მეგობარმა“ — ასმადეუსმა. ცნობისათვის: მას ჯოჯოხეთში უსასტიკესი „დეპარტამენტი“ აბარია. გახსოვდეთ მუდამ — უფალი მოწყალეა გულით და საქმით მონანიებულებისადმი! იჩქარეთ, წამზომი ჩართულია!**

მოკლედ

## კლინტონს მსოფლიო ბანკის მმართველობა სურს

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, შესაძლოა, 2012 წლისთვის ამჟამინდელი თანამდებობა დატოვოს და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელის პოსტზე იყაროს კენჭი.** კლინტონი აქამდეც აცხადებდა, რომ ის არ აპირებდა, სახელმწიფო მდივნის პოსტზე 4 წელიწადზე მეტხანს დარჩენას. გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტმა ობამამ კლინტონის ამ სურვილს, უკვე დაუჭირა მხარი. თუმცა უცნობია, არსებობს თუ არა ობამას ფორმალური თანხმობა, რომ ჰილარი კლინტონი მსოფლიო ბანკს ჩაუდგეს სათავეში. ამისთვის 187 წევრი ქვეყნის თანხმობაა საჭირო.



## ტერორისტული ბაქტერია

**ბაქტერია E.coli, შესაძლოა, ტერორისტული ორგანიზაციის დაკვეთით გააქტიურდა. დიდი ბრიტანეთის ეროვნული ინფრასტრუქტურის დაცვის ცენტრის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში ბაქტერია განზრახ გაავრცელეს.** როგორც გერმანელმა ექიმმა, კლინიკა Vivantes-ის გამგემ კლაუს-დიტერ ცასტროვმა განაცხადა, ბაქტერია, შესაძლოა, რომელიმე ტერორისტული ორგანიზაციის დაკვეთით გააქტიურდა. ის ფაქტი, რომ ეს კაცობრიობისთვის აქამდე უცნობი, სრულიად ახალი, მუტანტი მიკროორგანიზმია, მისი ხელოვნურად წარმოშობის ვერსიას აჩენს.

**ბიზნესი არ არის დაცული მის საქმიანობაში უკანონო ჩარევისგან, არ მონაწილეობს ანტიკორუფციული პოლიტიკის ფორმულირებაში, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებასთან მისი კავშირი სუსტია. სისტემაში არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი წრიულია, რომელიც ერთპიროვნულ მმართველობას ქმნის.**

ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**სპეცრაზმის მიერ მიტინგის სასტიკი და სამარცხვინო დარბევიდან ორიოდე კვირაში თბილისის რომელიღაც საძილე კვარტლის ეზოში ბავშვები ახალ თამაშს თამაშობდნენ და ეს თამაში ტელეეკრანზე ჩანდა — „სპეცნაზელობანა“. იმავე საღამოს, პირველ არხზე მიხეილ სააკაშვილი პატრიოტთა ბანაკში გაწვეულ ახალგაზრდებს მორიგ ლექციას უტარებდა, თუ როგორ უნდა აღიზარდონ ჭეშმარიტ მოქალაქეებად, ჩამოაყალიბონ ორგანიზაცია და ა.შ. მოკლედ, სიტყვაუხვობას ჩენჩოს თუ მოვაცლით, — ჩემს მხარდამჭერებად გაიზრდებითო. იმზადებდა სათავისო თაობას. თამაშობდნენ ბავშვები „სპეცნაზელობას“, 26 მაისის „ბართლომეს ღამეს“ მაქსიმალურად მიმსგავსებულ ვარიანტს — კაცთმოძულეობის დედნისეული ვარიანტით.**

# 451
## გრადუსი ფარენგეიტით



მუყაოს ყუთები ჩამოეცვათ ტანზე, უფრო მომცრო ყუთები თავზე მუზარადებად ჩამოეფხატათ, პლასტმასის ბოთლები რეზინის ხელკეტებად მოემარჯვებინათ და გამოსულიყვნენ გლადიატორთა ასპარეზზე.

ყველა „სპეცნაზელი“ იყო, უფროსი მანქურთების მსგავსი, დაუნდობელი და შუბწვრილი.

**ვის ვამსგავსებთ მომავალ თაობას!**

**ბავშვების თამაშები — ომობანა და სხვა ასეთი — სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების პრინციპზეა აგებული, ბავშვურ შეგნებაში გარდატეხილი ბრძოლაა ავსა და კეთილს შორის, რომლის ფინალი, როგორც წესი, ბოროტების ძლევაა.**

**მაგრამ ეს ბავშვები, ყველანი სპეცნაზელებს განასახიერებდნენ, ბოროტების საწყისს, იმ დაპროგრამებულ რობოტებს, რომლებიც აფთართა ხროვის მსგავსად ადამიანების ნაკუწ-ნაკუწ დასაგლეჯად არიან მზად.**

მაგრამ დასარბევი რახან არავინ იყო, ხოლო ძალადობის სურვილი ყელში იყო მობჯენილი, ისინი ერთმანეთს დარეოდნენ და ურტყამდნენ, ურტყამდნენ გამეტებით პლასტმასის ბოთლებს, ვინმე რომ დაეცემოდა, მივარდებოდნენ დანარჩენები და მეორდებოდა, როგორც ანარეკლი სარკეში, რუსთაველზე ნანახი სცენები, როცა ჯანიანი ჯეელები ფეხქვეშ იგდებდნენ უკვე თავპირდასისხლიანებულ მსხვერპლს — უმწეო ადამიანს.

ამაზონიის პირანიები!

**„ზონდერებივით“ ებრძოდნენ „მეხუთე კოლონას“ „სამშობლოს გადასარჩენად“.**

**მიხეილ სააკაშვილი კი ანაკლიის ინტიმური შუქჩრდილების ფონზე ქვათა შეგროვების ჟამით ისე წუხავდა ახალგაზრდებს, რომ ჟამს ქვათა მიმოფანტვისა (ეკლ. 3,5) ჰგავდა უფრო — აგრესიულ და შემტევ დემოკრატიას.**

როგორც თქვენ მიგვანიშნეთ, ბატონო სოსო! ექსპერტს მივმართავ, სოსო ცისკარიშვილს.

„მაესტროს“ ორშაბათის ეთერში კი ორი სხვა ექსპერტი დაჯდა, ორი სანდომიანი ფსიქოლოგი ქალბატონი, რომლებმაც ისე „დაგვილაითეს“ სიტუაცია, როგორც ერთ დროს „ნოვატორი მასწავლებლების“ მიერ ჩურჩულით ჩატარებული გაკვეთილები.

ქვათა შეგროვების ჟამია?!

მაგრამ რა ვქნათ, როცა ეს ქვები ვულკანის ამოტყორცნილ ლოდებს ჰგავს?

**სადღაც, მეხსიერების სიღრმიდან ამოვარდა რეი დუგლას ბედბერის რომანის „451 გრადუსი ფარენგეიტით“, ანტიუტოპია იმის შესახებ, თუ როგორ გადაგვარდება ამერიკის საზოგადოება, და ადამიანი არაადამიანურ სამყაროში როგორ აღმოჩნდება.**

**451 გრადუსი ფარენგეიტით ცელსიუსით 233 გრადუსს უდრის, იმ კრიტიკულ ზღვარს, როცა ქაღალდი თვითაალდება.**

როდის წაეკიდება ცეცხლი მუყაოს აბჯარს? დღეს? ხვალ? მაგრამ წაეკიდება აუცილებლად, თუ საქართველოში გაგრძელდა სიტუაცია, როცა, ბრედბერის მიხედვით, „დაწვა უდიდესი სიამოვნება“ გახდა, რადგან „იქ, სადაც წიგნებს წვავენ, ადამიანებსაც დაწვავენ“.

კრემატორიუმებში.

**თუ ასე გაგრძელდა, ვაითუ აღსრულდეს ინკვიზიციის მიერ XVI საუკუნეში ცოცხლად კოცონზე წამებული ერეტიკოსის წინასწარმეტყველება, წყევლაზე უარესი: „დღეს ინგლისში ჩვენ ისეთ სანთელს დავანთებთ, რომელსაც ვერასოდეს ჩააქრობენ“.**

აუცილებელი ხომ არ არის, ჩვენმა საზოგადოებამ იმ სანთლის ალზე ფენიქსებრ დაიწვას თავი, რათა ფენიქსებრ აღდგეს?

არადა, ტემპერატურა ფარენგეიტით 451 გრადუსს უახლოვდება და... იმ უნამუსობას, კატასტროფას აღწევს, რომელსაც დღენიადაგ ამზადებს ძვირფასი ხელისუფლება, და არათუ ადამიანის გონება, ყველაფრის ამტანი ქაღალდიც ვერ აიტანს... თვითაალება გარანტირებული გვაქვს.

**არმაზ სანებლიძე**



# შოკისმომგვრელი დასკვნა ქართულ დემოკრატიაზე,
## ანუ როგორ შექმნა სააკაშვილმა კოლონიალური ავტორიტარიზმი

**არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ ქვეყნის მნიშვნელოვან ინსტიტუტებთან დაკავშირებით დასკვნები და რეკომენდაციები წარმოადგინა, სადაც საუბარია, რომ ქვეყანაში კორუფციული და ბიუროკრატიული სისტემა მძვინვარებს. დასკვნაში ასევე საფუძვლიანად არის დასაბუთებული საქართველოს ეროვნულ ანტიკორუფციულ სისტემაში არსებული დისბალანსი და იმის ამოკითხვაც შეიძლება, თუ როგორ შექმნა საქართველოს პრეზიდენტმა ავტორიტარული მმართველობის გამართული სისტემა ცალკეული ინსტიტუტებისგან.**

დასკვნაში ნათქვამია, რომ აღმასრულებელი შტო და სამართალდამცავი ორგანოები განსაკუთრებით ძლიერები არიან, რომ სერიოზული პრობლემაა დაუსჯელობის სინდრომით გამოწვეული ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მკაფიო ტენდენცია. სააკაშვილმა მოახერხა, რომ პარლამენტში უმრავლესობა ჰყოლოდა. დასკვნაში კარგად არის ახსნილი, თუ რა მრავალმხრივი შედეგი მიიღო ამით:

**„პოლიტიკური პარტიების სისუსტესა და აღმასრულებელი შტოს სიძლიერეს შედეგად მოაქვს ერთი პარტიის სრული დომინირება პარლამენტში, ადგილების დაახლოებით 80 პროცენტი, მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო უმრავლესობისთვის ორი მესამედიც საკმარისია. პარლამენტის ერთპარტიული შემადგენლობა მნიშვნელოვნად ამცირებს საკანონმდებლო შტოს დამოუკიდებლობას... დამოუკიდებელი პარლამენტის არქონისა და პრეზიდენტისა და მისი კაბინეტის მიმართ საკანონმდებლო შტოს ლოიალურობის შედეგად, პარლამენტი, ფაქტობრივად, ვერ იყენებს იმ ფართო უფლებამოსილებებს, რომლებიც ზედამხედველობის კუთხით აქვს...**

ეს ნაკლოვანებები ამცირებს კონტროლის პალატის დამოუკიდებლობას და მის შესაძლებლობებს დარღვევის გამოვლენის მხრივ, ვინაიდან ნაკლებად სავარაუდოა, რომ არსებულმა პარლამენტმა რეაგირება მოახდინოს აღმასრულებელი შტოს მაღალ ეშელონებში კონტროლის პალატის მიერ აღმოჩენილ დარღვევებზე, რაც კიდევ უფრო ამცირებს აღმასრულებელი შტოს ანგარიშვალდებულებას.

ანალოგიურად, უკანასკნელი წლების მანძილზე სახალხო დამცველის დასკვნები და რეკომენდაციები მთელ რიგ შემთხვევებში უგულებელყოფილი იქნა საკანონმდებლო შტოს მიერ. პარლამენტში ერთი პარტიის თითქმის სრული დომინირება ასევე ამცირებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა შესაძლებლობას, რათა ზეგავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე ადვოკატირების მეშვეობით“.

დასკვნაში ასევე საუბარია, რომ საკანონმდებლო შტოს სისუსტეს მჭიდრო კავშირი აქვს სასამართლოს დამოუკიდებლობასთან, რადგან პარლამენტი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და წევრებს ნიშნავს, რომლებიც შემდგომში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვედა დონის მოსამართლეების დანიშვნაში.

**საკანონმდებლო შტოს არსებული შემადგენლობა ისეთ გარემოს ქმნის, სადაც სასამართლო სისტემაში პოლიტიკურად მოტივირებული დანიშვნების ალბათობა დიდია. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი კი ასუსტებს აღმასრულებელი შტოსა და სამართალდამცავი უწყებების ანგარიშვალდებულებას. სასამართლოს დამოუკიდებლობა კიდევ უფრო მცირდება სამართალდამცავი უწყებების მიერ მასზე განხორციელებული უკანონო გავლენის შედეგად.**

სასამართლოს დამოუკიდებლობის ნაკლებობა, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს არჩევნების მმართველი ორგანოს ანგარიშვალდებულებაზე, რადგანაც იშვიათად ხდება სასამართლოების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა დასჯა ჩადენილი დარღვევების გამო და ბიზნესის დამოუკიდებლობაზე, რადგანაც **სასამართლო ვერ იცავს კერძო კომპანიებს მათ საქმიანობაში ხელისუფლების თვითნებური ჩარევისაგან.**

მოკლედ რომ ვთქვათ, ქვეყნის კოლონიად ქცევის მიზეზი ის არის, რომ პარლამენტი არ არის დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და ვერ ახორციელებს ეფექტურ ზედამხედველობას. აღმასრულებელი შტოს ანგარიშვალდებულება სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი, უპირველესად, პარლამენტისა და სასამართლოს სისუსტის გამო. **სასამართლო გაუმჭირვალეა და საქმიანობაში უკანონო ჩარევას განიცდის პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. საჯარო სამსახური არ არის დაცული პოლიტიკური გავლენისა და ჩარევისგან, რაც ძირს უთხრის საჯარო მოსამსახურეთა დამოუკიდებლობას.**

იქ არ ხდება გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების მარეგულირებელი ნორმების თანმიმდევრულად და სრულად დაცვა.

შუშის შენობებში კი გადასხდნენ, მაგრამ კვლავ გაუმჭვირვალეა სამართალდამცავი უწყებების საქმიანობა, მათი ანგარიშვალდებულება არ არის თანმიმდევრულად უზრუნველყოფილი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ამ უწყების მაღალი თანამდებობის პირებს ეხება. **ადგილი აქვს პარტიულ ჩარევას სამართალდამცავი უწყებების საქმიანობაში, რასაც შედეგად სამართლებრივი დევნის შერჩევითი წარმოება და კანონის შერჩევითი აღსრულება მოაქვს. კონტროლის პალატა განიცდის პრობლემებს შესაძლებლობების მხრივ. საარჩევნო ადმინისტრაცია დამოუკიდებელი არ არის. მას არ შეუძლია პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების სათანადო რეგულირება. ვერ ახერხებს საარჩევნო პროცესის ზოგიერთი ასპექტის სათანადოდ რეგულირებას — ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, ხმების დათვლასა და შეჯამებას, საჩივრების განხილვას.**

ყველაზე გავლენიანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დამოუკიდებელნი არ არიან და მეტად მიკერძოებულად აშუქებენ მოვლენებს, არ არის გამჭირვალე მედიის მფლობელობა. იგი ვერ ახერხებს კორუფციის ფაქტების გამოვლენასა და საზოგადოების ინფორმირებას მმართველობის საკითხების შესახებ... მიჩნეულია, რომ **მთავრობამ კონტროლი დაამყარა ქვეყნის ყველაზე გავლენიან მედია-საშუალებებზე, ნაციონალურ ტელეარხებზე, მთავრობის მომხრე ბიზნესმენის მიერ მათი შესყიდვის გზით.**

ბიზნესი არ არის დაცული მის საქმიანობაში უკანონო ჩარევისგან, არ მონაწილეობს ანტიკორუფციული პოლიტიკის ფორმულირებაში, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებასთან მისი კავშირი სუსტია. სისტემაში არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი წრიულია, რომელიც ერთპიროვნულ მმართველობას ქმნის.

**სოფო გელაშვილი**

პრობლემა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**დასამალი არ არის, რომ ჩვენს ახალგაზრდობაში გავრცელებულია ჰედონიზმი — ჰიპერტროფილებული მისწრაფება სიამოვნებისკენ, როცა ცხოვრების მიზანი დიდი სიამოვნების, სიტკბოების მიღწევაა. ჰედონიზმი ნარკომანიის გავრცელების ხელის შემწყობი მოვლენაა. წლების განმავლობაში ნარკომანთა ე.წ. ოჯახებში ვტრიალებდი, ათასობით ინტერვიუ მაქვს ჩამორთმეული ნარკომანი ქალების, კაცების, დიდებისა თუ პატარებისგან და დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ მათი უმეტესობა ნარკოტიკს მიეძალა იმიტომ, რომ ჰქონდა ჰიპერტროფული მიდრეკილება გართობის, სიამოვნების მიღებისკენ.**

# ანზორ გაბიანი: საქართველოში სამასი ათასზე მეტი ნარკოდამოკიდებულია

**საქართველოში დაიწყეს ლაპარაკი მარიხუანის, იმავე ანაშის, ჰაშიშის, პლანის ლეგალიზაციის შესახებ, თანაც — იმ წრეებში, იმ დონეებსა და მასმედიის იმ საშუალებებში, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ გარკვეული ძალები დაინტერესებული არიან ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტით. ძნელი დასაჯერებელია, დღეს ვინმემ არ იცოდეს, ჰეროინზე, ოპიუმზე, კოკაინზე და ნებისმიერ ე.წ. მძიმე ნარკოტიკზე დამოკიდებული რომ გახდე, ვენაში ნემსის 8-10-ჯერ გაკეთებაც საკმარისია, რომ ნარკოდამოკიდებულებიდან სიკვდილამდე ერთი ნაბიჯია.**
**მაგრამ მარიხუანის მოწევა მასობრივ შეგნებაში ხშირად უწყინარ, დროსსატარებელ, სიამოვნების მომგვრელ თამაშად არის წარმოდგენილი.**
**ამის დამადასტურებელ „მაგალითებსაც“ მოისმენ და შეიძლება, დაიჯერო, რომ მართლაც ასეა: სხვა თუ არაფერი, აშშ ყველა პრეზიდენტი ახალგაზრდობაში გათამაშებია მარიხუანას, განვითარებულ ჰოლანდიაში კი, დიდი ხანია, ლეგალიზებულია ამ „ბალახის“ მოწევა, რაც თითქოს ისევე უვნებელია, როგორც ჩვეულებრივი თამბაქო.**



## მარიხუანის ლეგალიზაცია — გზა «თეთრი სიკვდილისკენ»

**მეცნიერები კი საწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან, ისინი ამტკიცებენ, რომ კანაფიდან ნაწარმოები ნარკოტიკები გარკვეული თვალსაზრისით საშიშია. მაგრამ ნარკოლობისტებმა ისინი უვნებლისა და უსაფრთხოს ლამაზი შეფუთვით მოგვაწოდეს.**

**არიან ასეთი ნარკოლობისტები.**

**ანზორ გაბიანი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოციოლოგიის დოქტორი, პროფესორი, საერთაშორისო სახელის მქონე სოციოლოგი მათ კასტას არ განეკუთვნება.**

**ბატონი ანზორი დღეს „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს ესაუბრება.**

— ამასწინათ ტელევიზიით მოვისმინე, რომ საქართველოში 300.000-ზე მეტი ნარკოდამოკიდებულია. ძნელია, ერწმუნო ამას, მაგრამ თუ მართლა ასეა, დაღუპულა ჩვენი ერი, მალე ჩვენი სახსენებელიც გაქრება.

თუმცა ისიც ფაქტია, რომ იმ პერიოდთან შედარებით, როცა 70-იან წლებში ვიკვლევდით ნარკომანიის პრობლემას, ნარკოდამოკიდებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.

რისი ბრალია ეს, ცალკე განსჯის საგანია, თუმცა ერთი რამ ახლავე შეგვიძლია ვთქვათ: ეტყობა, შესაცვლელია ის მიდგომები და მეთოდები, რომლებმაც ვერ გამოიღო სათანადო ეფექტი, საჭირო ხდება მეცნიერულად დასაბუთებულ საფუძვლებზე პრაქტიკული ბრძოლის გადაყვანა.

**ამ რიგის ერთ-ერთი საკითხია ნარკომანებისა და არა ნარკორეალიზატორების ერთმანეთისგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით გამიჯვნა. ოცდაათი წელიწადია, ვამტკიცებ, რომ ეს ერთი და იგივე არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, მხარდაჭერა ვერ ვპოვე.**

საქართველოში, როგორც ვიცი, საპატიმრო ადგილებში ხვდებიან არა მარტო რეალიზატორები (რაც არ გულისხმობს მაინც და მაინც ნარკოტიკების გამყიდველს, არამედ იმასაც, ვინც არიგებს ამ ნივთიერებებს), არამედ მომხმარებლებიც. აქაა საჭირო მკვეთრი ზღვარის გავლება და, შესაბამისად, რეაგირება — პირველთა მიმართ რეპრესიული ხასიათის კანონის განხორციელება, დანარჩენებს კი თავდაპირველ სტადიაზე მაინც არ უნდა მოვეპყროთ როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეებს.

**— მარიხუანის ლეგალიზაციის კამპანიას რომ მივუბრუნდეთ?**

**— როგორც კი ასეთი შემოტევა იწყება, პირველად მარიხუანას შემოაგდებენ, კვალზე კი ოპიუმის, მორფიუმისა და, საერთოდ, ყველა ნარკოტიკის ლეგალიზაციის მოთხოვნას მოაყოლებენ: დავამზადოთ, გავიტანოთ გასაყიდად ჩვენთანაც და საერთაშორისო ბაზარზეც.**

**თავის დროზე, კერძოდ, 90-იანი წლების დასაწყისში, ამის ლობისტებს მაგრად მოხვდათ თავში და ჩავაჩუმეთ. მაგრამ დღეს, როგორც ვიცი, სოციალურ ქსელებში დიდი მსჯელობა მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით, რომ მიზანშეწონილია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ „მძიმე“ და „მსუბუქი“ ნარკოტიკები. ძლიერად — ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკებს მიიჩნევენ, მსუბუქად — კანაფისგან დამზადებულს.**

**ინტერნეტის მასალების გაცნობამ დამანახა, რომ ამას გარდა, ამ დავა-კამათის მონაწილეები ერთმანეთისგან კარგად ვერ ასხვავებენ ლეგალიზაციასა და დეკრიმინალიზაციას. ერთმანეთს ისე ანაცვლებენ, თითქოს ერთსა და იმავეს ნიშნავდეს.**

— თუ შეიძლება, აგვიხსენით, ჩვენც რომ არ შეგვეშალოს.

**— ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაცია შეიძლება სერიოზული მსჯელობის საგანი გახდეს, მაგრამ ხელაღებით კი არა, კატეგორიებისა და სხვა მონაცემების მიხედვით. მოსაგვარებელი საკითხია და ამ თვალსაზრისით საკითხის დასმა სწორი და გამართლებულია.**

ანაშა ისეთი ნარკოტიკია, რომლის მიჩვევას შედარებით ხანგრძლივი დრო სჭირდება, თანაც ისეთ ძლიერ დამოკიდებულებას არ იწვევს, როგორც ოპიუმი. ამ რიგის ნარკოტიკი საშიში იმითაც არის, რომ მისი მომხმარებლების მნიშვნელოვანი ნაწილი მეტნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ გადადის ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკებზე, მაგალითად, მორფიუმზე და მოკლე დროში განიადაგებული ოპიომანი ხდება.

მარიხუანის შემთხვევაში ასე არ არის. ჩვენთან მარიხუანას თამბაქოში შერევით ეწევიან. პირადი მაგალითით დაგიმოწმებთ, რადგან, გამოკვლევას რომ ვატარებდი, ჩართული და მონაწილე დაკვირვების მეთოდით, ამის გაკეთება აუცილებელი იყო. მაგრამ ვცდილობდი, ჩემი ორგანიზმისთვის მინიმალური ზიანი მიმეყენებინა. **შემიძლია პირდაპირ ვთქვა, რომ მარიხუანის საკმაოდ მრავალჯერადი მოწევის შემდეგ სულაც არ არის აუცილებელი, რომ ადამიანი ნარკომანი გახდეს, ამიტომ არ არის მიზანშეწონილი განურჩევლად ყველა მოწევაში მხილებული მაშინვე ციხეში გავამწესოთ. ზოგჯერ სავსებით შესაძლებელია, რომ თუნდაც შეგონების გზით თავი დავანებებინოთ.**

მაგრამ ასე არ არის ოპიუმის რიგის ნარკოტიკების მიზეზით განვითარებული დამოკიდებულების შემთხვევაში.

**— გამოდის, რომ ანაშა საშიში არ არის და მოწიონ, რას ვერჩით ამ „მსუბუქ“ ნარკოტიკს?**

**— არ არის მარიხუანა „მსუბუქი“ ნარკოტიკი. იგი ადამიანის ფსიქიკის მოშლას იწვევს. ამ ნარკოტიკის მიღების (მოწევის) შემდეგ ადამიანს უვითარდება გარე სამყაროს გაუკუღმართებული აღქმა, ეკარგება დროისა და სივრცის შეგრძნება. ანაშის მწეველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მეათე სართულზე მისი ფანჯრისა და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სახლის ფანჯარას შორის მანძილი ერთი ნაბიჯია და შეიძლება გადადგას ეს ნაბიჯი.**

ეს ერთი მაგალითიც საკმარისია იმის გასაგებად, თუ რას ნიშნავს ანაშით გაბრუებული ადამიანის არაადეკვატური ქცევა. ამას გარდა, მარიხუანა ფსიქიკის ქრონიკულ მოშლასა და ტვინის დაძაბუნებას იწვევს. მწეველებისთვის დებოშის ატეხვა, ჩხუბის წამოწყება დამახასიათებელი ხდება და ხშირად საკუთარ თავს თვითონვე ვნებას აყენებენ.

ახლა მითხარით, არის ეს ნარკოტიკი „მსუბუქი“?

**— რა თქმა უნდა, არა.**

**— მაგრამ ამით ყველაფერი არ ამოვწურეთ. ეს ნარკოტიკები საშიშია იმითაც, რომ, როგორც ზემოთ უკვე ვახსენე, მომავალი ნარკომანები იწყებენ ანაშით და შემდეგ „ძლიერ“ ნარკოტიკებზე გადადიან.**

**— „აკრძალული ხილის“ პრინციპი აქ არ მოქმედებს?**

— პირიქით, გზას კვალავს ქრონიკული ნარკომანიისკენ.

**— ესე იგი, ლეგალიზაცია საზოგადოების დეგრადაციისკენ შეგნებულად გადადგმული ნაბიჯია? ხომ ფაქტია, რომ ის, რასაც თქვენ ყვებით, ცნობილია ნარკოლობისტებისთვის, მაგრამ ისინი გარკვეული მიზნებისა თუ ჩანაფიქრის მისაღწევად მიდიან ამ „საქმეზე“, რაც ლეგალიზებული სახით დაუსჯელიც იქნება.**

— შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ უდანაშაულობის პრეზუმპციიდან გამომდინარე, მე არაფრის დამტკიცება არ შემიძლია. თუმცა აშკარაა, რომ ლეგალიზაცია სოციალურად მავნე შედეგს იქონიებს, მიუხედავად იმისა, რამდენად აქვს გათვითცნობიერებული ამ პოზიციაზე მდგომ ადამიანს მისი მოსაზრების მავნეობა.

**— დეკრიმინალიზაცია?**

**— დეკრიმინალიზაცია მომხმარებლებს ეხება. ნარკოტიკის მომხმარებელი, მით უფრო საწყის სტადიაში, კრიმინალად ვერ ჩაითვლება. სოციალურ ქსელებში მიმდინარე განხილვის მონაწილენი დეკრიმინალიზაციაში ამას თუ გულისხმობენ, მე მათ მხარს ვუჭერ.**

**— მიგაჩნიათ, რომ კანაფის პლანტაციების მოსპობა ნარკომანიის ამოძირკვას შეუწყობს ხელს?**

— არა, არ მიმაჩნია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია, ისეა გავრცელებული კანაფი, უდიდეს ფართობებზეა მოდებული. მეორე იმიტომ, რომ, მაგალითად, ჩუის ველზე, ცენტრალურ აზიაში, რომელიც კანაფითაა დაფარული, კიდეც რომ შეძლონ მისი განადგურება, უდაბნო ისე შემოუტევს, რომ გაუდაბურდება იქაურობა. კანაფი უდაბნოს გავრცელების დამაბრკოლებელი ეფექტიანი ბუნებრივი საშუალებაა. მისი ამოძირკვა ეკოლოგიური კატასტროფის მიზეზი გახდება.

**— მაშ, რა უნდა მოვიმოქმედოთ?**

— მთავარია, მოვხსნათ მოთხოვნილება. თუ მიწოდების მოსპობა შეუძლებელია, მოთხოვნილების მოსპობას წინ რა უდგას? ძნელია, რა თქმა უნდა, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს. ამას ვქადაგებ რამდენი წელიწადია, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

**— ვინ „ვერავინ“?**

— ვისაც ხელეწიფება და ვალდებულიცაა, გადაწყვიტოს ეს პრობლემა... დეკრიმინალიზაციაზე პროფესიონალები ინტერნეტში არ ლაპარაკობენ, მაგრამ ვის უნდა მიმართონ?

**— „რუსთაველი მკვდარია“.**

— „რუსთაველი მკვდარია“. მაშ ვის? ვანო მერაბიშვილს? ვთქვათ, „რკინის ქალამნები“ ჩაიცვა პროფესიონალმა და მიაღწია შინაგან საქმეთა მინისტრამდე. რა მერე? არც არაფერი, რადგან არ არის ეს მისი საქმე.

**— ჯანდაცვის მინისტრთან მივიდეს?**

— ვერც ის მიხედავს ამ საქმეს, რადგან პრობლემა კომპლექსურია.

მე თუ მკითხავთ, თავის ქებად, იმედია, არ ჩამეთვლება, რომ საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული სპეციალისტი ვარ და ამერიკელები **ჯერ კიდევ 1987 წელს მთხოვდნენ, გადავსულიყავი აშშ-ში საცხოვრებლად და სამუშაოდ, მაგრამ ჩავთვალე, რომ საქართველოში უფრო საჭირო ვიქნებოდი და არ წავედი. მე თუ მკითხავთ, უნდა შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო კომიტეტი პრეზიდენტთან მხოლოდ და მხოლოდ მისი უშუალო ხელმძღვანელობით.** ამ სტრუქტურამ უნდა მოახდინოს მთელი საქმიანობის კოორდინაცია. აქ უნდა გაერთიანდნენ შინაგან საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, იუსტიციის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების, პროკურატურის პასუხისმგებელი პირები, ყველა იმ უწყების წარმომადგენლები, ვისაც ამ პრობლემის მოგვარება შეუძლია.

**ამაზე დიდი პრობლემა საქართველოში დღეს არ არსებობს. შეიძლება ბოლოს და ბოლოს არც თუ ისე ძალიან დიდი ხნის შემდეგ საქართველომ ტერიტორიული მთლიანობა აღადგინოს, მაგრამ ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ერთიან საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდა თაობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის აფხაზებიცა და ოსებიც, ნარკომანიით აღმოჩნდნენ დაავადებულნი.**

დასამალი არ არის, რომ ჩვენს ახალგაზრდობაში გავრცელებულია ჰედონიზმი — ჰიპერტროფილებული მისწრაფება სიამოვნების- ▶

## მარიხუანა იწვევს «ჰაშიშის ფსიქოზს», რომლის სიმპტომებია: აკვიატებული შიში, პიროვნების გაორება, აუტიზმი, მწვავე ჰალუცინაციები

**ყველაზე დიდი შანსი, შეასრულოს „ბრუტუსის“ როლი, აქვს მერაბიშვილს, რადგან ის ქვეყანაში გავლენით მეორე კაცია (სააკაშვილის შემდეგ) და, როგორც სააკაშვილი ამბობს ხოლმე, „საქართველოს ხერხემალია“.**

რეპლიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

◀კენ, როცა ცხოვრების მიზანი დიდი სიამოვნების, სიტკბოების მიღწევაა. ჰედონიზმი ნარკომანიის გავრცელების ხელის შემწყობი მოვლენაა. წლების განმავლობაში ნარკომანთა ე.წ. ოჯახებში ვტრიალებდი, ათასობით ინტერვიუ მაქვს ჩამორთმეული ნარკომანი ქალების, კაცების, დიდებისა თუ პატარებისგან და დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ მათი უმეტესობა ნარკოტიკს მიეძალა იმიტომ, რომ ჰქონდა ჰიპერტროფული მიდრეკილება გართობის, სიამოვნების მიღებისკენ.

— **დიდი პრობლემა წამოჭერით, ბატონო ანზორ, მრავალპლანიანი და ძალიან მწვავე. ეგებ, ამაზე საუბარი უფრო ღრმად და ვრცლად უახლოესი შეხვედრისთვის გადავდოთ?**

— გეთანხმებით, რადგან საჭიროა და აუცილებელიც. შეიძლება ფსიქოლოგები და ფსიქიატრებიც მოვიწვიოთ.

მაგრამ ამ წინადადებებისა და მოსაზრებების სიმრავლის გამო ჩვენი ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ადამიანი, თუნდაც ნარკომანიით დაავადებული, რადგან მას ლეგალიზაცია ისევე არ უშველის, როგორც დეკრიმინალიზაცია. მას უნდა ვუმკურნალოთ. ჩემი აზრით, აუცილებელი იქნება, ნებაყოფლობითი მკურნალობის პარალელურად, ადმინისტრაციული წესით, იძულებითი მკურნალობის აღდგენა და ამ ღონისძიების შეფარდება მათთვის, ვინც თავს არიდებს ნებაყოფლობით მკურნალობას სპეციალური, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამით. ნარკომანი ფსიქიკამოშლილი ადამიანია. როდესაც ის თავისი ნებით ვერ მიდის სამკურნალოდ, იძულებული უნდა გავხადოთ, რადგან ჩვენი სახელმწიფო ადამიანურ სიკეთეებზეა ორიენტირებული, ეს მართლა უნდა გაკეთდეს.

**მარიხუანა არ არის „მსუბუქი“ ნარკოტიკი. იგი ყველაფერთან ერთად იწვევს დეპრესიას, აქვეითებს მეხსიერებას, აძნელებს რაიმეს ათვისებასა და სწავლას; ქვეითდება ყურადღების კონცენტრირება, უარესდება რეაქცია და მოძრაობის კოორდინაცია; შედეგად მოსდევს პროგრესირებადი იმპოტენცია და უნაყოფობა, გოგონებს ერღვევათ მენსტრუალური ციკლი. ერთი ნაბიჯი რჩება ფილტვების კიბომდე, ქრონიკულ ბრონქიტამდე.**

**ხანმოკლე სიამოვნება იცვლება დათრგუნვის გრძნობით, პანიკით, ზოგიერთს თვითმკვლელობის სურვილი უჩნდება.**

**მარიხუანა იწვევს „ჰაშიშის ფსიქოზს“, რომლის სიმპტომებია: აკვიატებული შიში, პიროვნების გაორება, აუტიზმი, მწვავე ჰალუცინაციები.**

**ორგანიზმიდან მარიხუანა ერთჯერადი მოწევის შემდეგ უფრო დიდხანს გამოდის, ვიდრე ჰეროინი.**

**აი, ასეთი „მსუბუქი“ და „უვნებელია“ მარიხუანა, იგივე — ჰაშიში, იგივე — პლანი, რომლის ლეგალიზაციას გვთავაზობენ ნარკოლობისტები.**

ესაუბრა

**არმაზ სანებლიძე**

* * *

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია მიმართავს მკითხველებს, თავიანთი პოზიცია და წინადადებები მოგვაწოდონ ამ პრობლემასთან დაკავშირებით.

# ვინ გახდება ბრუტუსი?

**მსოფლიო ისტორიამ არაერთი მმართველის სახელი შემოგვინახა, რომლებიც მმართველობის დასაწყისში ხალხის უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ, თუმცა მმართველობის დასასრულს იმავე ხალხის სიძულვილსა და წყევლა-კრულვას სამართლიანად იმსახურებდნენ. მათ შორის იყო იულიუს კეისარი.**



მართალია, კეისრისადმი ხალხის სიყვარულს, სააკაშვილისგან განსხვავებით, მის მიერ ომში მიღწეული წარმატებები განაპირობებდა, თუმცა არსებობს ზღვარი, რომლის იქით გადასვლა აკრძალულია და ასეთი ნაბიჯის გადადგმა არავის ეპატიება. კეისარიც გადავიდა აკრძალულ ზღვარს – რუბიკონი გადალახა, რომის ქუჩებში ჯარით შეიჭრა, დაამყარა ერთპიროვნული მმართველობა და თავისი მონარქისტული ტენდენციებით რომაელთა საამაყო რესპუბლიკური მმართველობა დიქტატურით შეცვალა, მაგრამ მისმა უახლოესმა გარემოცვამ, რომლის იდეალს რესპუბლიკური მმართველობა წარმოადგენდა, მარკუს იუნიუს ბრუტუსის მეთაურობით შეთქმულება მოაწყო კეისრის წინააღმდეგ და იგი სენატის დარბაზში მახვილით აკუწა.

**ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სულ უფრო მეტად ემსგავსება სააკაშვილის რეჟიმი კეისრის მართველობის ბოლო პერიოდს (რა თქმა უნდა, კეისრის მიერ ომში მიღწეულ წარმატებებს არ ვგულისხმობ). უფრო მეტიც, 26 მაისს სააკაშვილმა საბოლოოდ და შეუქცევადად, ერთი ღამის სისხლიანი ანგარიშსწორებით დასახულ მიზანს მიაღწია: რადიკალურ საპროტესტო მოძრაობას ძალა გამოაცალა, საზოგადოებაში ტოტალური შიში დანერგა და ავტორიტარული მმართველობა დაამყარა. თუკი აქამდე ანალიტიკოსების მიერ სააკაშვილის რეჟიმი არაერთგვაროვნად ფასდებოდა: განვითარებადი დემოკრატია, ნახევრად-დემოკრატიული, ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი და ა.შ. რუსთაველის გამზირზე მომიტინგეთა წინააღმდეგ განხორციელებულმა სადამსჯელო სპეცოპერაციამ ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი მიიყვანა ერთ დასკვნამდე, რომ სააკაშვილმა იმ ღამით ავტორიტარიზმის მშენებლობა დაასრულა.**

26 მაისი აღმოჩნდა მიჯნა — რუბიკონი, როცა სააკაშვილი, როგორც საფრთხე, საბოლოოდ აღმოჩნდა საზოგადოების პირისპირ. იმ დღიდან საზოგადოებაში, რომლის უდიდესი მხარდაჭერით სარგებლობდა მმართველობის დასაწყისში, მორალური ლეგიტიმურობა საბოლოოდ დაკარგა და მისი ელექტორატი კომფორმისტი „ტაშისმკვრელების“ **ვიწრო წრემდე შემცირდა.**

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების პროტესტი და უკმაყოფილება სააკაშვილის მიმართ სიძულვილში გადაიზარდა, სამწუხაროდ, მაინც შეიმჩნევა ატორიტარიზმისადმი შემგუებლური დამოკიდებულება, რაც შიშით არის განპირობებული. თუმცა ქვეყანაში, სადაც ზნეობა, პატიოსნება, განსხვავებული აზრი და დემოკრატიული ფასეულობები უგულვებელყოფილია ხელისუფლების მიერ და მხოლოდ აბსოლუტური ძალაუფლების მოყვარე პრეზიდენტის მიზნის მისაღწევად ყველაფერი კეთდება, შეუძლებელია, საზოგადოება მუდმივად შემგუებლურ პოზიციაში დარჩეს და გამორიცხული სულაც არ არის, რომ საზოგადოების პროტესტმა მოულოდნელად ვულკანივით ამოხეთქოს. ამიტომ შეგონებითი საუბრები საქართველოში „რევოლუციის დასასრულზე“ გადაჭარბებული და არასერიოზულია.

## ვინ აღმართავს ბრუტუსის მახვილს

**ოპოზიცია და ექსპერტები, დიდი ხანია, ხელისუფლების შიგნით არსებულ წინააღმდეგობებზე საუბრობენ, თუმცა სააკაშვილი მუდმივად ცდილობს, „ნაციონალური მოძრაობა“ მონოლითურ პოლიტიკურ ორგანიზმად წარმოაჩინოს, სადაც სრული ურთიერთგაგება სუფევს. მაგრამ სააკაშვილის ავტორიტარული მმართველობის სტილი და სურვილი — მუდმივად იყოს ძალაუფლების სათავეში — თავისთავად გამოიწვევს მის ხელქვეითთა უკმაყოფილებას. რის შემდეგაც „ხავერდოვანი რევოლუციის“ თვითმხილველი შეიძლება კიდევ ერთხელ გავხდეთ.**

თუმცა ასეთი „დელიკატური“ ღონისძიება ამერიკის მხარდამჭერის გარეშე ვერ განხორციელდება, რადგან საქართველოში ნებისმიერი პოლიტიკური პროცესი, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ამერიკის ინტერესები, დამარცხებისთვის არის განწირული. მაგრამ არსებობს კი იმის ალბათობა, რომ ამერიკა სააკაშვილს გაწირავს?

**თუკი აშშ-ის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, რომ სააკაშვილმა, როგორც ლიდერმა, თავისი თავი ამოწურა და თავისი ავტორიტარული მმართველობით საფრთხეს უქმნის ამერიკის სახელმწიფო ინტერესებს კავკასიაში, მაშინ მას უპრობლემოდ მოიშორებენ.** ასეთ დროს დღის წესრიგში დადგება მისი გუნდის წევრების („მსხვილფეხოსნების“) პოლიტიკური მომავლისა და მემკვიდრის საკითხი. ამიტომ **შესაძლებელია, გათამაშდეს „სასახლის კარის გადატრიალების“ იმიტაცია და ბრუტუსის როლში, ანუ „დემოკრატიის დამცველად“ „კეისრის“ კარზე დაახლოებული რომელიმე პოლიტიკოსი მოგვევლინოს.** მაგრამ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: **ვინ იქნება ბრუტუსი?**

სანამ უშუალოდ შესაძლო „კანდიდატთა“ დახასიათებაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ნებისმიერი „ჩინოვნიკი“, რომელიც გადაწყვეტს, გახდეს ბრუტუსი, მოუწევს, გამონახოს საერთო ენა ოპოზიციასთან (სავარაუდოდ, კონსტრუქციულ ალასანია-თარგამაძის გუნდთან), რათა საზოგადოების კეთილგანწყობისა და პოლიტიკური ინდულგენციის მიღების შემდეგ ჩაატაროს „სამართლიანი არჩევნები“ ლეგიტიმაციის მოსაპოვებლად.

## შენც... გიგი?!

დასავლეთის საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორც კი სააკაშვილის ირიბი კრიტიკა დაიწყო, „ნაცმოძრაობის“ „სოროსული“ ფრთა მაშინვე გააქტიურდა შესაძლო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. **პიონერი კი ამ საქმეში გიგი უგულავა აღმოჩნდა. მის მიერ ჩატარებული ონლაინ-კონფერენცია, რომელიც, ბუნებრივია, შერჩეულ-დამუშავებული კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, ბევრმა საარჩევნო კამპანიის დაწყებად შეაფასა.** თუმცა პრეზიდენტობას მოისურვებს თუ პრემიერ-მინისტრობას, ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია.

ყველასთვის მოულოდნელად **უგულავამ სააკაშვილს „ნაციონალური“ სილა გააწნა, როცა სპეცრაზმის მხრიდან ძალის გადამეტებასა და სპეციალური კომისიის შექმნის აუცილებლობაზე, მართალია, შელამაზებულად, თუმცა მაინც ალაპარაკდა.** ამ ნაბიჯით გიგი უგულავამ დაამტკიცა, რომ ამბიციური პოლიტიკოსია, რომელიც ყოველ ქმედებაში ამჟღავნებს სურვილს – იყოს ქვეყნის პირველი პოლიტიკოსი. ის, როგორც პირდაპირი გზით არჩეული მერი დედაქალაქისა, რომლის მოსახლეობა რესპუბლიკის მცხოვრებთა 30%-ს შეადგენს და სადაც სააკაშვილი კატასტროფულად დამარცხდა, აშკარად შთამბეჭდავად გამოიყურება. **გარდა ამისა, უგულავა ხელისუფლების თანავარსკვლავედში ყველაზე კომუნიკაბელური პოლიტიკოსია, რომელსაც შესწევს უნარი, მოსინჯოს ძალა დიდ პოლიტიკაში. მიუხედავად ამისა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ „დიდების მწვერვალისკენ“ მიმავალ გზაზე თანაპარტიელების მხრიდან წინააღმდეგობას არ წააწყდება ან ძალაუფლების ხელში ჩაგდებას სხვა „ჩინოვნიკი“ არ დაასწრებს, თუნდაც „ბრუტუსის“ სტილში.**

**ყველაზე დიდი შანსი, შეასრულოს „ბრუტუსის“ როლი, აქვს მერაბიშვილს, რადგან ის ქვეყანაში გავლენით მეორე კაცია** (სააკაშვილის შემდეგ) **და, როგორც სააკაშვილი ამბობს ხოლმე, „საქართველოს ხერხემალია“.** მის დაქვემდებარებაში არსებული პოლიციური სტრუქტურების სიძლიერე ყველამ კარგად ვნახეთ. ამიტომ „ხელისუფლების გადატრიალებისთვის“ საჭირო რესურს ადვილად მონახავს, თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი გაუჩნდება. თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, მერაბიშვილის, რომელმაც ქართული პოლიცია ირანის შაჰის დროინდელ „სავაკად“ აქცია და პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასათრგუნად იყენებს, განსაკუთრებით კი 26 მაისის ღამით ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციის შემდეგ, „ბრუტუსის“, ანუ „დემოკრატიის დამცველის“ როლში ხილვა.

**„ბრუტუსობის“ ასევე დიდი შანსი იუსტიციის მინისტრ და გენერალურ პროკურორ ზურაბ ადეიშვილს აქვს. მას შეუძლია, ერთდროულად „ორი კურდღელი“ დაიჭიროს, თანაც კანონის ძალით.** კერძოდ, მას შეუძლია აღძრას სისხლის სამართლის საქმე იმ პირთა მიმართ, რომლებმაც გასცეს სანქცია 26 მაისის ღამეს სისხლიანი ხოცვა-ჟლეტის მოსაწყობად. ამით მოახერხებს, შეამზადოს ნიადაგი „კეისრის“ გასანადგურებლად და მისი „კონსულის“ (მერაბიშვილის) პოზიციებსაც მნიშვნელოვნად შეასუსტებს.

**ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში გიგა ბოკერია ამბიციური, მაგრამ საზოგადოებაში არაპოპულარული პოლიტიკოსია. თუმცა, მიუხედავად მის მიმართ საზოგადოების უნდობლობისა, სერიოზული ლობი ჰყავს როგორც ქვეყნის შიგნით** („თავისუფლების ინსტიტუტი“), **ისე ქვეყნის გარეთ** (აშშ). ასევე, როგორც ჩანს, ზოგიერთი ოპოზიციონერი ლიდერის თვალში სიმპატიითაც სარგებლობს. კერძოდ, ალასანიამ გიგა ბოკერია გონიერ და ადეკვატურ პოლიტიკოსად შეაფასა, როცა ხელისუფლებასთან შეჩერებულ მოლაპარაკებებზე კომენტარს აკეთებდა. ალასანიას ეს დიპლომატიური „კოცნა“ ნიშნავს თუ არა მისი და ბოკერიას პოზიციების დაახლოებას, ძნელი სათქმელია.

**ზურაბ ჯამბურია**

**P.S. რომაელი სენატორი მარკუს იუნიუს ბრუტუსი მეფის ხელისუფლების დამამხობლისა და რომის რესპუბლიკის დამაარსებლის — ლუციუს იუნიუს ბრუტუსის შთამომავალი იყო და მისთვის რესპუბლიკა ყველაფერზე და ყველაზე მაღლა იდგა. ამიტომ კეისრის მონარქისტული ტენდენციები და დიქტატორული მმართველობა მის უკმაყოფილებას იწვევდა. თუმცა კეისრის ამბიციების მოთოკვა კანონის ძალით შეუძლებელი გახდა, რამაც აიძულა ბრუტუსი, რესპუბლიკის გადასარჩენად აღემართა მახვილი კეისრის წინააღმდეგ.**

საქართველო და მსოფლიო
ნაც-ტერორი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ძალიან მძიმეა დენიზ ყვარელაშვილის მდგომარეობა და შეიძლება ნებისმიერ წუთს დადგეს ლეტალური შედეგი. ამ ადამიანს წამლებსაც კი არ აწვდიან. ოჯახს მიაქვს მედიკამენტები მისთვის, მაშინ, როდესაც კანონით ევალება სასჯელაღსრულების სამინისტროს, მისი მკურნალობა უზრუნველყოს.**

# სასჯელაღსრულებების დაწესებულებაში კიდევ ერთი პატიმარი მოკლეს

**„საქართველო და მსოფლიო" №19-ში წერდა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება 36 წლის პატიმარი, ნიკოლოზ მჭედლიშვილი, რომელსაც ორი მომაკვდინებელი დაავადება: შიდსი და ტუბერკულოზი საპატიმროში შეყარეს. პატიმარი ვერ გადაადგილდებოდა დამოუკიდებლად.**
**ადვოკატის განცხადებით, მას ნაწოლებისგან სხეულის ლპობა ჰქონდა დაწყებული, მაგრამ, მიუხედავად არაერთი შუამდგომლობისა, მის მიმართ სასჯელის გადავადება არ მოხდა.**
**29 მაისს ნიკოლოზ მჭედლიშვილი პალატიდან რეანიმაციაში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე საათში გარდაიცვალა.**
**ნიკოლოზ მჭედლიშვილთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ არაერთი რეკომენდაცია მისცა საქართველოს მთავრობას, თუმცა არც ერთი მათგანი არ შესრულებულა.**
**მათ შორის იყო უპრეცედენტო გადაწყვეტილება — ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მთავრობას დაავალა, მისთვის მომვლელი დაენიშნათ. მაგრამ არათუ მომვლელი დაენიშნა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას სათანადო მკურნალობაც კი არ ჩაუტარდა.**

## ტუსაღი, რომლის ჯანმრთელობის უმძიმეს მდგომარეობაზე «საქართველო და მსოფლიო» იტყობინებოდა, გასულ კვირას ციხიდან გამოასვენეს


მამუკა ნოზაძე: პატიმრები შიდსით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დააავადეს

**მამუკა ნოზაძე, ნიკოლოზ მჭედლიშვილის ადვოკატი:**

— მჭედლიშვილი 2007 წელს დაპატიმრებისთანავე მოთავსდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში და გარდაცვალებამდე — 2011 წლის 29 მაისამდე, სარეცელს იყო მიჯაჭვული. ის დაჭრილი, წელსქვემოთ მოწყვეტილი მიიყვანეს სამკურნალო დაწესებულებაში. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, მას განსაზღვრული ჰქონდა, რომ იყო მძიმე ავადმყოფი ნევროლოგიური თვალსაზრისით და მისი გამოჯანმრთელების არანაირი პერსპექტივა არ არსებობდა. მჭედლიშვილს სასჯელის სახით განსაზღვრული ჰქონდა 25 წელი. 2007 წლიდან 2009 წლამდე სისტემატიურად ხდებოდა სამედიცინო დოკუმენტების გამოთხოვა, ამასთან, არც ერთ დოკუმენტში არ იყო დაფიქსირებული, რომ, გარდა ნევროლოგიური პრობლემისა, მას სხვა რაიმე დაავადება ჰქონდა. **2008 წლის აგვისტოში მისი საქმე ევროპულ სასამართლოში გავგზავნე. ევროპულმა სასამართლომ დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება, თვენახევარში დაიწყო საქმის განხილვა და კომუნიკაცია საქართველოს მთავრობასთან. სასამართლომ საქართველოს მხარეს დაუსვა ასეთი შეკითხვა: ხომ არ იყო ეს ევროპული კონვენციის მესამე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული — არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა?**

საქართველოს მთავრობამ ორჯერ გააკეთა კომენტარი, დაცვის მხარესაც ასევე ორჯერ მოგვეცა კომენტარის გაკეთებისა და ჩვენი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. 2009 წელს გამოვითხოვე ახალი სამედიცინო დოკუმენტები. აღმოჩნდა, რომ ნიკოლოზ მჭედლიშვილი ციხეში დაავადდა შიდსით, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ ვაცნობე ევროპულ სასამართლოს. **უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულმა სასამართლომ კვლავ ადეკვატური რეაგირება მოახდინა, დაუსვა კითხვები საქართველოს მთავრობას და პირდაპირ მიუთითა, ხომ არ იყო ეს ევროპული კონვენციის მეორე მუხლის დარღვევა — ეს არის სიცოცხლის უფლების მოსპობა. რადგან ადამიანი შევიდა სულ სხვა დაავადებით და აღმოჩნდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებაში უფრო გაუარესდა, ჰკითხა, თუ რატომ მოხდა მისი შიდსით დაავადება. საქართველოს მთავრობამ მეტად აბსურდული მოსაზრება წარმოადგინა: თითქოსდა ადამიანი როდესაც შიდსით ავადდება, ეს 4 ან 5 წლის შემდგომ ვლინდება, რაც ალოგიკურია.**

გარკვეული პერიოდის შემდეგ ევროპულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობას, რომ ნიკოლოზ მჭედლიშვილი მოთავსებულიყო სპეციალიზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში და ჩატარებოდა მას ადეკვატური მკურნალობა. ეს იყო სავალდებულოდ შესასრულებელი საქართველოს მთავრობისთვის, რაც არ შესრულებულა.

2009 წლის იანვარში, საქართველოს იმდროინდელმა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა მიმართა იუსტიციის მინისტრს, რომ მჭედლიშვილი გადაეყვანათ სპეციალიზირებულ დაწესებულებაში, ჩატარებოდა ადექვატური სამედიცინო მკურნალობა და გამოკვლევა, ასევე დადო დასკვნა, რომ ის სამკურნალო დაწესებულება, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემაში შედის, არ იყო საავადმყოფოს ტიპის დაწესებულება და არ ექვემდებარებოდა არანაირ სტანდარტს, რომ იქ არ ჰყავდათ სპეციალისტები, რომელთა მუდმივ მეთვალყურეობასაც მჭედლიშვილი საჭიროებდა. არც სახალხო დამცველის რეკომენდაცია შესრულებულა.

**ამის შემდეგ ევროპულმა სასამართლომ მიიღო უპრეცენდენტო გადაწყვეტილება — დაუშვა გამონაკლისი და დაავალა საქართველოს მთავრობას, მომვლელი ჰყოლოდა ნიკოლოზ მჭედლიშვილს, რადგან მას შხაპის მიღება და ელემენტარული ჰიგიენური პირობების დაცვის შესაძლებლობაც კი არ ჰქონდა. ამ პიროვნებას პატიმრობის პერიოდში სმენაჩლუნგობაც დაემართა. ბოლოს, 2011 წლის აპრილში, როცა გამოვითხოვე მონაცემები, აღმოჩნდა, რომ იგი დაავადებული იყო ტუბერკულოზითაც. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მძიმე ავადმყოფი იყო და ორჯერ მივმართე, როგორც პირველი, ასევე მეორე ინსტანციის სასამართლოს, სადაც ექსპერტმა დაადასტურა, რომ მის გამოჯანმრთელებას არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა, თანაც, როგორც აღვწერე, მას კიდევ დაემატა სხვა დაავადებაც, რომელიც ლეტალურ შედეგს იწვევს. 2011 წლის 29 მაისს მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების რეანიმაციაში გადაყვანიდან რამდენიმე საათში მჭედლიშვილი გარდაიცვალა.**

დოკუმენტურად მისი სიკვდილის მიზეზი აღმოჩნდა ტუბერკულოზი და სუნთქვითი ორგანოების მოშლა. იმ დაავადებებს, რომლებიც მე ჩამოვთვალე, შეუძლებელია ადამიანმა გაუძლოს, ასევე მას ნაწოლებისგან ქსოვილები უკვე გახრწნილი ჰქონდა. საქართველოს მთავრობა თავად იყო ვალდებული, მიემართა სასამართლოსთვის შუამდგომლობით, რომ მოეხდინათ სასჯელის გადავადება, მაგრამ არათუ თვითონ არ მიმართეს, დაცვის მხარის შუამდგომლობაც არ დააკმაყოფილეს. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ასეთი მძიმე ავადმყოფი არ არსებობდა.

**— საერთოდ ხდება სასჯელის გადავადება მსჯავრდებულებისთვის?**

— უამრავი შემთხვევა არსებობს, მაგრამ — მხოლოდ იმ პირებზე, რომელთა მიმართაც სახელმწიფოს ინტერესი არსებობს. ევროპულ სასამართლოსაც დეტალურად შევატყობინე ამის შესახებ და დავუსახელე კონკრეტული გვარები, რომელთა მიმართაც იყო გამონაკლისი დაშვებული და გადავადებულ იქნა სასჯელი. მაგალითად შემიძლია მოვიყვანო მიმინოშვილის ფაქტი. ორ-ორჯერ აქვს მიმართული ზოგ შემთხვევაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტს სასამართლოსთვის შუამდგომლობით ერთი და იმავე პიროვნებისთვის სასჯელის გადავადებაზე. **ერთხელ გაუშვეს ერთ-ერთი პიროვნება, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარის — ბაჩო ახალაიას შუამდგომლობით, წელიწადისა და რამდენიმე თვის შემდეგ მან ჩაიდინა ახალი დანაშაული და ისევ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სასჯელის გადავადება. ანალოგიურად გაათავისუფლეს „ტყის ძმების" მეთაური — დავით შენგელია და ა.შ. უამრავი გვარის დასახელება შეიძლება.**

**სასამართლო ავტომატურად უკმაყოფილებს სასჯელაღსრულების დაწესებულებას სასჯელის გადავადების მოთხოვნას, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, საშუალო სიმძიმის ავადმყოფობაა დადგენილი. ნიკოლოზ მჭედლიშვილის მიმართ კი ასეთ დისკრიმინაციულ მიდგომას ახორციელებდნენ. ანალოგიური მიდგომა აქვთ დენიზ ყვარელაშვილისა და სხვა პატიმრების მიმართ.**

ჩემს წარმოებაში არსებულ ოცამდე საქმეზე ევროპულ სასამართლოში დამთავრებულია განხილვა. იმედია, რომ სხვათა სიცოცხლეც ლეტალურად არ დამთავრდება და დროულად იქნება გადაწყვეტილება მიღებული. ამ ეტაპზე უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება ტუბერკულოზით დაავდებულთა ქსნის სამკურნალო დაწესებულებაში ზაქარია ქიტიაშვილი, რომელიც სასჯელაღსრულებით დაწესებულბაში დაავადდა და მისი მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდება.

ტუბერკულოზი, გარდა იმისა, რომ თავისთავად უმძიმესი დაავადებაა, ყველაფერზე მოქმედებს და ყოველწუთიერად მოსალოდნელია ლეტალური შედეგის დადგომა. მარტო წამლების მიწოდება არ არის ეფექტური, მას სჭირდება სპეციფიკური მკურნალობა, რომელიც ფსიქო-ემოციურ გარემოზეც არის დამოკიდებული და ა.შ. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კი დღეს რა სიტუაცია და რა არაადამიანური და ღირსების შემლახავი მდგომარეობაა, ყველასთვის ცნობილია.

**ასევე, ძალიან მძიმეა დენიზ ყვარელაშვილის მდგომარეობა და შეიძლება ნებისმიერ წუთს დადგეს ლეტალური შედეგი. ამ ადამიანს წამლებსაც კი არ აწვდიან. ოჯახს მიაქვს მედიკამენტები მისთვის, მაშინ, როდესაც კანონით ევალება სასჯელაღსრულების სამინისტროს, მისი მკურნალობა უზრუნველყოს. გარდა მედიკამენტებისა, გულის დაავადების მქონე ადამიანს სპეციალიზირებულ დაწესებულებაში მკურნალობა და კარდიოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა სჭირდება, მეჩვიდმეტე დაწესებულებას კი, სადაც ის იმყოფება, კარდიოლოგი საერთოდ არ ჰყავს.**

**26 წლის ვალერიან ბალიაშვილს არ აქვს ერთი თირკმელი, მეორე კი დაზიანებული აქვს. მისი საქმე ევროპის სასამართლოში აპრილში გავაგზავნე, ადგილობრივ სასამართლოსაც მივმართავ, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს მისთვის თირკმლის გადანერგვა, რადგან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, განსაზღვრულია, რომ მის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე, თუ დროულად არ მოხდება თირკმლის გადანერგვა.**

უამრავი მსგავსი ფაქტის მოყვანა შემიძლია. ეს ფაქტები განაპირობებს იმას, რომ ყოველდღიურად იზრდება სიკვდილიანობა. ეს სახალხო დამცველმაც აღნიშნა თავის მოხსენებაში. პატიმრები ყოველდღიურად განიცდიან დევნას, შევიწროებას, შეურაცხყოფას, განსაკუთრებით ადმინისტრაციის მხრიდან, რითაც აიძულებენ მათ, გამოიტანონ საჩივარი ევროპული სასამართლოდან. იმედი მაქვს, რომ ევროპული სასამართლო დროულად მიიღებს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, ექნება პრევენციული ხასიათი და საქართველოს მთავრობა აღარ ჩაიდენს მსგავს საქციელს მსჯავრდებულებისა და პატიმრების მიმართ.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

**ბრუკინგსის წინადადებები და მათი განხორციელება დამღუპველია ყველა მონაწილისთვის — მამაცი, მაგრამ მოტყუებული ჯარისკაციდან დაწყებული, ომის დაფინანსებით ჯიბეგამოცარიელებული გადასახადის გადამხდელებითა და განადგურებული ირანელი ხალხით დამთავრებული. ასეთი პოლიტიკის დამფინანსებელი კორპორაციებისთვის ბოიკოტის გამოცხადება ძირს გამოუთხრის მათ ანგარებიან მიზნებს. ხოლო საზოგადოების ინფორმირება იმის თაობაზე, რომ ირანთან კონფლიქტის მთავარ მიზეზს არა უსაფრთხოებაზე ზრუნვა, არამედ კორპორატიული ინტერესები წარმოადგენს, უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა ორივე ქვეყნის მოქალაქეებმა თავიდან აირიდონ ის, რომ ომის მიჯნაზე არ აღმოჩნდნენ.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# «ფერადი რევოლუციების» გზა სპარსეთისკენ

**ომი უკვე დაიწყო. ტოტალური ომი სავარაუდო სცენარია მაშინ, როცა კორპორაციათა კუთვნილი მედია აიძულებს პლებეებს, იმაზე იკამათონ, მიზანშეწონილია თუ არა ირანისთვის ბირთვული იარაღით აღჭურვა და აპირებს თუ არა იგი გენოციდის განხორციელებას ებრაელთა მიმართ (ახლო აღმოსავლეთში, ისრაელის საზღვრებს მიღმა ყველაზე მეტი ებრაელი ირანში ცხოვრობს). დებატები უკვე დასრულდა. ომიც არასაჯაროდ დაიწყო. თუმცა მის დაწყებამდე მავანმა სკრუპულოზურად დაამუშავა მისი განვითარების დეტალები. ეს „მავანი“ კორპორაციათა მიერ მხარდაჭერილი ბრუკინგსის ინსტიტუტია.**




**მოხსენება „გზა სპარსეთისკენ“ 2009 წელს შეადგინა ბრუკინგსის ინსტიტუტმა ირანთან კონფრონტაციის გეგმის სახით. მოხსენების პირველ ფურცლებზე მადლობას უცხადებენ სმიტ რიჩარდსონის ფონდს, რომლის მმართველობის მოქმედი წევრიც ზბიგნევ ბჟეზინსკია.**

სმიტ რიჩარდსონის ფონდი საკვირველად უხვად აფინანსებს გლობალისტთა საყვარელ პროექტებს. თავად ბრუკინგსის ინსტიტუტი საყოველთაოდ ცნობილი გლობალისტური დამფინანსებელი ორგანიზაციების, მათ შორის, კარნეგის კორპორაციის, როკფელერისა და ფორდის ფონდების ნაშიერია. აშშ-ის პოლიტიკას ისეთი ორგანიზაციები აყალიბებენ, როგორიცაა ბრუკინგსის ინსტიტუტი, რომელიც მსოფლიოში უდიდეს კორპორაციათა წევრებისა და ბანკებისგან შედგება. ეს კორპორაციები არათუ დაინტერესებული არ არიან უსაფრთხოებით, არამედ წარმატებით აკეთებენ ბიზნესს ომსა და კონფლიქტებზე, რომლებსაც არასტაბილურობა წარმოშობს.

მოხსენება იწყება გულახდილი განცხადებით, რომ ირანი გეგმების ჩამფუშავი ქვეყანაა, რომელიც ძირს უთხრის ამერიკის ინტერესებს და მის გავლენას ახლო აღმოსავლეთში. მოხსენებაში არსად მოიხსენიება, რომ ისლამური რესპუბლიკა რაიმე პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს თვით აშშ-ის უსაფრთხოებისთვის. სინამდვილეში ირანი აღწერილია როგორც ქვეყანა, რომელიც შეგნებულად გაურბის პროვოკაციებს, რაც მის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის განხორციელებას გაამართლებდა.

ირანის მოქმედებათა მოტივებად დასახელებულია იდეოლოგია, ნაციონალიზმი და უსაფრთხოება, რაც სავსებით გასაგებია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მისგან დასავლეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნები ამჟამად ოკუპირებული არიან შემოჭრილი არმიებით. სწორედ ამაში მდგომარეობს ამერიკის ინტერესები რეგიონში და არა მისი უსაფრთხოება, რომელიც ირანის საშინაო საქმეებში ჩარევას აიძულებს. ეს თემა არაერთგზის მეორდება 156-გვერდიან მოხსენებაში.

## ბირთვული საფრთხე

**მოხსენებაში ნათქვამია, რომ ირანის ხელმძღვანელობა, შესაძლოა, აგრესიულია, თუმცა არა უჭკუო. ბირთვული იარაღი მან შეიძლება უკიდურეს ზომად გამოიყენოს ამერიკისა და თვით ისრაელის შესაძლებლობების გათვალისწინებით.** რეალურ საფრთხეს წარმოადგენს არა ამ იარაღის წარმოება, არამედ ის შემაკავებელი ფაქტორი, რომლის გამოისობითაც ირანს საშუალება ეძლევა, დაუპირისპირდეს ამერიკის გავლენას რეგიონში და არ ეშინოდეს ამერიკის შემოჭრის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თამაშის წესები თანაბრდება და, შესაძლოა, ამერიკას ირანის სახელმწიფო სუვერენიტეტის აღიარება მოუხდეს მის საკუთარ რეგიონულ ინტერესებთან დაკავშირებით.

## ჩვეულებრივი ომის წარმოება ირანთან დღეს შეუძლებელია

## შეგონება

**ბრუკინგსის ინსტიტუტი შენიშნავს — უტიფრად აღიარებს, რომ არანაირ გარემოებაში აშშ-მა ირანს აღმატებული პოზიციის დაკავების საშუალება არ უნდა მისცეს, ისევე, როგორც არანაირი გაურკვევლობა არ უნდა იყოს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხედავს აშშ ირანის როლს რეგიონში.** სავარაუდოდ, სწორედ ასეთმა გეგმებმა მიიყვანა ირანი უკიდურესობამდე თავდაცვის, მისი ინტერესებისა და სუვერენიტეტის დაცვის საკითხებში. „შეგონების“ ეს ვარიანტი, ეტყობა, უკვე მოძველდა და მარცხი განიცადა.

## ტოტალური ომი

**ჩვეულებრივი ომის წარმოება ირანთან დღეს შეუძლებელია. ბრუკინგსის ინსტიტუტში გლობალისტებმა ეს უკვე აღიარეს.** თუმცა მათ მიაჩნიათ, რომ ომის გაჩაღება შეუძლებელი არ იქნება, თუკი ამერიკა „ნამდვილ“ პროვოკაციებს წააწყდება. ბრუკინგსის ექსპერტების თქმით, ვაშინგტონს შეუძლია „გარკვეული ნაბიჯების“ გადადგმა იმის საგარანტიოდ, რომ ასეთ პროვოკაციებს ადგილი ჰქონდეს.

## „ფერადი რევოლუციის“ მხარდაჭერა

**ბრუკინგსის ინსტიტუტი სახალხო რევოლუციის მხარდაჭერის მოწოდებით გამოდის და მას ირანის ხელისუფლების დამხობის „უფრო თვალსაჩინო და მისაღებ მეთოდს“ უწოდებს. ის მოურიდებლად აღიარებს „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა“ როლს ამის მიღწევაში და ირანში ძირგამომთხრელი საქმიანობის დაფინანსების მნიშვნელოვნად გაზრდისკენ მოუწოდებს. რასაკვირველია, აშშ-მა უკვე მიიღო კანონი ირანში თავისუფლების მხარდაჭერის შესახებ და აშკარად აფინანსებს ირანის ოპოზიციურ დაჯგუფებებს ამჟამინდელი ხელისუფლების დამხობის არაორაზროვანი მიზნით. ამ კანონის მიღებას 2009 წლის „მწვანე რევოლუცია“ მოჰყვა, რომლის ჩახშობაც ირანის უშიშროების ძალებმა შეძლეს. ამჟამად ირანში კვლავ მზადდება „მწვანე რევოლუცია“.**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და კორპორაციების მიერ მიერ დაფინანსებული Movements.org-ი თვალყურს ადევნებდნენ და მხარს უჭერდნენ აშშ-ის მიერ დაფინანსებულ ერაყულ ამბოხებას მისი დასაწყისიდანვე. ირანული წარმოშობის ამერიკელი კამერენ აშრაფი, რომელსაც Movements.org-ში უფროს მეცნიერ-თანამშრომელს უწოდებენ, 2009 წლის მოვლენებში მონაწილეობდა. Movements.org-მა ახლახან თავის პირველ გვერდზე განათავსა ინფორმაცია მოსალოდნელი „მწვანე რევოლუციის“ შესახებ, აშშ-ის მიერ მხარდაჭერილმა მუბარაქის რეჟიმის დამხობამ რომ უნდა ასაზრდოოს ეგვიპტეში. ეს ვარიანტი დღეს მართლაც ხორციელდება.

ბრუკინგსის ინსტიტუტის მოხსენებაში, კერძოდ, მოიხსენიება არასტაბილურობის საფრთხე ირანში, როგორც მთავრობისგან დათმობებზე წასვლის მიღების საშუალება. მოხსენებაში აშკარად ჟღერს ირანის ტერიტორიაზე არეულობების მხარდაჭერის მოწოდება და იმ მკაცრ სანქციებთან ერთად, რომლებიც უკვე შემოღებულია ირანის წინააღმდეგ, ეს აგრესიის აშკარა აქტს წარმოადგენს, როგორც უკვე არაერთხელ აღნიშნა კონგრესმენმა რონ პოლმა. ბრუკინგსის ინსტიტუტი, ასევე, სამხედრო ძალის გამოყენების წინადადებას აყენებს მის მიერ ორგანიზებული „ფერადი რევოლუციების“ თანადროულად და აღიარებს, რომ ირანში შიდა უსაფრთხოების კარგად განვითარებული ორგანოები არსებობს. ეს არ მოუმოქმედებიათ 2009 წელს, მაგრამ ეს გასათვალისწინებელი და საყურადღებოა ყოველ ჯერზე, როცა ქუჩებში „მწვანე რევოლუციონერები“ გამოდიან“.

## ნამდვილი ტერორიზმის მხარდაჭერა

**მოხსენებაში დემონსტრირებული მოურიდებელი კვეხნის მიუხედავად, არც ერთი მისი ნაწილი ისეთი შოკისმომგვრელი არაა, როგორც თავი, სახელწოდებით „ამბოხის შთაგონება“. ბრუკინგსის ინსტიტუტი აშკარად მხარს უჭერს სრულმასშტაბიანი შეიარაღებული ამბოხის პროვოცირებასა და დაფინანსებას.** კერძოდ, მოხსენებაში ნახსენები არიან არაბი სეპარატისტები, ჩრდილოელი ქურთები და ქვეყნის აღმოსავლეთით მობინადრე მეამბოხე-ბელუჯები, როგორც ამერიკის დახმარების პოტენციური მიმღებნი მათ მიერ ირანელი ხალხის მიმართ შეიარაღებული ტერორის კამპანიის განსახორციელებლად. ცსს მათი აღჭურვითა და წვრთნით უნდა დაკავდეს მაშინ, როცა ბრუკინგსის ინსტიტუტის წინადადებით, უნდა განიხილონ უფრო პირდაპირი სამხედრო მხარდაჭერის ვარიანტებიც.

**თვალსაჩინოა, რომ ბრუკინგსის წინადადებები და მათი განხორციელება დამღუპველია ყველა მონაწილისთვის — მამაცი, მაგრამ მოტყუებული ჯარისკაციდან დაწყებული, ომის დაფინანსებით ჯიბეგამოცარიელებული გადასახადის გადამხდელებითა და განადგურებული ირანელი ხალხით დამთავრებული. ასეთი პოლიტიკის დამფინანსებელი კორპორაციებისთვის ბოიკოტის გამოცხადება ძირს გამოუთხრის მათ ანგარებიან მიზნებს. ხოლო საზოგადოების ინფორმირება იმის თაობაზე, რომ ირანთან კონფლიქტის მთავარ მიზეზს არა უსაფრთხოებაზე ზრუნვა, არამედ კორპორატიული ინტერესები წარმოადგენს, უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა ორივე ქვეყნის მოქალაქეებმა თავიდან აირიდონ ის, რომ ომის მიჯნაზე არ აღმოჩნდნენ.**

PEREVODIKA.RU

2011 წლის 13 თებერვალი

## ირანი შეგნებულად გაურბის პროვოკაციებს, რაც მის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის განხორციელებას გაამართლებდა

მოკლედ

## იაპონია ბირთვულ რეაქტორებს გააჩერებს

**მომავალი წლის აპრილისთვის, შესაძლოა, იაპონიის 54-ვე ენერგეტიკულმა ბირთვულმა რეაქტორმა მუშაობა შეწყვიტოს.** მათ მუშაობას იმ რაიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ეწინააღმდეგებიან, სადაც ელექტროსადგურებია განთავსებული. მოვლენების ამგვარად განვითარების შემთხვევაში, ქვეყანას ატომური ელექტროსადგურებისთვის საწვავის შესაძენად დამატებით 40 მილიარდი დოლარის დახარჯვა მოუწევს.



## თურქეთი კადაფის ხელშეუხებლობას ჰპირდება

**იმ შემთხვევაში, თუ კადაფი ხელისუფლებაზე უარს იტყვის და ლიბიის დატოვებას გადაწყვეტს, თურქეთი ლიბიის ლიდერს ხელშეუხებლობას ჰპირდება.** „როგორც ჩანს, მუამარ კადაფის სხვა გზა არ აქვს, თუ არა ლიბიის დატოვება და იმ გარანტიებით სარგებლობა, რომლებიც მიეცა. ჩვენ მას გადავეცით, რომ მზად ვართ, ხელი შევუწყოთ იმ ქვეყანაში გასამგზავრებლად, რომელსაც თავად აირჩევს“, — განაცხადა ერდოღანმა.

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



## საჭმლის ფული თუ დარჩათ?

**ეთიოპიამ „Укрспецэкспорт“-თან კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმად 100 მილიონ დოლარად 200 ძირითად საბრძოლო ტანკ „T-72“-ს შეიძენს.** ეს თანხა ეთიოპიის სამხედრო ბიუჯეტის მეოთხედს შეადგენს. ექსპერტები ტანკების ასეთი მსხვილი პარტიის შეძენას რეგიონში ვითარების დაძაბვას უკავშირებენ.

მოკლედ

## იმედია, არ ავჩქარდებით



**„საქართველო ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში დამატებით ბატალიონს მომავალ წელს გააგზავნის,“** — განუცხადეს „Civil.ge“-ს თავდაცვის სამინისტროში. სამინისტროს ცნობით, ამ თემაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ და ნატოს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (ISAF) სარდალმა დევიდ პეტრეუსმა ბრიუსელში 9 ივნისს გამართულ შეხვედრაზე ისაუბრეს.

## შიში ოხერია და სწრაფად დაფრინავს



**აშშ-ს საზღვაო ძალებმა საგანგებოდ შეიძინეს 7 ზებგერითი სამიზნე „GQM-163A Coyote“ (თითოეულის ფასი 3,9 მილიონი დოლარია), რათა მათ ხომალდებზე რუსული ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების — „3M-54 Klub“-ის იერიშის „რეალისტური მოდელირება“ მოახდინონ.** ამერიკელი მეზღვაურები მიიჩნევენ, რომ ეს მათთვის ყველაზე პრობლემური რაკეტაა; ის ჯერ ზემცირე 30 მეტრის სიმაღლეზე მიფრინავს, შემდეგ კი მიზნამდე დარჩენილ ბოლო 15 კილომეტრს 20 წამში ფარავს, რაც მის განეიტრალებას ძალზე ართულებს.

## ერთი პლანეტისთვის ეს მეტისმეტია



**სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემების შესწავლის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა სტატისტიკა ბირთვული შეიარაღების შესახებ.** ის მნიშვნელოვნად განსხვავდება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო მონაცემებისგან, რომლის მიხედვით ამერიკელები თითქოსდა ლიდერობენ. შვედი მეცნიერების მონაცემებით, რუსეთს აქვს 10997 ბირთვული ქობინი, რომელთაგან გასაშვებად მზად 2427-ია, აშშ-ს — 8500 ქობინი, რომელთაგან მზად 2150-ია. 290 ქობინი აქვს საფრანგეთს, 200-ზე მეტი — სჩინეთს, 160 — დიდ ბრიტანეთს, დაახლოებით 110 — ინდოეთსა და პაკისტანს, 80 კი — ისრაელს.

## ვიკინგები დაიღალნენ



**ნორვეგია 1 აგვისტოდან ლიბიის ოპერაციაში მონაწილეობის შეწყვეტას აპირებს.** მანამდე კი, ნორვეგიის თავდაცვის მინისტრის — გრეტე ფარემოს ცნობით, ოპერაციაში მონაწილე „F-16“-ის რაოდენობას 6-დან 4-მდე შეამცირებს. ბოლო 2 თვის განმავლობაში ნორვეგიულმა გამანადგურებლებმა კოალიციის ავიაციის საბრძოლო გაფრენების 10% განახორციელეს.

# მესამე თაობის ავტომატური შაშხანა: განვითარების ტენდენციები



**ბოლოდროინდელ ომებში ინდივიდუალური ავტომატური იარაღის გამოყენებამ აჩვენა, რომ დასავლური ქვეყნების შეიარაღებაზე მყოფი მოდელები მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს ბოლომდე არ პასუხობს. ეს უამრავ ასპექტს ეხება: უსაფრთხოების ხარისხს, ერგონომიკას, ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ სირთულეებს, სროლის სიშორეს და ა.შ. ძველი მოდელების მოდერნიზაციამ ეს პრობლემები ბოლომდე ვერ მოხსნა, ამან შეიარაღების წამყვანი მწარმოებლების გააქტიურება და ბაზარზე ახალი საინტერესო ნიმუშების გამოჩენა გამოიწვია. რა ტენდენციებზე მიანიშნებს წამყვანი ევროპელი მწარმოებლების მიერ ბოლო დროს შექმნილი ნიმუშები?**

ბელგიური „FN Herstal“-ის ინდივიდუალური ავტომატური იარაღის „ოჯახი“ „SCAR“-ის ახალი მოდელებით შეივსო. ერთ-ერთი მათგანი 5,56 მმ ავტომატური შაშხანა „IAR“-ია. გარეგნულად ის ძალიან ჰგავს შაშხანას „SCAR L/Mk 16“, თუმცა საკმაოდ ორიგინალური ავტომატიკა აქვს. ომმა ავღანეთში კიდევ ერთხელ დაამტკიცა ძველი ჭეშმარიტება: იარაღი ინტენსიური სროლის დროს ხურდება და მწყობრიდან გამოდის. „IAR“-ს კი მსხვილი, მასიური ლულა და გახურებული იარაღიდან სროლის საგანგებო რეჟიმი აქვს. შაშხანის წონა (ვაზნების გარეშე) 5,08 კილოგრამია; სროლის ტემპი 650 გასროლა წუთში.

**მიუხედავად იმისა, რომ დღეს დომინირებს აზრი იმის შესახებ, რომ სნაიპერულ შაშხანას ავტომატიკა არ სჭირდება, „Herstal“-ის კონსტრუქტორებმა „SCAR H/Mk 17“-ის ბაზაზე (7,62 ხ 51 მმ.) სნაიპერული შაშხანა „SSR“ („Sniper Support Rifle - სნაიპერის მხარდაჭერის შაშხანა) შექმნეს. მისი წონა 5,04 კილოგრამია, ლულის სიგრძე — 508 მმ, მჭიდში 10-20 ტყვიაა. ეს ერთ-ერთი პირველი შემთხვევაა, როდესაც სპოტერისთვის საგანგებო, მისი ფუნქციებისადმი ადაპტირებული შაშხანა იქმნება.**

უნდა აღინიშნოს, რომ **ბოლო დროს „მწყობრში“ სრულყოფილი ავტომატური შაშხანა ბრუნდება, ამის მაგალითი არა მხოლოდ ბელგიური „SCAR-H/Mk 17“-ია, არამედ გერმანული „ნჰ417“ და შვეიცარიული „SIG SAPR 751“.** ეს უკანასკნელი 7,62 ხ 51 მმ. ვაზნისთვის შვეიცარიული „SIG SG 50“-ის ბაზაზე შეიქმნა. სროლა ამ შაშხანიდან შესაძლებელია ნახევრადავტომატურ და ავტომატურ რეჟიმში, მათ შორის ფიქსირებული 3-გასროლიანი ჯერით, დასაკეცი კონდახი პლასტიკურია, მჭიდში 20 ვაზნაა, სროლის ტემპი — 700 გასროლა წუთში, ლულის სიგრძე — 417 მმ., საერთო სიგრძე — 962 მმ., წონა მჭიდის გარეშე — 3,725 კგ.

საერთოდ კი, **ბოლო დროს საუბარი ცალკე აღებულ ავტომატურ შაშხანაზე უფრო იშვიათია, ვიდრე ერთიან კომპლექსზე, რაშიც შაშხანა და ყუმბარმტყორცნი შედის.** ასეთია „Beretta“-ს „ARX160/GLX160, რომელიც 5,56 მმ. ავტომატური შაშხანისგან და 40 ხ 46 მმ. ყუმბარმტყორცნისგან შედგება. კომპლექსს მოდულური არქიტექტურა აქვს, რაც შესაძლებელს ხდის რიგი დეტალების გამოცვლას და 5,56 ხ 45 მმ., 5,45 ხ 39 მმ., 7,62 ხ 39 მმ., და 6,8 ხ 43 მმ. ვაზნების გამოყენებას, შესაძლებელია ლულის სწრაფი გამოცვლაც (406 მმ. ან 305 მმ.). შაშხანას ოთხი უნივერსალური სამაგრი აქვს. პოლიმერების ფართო გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეამცირა შაშხანის წონა: 305 მმ. ლულით (მჭიდის გარეშე ის 3 კილოგრამს იწონის (+1 კგ. ყუმბარმტყრცნი). „ARX160/GLX160“ იტალიური ქვეითის საბრძოლო კომპლექსის „Soldato Futuro“ („მომავლის ჯარისკაცი“) ძირითადი ელემენტია.

2011 წლიდან დაიწყო ჩეხეთის სახმელეთო ძალების გადაიარაღება ჩეხური წარმოების 5,56 მმ. ავტომატურ შაშხანაზე „CZ 805 BREN“-ი. მისი მასა მჭიდის გარეშე 3,58 კილოგრამია, სროლის ტემპი — 760 გასროლა წუთში. შესაძლებელია 360 მმ. და 277 მმ. ლულის გამოყენება, კონდახის მოხსნა, ოთხ სხვადასხვა პოზიციაზე დაყენება და დაკეცვა. 30-ვაზნიანი მჭიდი გამჭვირვალე პლასტიკისგანაა დამზადებული, შესაძლებელია „M16/M4“ მჭიდების გამოყენებაც; საგანგებოდ ამ შაშხანისთვის შეიქმნა ყუმბარმტყორცნი „TCZ 805 G1“.



გერმანული „HK416“ კი ნამდვილი „იარაღი-კონსტრუქტორია“, მას ლულის ოთხი ვარიანტი აქვს. რაც ყველაზე საინტერესოა, „HK416“-ს დეტალების კომპლექტი შეიძლება გამოყენებულ იქნას „ს16“ და „V14“ სერიის იარაღის მოდერნიზაციისთვის; ეს, ალბათ, მოდულური პრინციპის აპოთეოზია.

ჩამოთვლილი ნიმუშები, აგრეთვე, ბელგიური „FN F2000“ და ავსტრიული „Streyr AUG A3“ ნათლად მიუთითებს, რომ რამდენიმე წლის წინათ პოპულარი „ბულპაპის“ არქიტექტურა ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა. ტექნიკური გადაწყვეტილებების იდენტურობა კი მიანიშნებს იმაზე, რომ მე-3 თაობის ავტომატური შაშხანის „სახე“ უკვე ჩამოყალიბებულია. აღსანიშნავია, რომ ამ თაობის ყველა მოდელში ოპტიკური სამიზნე გამოიყენება როგორც ძირითადი, ხოლო მექანიკური (თუ საერთოდ არის) — მხოლოდ როგორც დამხმარე. პრაქტიკულად, ყველა სამიზნეს ღამის ხედვის მოდულთან თავსებადობის რეჟიმი აქვს.

ამასთანავე, **აშკარად გამოიკვეთა ინტეგრირებული ოპტიკო-ელექტრონული კომპლექსის შექმნის ტენდენცია, რომელიც ყუმბარმტყორცნიდან სროლას უზრუნველყოფს.** ასეთი კომპლექსის მაგალითად შეგვიძლია, იმავე „Herstal“-ის „FCU 850-N“-ი განვიხილოთ. ეს ხელსაწყო სამიზნის კოორდინატებს ადგენს და გასროლის კუთხის გამოთვლას ახდენს. მის მეხსიერებაში შეიძლება 50 ტიპის ყუმბარის მახასიათებლები ჩაიტვირთოს; მისი წონა (ბატარეების გარეშე) 0,53 კილოგრამია. ამასთანავე, გამოიკვეთა კიდევ ერთი მიმართულება, რომელიც შაშხანასთან ინტეგრირებული ყუმბარმტყორცნების განვითარებასა და გამოყენების პრაქტიკაზე, სავარაუდოდ, სერიოზულ გავლენას მოახდენს. ყუმბარები, როგორც ცნობილია, იყოფა დაბალსიჩქარიანებად (40 ხ 46 მმ.; სროლის სიშორე — 400 მ.) და მაღალსიჩქარიანებად ავტომატური ყუმბარმტყორცნებისთვის (40 ხ 53 მმ.; სროლის სიშორე — 2000 მ.).

არცთუ დიდი ხნის წინათ სამხრეთაფრიკულმა „Rippel Effect“-მა შექმნა შუალედური 40 ხ 51 მმ. ყუმბარა, მაგრამ მათ გამოყენებას სპეციალური ყუმბარმტყორცნი სჭირდებოდა. ამ გადაწყვეტილების კვალობაზე სინგაპურულმა „ST Kinetics“-მა შექმნა საკუთარი შუალედური ყუმბარა, მსოფლიოში გავრცელებული 40 ხ 46 მმ. ყუმბარმტყორცნებისთვის, სროლის სიშორე 600 მეტრამდე გაიზარდა, რაც დღევანდელი სტანდარტული ინტეგრირებული ყუმბარმტყორცნების სროლის სიშორეს 1,5-ჯერ აღემატება და ეს, სავარაუდოდ, მხოლოდ დასაწყისია.

**რაც უფრო შორს მივდივართ, ინდივიდუალური ავტომატური იარაღი სულ უფრო ემსგავსება კონსტრუქტორს, ერთგვარ „ყუთს დეტალებით“, რომლიდანაც მებრძოლი, ამოცანებიდან გამომდინარე, იარაღის სასურველ კონფიგურაციას თავად ქმნის; ეს ტენდენცია, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაძლიერდება.**





## «Chinook»-ს მალე გაათურქებენ

**თურქეთი ექვს ამერიკულ მძიმე სატრანსპორტო ვერტმფრენ „CH-47F Chinook“-ს იყიდის და მათში, სავარაუდოდ, 300 მილიონ დოლარს გადაიხდის.** „Hurriyet“-ი წერს, რომ ვერტმფრენები თურქეთში მოდერნიზაციას გაივლიან და მათზე თურქული წარმოების აპარატურას დააყენებენ, თუმცა არ აკონკრეტებს, რომელი კომპანია დაკავდება ამით.

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# სად მიფრინავს წყალქვეშა ნავი?

**თვითმფრინავისა და წყალქვეშა ნავის საბრძოლო შესაძლებლობების შერწყმას კონსრუქტორები, უკვე 100 წელია, ცდილობენ.
ამ პროცესში ორი მიმართულება გამოიკვეთა:
ა) ავიამზიდი სუბმარინის შექმნა;
ბ) თვითმფრინავისა და სუბმარინის სიმბიოზის შედეგად „მფრინავი წყალქვეშა ნავის“ შექმნა.**

პირველ ეტაპზე, ცხადია, ავიამზიდი სუბმარინის კონცეფცია დომინირებდა. ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის დროს გერმანელები მუშაობდნენ კომპაქტური ჰიდროპლანების შექმნაზე, რომელთაც სტარტის ადგილამდე წყალქვეშა ნავები გადაიტანდნენ. 1919-ში მწყობრში შევიდა ბრიტანული „HMS M2“, რომლიდანაც შესაძლებელი გახდა მცირე ჰიდროპლანის გაშვება, 10 წლის შემდეგ კი — ფრანგული „Surcouf“-ი ანალოგიური შესაძლებლობებით. ორივე ავარიის შედეგად განადგურდა: ბრიტანული — 1932-ში, ფრანგული კი 1942-ში, თუმცა მან II მსოფლიო ომის ერთ საბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობის მიღება მოასწრო. აშშ-ს და მესამე რაიხს ამ თემისადმი მაშინ განსაკუთრებული ყურადღება არ გამოუვლენია, რაც შეეხება სსრკ-ს, იქ შემუშავდა ფრანგულ-ბრიტანული სუბმარინების მსგავსი პროექტი „41თ“, თუმცა მისი რეალიზება არ მომხდარა.

**ერთადერთი ქვეყანა, სადაც ავიამზიდი სუბმარინის იდეას დიდი ენთუზიაზმით მოეკიდნენ, იაპონია იყო. იქ ავიამზიდი სუბმარინების ცხრა პროექტი შეიქმნა.** აშშ-ს ტერიტორიის ერთადერთი საჰაერო დაბომბვა ისტორიაში, 1942 წლის სექტემბერში იაპონური წყალქვეშა ნავიდან „I-25“ გაშვებულმა ჰიდროპლანმა განახორციელა. მან ორეგონის შტატში ტყის მასივში ორი 76-კილოგრამიანი ბომბი ჩამოაგდო, რათა ტყის ხანძარი გამოეწვია. ამ მიზნის მიღწევა ვერ მოხერხდა, თუმცა გარკვეული ფსიქოლოგიური ეფექტი ამ დაბომბვამ მაინც იქონია. თუ პირველი პროექტების იაპონურ ავიამზიდ სუბმარინებს მხოლოდ ერთი მსუბუქი მზვერავი ჰიდროპლანის გადატანა შეეძლო, ბოლო ორი პროექტი „I-400“ და „AM“ გაცილებით მძიმე ბომდამშენების — „Aichi M6A Seiran“-ების ტრანსპორტირებისთვის შეიქმნა. დიზელური „I-400“ 120 მეტრის სიგრძისა და 12 მეტრის სიგანის იყო; ეკიპაჟი — 144 მეზღვაური, სიჩქარე — 18 კვანძი, წყალწვა — 6500 ტონა, მაქსიმალური სიღრმე — 100 მ., სვლის მარაგი — 6500 კმ. შეიარაღება: ერთი 140 მმ. და სამი 25 მმ. ქვემეხი, 8 სატორპედო აპარატი. რაც მთავარია, სუბმარინის ბორტზე იყო 3 თვითმფრინავი „M6A Seiran“, რომელსაც ორი 250-კილოგრამიანი ან ერთი 800-კილოგრამიანი ბომბის, ან კიდევ ერთი 850-კილოგრამიანი ტორპედოს გადატანა შეეძლო. მისი ფრენის სიშორე 1200 კილომეტრი იყო, თვითმფრინავისა და კამიკაძე-მფრინავის უკან დაბრუნება გათვალისწინებული არ იყო.

**1945 წლის მაისში ოთხი „I-400“-ის ტიპის სუბმარინისგან შემდგარი შენაერთი გულმოდგინედ ემზადებოდა რეიდისთვის პანამის არხზე, თუმცა სარდლობისთვის ცხადი შეიქმნა, რომ ამ ოპერაციამ ყოველგვარი სტრატეგიული აზრი დაკარგა. 25 ივნისს ამ შენაერთს ატოლ ულიტისთან ამერიკულ ავიამზიდებზე იერეშის მიტანა უბრძანეს, შემდეგ ოპერაცია 17 აგვისტოსთვის გადაიდო. ამასობაში იაპონიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. ფლაგმანის კაპიტანმა თავი მოიკლა, თვითმფრინავები და სხვა შეიარაღება ოკეანეში გადაყარეს. შემდეგ ეს სუბმარინები ამერიკელების ხელთ აღმოჩნდა, ისინი ჰავაიზე შესასწავლად გადაიტანეს, თუმცა 1946 წლის მაისში სასწრაფო წესით ჩაძირეს, მას შემდეგ, რაც სსრკ-მა ყოფილ მოკავშირეს მოსთხოვა, სუბმარინის შესწავლის შესაძლებლობა მისი კონსტრუქტორებისთვისაც მიეცა.**

მფრინავი წყალქვეშა ნავი. უშაკოვის მოდელი. სსრკ





ამერიკული CORMORANT (მოდელი)



ომის შემდეგ ინტერესმა წყალქვეშა ავიამზიდების მიმართ იკლო. მართალია, 50-იან წლებში ამერიკელები მუშაობდნენ რეაქტიულ ჰიდროთვითმფრინავ „Convair F2Y Sea Dart“-ზე, რომლის ბაზირება სუბმარინებზეც უნდა მომხდარიყო, თუმცა საკმაოდ უხეირო პროტოტიპების შექმნის გარდა (ერთ-ერთი მათგანი ჰაერში დაიშალა; პილოტი დაიღუპა), რაიმე ღირსშესანიშნავ შედეგებს ვერ მიაღწიეს. 1957-ში ეს პროგრამა დახურეს.

**დღეს „ავიამზიდ სუბმარინებზე“ აღარ საუბრობენ. წამყვანი ქვეყნების კონსტრუქტორები მხოლოდ „ჩვეულებრივი“ წყალქვეშა ნავებიდან გასაშვებ უპილოტო საფრენ აპარატებზე მუშაობენ. ერთ-ერთი მაგალითი ამ მხრივ, „CORMORANT“-ია, რომელსაც „LOCKHEED MARTIN“-ი ქმნის.**

რაც შეეხება განვითარების მეორე მიმართულებას, „მფრინავ სუბმარინას“, აქ პირველობა საბჭოთა კავშირს ეკუთვნის. 1934-38 წლებში მის შექმნაზე კონსტრუქტორი ბორის უშაკოვი მუშაობდა. მისი აპარატის მთავარი დანიშნულება ღია ზღვაში მოწინააღმდეგის ხომალდებზე სატორპედო იერიშის მიტანა იყო (აღმოჩენა ჰაერიდან, შემდეგ წყალქვეშა რეჟიმში გადასვლა იერიშისთვის), აგრეთვე, შეღწევა მოწინააღმდეგის საზღვაო ბაზების აკვატორიაში, რაც ჩვეულებრივი სუბმარინისთვის ნაღმებისა და საპატრულო ხომალდების გამო რთულია. უშაკოვის პროექტი ბევრ რევოლუციურ გადაწყვეტილებას შეიცავდა, მაგრამ 1938-ში ის დახურეს. მიზეზად წყალქვეშა მდგომარეობაში არასაკმარისი სიჩქარე და აპარატის საეჭვო ტაქტიკური ღირებულება დასახელდა. ეს თემა თითქოსდა წარსულს ჩაბარდა, თუმცა...

**1963 წელს კალიფორნიის ნაპირებთან წყალში უცნაური ობიექტი გამოჩნდა, რომელიც მალევე ცაში აფრინდა. უფოლოგები დღემდე თვლიან, რომ ეს „მფრინავი თეფში“ იყო, თუმცა თეთრი სახლის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ახალი საბჭოთა საბრძოლო აპარატია, ჩარლზ ბრაუნის თქმით კი, რომელიც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სპეციალური გამოძიებების სამმართველოში მუშაობდა, ამერიკელი სამხედროები ერთმნიშვნელოვნად განიხილავდნენ ამ ობიექტს, როგორც საბჭოთა საბრძოლო აპარატს და დაზვერვა სერიოზულად დაიტუქსა იმისთვის, რომ მისი შექმნის შესახებ არაფერი იცოდა. ამის შემდეგ ფართოდ გავრცელდა ვერსია, რომ ეს უშაკოვის გაუმჯობესებული აპარატი იყო და ომის შემდეგ მოსკოვმა 1938-ში დახურული პროექტის რეანიმირება მოახდინა.**

ფაქტი კი ისაა, რომ სწორედ ამ პერიოდში ამერიკელების ინტერესი „მფრინავი სუბმარინების“ მიმართ მკვეთრად გაიზარდა. თავისთავად ოპერატიული იდეა თამამი და ორიგინალური იყო: კასპიის, არალისა და აზოვის ზღვებში გარღვევა, სადაც საბჭოელები ამერიკულ სუბმარინებს არანაირად არ მოელოდნენ. მაგრამ იდეა ერთია, რეალიზება კი სულ სხვა რამ, „მფრინავი სუბმარინის“ — „Conveir“-ის დაფინანსების პროგრამა საბიუჯეტო სახსრების ეკონომიაზე მზრუნველმა სენატორებმა იმსხვერპლეს, „Commander-2“-ს კი ჩაყვინთვის შემდეგ აფრენა პრინციპში აღარ შეეძლო. ის, ფაქტობრივად, „ერთჯერადი“ იყო, რამაც სამხედროების ინტერესი მისდამი ნულს გაუტოლა.

**მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური პრობლემები დღეს გადაულახავი ჩანს და მოქმედება წყალქვეშ და ჰაერში აბსოლუტურად განსხვავებულ ტაქტიკურ-ტექნიკურ მახასიათებლებს მოითხოვს, სამხედრო ევოლუციის ეს მიმართულება ჩიხურად, ალბათ, მაინც არ უნდა ჩავთვალოთ, რადგან ტექნოლოგიების განვითარება კონსტრუქტორებს სულ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს.**

ბრიტანული სუბმარინა HMS M2



იაპონური M6A1 SEIRAN



## გაფრაზებული



**გრიგორი კარასინი,**
**რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე:**

მოსკოვი მზადაა, განიხილოს თბილისის ხელთ არსებული ფაქტები, თითქოსდა რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოში ტერაქტებს ამზადებდნენ. მთავარია, ეს არ იყოს გამოგონილი ფაქტები, არამედ – სერიოზული მასალები, რომლებიც პროფესიონალურ ანალიზს დაექვემდებარება.

*georusparitet.com*



**პიერ მორელი,**
**ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი:**

კავკასიაში ვითარების ესკალაციის საფრთხე არსებობს. ვითარება, უსაფრთხოების თვალსაზრისით, სტაბილური ჩანს, მაგრამ გათვლა რთულია და არსებობს სახიფათო ესკალაციის პოტენციალი იმ მოვლენებისა და ინციდენტების გამო, რომლებიც შეშფოთებას იწვევს. გვაშფოთებს ორწელიწადნახევრიანი მუშაობის შემდეგ ბოლო პერიოდში მომხდარი ინციდენტები. ვითარება ყველა მხარის ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს, რათა რეგიონში შექმნილი დაძაბულობა შემცირდეს.

*dw-world.de*



**ალექსანდრე ლუკაშევიჩი,**
**რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი:**

ამიერკავკასიის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისადმი მიძღვნილი ჟენევის მოლაპარაკებები ადასტურებს, რომ საქართველო არ ცდილობს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობები მოაგვაროს. ქართული მხარე, სამწუხაროდ, არ აყენებს არანაირ კონსტრუქციულ წინადადებებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების დასარეგულირებლად და სულ უფრო მიისწრაფვის პროპაგანდისტული რიტორიკისკენ.

*civil.ge*



**ედუარდ კოკოითი,**
**სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი:**

ჩვენ არ გავსულვართ ქართული საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან, რამდენადაც მის შემადგენლობაში არასოდეს ვყოფილვართ. ჩვენ ყოველთვის ვისწრაფვოდით, რუსული ეკლესიის გვერდით ვყოფილიყავით და ამიტომ რუსეთის საპატრიარქოს მხარდაჭერის იმედი გვქონდა. ჯერჯერობით მნიშვნელოვნად და სწორად ვთვლი ალანიის ეპარქიის სტატუსის შენარჩუნებას, რათა ვილაც თვითმარქვიებმა თავი მის მემკვიდრედ არ გამოაცხადონ.

*osradio.ru*

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**სსრკ-ზე თავდასხმამდე გერმანიამ შექმნა მოკავშირეთა ბლოკი, რომელშიც შედიოდა იტალია, ფინეთი, რუმინეთი, უნგრეთი, მათთან ერთად — ბულგარეთი, სლოვაკია, ხორვატია. ფაშისტურ გერმანიასთან თანამშრომლობდა საფრანგეთი ვიშის მთავრობის სახით, ესპანეთი, პორტუგალია და თურქეთი. აღმოსავლეთისკენ შეტევის განსახორციელებლად ემზადებოდა ბლოკი, რომელიც თითქმის მთელი ევროპის სამხედრო და ეკონომიკურ პოტენციალს ეყრდნობოდა.**

# ისტორიის ჰიტლერულ-გებელსური ვერსიის მეორე სიცოცხლე

**ეუთოს მიერ მიღებული თეზისი იმის თაობაზე, რომ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში ერთნაირად დამნაშავეა როგორც ფაშისტური გერმანია, ასევე სსრკ, ვერავითარ კრიტიკას ვერ გაუძლებს, თუ ბერლინისა და მოსკოვის სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებს შევადარებთ ერთმანეთს.**
**თუ გერმანული გეგმიდან, რომელიც Drany nach Osten-ის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, ბოლოს და ბოლოს გამოიჩეკა სსრ კავშირის წინააღმდეგ არაპროვოცირებული აგრესია, საბჭოთა გეგმა წმინდა წყლის თავდაცვითი ხასიათისა იყო, რომელიც 22 ივნისმა საერთოდ გააუქმა.**
**დავიწყოთ გერმანიით.**



**საერთაშორისო ტრიბუნალმა განაჩენში ჩაწერა, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმას კანონიერი გამართლების ნიშანწყალი არ გააჩნია. «ეს აშკარა აგრესია იყო»**

## DRANG NACH OSTEN

1940 წლის 18 დეკემბერს ფიურერმა დაამტკიცა „ბარბაროსას გეგმა“, რომელშიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის საერთო ჩანაფიქრი იყო გადმოცემული. გეგმა ბლიცკრიგის თეორიაზე იყო დაფუძნებული. **„გერმანიის შეიარაღებული ძალები,** — აღნიშნული იყო ჰიტლერის დირექტივაში, — **მზად უნდა იყვნენ საბჭოთა რუსეთის გასანადგურებლად ხანმოკლე კამპანიის დროს, მანამდე, სანამ ინგლისის წინააღმდეგ ომი დასრულდება“.**

„ბარბაროსა“ ითვალისწინებდა სწრაფად, მაქსიმუმ ხუთ თვეში წითელი არმიის მთავარი ძალების განადგურებას, რომლებიც თავმოყრილი იყო დასავლეთის საზღვართან, პირველი ბრძოლების შემდეგ ბრძოლისუნარიანობა შენარჩუნებული ჯარების უკანდახევის აღკვეთასა და ვერმახტის მიერ იმ ზღვრამდე მიღწევას, საიდანაც გერმანიის ტერიტორიის დაბომბვა საბჭოთა თვითმფრინავების მიერ შეუძლებელი იქნებოდა. **„რუსეთის სახმელეთო ჯარების ძირითადი ძალები, დასავლეთ რუსეთში რომაა განლაგებული, უნდა განადგურდეს სატანკო კოლონების სწრაფი წამოწევის მეშვეობით განხორციელებული გაბედული ოპერაციების განხორციელების გზით. მოწინააღმდეგის ბრძოლისუნარიანი ჯარების უკანდახევა რუსეთის ტერიტორიის სივრცეებში თავიდან უნდა იქნას აცილებული“,** — მოითხოვდა დირექტივა.

სამხედრო კამპანიის საბოლოო მიზნად დასახული იყო **„დამცავი ბარიერის შექმნა აზიური რუსეთის წინააღმდეგ ვოლგა-არხანგელსკის საერთო ხაზზე“.** ვერმახტის დარტყმის მთავარ სტრატეგიულ ობიექტად შერჩეული იყო ლენინგრადი, მოსკოვი, ცენტრალური სამრეწველო რაიონი, დონბასი. ურალის ინდუსტრიული რაიონის პარალიზება ავიადარტყმებით იყო გათვალისწინებული.

**საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მზადება 1941 წლის 15 მაისისთვის უნდა დამთავრებულიყო. გერმანია გამალებით იკრეფდა ძალებს. 1941 წლის პირველი ნახევრისთვის მას და მის მოკავშირე სახელმწიფოებს შეიარაღებულ ძალებში ჰყავდათ 5 მილიონი კაცი, 47 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 4,4 ათასამდე ტანკი და შეტევის ქვემეხი, 4,4 ათასი თვითმფრინავი.**

სსრკ-ზე თავდასხმამდე გერმანიამ შექმნა მოკავშირეთა ბლოკი, რომელშიც შედიოდა იტალია, ფინეთი, რუმინეთი, უნგრეთი, მათთან ერთად — ბულგარეთი, სლოვაკია, ხორვატია. ფაშისტურ გერმანიასთან თანამშრომლობდა საფრანგეთი ვიშის მთავრობის სახით, ესპანეთი, პორტუგალია და თურქეთი. აღმოსავლეთისკენ შეტევის განსახორციელებლად ემზადებოდა ბლოკი, რომელიც თითქმის მთელი ევროპის სამხედრო და ეკონომიკურ პოტენციალს ეყრდნობოდა.

საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმა დოკუმენტურად მტკიცდება. განვიხილოთ მხოლოდ გადამწყვეტი ეტაპი — 1941 წლის მაის-ივნისის პერიოდი. 7 მაისს სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი გალდერი თავის „სამხედრო დღიურში“ ჩაწერს: **„ოპერაცია „ბარბაროსას“ განსახორციელებლად რკინიგზისა და გზატკეცილების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. „ბარბაროსას“ გეგმის მიხედვით, თავმოყრა: 17 ათასი მატარებელი. ჯარების გადასხმის გადაყვანის შემდეგ დაიწყება რეზერვების გადასხმა“.**

12 მაისს სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის ოპერატიული განყოფილების მაღალი თანამდებობის თანამშრომელი გელენი, რომელიც მალე აღმოსავლეთის ფრონტის საარმიო დაზვერვის ხელმძღვანელად დაინიშნება, გალდერს წარუდგენს მოხსენებას ოპერაცია „ბარბაროსას“ დასაწყებად ჯარების მობილიზების დამთავრების შესახებ. გალდერი მოხსენებას მიაწერს: **„გაკეთებულია ყველაფერი, რაც დასახული გვქონდა“.**

22 მაისს რაიხის სატრანსპორტო არტერიები აღმოსავლეთში ჯარების სტრატეგიული გაშლის დასაჩქარებლად საგანგებო გრაფიკზე გადადის. საბჭოთა კავშირის საზღვრებთან გერმანიის სამხედრო ძალების კონცენტრაციის ჭეშმარიტი მიზნების დასაფარად გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსი, გენერალ-ფელდმარშალი კეიტელი გამოსცემს განკარგულებას ფართო დეზინფორმაციული ოპერაციის მეორე ფაზაზე გადასვლის შესახებ: **„...დეზინფორმაციაში მონაწილე უმაღლესი შტატებისა და სხვა ორგანოების ძალისხმევა უფრო მეტად მიმართულ უნდა იქნას საიმისოდ, რომ ძალთა თავმოყრა ოპერაცია „ბარბაროსას“ დასაწყებად წარმოაჩინოს როგორც დასავლეთელი მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით ჩაფიქრებული მანევრი“.**

**საბჭოთა საზღვრების მიმდებარე რაიონებში ყოველდღიურად აგზავნიდნენ საშუალოდ 300 ეშელონს. ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ასეთი მასშტაბური გადასროლის დაფარვა მხოლოდ დიდი ტყუილით თუ შეიძლებოდა.**

30 მაისს გალდერის დღიურში ასეთი საკვანძო ჩანაწერი გაჩნდა. **„... გადაყვანა გეგმის მიხედვით წარმატებით მიმდინარეობს. ფიურერმა გადაწყვიტა, რომ ოპერაცია „ბარბაროსას“ დაწყების ვადა უწინდელია — 22.6“.**

**5 ივნისს ჰიტლერმა დაამტკიცა სსრკ-ში შეჭრის საბოლოო მოსამზადებელი ღონისძიებები.** 10 ივნისს კი სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა, გენერალ-ფელდმარშალმა ბრაუხიჩმა გასცა განკარგულება ოპერაცია „ბარბაროსას“ დაწყების დროის შესახებ — 1941 წლის 22 ივნისის 3 საათი და 30 წუთი, პირობითი ნიშნით „დორტმუნდი“, რომელსაც ჯარები 21 ივნისის 13:00 საათზე მიიღებდნენ, ნება დაერთვებოდათ, მოეხსნათ ყოველგვარი შენიღბვა და დაუფარავად ემოქმედათ.

20 ივნისს, საღამოს, შტაბებმა მიიღეს ფიურერის მოწოდება გერმანელი ხალხისა და ჯარებისადმი „ბარბაროსას“ გამო. სწორედ ამ მიმართვაში ჩამოაყალიბა ჰიტლერმა თავისი თეზისი გერმანიის ვითომდა იძულებითი მოქმედებების შესახებ:

**„...გაძლიერდა რუსეთის ჯარების კონცენტრაცია გერმანიის აღმოსავლეთ საზღვართან... გერმანიის ვერმახტმა და გერმანულმა სამშობლომ იცის, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ ჩვენს აღმოსავლეთ საზღვართან არ იყო არც ერთი გერმანული სატანკო თუ მოტორიზებული დივიზია... დღეს ჩვენს საზღვართან დგას 160 რუსული დივიზია. უკანასკნელი კვირების განმავლობაში განუწყვეტლივ ირღვევა ეს საზღვარი — არა მარტო ჩვენთან, არამედ შორეულ ჩრდილოეთსა და რუმინეთში... უკვე დადგა ჟამი, როცა აუცილებელია, გავილაშქროთ ომის ებრაულ-ანგლოსაქსური გამჩაღებლებისა და მოსკოვში ბოლშევიკური ცენტრის ებრაელ მბრძანებელთა წინააღმდეგ“.**

შევნიშნავთ, ეს დიდი ტყუილი ლამის ღვთიურ აღტაცებას ჰგვრის იმ იდეის აპოლოგეტებს, რომლებიც ომის დაწყების გამო, მინიმუმ, თანაბარ პასუხისმგებლობას აკისრებენ საბჭოთა კავშირს; მაქსიმუმ კი, მთავარ დამნაშავედ მიიჩნევენ მას.

## და ხვალ იყო ომი

**ახლა კი საბჭოთა კავშირში არსებული ომისწინა მდგომარეობა განვიხილოთ.**

**მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა: 1,9 მლნ კაცი — 1939 წელს, 4,9 მლნ — 1941 წელს, მათი ბრძოლისუნარიანობა შემცირდა. ახალი შენაერთების მოკლე დროში ერთდროულად შექმნამ უარყოფითად იმოქმედა მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზე, საბრძოლო მზადყოფნაზე. ჯავშანსატანკო და მექანიზებული შენაერთების უმეტესობაში განხორციელდა რეორგანიზაცია.**

სიტუაცია გაართულა დასავლეთში ჯარების ძირითადი ნაწილის დისლოკაციის შეცვლამ აღმოსავლეთ პოლონეთში ლაშქრობასთან დაკავშირებით, ფინეთის ომმა და სსრკ შემადგენლობაში ბალტიისპირეთის ქვეყნების შესვლამ. საზღვრის გასწვრივ განლაგებული გამაგრებული რაიონები განაიარაღეს, ახალ საზღვარზე ანალოგიური გამაგრებული პუნქტების მშენებლობა და შეიარაღება ომის დაწყებისთვის დამთავრებული არ იყო. წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობას, რომელიც ამ პერიოდში განახლდა, აკლდა გამოცდილება — არ იყო საბრძოლო და ოპერაციული ცოდნით აღჭურვილი. საკმარისია, ითქვას, რომ მეთაურთა 80 პროცენტი დაკავებულ თანამდებობაზე ერთ წელიწადსაც არ მუშაობდა. **ახალი სამხედრო ხელმძღვანელობა — თავდაცვის სახალხო კომისარი, მარშალი ტიმოშენკო და გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ჟუკოვიც სრულად ვერ უპასუხებდნენ ამ მაღალ თანამდებობებზე დანიშნული ხელმძღვანელებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, რის გამოც სერიოზულ შეცდომებს უშვებდნენ.**

ასე, მაგალითად, აშკარად დააგვიანეს ომის შემთხვევაში შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლის საბოლოო ვარიანტის დამუშავება. 1940-1941 წლებში იგი მინიმუმ სამჯერ გადაამუშავეს. ყველაზე უფრო საშიშ სტრატეგიულ მიმართულებად მიჩნეული იყო სამხრეთ-დასავლეთის — უკრაინის მიმართულება და არა დასავლეთ-ბელორუსიის მიმართულება, სადაც ჰიტლერულმა სარდლობამ თავი მოუყარა ყველაზე მძლავრ სახმელეთო და საჰაერო დაჯგუფებებს. 1941 წლის თებერვალ-აპრილში ოპერატიული გეგმის შეცვლისას ეს შეცდომა არ გამოუსწორებიათ.

ამასთან ერთად, დოკუმენტში რეალისტურად იყო შეფასებული შექმნილი ვითარება: **„...საბჭოთა კავშირი მზად უნდა იყოს ორ ფრონტზე საბრძოლველად: დასავლეთში — გერმანიის წინააღმდეგ, რომელსაც მხარს უჭერს იტალია, უნგრეთი, რუმინეთი დ ფინეთი, და აღმოსვლეთში — იაპონიის წინააღმდეგ...“** **საბჭოთა სტრატეგიული დაგეგმვის არც ერთ დოკუმენტში გამადიდებელი შუშითაც ვერავინ იპოვის გერმანიაზე თავდასხმის მინიშნებასაც კი.**

გეგმის უკანასკნელი კორექტირება 1941 წლის მაის-ივნისის დასაწყისში განახორციელეს. დაზუსტებული ვარიანტი სახელწოდებით **„მოსაზრებები საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლის გეგმის შესახებ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ომის შემთხვევაში“** ეფუძნებოდა 1941 წლის 15 მაისისთვის შექმნილ მდგომარეობას. თავდაცვის სახალხო კომისარმა ტიმოშენკომ და გენშტაბის უფროსმა ჟუკოვმა იგი სტალინს წარუდგინეს. დოკუმენტი, რომელიც ლიტერატურაში „ჟუკოვის ბარათის“ სახელითაა ცნობილი, სახელმწიფოს მეთაურთან 24 მაისს სრულიად საიდუმლო თათბირზე განიხილეს.

განხილვის პრაქტიკული შედეგი ასეთი იყო: **ფაშისტური აგრესიის წინა დღეს საბოლოოდ გაიმარჯვა მოსაზრებამ, რომლის ძალით მთავარ დარტყმას გერმანელები უკრაინის მიმართულებით განახორციელებდნენ. ბელადის მითითებით, კიევის საგანგებო სამხედრო ოლქს გამოუყვეს დამატებითი ძალები, რის შედეგადაც მას წილად ერგო დასავლეთის ყველა საზღვრისპირა სამხედრო ოლქის დივიზიების თითქმის 50 პროცენტი. ეს შეცდომა, ჟუკოვის აღიარებით, შემდეგ ძალიან მძიმედ აისახა თავდაცვით ღონისძიებებზე.**

„ჟუკოვის ბარათის“ გარშემო დღესაც მწვავედ კამათობენ. საქმე ის არის, რომ ბარათის ავტორები წინადადებას აყენებდნენ, დაესწროთ მოწინააღმდეგისთვის და, სანამ იგი ჯარების გაშლით ▶

**რაც გინდა თქვან, საბჭოთა ხალხი თავს დიად ერად მიიჩნევდა. დიადიც იყო — გიგანტურ პროექტებში ჩართულობა საკუთარი ღირსების გრძნობას ბადებდა. დღეს კი იმპერიის ხსენებაზე ხელებს ასავსავებენ, გახურებული შანთით ამოწვავენ „იმპერიულ ამბიციებს“ და ივიწყებენ, რომ ვიყავით დიადი ერი. დიადი მშენებლობები საგარეჯო ნაკვეთებით იფარგლება, ყველა პროექტი კი ვირტუალურამდეა დაყვანილი. ძირს შრომისმოყვარე სტალინი! ამოტივტივდნენ ისინი, ვისთვისაც ბანანის რესპუბლიკების ხელმძღვანელობა გაცილებით პრესტიჟულია, ვიდრე ზესახელმწიფოს მოქალაქედ ყოფნა.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

იყო დაკავებული, დაერტყათ გერმანელთა არმიისთვის. განზრახული ჰქონდათ 152 დივიზიის ძალებით გაენადგურებინათ მოწინააღმდეგის 100 დივიზია კრაკოვი-კატოვიცეს გადამწყვეტ მიმართულებაზე, შემდეგ კატოვიცეს რაიონიდან გაეგრძელებინათ შეტევა, გაენადგურებინათ გერმანული ჯარები ცენტრსა და მათ ჩრდილოეთ ფრონტზე, დაეკავებინათ ყოფილი პოლონეთისა და აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორია.

ოპონენტების აზრით, ეს მოწმობს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობას განზრახული ჰქონდა, წინმსწრებად დაერტყა გერმანიისთვის. მაგრამ აშკარაა, რომ ფართომასშტაბიანი შეტევა ვერმახტის უკვე გაშლილი ჯარების წინააღმდეგ წარმოუდგენელი იყო სსრ კავშირის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების, ოპერატიული დოკუმენტების დეტალური დამუშავებისა და ჯარების აუცილებელ დაჯგუფებათა შექმნის გარეშე. ეს ყველაფერი კი არ განხორციელებულა. რომელ წინმსწრებ დარტყმაზე შეიძლება ამ შემთხვევაში ლაპარაკი?

„ჟუკოვის ბარათი“ მრავალთა შორის მოქმედების ერთ-ერთი ვარიანტია, რომელიც გენერალურ შტაბს ჰქონდა დამუშავებული, და რასაც რეკომენდაციას უწევდა უკიდურესად საშიში უკანასკნელი მომენტისთვის.

**გერმანული პროპაგანდის სიცრუე აშკარაა. ჭეშმარიტება საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვებში კი არ ძევს, არამედ გერმანიის ხელმძღვანელობის საიდუმლო დოკუმენტებშია დაფიქსირებული.**

გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის თათბირზე, რომელიც 1940 წლის 21 ივლისს გაიმართა, ჰიტლერმა დარწმუნებით განაცხადა: „რუსებს არ სურთ ომი“. პირველსავე დოკუმენტში, რომელიც დაკავშირებულია სსრკ-ზე თავდასხმასთან, კერძოდ, 1940 წლის 5 აგვისტოს „ოსტის“ გენერალური გეგმის პროექტში ნათქვამია: **„რუსები თავიანთი თავდასხმით სამსახურს ვერ გაგვიწევენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთის სახმელეთო ჯარები თავდაცვას განახორციელებენ“...** ვერმახტის მიერ სსრკ-ის საზღვრის დარღვევამდე ზუსტად 3 თვით ადრე, 1941 წლის 22 მარტს, გენერალ-პოლკოვნიკმა გალდერმა თავის დღიურში ჩაწერა: **„არ მჯერა რუსეთის მხრიდან შესაძლო ინიციატივის“.**

დაბოლოს, 1941 წლის 13 ივნისს, ომის დაწყების კვირაძალს, გერმანიის სახმელეთო ჯარების გენშტაბის დაზვერვა, რომელსაც ადმირალ კანარისი ედგა სათავეში, პატაკობდა: **„რუსების მხრიდან... უწინდებურად თავდაცვით მოქმედებას უნდა ველოდოთ...“**

ნაცისტური ლიდერების სიცრუე სრულად იქნა მხილებული ნიურნბერგის პროცესზე. საერთაშორისო ტრიბუნალმა განაჩენში ჩაწერა, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმას კანონიერი გამართლების ნიშანწყალი არ გააჩნია. **„ეს აშკარა აგრესია იყო“.**

ასეთია ჭეშმარიტება.

www.fondsk.ru

# დესტალინიზაცია თუ დერუსიფიკაცია?

**„გამარჯვებულებს შეიძლება და კიდეც უნდა მოჰკითხო“. ეტყობა, სტალინის ამ სიტყვებით ხელმძღვანელობენ შთამომავლები, რომელთაც ტაშფანდური აქვთ გაჩაღებული გენერალისიმუსის ძვლებზე, ანუ მილიონობით ადამიანების ძვლებზე, ვინც თავი გასწირა სამშობლოსთვის დიდი სამამულო ომის დროს. შეკითხვაზე — რას დღესასწაულობენ 9 მაისს? — გერმანელებს ახსენდებათ ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებმაც დროშა აღმართეს რაიხსტაგზე. რა დრო უნდა გავიდეს, რომ იგივე გვიპასუხონ ჩვენმა შვილებმა? საბჭოთა ისტორიას ცალმხრივობა ახასიათებდა. ამჟამინდელს? იგი თავდაყირა დააყენეს, გააუკუღმართეს. სათავისოდ მოირგეს.**

დღეს სტალინის უწინდელზე მეტად ეშინიათ. „დესოვეტიზაცია“, რაც, 20 წელიწადია, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარეობდა, ისე ჩანს, „დესტალინიზაციის“ ეტაპში შედის: დაწყების ნიშანი დასავლეთიდან მიცემულია. ეუთომ, რომელმაც სტალინური საბჭოთა კავშირი ჰიტლერულ გერმანიას გაუთანაბრა, მეორე მსოფლიო ომის წამოწყებაში ბრალი ორ „ძლიერ ტოტალიტარულ რეჟიმს — ნაცისტურსა და სტალინურს“ დასდო. ეტყობა, გვთხოვენ, რომ გერმანელების მიერ დამწვარი სოფლების ფერფლი თავზე დავიყაროთ. მოვინანიოთ გამარჯვება?! და შემდეგ, ალბათ, მოწყალედ შეგვინდობენ: შვილები მამების გამო პასუხს არ აგებენ.

ტყუილი იმედია!

**სტალინის ყოფილი ანგლო-საქსონელი მოკავშირეები ამ ეტაპზე არ შეჩერდებიან. არავითარ შემთხვევაში. როცა საერთაშორისო სამართალი ძლიერის უფლებად შემოგვიბრუნდა, „ტოტალიტარიზმად“ ყველაფრის მონათვლა შეიძლება. რუსებს წინ უდევს „დეპეტრეზაცია“ და „დეეკატერინიზაცია“. კვლავ გაიხსენებენ საუკუნის წინათ შეთითხნილ „პეტრე დიდის ანდერძს“, პოლონეთის დაყოფას, ლენინურ ჟურნალისტიკას, რომელმაც „ხალხთა საპყრობილე“ ამხილა... დასავლეთი არ დამშვიდდება, სანამ მსოფლიო ისტორიიდან არ ამოხევს სხვათა ისტორიის ბრწყინვალე ფურცლებს.**

დახვრეტები, რეპრესიები, ბანაკები... ასეთ მუქ ფერებში ხატავდნენ იმ ეპოქის სურათს გორბაჩოვის „პერესტროიკის“ დროინდელი აღვირახსნილი ტელეისტორიკოსები... ხალხთა ბელადის პოპულარობა კი იზრდება. რუსეთის ახალგაზრდობის 73 პროცენტი დადებითად აფასებს მის როლს. „აფსუს, სტალინი რომ იყოს...“ — აღმოხდება ხშირად ადამიანებს. აბა, რა გნებავთ? გლოვის ზარი რეკს დღეს რუსეთში!

ახალი ამბები, რომელთაც „ეროვნული“ ტელევიზია ავრცელებს, ომის ქრონიკას ჰგავს: აფეთქებები, მკვლელობები, გაუპატიურებები, უგზო-უკვლოდ დაკარგულები... ტელეხმები დასავლურ ინვესტიციებს გვპირდებიან, ტურიზმის განვითარებას, საყოველთაო აყვავებას, მაგრამ ინვესტიციები ბირთვული სამარხებით იფარგლება, ტურიზმის დარგში კი სექსტურიზმი ყვავის. რუსეთის დღევანდელი პროვინცია ბუნინის „სოფლის“ ფურცლებიდან გადმოსულსა ჰგავს, შავბნელი და უუფლებო, დედაქალაქში ადამიანების ჩეხვა კი აპოკალიფსისის წინასწარმეტყველებას გვაგონებს. იური გაგარინის მომდევნო ნახევარი საუკუნის შემდეგ რუსული თანამგზავრები ვარსკვლავებივით ცვივა, როსკოსმოსი კი მარსზე გაფრენის იმიტაციით არის დაკავებული. ზეციური ცხოვრების რეპეტიცია რომ გავიაროთ, არაფერი დაშავდება.



**თუმცა რუსეთში პირველნი უკვე უკანანი არიან. სამშობლოს დამცველები აგროვებენ ბოთლებს, ჭინჭებით ვაჭრობენ, თავი რომ გაიტანონ. ისინი, ვინც ომმა ვერ გატეხა, სიღატაკემ დაამარცხა. „ელიტას“ კი სადაც საბანკო ანგარიში აქვს, „მისი სამშობლოც იქ არის“. ეგებ, მართალი იყო იოსებ ბესარიონის ძე? ეგებ, საჭიროა მაღალი ფენების გაზონივით გაკრეჭვა — რეგულარულად, დრო და დრო?**

იხურება სკოლები. სამაგიეროდ ყველა ფოსტაში სათამაშო კომპიუტერებია, სადაც დროს ატარებენ გამურული ბიჭები. „ელექტრონული ტექნოლოგიები ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს!“ სკოლები — მხოლოდ რჩეულთათვის? **უწინ მსოფლიოში საუკეთესო განათლებასა და მედიცინაზე მილიონებს მიუწვდებოდა ხელი, ახლა — მილიონერებს.** ხალხი კი თითქოს გატრუნულია, არ ჩივის! **სსრკ იყო მებრძოლი ათეისტების ქვეყანა, რუსეთი მებრძოლი კონფორმისტების ქვეყნად იქცა.**

ჩაგვჩიჩინებენ, რომ საბჭოთა კავშირი დაღუპა მიუწვდომელმა მიზანმა, რომ ადამიანები იღლებიან ლოდინით, რომ მათ სჭირდებათ „აქ და ახლავე“. მაგრამ განა გზა „ამერიკული ოცნებისკენ“ მოკლეა? რაც გინდა თქვან, **საბჭოთა ხალხი თავს დიად ერად მიიჩნევდა. დიადიც იყო — გიგანტურ პროექტებში ჩართულობა საკუთარი ღირსების გრძნობას ბადებდა. დღეს კი იმპერიის ხსენებაზე ხელებს ასავსავებენ, გახურებული შანთით ამოწვავენ „იმპერიულ ამბიციებს“ და ივიწყებენ, რომ ვიყავით დიადი ერი.** დიადი მშენებლობები საგარეჯო ნაკვეთებით იფარგლება, ყველა პროექტი კი ვირტუალურამდეა დაყვანილი. ძირს შრომისმოყვარე სტალინი! **ამოტივტივდნენ ისინი, ვისთვისაც ბანანის რესპუბლიკების ხელმძღვანელობა გაცილებით პრესტიჟულია, ვიდრე ზესახელმწიფოს მოქალაქედ ყოფნა.**

მაგრამ ყველას გულზე როდი ეხატება „მესამე სამყაროს“ ქვეყანაში ცხოვრება. და, რა თქმა უნდა, სტალინი რომ არ ყოფილიყო, იგი უნდა გამოგვეგონებინა. აყვავება და ძლიერი ხელისუფლება ყოველთვის „სისხლიან რეპრესიებთან“ ასოცირდება. „სისხლიანი რეპრესიების“ ძახილში იოლია რესურსების ამოქაჩვა და ტერიტორიების მიტაცება! ადრე იყო, როცა რუსეთს ტერიტორიები ემატებოდა, ახლა რუსეთის ხარჯზე ფართოვდებიან მეზობლები.

იმპერიებს, როგორც ნამცხვარს, კიდეები ეფშვნება. ამიტომ ხომ არ არის, რომ ფედერალური ბიუჯეტის ტრანსფერების სამ მეოთხედს იღებს ჩეჩნეთი, თათრეთი, ბაშკირეთი? და არავის აკვირვებს, რატომაა ასეთი გადახრა! სამაგიეროდ, არ ცხრება საბჭოთა კავშირის კრიტიკა ეროვნულ კულტურათა მხარდაჭერის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ამ კულტურებმა შეისისხლხორცა მძლავრი ინტერნაციონალური ელემენტი და წარმოგვიდგა საერთო საბჭოთა კულტურის შემადგენელ ნაწილად. **დღეს რუსეთის ხალხები ეთნიკურად განცალკევდებიან — სულ უფრო და უფრო მეტად. დასავლეთიდან ცბიერ კარნახს აყოლილი თავიანთ „ძირებს“ იხსენებენ საამები, მერები, კორელები, მორდველები, ჩუვაშები... კულტურტრეგერული პროგრამების გრანტებით იღებენ ეთნოფილმებს, ქმნიან გამათავისუფლებელ ეპოსს, უმღერიან „ეროვნულ“ ისტორიას.**

**მცირე ხალხების მხარდაჭერა? თვითშეგნებაზე ზრუნვა? მაშინ რატომაა, რომ იქიდან, სადაც კირილიცა წავიდა, მოვიდა ლატინიცა? კულიკოვის ბრძოლიდან დაბრუნდნენ რუსებად, ჩვენი ეპოქის ინფორმაციული ომებიდან კი კრივიჩებად, ვიატიჩებად, რადიმიჩებად ბრუნდებიან...**

ერთ დროს ტაჯიკეთის სოფელში, კავკასიის აულსა და აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებში რუსულ ენაზე შეიძლებოდა ურთიერთობა. დღეს რუსულს მოსკოვშიც კი ვერ გააგებინებ ხშირად და ყოველწლიურად „დიადი რუსული სიტყვის“ ფესტივალების ჩატარება საქმეს ვერ შველის. რუსული სამყარო შაგრენის ტყავივით მცირდება. ერთ დროს იგი იმპერიის საზღვრებს სცილდებოდა, დღეს ძირძველ რუსულ მიწებზე ნაკლებია.

**არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი ნაჭრებისგან შეკერილი საბანივითაა — ხალხებით, რელიგიებით, ადგილობრივი ტრადიციებით აჭრელებული. და ჩვენ, ყველაფერთან ერთად, საერთო წარსულით ვართ გაერთიანებული. კვლავ და კვლავ გვიწევს ჩვენი ისტორიისთვის ბრძოლებში ჩაბმა. ჩვენი მამების წარსულის ღალატით ვღალატობთ აწმყოსაც და მომავალსაც.**

„ვლასოველობისთვის“ ქების შესხმით, იმ ზომამდე გადავირევით, რომ დიად გამარჯვებას დამარცხებად წარმოვაჩენთ.

სად არის დღეს დიადი მორავია? სადაა დიადი ბულგარეთი? დიადი სერბეთი? სად იქნებოდა მალოროსია ან ბელარუსი? მათ მიწაზე განეფინებოდა დიადი შვედეთი, „ათასწლოვანი რაიხი“ ან მაღალი პორტა...

და სანამ ხმას ავაყოლებთ „მონანიების“ მოტივებს, „დესტაბილიზატორები“ რომ მღერიან, გავიხსენოთ სტალინი: „ის, რაც ჩვენს მტრებს მოსწონთ, ჩვენთვის მავნებელია“.

**ელიზავეტა ალექსანდროვა-ზორინა**

www.fondsk.ru

## მოშიმშილე საქართველო

**სასურსათო პოლიტიკის საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტის მიერ შედგენილ 2010 წლის შიმშილობის გლობალურ ინდექსში საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი „დაუნაყრებლობის საშუალო დონეზე“ მყოფ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა.** დოკუმენტის ავტორთა მონაცემებით, მსოფლიოში დაუნაყრებელ ადამიანთა რაოდენობა მილიარდს აჭარბებს. შიმშილობის გლობალურმა ინდექსმა გარდამავალი ეკონომიკის 122 ქვეყანაში შეაფასა მდგომარეობა.



## ლიბიური ნავთობის პირველი ულუფა — აშშ-ს

**აშშ-მა ლიბიელი აჯანყებულებისგან ნავთობის პირველი პარტია შეიძინა. ნავთობი ჰავაის კუნძულების ერთ-ერთ პორტში ტანკერმა „ეკვატორმა“ შეიტანა.** გარიგების თანახმად, ლიბიელმა აჯანყებულებმა აშშ-ს 1,2 მილიონი ბარელი ნავთობი მიჰყიდეს. შეთანხმება 25 მაისს გაფორმდა. კონტრაქტის ღირებულება არ სახელდება. აპრილის დასაწყისში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ლიბიის ოპოზიციის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან მილიონი ბარელი ნავთობით დატვირთული პირველი ტანკერი გავიდა.

პიროვნება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ, ეროვნულმა სულისკვეთებამ და პრინციპულობამ, შეზავებულმა სიდინჯესთან, შორსმჭვრეტელობასთან, გულწრფელ კეთილგანწყობასთან, რომლის გარეშეც სიბრძნე არ არსებობს, შეაჩერა უბედურება მაშინ... ბატონი დამიანე აფხაზეთში პირადად იცნობდა ყველას, მართლაც ყველას, ვისაც ჭკუა ეკითხებოდა და ვინც მოფერებას საჭიროებდა. მან იცოდა არა მარტო ყველა გავლენიანი უხუცესი აფხაზის გვარ-სახელი, არამედ მათი ოჯახების იმდროინდელი მდგომარეობა...“**

# შტრიხები დამიანე გოგოხიას პორტრეტისთვის

# იგი დედას ყოველთვის ფეხზე მდგომი ელაპარაკებოდა

**გამოჩენილი ქართველი პოეტი მურმან ლებანიძე იხსენებდა: „დიდი სიხარული და დიდი გაკვირვება მე სამეგრელოს შვილმა, ჩემთვის მანამდე უცნობმა კაცმა, ბატონმა დამიანე გოგოხიამ განმაცდევინა... კეთილი ნების ვიზიტით ვეახელი სტამბა-გამომცემლობათა დარგში კომიტეტის თავმჯდომარედ ახლადდანიშნულს... მაინტერესებდა, რა კაცი ბრძანდებოდა. ყავა მოადუღებინა, კაბინეტის კარი ჩააკეტინა და ხანგრძლივი საუბარი გამიმართა... ტელეფონმა დარეკა, უნდობლად აიღო ყურმილი, არც კი აპირებდა აღებას, უცბად კი — ზეზე წამოიჭრა, დატკბა, დადნა კაცი, ასე მოწაფესავით ფეხზე მდგომი მოწიწებული მეგრულით ელაპარაკა კაი ხანს მოხუც დედას იქ, აფხაზეთში, საქართველოს მეორე ბოლოში... ეს არ იყო თეატრალური ჟესტი, ეს იყო რეალური სულიერი მდგომარეობა, და მე სამუდამოდ მოხიბლული დავრჩი კოლხური ზრდილობით“.**



ახლა **ჯანსუღ ჩარკვიანს** მოუსმინეთ:

„ერთ საოცრებას გავიხსენებ. დამიანე გოგოხიას სამუშაო ოთახში ვართ. რეკავს ტელეფონი. ბატონი დამიანე იღებს ყურმილს და, ჰოი, საოცრებავ, უცებ კოლხური მოკრძალებით ამბობს: „დიახ, გისმენთ, ბატონო დედა!“ და სიხარულით აგრძელებს საუბარს... **მართალი გითხრათ, გაოცებული დავრჩი. გაიგეთ, ხალხო?! ფეხზე წამოუდგა და ისე ელაპარაკა დედას! ფეხზე იდგა, ვითარცა ყმაწვილი და ბატონობით ელაპარაკებოდა ძვირფას ქალბატონს, ძვირფას დედას...**

აი, ასეთი ადამიანები ქმნიდნენ ეპოქებს, სიყვარულით სავსენი ბოროტებას ვერ ჩაიდენდნენ“.

ორი დიდი პოეტი სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე ფაქტს რომ შეესწრება და ერთნაირად რომ აღიქვამს, ერთნაირად გაოცდება და შეაფასებს მშობლისადმი მოწიწებული დამოკიდებულების ამგვარ გამოხატვას, ეს უდავოდ მოყმისა და ვეფხის ბალადის დონის მაგალითია.

ვერ ჯდება ასეთი ქართული ტრადიცია „საიდუმლო სირობის“, „გლობალური მორალის“ ეთიკაში, ამ ზნედაცემულობის გამოაშკარავების ლაკმუსის ქაღალდად წარმოგვიდგება.

არ იყოო ეს თეატრალური ჟესტი, თქვა მურმან ლებანიძემ.

რომ არ იყო, ამას **ბატონ დამიანეს ვაჟი, ნუგზარ გოგოხია** დაგიდასტურებთ:

**— მამაჩემი შინაც ასე იქცეოდა: ბებიას ტელეფონით ყოველთვის ფეხზე მდგომი ელაპარაკებოდა. არასოდეს წაუკითხავს ჩვენთვის ლექცია, მშობლებისადმი, უფროსებისადმი მოწიწებული დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ თავისი ქცევით გვაზიარებდა მაღალი მორალის პრინციპებს.**

ასე გავიზარდეთ. მამას ერთი ფუძემდებლური პრინციპი ჰქონდა: **ოჯახში სამმა თაობამ ერთმანეთი უნდა აღზარდოს.**

სვიმონ მასხარაშვილის მსგავსი ისტორიკოსები გასული საუკუნის პარტიულ ნომენკლატურას როგორც ტვინშეზღუდულ და გაუნათლებელ კარიერისტებს, შემთხვევის ძალით სახელმწიფოს სათავეში მოქცეულ კასტას წარმოგვიდგენენ, როგორც ეროვნებაგამოცლილ, პარტიის ისტორიის მოკლე კურსზე აღზრდილ, ადამიანური გრძნობებისგან დაცლილ მატრიცებს, ვისთვისაც სამშობლო მხოლოდ საცხოვრებელი ადგილია, ცხოვრების წესი — სტახანოვური მოძრაობა, მომავლის იდეალი — კომუნისტური გულაგი, შემოქმედება — „დანოსების“ წერა და ამქვეყნიური სიამოვნება — დღესასწაულებზე მწყობრ რიგებად სიარული:

**„მარცხენით, მარცხენით,
მარცხენით!“**

ასეთ „მეცნიერებზე“ დიდი მოთხოვნილებაა ისეთ სახელმწიფოებში, სადაც უილიამ შექსპირის „რიჩარდ მესამედან“ თავად გლოსტერს თუ დაევესესხებით,

**„ველარას ვიტყვი,
ეს ქვეყანა გაუკუღმართდა
და სად არწივნი ვერ ბედვენ
დასხდომასაც კი,
იქ ჭინჭრაქები
ნავარდობენ...“**

მედროვე ჭინჭრაქების უდღეური თეორიის პოსტულატებს თავდაყირა აყენებს ბატონ დამიანე გოგოხიას პიროვნება, მისი ცხოვრების გზა და წესი, კაცისა, რომელიც პარტიული ფუნქციონერიც იყო და მაღალი სახელმწიფო პოსტებიც ეკავა — პარტიის გალის რაიკომის პირველი მდივანი, აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე, ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე და ა.შ., და ყოველთვის რჩებოდა კეთილშობილების განსახიერებად.

აი, ამ პიროვნების პორტრეტის მხოლოდ რამდენიმე შტრიხით გადმოცემას ვცდილობ საქართველოში ცნობილი ადამიანების დახმარებით და ბატონ დამიანეს ვაჟის — ნუგზარ გოგოხიას კომენტარებით.

ცნობილი ქართველი პოეტი და სამაგალითო ქართველი **გენო კალანდია** ამბობს:

**„დამიანე გოგოხია საქართველოს ისტორიაზე შეყვარებული კაცი იყო, უყვარდა ქართული მწერლობა, ქართული თეატრი, ქართული ხალხური სიმღერები. ის მეგობრობდა ქართული მწერლობის გრანდებთან.**

მის ოჯახს სტუმრობდნენ კონსტანტინე გამსახურდია და ირაკლი აბაშიძე, ოთარ თაქთაქიშვილი და რევაზ ლაღიძე, ნოდარ დუმბაძე და გრიგოლ აბაშიძე, რევაზ მარგიანი და ხუტა ბერულავა. დამიანეს მხარდაჭერითა და თანადგომით, ბევრი მათგანი გულრიფშსა და ბიჭვინთაში დასახლდა კიდეც. ერთ-ერთი პირველი „მთვარის მოტაცების“ ავტორი იყო“.

იცნობდა მათ შემოქმედებას, აფასებდა და არ ხურდავდებოდა კაკალაშვილების უნიჭოდ გარითმული სტრიქონების ციტირებით, შემოქმედებით მიღწევად უნიჭობის გასაღებით.

თუნდაც — ერთი კაკალაშვილისა, რომელსაც მე ვგულისხმობ.

სად შესწვდებიან კაკალაშვილის მეხოტბენი იმ ბუმბერაზებს, ვისაც მეგობრობდა „ნომენკლატურის კაცი“.

**„ერთხელო,** — წერს აკადემიკოსი **როინ მეტრეველი,** — **მცხეთაში სადილად მოვხვდით ირაკლი აბაშიძესთან და ჭაბუა ამირეჯიბთან ერთად. „დათა თუთაშხია“ ახალი დაბეჭდილი იყო. ეს ბრწყინვალე ნაწარმოები, ცხადია, ყველას მოსწონდა. ბატონი დამიანე განსაკუთრებით ბედნიერი ჩანდა. ნაწარმოებში ხომ მისი კუთხის ცხოვრებაა აღწერილი. ჭაბუა ამირეჯიბი ცალკეულ ეპიზოდებს განმარტავდა და სიამოვნებით უპასუხებდა ბატონ დამიანეს შეკითხვებს... დამიანე გოგოხიას სიხარულის ცრემლი ადგა თვალზე. ჭაბუა ამირეჯიბსა და დამიანე გოგოხიას ახლო მეგობრობა ჩამოუყალიბდათ — მთელი სამეგრელო ერთად მოიარეს.**

**...სიკეთის მთესველი იყო დამიანე გოგოხია“.**

ნუგზარ გოგოხია მამამისის მეგობრებთან შეხვედრებს ასე იგონებს:

**„სოხუმში ჩამოსვლისას მამა უამრავ მეგობარს მოინახულებდა ხოლმე. მათ შორის იყვნენ: მიხეილ ბღაჟბა, ბაგრატ შინკუბა, ვალერიან კობახია, დიმიტრი ხვარცკია, ბორის ადლეიბა, ვალერი ხინთბა, ვალოდია აშხაცავა, ივანე თარბა და ბევრი სხვა. მამას ხშირად დავყავდი ამ შეხვედრებზე. მირჩევდა, ყურადღებით მომესმინა ამ ბრძენი, განათლებული ადამიანებისთვის. მე მართლაც ბევრი მომცა ისეთ პიროვნებებთან ურთიერთობამ, როგორებიც იყვნენ ილია ვეკუა, ეგნატე ფიფია, ბორის ყურაშვილი, დათიკო შარაშიძე, ირაკლი აბაშიძე, ნინა ჟვანია, ანატოლი კაჭარავა. აქვე იყო შედარებით ახალგაზრდა თაობაც: რეზო ამაშუკელი, რამაზ ყურაშვილი, ზეზვა ღულუნიშვილი, ნუგზარ წერეთელი...**

**მამას ბევრი მეგობარი ჰყავდა. ყველა ძალიან უყვარდა. ერთს კი აღმერთებდა. ეს იყო კონსტანტინე გამსახურდია...**

**ერთხელ ილია ვეკუამ მამას უთხრა, რომ რომელიღაც პარტმუშაკისა თუ პარტიის რომელიღაც ყრილობის პატივსაცემად მის სოფელს სახელის გამოცვლას უპირებდნენ. თუ ასე მოხდებაო, — ცხაროზდა დიდი მეცნიერი, — ფეხს აღარასდროს ჩავდგამ ჩემს სოფელშიო. მამა სასწრაფოდ ჩაერია ამ ამბავში და ილია ვეკუას სოფელს დღემდე შეშელეთი ჰქვია სახელად“.**

გაუბედა საკაშვილს რომელიმე ნაცფუნქციონერმა და უთხრა, თავი შეეკავებინა თბილისის ქუჩებისთვის სხვა ქვეყნების ცოცხალი თუ გარდაცვლილი პრეზიდენტების სახელის დარქმევისგან?

არა. არავის გაუბედავს. ასეთია დღევანდელი წინწაწეული ქართული დემოკრატია.

დღეს, როცა ომში დამარცხება გამარჯვებად ითვლება, ტერიტორიების დაკარგვა კი — მათ შემომტკიცებად, აფხაზეთის პრობლემა ხელისუფლებას სათამაშო მოედნების მოწყობის დონეზეც არ აინტერესებს.

ტკივილი კი რჩება, მოურჩენელი.

**„დღეს, აფხაზეთის პრობლემაზე ფიქრისას გამოვუტყდები ხოლმე საკუთარ თავს, ზოგჯერ კი სხვების გასაგონადაც ვიტყვი ხმამაღლა: ორ ძმას შორის არ მივიდოდა საქმე ასეთ გამწვავებამდე, ყველა ეტაპზე, იქაურ თუ აქაურ ხელმძღვანელობაში ბატონი დამიანეს მსგავსი, მისნაირი საქმიანი თუ პიროვნული თვისებებით შემკული ადამიანები რომ ყოფილიყვნენ.** — ასე ფიქრობს ბატონი **ნუგზარ ფოფხაძე** და განაგრძობს, — **ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემები არ იქნებოდა, იქნებოდა და იყო კიდეც მღელვარება 1957-ში, 1967-ში, ურთულეს დროს, როცა დამიანე გოგოხია აფხაზეთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ, მაგრამ ასე მწვავე, ასე ტკივილიანი, ასე სისხლიანი არ იქნებოდა რეალობა. დამიანე გოგოხია და მისნაირები აქამდე არ მიიყვანდნენ საქმეს. არც მიუყვანიათ... სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ, ეროვნულმა სულისკვეთებამ და პრინციპულობამ, შეზავებულმა სიდინჯესთან, შორსმჭვრეტელობასთან, გულწრფელ კეთილგანწყობასთან, რომლის გარეშეც სიბრძნე არ არსებობს, შეაჩერა უბედურება მაშინ... ბატონი დამიანე აფხაზეთში პირადად იცნობდა ყველას. მართლაც ყველას, ვისაც ჭკუა ეკითხებოდა და ვინც მოფერებას საჭიროებდა.**

მან იცოდა არა მარტო ყველა გავლენიანი უხუცესი აფხაზის გვარ-სახელი, არამედ მათი ოჯახების იმდროინდელი მდგომარეობა...“

მითხარით, აი ისინი, პარლამენტარები, აფხაზეთის პრობლემის მოგვარება რომ ავალიათ, იცნობენ კი ვინმეს აფხაზეთში, ტელევიზიით ემოციურ-„პატრიოტული“ განცხადებებით გამოსვლის გარდა, იციან კი რამე დღევანდელ აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ?

ნუგზარ გოგოხია იხსენებს:

**„1990 წელია. სოხუმში ჩემი მეგობრის — ლორიკ მელაძის დაკრძალვაზე ჩავედით. სწორედ მაშინ მოხდა საბედისწერო შეტაკება. ქალაქი ჩაიკეტა. რამდენიმე დღით სოხუმში, მშობლებთან დარჩენა მომიწია. ერთ დღეს მამას რამდენიმე ადამიანი ეწვია. მომხდარზე ისაუბრეს.**

**— მადლობა ღმერთს, გავიმარჯვეთ, — თქვა სტუმართაგან ერთ-ერთმა.**

**არასოდეს დამავიწყდება მამას პასუხი:**

**— კი არ გავიმარჯვეთ, დავმარცხდით! ძმათა ომში გამარჯვებული არ არსებობს. თუ სასწრაფოდ გადამჭრელი ზომები არ მივიღეთ, კარგი არაფერი გველის!**

**მიოკარდის ინფარქტი რომ დაემართა, მამამ კასეტაზე ჩაწერილი მეგრული და აფხაზური სიმღერები მოგვატანინა და სიკვდილამდე სიყვარულით უსმენდა“.**

* * *

აი, ასეთი ადამიანები იყვნენ ნომენკლატურაში.

მოულოდნელია?

მაგრამ სწორედ „მოულოდნელობით განისაზღვრება ადამიანის ლეგენდარულობა“.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** ნუგზარ გოგოხია მამამისის მძღოლის — ჟორა დავლაშელიძის ნაამბობს იმოწმებს და ყვება: **„რაიონის სოფლების მანქანით შემოვლისას მამა დროდადრო სიცხეს იმიზეზებდა და ქუდს იხდიდა. ჟორა გვიანღა მიმხვდარა, რომ მამა ამ რიტუალს ეკლესია-მონასტრებთან ჩავლისას ასრულებდა“.**

**...ვაი, რომ მწიფდა ნიადაგ
ცოდვით დამტკბარი მტევანი!
— ვაი, რომ დამაგვიანდა
გულმკერდზე მჯილის რტყმევანი...**

## იუბილე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**რამდენიმე დღეც და შესანიშნავი ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიისა და სხვა არაერთი პრესტიჟული პრემიის ლაურეატი რეზო ამაშუკელი 75 წლის გახდება.
მისი საპატიო წოდებების, პრემიების, ჯილდოების ჩამოთვლას რომ გავყვეთ, შეიძლება ავცდეთ კიდეც საიუბილეო თარიღს, ისე შემოგვეხარჯება დრო.
ჩვენს გაზეთთან საუბარში ერთხელ გაგვანდო, რომ, როცა შიშის ზღვარს გადააბიჯებს ადამიანი, შემდეგ საერთოდ უშიშარი ხდება. ამიტომაცაა მისი ბოლოდროინდელი შემოქმედება ნიმუში სამშობლოს ინტერესებისა და უმაღლესი იდეალების სადარაჯოზე უშიშრად და ნამუსიანად დგომის.
გაზეთ „საქართველო და მსოფლიო" ულოცავს ჭეშმარიტ მამულიშვილს, კეთილშობილ, უდრეკ და უშიშარ კაცს, ბატონ რეზო ამაშუკელს დაბადების დღეს, ჯანმრთელობას, ოჯახის ბედნიერებასა და სამშობლოს გაბრწყინებას უსურვებს მას!
რეზო ამაშუკელის პოეზიის საღამო გაიმართება რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში 21 ივნისს, საღამოს 7 საათზე, თუმცა თავად პოეტი ყოველგვარი საიუბილეო საღამოების გამართვის წინააღმდეგია.**



# ძველებრაული ესკიზი — «რახილ!»

— რახილ!
რა ხელმა გადმოგხატა
ძველი ფრესკიდან?
ვნების ყვავილი, აკრძალული,
შენ ვინ გიჩვენა?!
... როს ცისკრის ვარსკვლავს
იისფერი ცეცხლი ეკიდა,
მაშინ დაგგესლა სიყვარულმა
და შეგაჩვენა!

— რახილ!
გახედე,
იმდაგვარი ცა არის დღესაც.
რახილ,
რა ხელმა მოგაჩეჩა
ძველი თალმუდი?!
ამღვრეულ კუროს —
ზოდიაქოს გაჰყევი შენსას
და მორჩილების სახლსა შინა
აღარ დაბრუნდი...

ისმის ღიღინი მორწმუნეთა
სინაგოგიდან,
შენ კი,
შენ დღესაც
ამქვეყნიურ ცოდვით დათვრები!
— რახილ!
მოახლით მოედანზე გავლა მოგინდა,
რომ კვლავ იხილო,
მამრის ჯილაგს ვით ენატრები!

ისევ შხივიან ჩახსნილ მკერდში
მკვრივი ატმები,
ისევ კრუტუნებს ფოცხვერივით
შენში ძახილი!..
— „რახილ!"
აღმოხდათ მოსეირეთ: —
„მოდის რახილი!"
და ვაი იმას,
ვისაც ერთხელ შეუყვარდები!

— ვაი,
მომწვანო ფირუზები —
შენი თვალები!
შენთან ეგვიპტის დედოფალიც
არის ბოგანო!
მაგრამ სიბერეს
მაინც ვერსად დაემალები,
— რახილ,
ღვთისწყრომავ ფეხადგმულო,
ცოდვის გორგალო!

— რახილ!
ვინ მოგყავს, მშვენიერი,
მოკლე საბელით?
ვინ არის იგი,
დალალებით, წითლად ნაფერით?
შენი გულისთვის
თუ კაენმა მოკლა აბელი,
ო, მაშინ
უნდა ეპატიოს სუყველაფერი!

— რახილ!
მითხარი,
საით მიგყავს ძუ მსხმოიარე
ვნების მტევნებით,
მაცდუნებელ თვალთა ხამხამით?!
— მოდიხარ,
სურვილს ხანძარივით მოაბრიალებ
და მაღალ ყელზე
მსხვილ ალმასებს გააქვთ ხარხარი!

— რახილ!
მითხარი,
რა ხილია შენი თანმხლები,
მხრებზე ხავერდის
ხენდროსფერი წამოსასხამით?
ხმაურობს ხალხი
ხვავრიელად დახრილ დახლებით,
რაბინს ქათმებით ახორხლილი
მისდევს ხახამი...

— რახილ!
სად მიგყავს,
ვისთვის გინდა,
მსხვერპლი ახალი?!
რისთვის გაზმორებს ზეზეურად
სიზმრის მორევი?..
ეშმაკმა უწყის
საიდუმლო შენი ზრახვანი...
— ქალი არ არი ქვეყანაზე
შენი მომრევი!

... ჩაიარა და
თან წაიღო მთელი უბანი!
მშვენიერ მხევლებს
შურით დარჩათ თვალი დათხრილი...
— შეყვარებული,
ამაყი და თავისუფალი
ცოდვილი სულის წასაწყმედად
მიდის რახილი!

**1986 წ.**

# VIA DOLOROSA

*„ღამით მაძღრები დაწვებით..."*
*ვაჟა*

...მივყვები უხმოდ
ამ ვიწრო ქუჩას,
აქეთ და იქით
ახორხლილა ჭრელი დახლები,
ვერცხლის სურებით,
ფარდაგებით,
კრიალოსნებით...
ირგვლივ ტრიალებს
მოხალული ყავის სურნელი...
— „ხალას":
არაბი კვლავ მთავაზობს
ჯვრებსა და ხატებს,
რადგანაც მიცნო, მიმამგვანა,
ვარ ქრისტიანი!

— ვარ კი ნამდვილად?!
მე ნათრევი ავაზაკებში,
ამ ქვეყნით ტკბობას
დაძალებულ-დახარბებული,
სტომაქის მონა ფეხმორთხმული
და კუზიანი?!
— გვიანღა არის, მეგობარო,
აწი თვითგვემა,
მოახლოებულ სიკვდილის შიშით?..

— Via Dolorosa!..
მე არაერთხელ
გამივლია ამ ვიწრო ქუჩით.
ახლაც აქა ვარ
და ჩემს თავს ვტირი.

— რა მოკლე გზაა გოლგოთამდე,
რა მოკლე გზაა!
— ვის არ უვლია ამ ქვაფენილით,
რომ პატიების შვება ეგრძნო,
ჩამოეხსნა ცოდვის ხურჯინი!
ან რა შეიგნო,
რა გაიგო ადამის მოდგმამ?

— პირიქით,
უფრო გამხეცდა და უფრო გაავდა!
ტაბუდადებულ სკივრებიდან
ამოყარა, გაამზეურა
ამაზრზენი, მღვრიე სიზმრები...
... და მეჩვენება:
მეც იმ ბრბოს მივდევ,
ვინც წყევლა-კრულვით,
ქვების სროლით სდია მაცხოვარს,
სანამ არ გაძლა ცოდვის ხილვით,
ჯვარცმის ყურებით!..

— ო, რაბი, რაბი!
ბარაბაა ყველა ჩვენგანი,
ჩაჩერებული
პირდაღებულ საფლავის მიწას!..
— Via Dolorosa!
... ამ ვიწრო ქუჩით
გოლგოთამდე ისე მივიდა,
საყვედურიც არ დასცდენია!
მხოლოდ ჯვარზე,
ჯვარზე გაკრულს აღმოხდა მწარედ:
— „ელი, ელი, ლამა საბაქთანი!"
ეს იყო და ეს...
... და დაჰკიდა ეკლიანი
გვირგვინით თავი...

— ვის,
ვის დასცდება
ვინ იტყვის, რომ მოინანია?

სხვის დასანახად მორწმუნენო,
ქრისტიანენო!
უფალს მაშინ თუ გაიხსენებთ,
როდესაც გიჭირთ,
მუხლზე დადგებით პირჯვრის წერად:
— „ღმერთო, მიშველე,
მიშველე და დამიფარეო!"
ხოლო როდესაც
მიუსხდებით შემწვარ ერკემალს,
ან ძუძუს ლოშნით
ნაღვინევ და დორბლიან ბაგით,
— სად არის ღმერთი?
რად არ გახსოვთ მაშინ უფალი?!

მეც თქვენნაირი ღორი ვარ და
მიტომაც ვტირი,
ჩემ თავს ვტირი, ჩემ თავს ვტირი,
მარად მშიშარი!..
მე, ძვლების გროვა,
ნაცოდვილარ ხორცით ასხმული...
— ტყუილია,
ტყუილია ეს სათნოება
და ის სიმართლეც ტყუილია,
თქვენ რომ მთავაზობთ!

ნაღდი,
გულწფერი თეოა მხოლოდ,
— საწყალი თეო!
ტრიალ მინდორში ხეზე ასული,
რომ გაჰყმუის მთელ სამყაროს:
— „ქალი მინდა,
ქალი მინდაო!"
— Via Dolorosa!
... მე ვერ ვივარგებ,
ვერ ვივარგებ აღსარებისთვის.
გვიანღა არის აწ ვთითგვემა
მოახლოვებულ სიკვდილის შიშით...

P.S.
არ დაგნამვიათ ღაწვები
მოყვასის მონატრებითა.
— „ღამით მაძღრები დაწვებით,
დილით მშივრები დგებითა!"
ცრემლებში ამონაწები
ცოდვა გდევთ დაბადებიდან...
— „ღამით მაძღრები დაწვებით,
დილით მშივრები დგებითა!"
არც შუბლზე ზეთის წაცხებით
არ ისარჯებით ბეჯითად,
— „ღამით მაძღრები დაწვებით,
დილით მშივრები დგებითა!"
მხოლოდ მაშინ ხართ მაგრები,
თუ იმყოფებით კრებითად...
— „ღამით მაძღრები დაწვებით,
დილით მშივრები დგებითა!"
მუნ სხვისი სევდით დათვრებით,
და არა გახარებითა,
— „ღამით მაძღრები დაწვებით,
დილით მშივრები დგებითა!"
მეც, ღვთის გლახა და საწყალი,
ავაზაკებში ნაგდები,
— ღამით დავწვები მაძღარი,
დილით მშიერი ავდგები!
...ვაი, რომ მწიფდა ნიადაგ
ცოდვით დამტკბარი მტევანი!
— ვაი, რომ დამაგვიანდა
გულმკერდზე მჯილის რტყმევანი...

**2000 წლის 28 თებერვალი.**

ტერორიზმი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ადგილობრივი დროით ღამის პირველ საათზე საზღვაო ქვეითების სპეცრაზმი აბოტაბადში მინიშნებულ შენობას მიუახლოვდა. მაგრამ ყველაფერი გეგმის მიხედვით არ მოხდარა. ერთ-ერთი ვერტმფრენი შენობის ირგვლივ შემოვლებულ გალავანს კუდით წამოედო. ამ დროს თეთრ სახლში პრეზიდენტი ობამა თავის უახლოეს მრჩევლებთან ერთად დაძაბული ადევნებდა თვალს ოპერაციის ყველა ნაბიჯს. არავინ იცოდა, გახდებოდა თუ არა ვერტმფრენის დასმის წარუმატებელი მცდელობა ბენ ლადენის შეპყრობის მისიის ჩაშლის მიზეზი.**

# ბენ ლადენის ლიკვიდაციის

**„დისქოვერის“ ფილმის სიუჟეტი რეალურ მოვლენებს ეფუძნება და მასში ამერიკაში ყველაზე ძებნილი ტერორისტის — უსამა ბენ ლადენის შეპყრობის ისტორიაა მოთხრობილი. ეს ეროვნული უშიშროების სამსახურის უმნიშვნელოვანესი დავალება იყო უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. მასში აშშ-ის ყველაზე კარგად ნავარჯიშები ჯარისკაცები — საზღვაო ქვეითთა სპეცდანიშნულების რაზმის წევრები მონაწილეობდნენ და, პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ მისიის ჩავარდნის უფლება არავის ჰქონდა. ფილმში აღწერილია, თუ როგორ მიმდინარეობდა „ალ ქაიდას“ ლიდერის განადგურების ოპერაცია. ეს იყო დავალება, რომელიც ისტორიაში დარჩება.**







**ავღანეთი, ჯალალაბადი.**

**2011 წლის 1 მაისი.**

მზადდება აშშ-ის ისტორიაში ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დავალება. ოპერაციის კოდური სახელწოდებაა „ნეპტუნის შუბი“. ღამით ორი სპეციალური მოდიფიკაციის სადესანტო საშტურმო ვერტმფრენი „ბლექჰოუკი“ და ორი მძიმე საბრძოლო-სატრანსპორტო ვერტმფრენი „ჩინოკი“ პაკისტანისკენ გაიგზავნა.

**მაიკლ ისიკოფი, „NBC news“-ი:**

— სადესანტო ვერტმფრენები უცხო ქვეყნის საჰაერო სივრცეში შეიჭრნენ. ეს გაბედული გადაწყვეტილება იყო.

თვითმფრინავების ბორტებზე იმყოფებოდნენ ამერიკული არმიის ყველაზე კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცები. მრავალი მათგანი საზღვაო ქვეითების სპეციალური ქვედანაყოფის მეექვსე ჯგუფის წევრი იყო.

**ერიკ გრეიტენსი, სამხედრო-საზღვაო ძალებიდან:**

— ეს საზღვაო ქვეითების ელიტური ქვედანაყოფია. ოპერაციაში მონაწილე ადამიანები საუკეთესოთა შორის საუკეთესონი იყვნენ.

ჯარისკაცების მთავარი ამოცანა ეგრეთ წოდებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამიზნე იყო. და, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ამ დავალების შესასრულებლად რამდენიმე კვირის განმავლობაში ემზადებოდა, მათ ოპერაციამდე სულ ცოტა ხნით ადრე გაიგეს, ვინ იქნებოდა ეს სამიზნე.

**მაიკლ დურანტი, „ბლექჰოუკის“ მფრინავი:**

— ეს ყველაზე მნიშვნელოვანი სამიზნე იყო, რომელიც ოდესმე გვყოლია. ამ დავალებისათვის მზადება და შემდეგ მისი შესრულება ჩვენთვის ყველაზე დიდი პრიორიტეტი იყო. ამ მისიის შედეგზე ძალზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

იმ დროს, როდესაც ვერტმფრენები პაკისტანისკენ მიფრინავდნენ, საზღვაო ქვეითები კიდევ ერთხელ განიხილავდნენ შემდგომ ქმედებებს.

**ტომ ვალენტინი, საზღვაო ქვეითების სპეცრაზმის ოფიცერი:**

— გულისცემა მომატებულია, ყველა შეგრძნება გამძაფრებულია. ისინი მზად არიან, დავალების შესრულებას შეუდგნენ.

ვერტმფრენებმა პაკისტანური რადარებისთვის შეუმჩნევლად მოძრაობა მოახერხეს. ეს ვერტმფრენები აღჭურვილი იყო სპეციალური მოდიფიკაციებით, რომლებიც საშუალებას იძლევა, შემცირდეს რადარებით მათი დაფიქსირების შესაძლებლობა, შემცირდეს ვერტმფრენის ხმაური და მისგან წარმოქმნილი სითბოც. ეს ყველაფერი იმისთვის გახდა საჭირო, რომ ვერტმფრენები შეუმჩნეველნი დარჩენილიყვნენ. ამ დავალებაზე ძალზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული და მას უნაკლოდ უნდა ჩაევლო.

**ჯიმ მიკლაშევსკი, „NBC news“-ი:**

— უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ჩვენ არასდროს ვყოფილვართ ასე ახლოს უსამა ბენ ლადენის შეპყრობასთან.

და მართალია ეროვნული უშიშროების საკითხთა სპეციალისტები ირწმუნებოდნენ, რომ არსებობდა ბენ ლადენის ცოცხლად აყვანის მცირე შესაძლებლობა, ოფიციალური მონაცემებით, სავარაუდო იყო, რომ სამიზნეს გაანადგურებდნენ.

ადგილობრივი დროით ღამის პირველ საათზე საზღვაო ქვეითების სპეცრაზმი აბოტაბადში მინიშნებულ შენობას მიუახლოვდა. მაგრამ ყველაფერი გეგმის მიხედვით არ მომხდარა. ერთ-ერთი ვერტმფრენი შენობის ირგვლივ შემოვლებულ გალავანს კუდით წამოედო. ამ დროს თეთრ სახლში პრეზიდენტი ობამა თავის უახლოეს მრჩევლებთან ერთად დაძაბული ადევნებდა თვალს ოპერაციის ყველა ნაბიჯს. არავინ იცოდა, გახდებოდა თუ არა ვერტმფრენის დასმის წარუმატებელი მცდელობა ბენ ლადენის შეპყრობის მისიის ჩაშლის მიზეზი.

ოპერაციის გეგმა რამდენიმე თვის განმავლობაში მუშავდებოდა, მაგრამ მისი მომზადებისთვის რამდენიმე წელი დაიხარჯა. ინფორმაციას სხვადასხვა სპეცსამსახურები აგროვებდნენ. ვირჯინიის შტატის ლაინგლიში, ცსს-ს შტაბბინაში ანალიტიკოსები ადგენდნენ მონაცემთა ბაზებს იმ პირების სახელებით, რომელთაც თუნდაც რაიმე ინფორმაციის მიწოდება შეეძლოთ სამიზნის შესახებ.

**ჯონ მაკლაულინი, ცსს-ის აღმასრულებელი დირექტორი:**

— იმისათვის, რომ მთელ მოგროვილ მასალაში გაერკვე, დაადგინო, თუ რომელი ინფორმაციაა მართლაც სასარგებლო, რას უნდა ჩაეჭიდო და რას გვერდი აუარო, საჭიროა რთული მათემატიკური ალგორითმები. ამის შემდეგ საჭიროა ბევრი ადამიანი, რათა გადამოწმდეს ყველაფერი, რასაც ამ ინფორმაციის საფუძველზე დაადგენ.

ამავე დროს ცსს-ს აგენტები ინფორმაციას ადგილზეც აგროვებდნენ. დაკითხვების ჩატარებისას ოფიცრები საჭირო მასალის მოგროვებას ცდილობდნენ გუანტანამოს პატიმართა შორის. მუდმივად ფიგურირებდა ერთი და იგივე სახელი — აბუ ახმედ ალ-კუვეიტი — დამაკავშირებელი და ბენ ლადენის ახლო გარემოცვის წევრი.

**დენ გორი, ლექსინგტონის ინსტიტუტი:**

— ეს მხოლოდ დამაკავშირებელი კი არა, ბენ ლადენთან დაახლოებული პირი იყო. ის მუდამ მის გვერდით იდგა, ესწრებოდა ყველა შეხვედრას და გადასცემდა ინფორმაციას.

**მაიკლ ისიკოფი:**

— მისი სახელი ფიგურირებდა 2002-2003 წლებში დაკითხვების დროსაც.

დაკითხვებისას დაკითხულები ირწმუნებოდნენ, რომ დამაკავშირებლები არ წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან ფიგურებს „ალ ქაიდას“ იერარქიაში.

**მაიკლ ისიკოფი:**

— დაკითხულთაგან ერთერთმა თქვა, რომ დამაკავშირებელი მოკვდა, მეორემ გამოგონილი სახელით მოიხსენია. ცსს-ს უდიდესი რაოდენობის დეზინფორმაციასთან ჰქონდა საქმე. ძნელი გასარკვევი იყო, სინამდვილეში რას წარმოადგენდა ეს ადამიანი.

სპეცსამსახურების სპეციალისტებმა მიღებული ინფორმაციების თავისსავე მიერ შედგენილ დოსიეში გადამოწმება დაიწყეს. მათში გამოჩნდა სახელი აბუ ალი ალ-კუვეიტი, მაგრამ მათ ჯერ კიდევ დასადგენი ჰქონდათ, რამდენად ზუსტია ეს ინფორმაცია.

**მაიკლ შიჰენი, ტერორიზმის ექსპერტი:**

— მას შემდეგ, რაც უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია გადაამოწმეს, გარკვეულ ადამიანებს გაესაუბრნენ, საჭირო ადგილებში ფარული აგენტები ჩანერგეს, ზარებს მოუსმინეს, სპეცსამსახურებმა შეძლეს, მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოეცალკევებინათ.

**მაიკლ ისიკოფი:**

— დადგინდა, რომ აბუ ალი ალ-კუვეიტი დამაკავშირებლის ნამდვილი სახელი იყო. მისი ვინაობის გარკვევის შემდეგ სპეცსამსახურებს სურდათ, დაედგინათ, სად ეძებნათ ეს ადამიანი.

დაიწყო მისი ძებნა. იმისათვის, რომ შედეგები გამოჩნდეს, წლობით მუშაობაა საჭირო. 2010 წელს ალ-კუვეიტიმ დაურეკა თავის ნაცნობს, რომელსაც ასევე უთვალთვალებდნენ სპეცსამსახურები. ამ ზარის შემდეგ ეჭვი აღარ არსებობდა, რომ ალ-კუვეიტი ნამდვილად იყო კავშირში „ალ ქაიდასთან“.

**ჯონ კერაკუ, ცსს-ს ოპერაციების დირექტორი:**

— მან დაურეკა ადამიანს, რომელიც ასევე ჩვენი სამიზნე იყო. ეს დიდი წარმატება იყო.

***2010 წლის ივლისი.***

ცსს-ს აგენტებმა ალ-კუვეიტის კვალს პაკისტანის ქალაქ პეშავარში მიაგნეს. ისინი რამდენიმე კვირის მანძილზე უთვალთვალებდნენ ობიექტს. შედეგად დამაკავშირებელმა ცსს-ს აგენტები პირდაპირ ბენ ლადენის ზღურბლთან მიიყვანა.

***2010 წლის აგვისტო.***

დამაკავშირებელი პაკისტანის დედაქალაქი ისლამაბადიდან 50 კილომეტრით და სამხედრო აკადემიიდან კილომეტრზე ნაკლებით დაშორებულ აბოტაბადში მდებარე შენობაში შედის.

**მაიკლ ისიკოფი:**

— შენობამ უმალ მიიპყრო სპეცსამსახურის თანამშრომელთა ყურადღება. ის ზედმეტად კარგად იყო დაცული. მაგალითად, პირველი სართულის ფანჯრებზე გისოსები იყო დამონტაჟებული და ამ გისოსებს მიღმა არაფერი ჩანდა. შენობაში არ იყო არც ინტერნეტი და არც ტელეფონი. ოთხმეტრიან კედლებს მავთულხლართები ერტყა გარს.

**ჯონ მაკლაულინი:**

— შენობაში მცხოვრებ ადამიანებს ნაგავი სხვებივით არ გაჰქონდათ გადასაყრელად. ისინი ყველანაირ ნარჩენებს წვავდნენ.

**ბარი მაკკაფრეი, აშშ-ის არმიის გენერალი:**

— როგორც კი ეს შენობა დავინახეთ, მაშინვე მივხვდით, რომ იქ იმალება ძალზე მნიშვნელოვანი ფიგურა.

რამდენიმე წლის მანძილზე სპეცსამსახურები უსამა ბენ ლადენის კვალის მი- ►







ცსს-ს ხელმძღვანელმა ლეონ პანეტამ გადაწყვიტა, რომ მათ ხელთ აქვთ საკმაო რაოდენობის ირიბი მტკიცებულებები, რომ მათ წინაშე თავად უსამა ბენ ლადენია. ამის შემდეგ ოპერაციის მზადება იწყება. პანეტა დაუკავშირდა ვიცეადმირალ უილიამ მაკრეივენს, რომელიც პენტაგონის სპეციალური დანიშნულების ჯარებს ხელმძღვანელობდა. ამ ჯარში საუკეთესოთა შორის საუკეთესონი მსახურობენ.

ტერორიზმი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# გაუხმაურებელი დეტალები





◀ გნებას ვერ ახერხებდნენ, მაგრამ 2010 წლის აგვისტოში მოხდა მნიშვნელოვანი წინსვლა და მიაგნეს იმ ადამიანის სახლს, რომელიც შეიძლებოდა ბენ ლადენის უახლოესი გარემოცვის წევრი ყოფილიყო. ამერიკის ისტორიაში დამნაშავის ძებნის ყველაზე ხანგრძლივი პროცესი კვლავაც გრძელდებოდა.

**ჯონ მაკლაულინი:**

— ამგვარი შემთხვევისას აუცილებელია წვრილმანებისთვის ყურადღების მიქცევა. არსებობდა იმის ნიშნები, რომ ვიღაც რაღაცის დამალვას ცდილობდა. ზუსტად უნდა დადგენილიყო, თუ ვინ იმყოფებოდა ამ სახლში.

პირველი ნაბიჯი ინფორმაციის მოგროვება იყო.

**დენ გორი:**

— ამისათვის ყველა შესაძლო საშუალებას იყენებდნენ: ადამიანებს, ელექტრონულ საშუალებებს, საავიაციო ტექნიკას და ასე შემდეგ. მომდევნო ეტაპზე დასკვნები კეთდებოდა.

**პირველი ფაზა თანამგზავრები იყო.** დედამიწიდან თითქმის ათასი კილომეტრის სიმაღლეზე მდებარე თანამგზავრები მიზანს უთვალთვალებდა.

**ჯიმ მიკლაჟევსკი:**

— შენობას შეუსვენებლივ უთვალთვალებდნენ არა მხოლოდ სადაზვერვო თანამგზავრების, არამედ რადიოელექტრონული დაზვერვისა და დისტანციური მოსმენების თანამგზავრების საშუალებითაც.

**ჯიმ მიკლაჟევსკი:**

— ერთ-ერთ ფოტოზე შეამჩნიეს მაღალი მამაკაცი, რომელიც არ გახლდათ დაკავებული ყოველდღიური საშინაო საქმეებით, როგორც სხვები აღნიშნულ შენობაში. მაგრამ იმის ზუსტად დადგენა, რომ ეს მამაკაცი ნამდვილად უსამა ბენ ლადენი იყო, მაინც ვერ მოხერხდა.

რამდენიმე კვირის თვალთვალის შემდეგ პრეზიდენტ ბარაკ ობამას მოახსენეს იმ შენობის თაობაზე, რომელშიც, შესაძლოა, ძალზე მნიშვნელოვანი ფიგურა იმალებოდა.

**ჯონ ბრენანი, ნაციონალური უშიშროების მრჩეველი:**

— მას ერთი წუთის დაკარგვაც არ სურდა და უნდოდა, რაც შეიძლება სწრაფად მიგვეღო შესაბამისი ზომები. ცსს-ს საქმეში მეტი ადამიანის ჩართვა სჭირდებოდა, მაგრამ ამისათვის უფრო ახლოს მისვლა იყო საჭირო.

**მეორე ფაზა იყო უპილოტო საფრენი აპარატები,** რომელთაც ვიდეოს გადაღება და გადაცემა შეეძლო. ჩვეულებრივ, საფრენ აპარატებს რადარები ამჩნევს და აფიქსირებს. მართალია, აშშ-ის ხელისუფლება ამის თაობაზე არაფერს ამბობს, მაგრამ, როგორც ჩანს, მისიისათვის შერჩეულ იქნა „RQ-170 sentinel“-ი, რომლის რადარების საშუალებით აღმოჩენა შემოსაზღვრულ საჰაერო სივრცეში ძალზე ძნელია.

**დენ გორი:**

— იდეალური იქნებოდა მამაკაცის ფოტოსურათის მიღება. ვინ იყო ეს? ბენ ლადენი? ზავაჰირი?

ადამიანი, რომელზეც დაკვირვება ხორციელდებოდა, სახეს არ აჩენდა. აუცილებელი იყო უფრო ახლოს მისვლა.

***2010 წლის დეკემბერი.***

ცსს-ს დირექტორმა მოაწყო აბსოლუტურად გასაიდუმლოებული შეხვედრა, რათა ოპერაციის შემდგომი სტადიის ჩატარება განეხილა.

**ჯიმ მიკლაჟევსკი:**

— იმ პერიოდში მრავალი საიდუმლო კრება გაიმართა ეროვნული უშიშროების ხელმძღვანელებს შორის. ყველაფერი საიდუმლოდ ინახებოდა და თვით ამ სპეცსამსახურების თანამშრომლებმაც კი არ იცოდნენ, სად და როდის ტარდებოდა შეკრება, რა საკითხებს განიხილავდნენ მასზე.

მესამე ფაზა ადგილზე თვალთვალი გახდა. ცსს-მ გადაწყვიტა, შენობასთან ყველაზე ახლოს მდებარე სახლი ექირავა.

**ჯონ კერაკუ:**

— სინამდვილეში ცსს-მ ისარგებლა ადგილობრივი მკვიდრის დახმარებით. სწორედ ამ უკანასკნელმა იქირავა სახლი სპეცსამსახურებისთვის.

ჯონ კერაკუ პაკისტანში ტერორიზმთან ბრძოლის განყოფილების ხელმძღვანელი იყო 2001 წლის სექტემბერში, აშშ-ში მომხდარი ტერაქტების შემდეგ და მართალია, მას მონაწილეობა არ მიუღია ბენ ლადენის ძებნის ოპერაციებში, მაგრამ მონაწილეობდა სხვა მსგავს საქმეებში.

**ჯონ კერაკუ:**

— ძალზე მნიშვნელოვანი იყო შეუმჩნევლად დარჩენა. აუცილებელია, ადგილობრივებს დაემსგავსო — უნდა გაიზარდო წვერი და ჩაიცვა პაკისტანური ტანსაცმელი.

როგორც ჩანს, ცსს-მ ფოტოგრაფიული ტელეობიექტივი და ღამის ხედვის ხელსაწყოები გამოიყენა. როგორც ჯონ კერაკუ ირწმუნება, მოსმენებისთვის ცსს-მ უახლესი ლაზერული სხივი გამოიყენა.

**ჯონ კერაკუ:**

— ამ ლაზერულ სხივებს შეუძლია დააფიქსიროს ფანჯრების ვიბრაცია და ეს ვიბრაცია ბგერად გარდაქმნას. ამრიგად, შორი მანძილიდან, ყოველგვარი მოსასმენი აპარატურის დამონტაჟების გარეშეც შეიძლება განისაზღვროს, რაზე საუბრობენ ოთახში.

ამერიკის სადაზვერო ჯგუფი უთვალთვალებდა მამაკაცს, რომელიც სამიზნე შენობის ეზოში სეირნობდა. მას კოდურ სახელად ლიდერი შეარქვეს. როგორც ჩანდა, ცალკეული ინფორმაციული ფრაგმენტები ერთ მკვეთრ სურათად ერთიანდებოდა.

**ჯონ ბრენანი:**

— ჩვენთვის ცნობილი გახდა, თუ ვინ ცხოვრობდა ამ შენობაში. ესენი იყვნენ ქალები, ბავშვები და ასე შემდეგ და ეს ემთხვეოდა იმ ინფორმაციას, რომელიც ბენ ლადენის დოსიეში მის ოჯახს ეხებოდა.

***2011 წლის თებერვალი.***

ცსს-ს ხელმძღვანელმა ლეონ პანეტამ გადაწყვიტა, რომ მათ ხელთ აქვთ საკმაო რაოდენობის ირიბი მტკიცებულებები, რომ მათ წინაშე თავად უსამა ბენ ლადენია. ამის შემდეგ ოპერაციის მზადება იწყება. პანეტა დაუკავშირდა ვიცეადმირალ უილიამ მაკრეივენს, რომელიც პენტაგონის სპეციალური დანიშნულების ჯარებს ხელმძღვანელობდა. ამ ჯარში საუკეთესოთა შორის საუკეთესონი მსახურობენ.

**ბარი მაკკაფრეი:**

— ისინი, ძირითადად, ღამით მუშაობენ. ღამის ხედვის მოწყობილობებსა და სპეციალურ იარაღს იყენებენ, თავად კი შეუმჩნეველნი რჩებიან. ისინი დედამიწაზე ყველაზე საშიში ადამიანები არიან.

მაკრეივენი რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა ამ ოპერაციაზე ცსს-სთან ერთად. მარტში პრეზიდენტს სამი ვარიანტი წარუდგინეს. პირველი ვარიანტი პაკისტანის დაზვერვის აგენტებთან ერთობლივ ოპერაციას ითვალისწინებდა. ამ ვარიანტზე პრეზიდენტმა უმალვე განაცხადა უარი.




**ჯონ ბრენანი:**

— ამგვარ ოპერაციაში გასაიდუმლოებულობა წარმატების საწინდარია. არც ერთმა ქვეყანამ, ჩვენმა უახლოესმა მოკავშირეებმაც კი არაფერი იცოდნენ ამ ოპერაციის შესახებ.

მეორე ვარიანტი იყო ბომბდამშენების საშუალებით საჰაერო დარტყმის განხორციელება. ამ შემთხვევაში შენობა მთლიანად მიწასთან გასწორდებოდა. პრეზიდენტისთვის მთავარი იყო, მშვიდობიან მოქალაქეთაგან არავინ დაზარალებულიყო.

**ჯიმ მიკლაჟევსკი:**

— შენობის განადგურებით ჩვენ დავკარგავდით დნმ-ის ნიმუშების მოპოვების შესაძლებლობას და არ გვექნებოდა მტკიცებულებები, რომ მიზანი ნამდვილად განადგურებულია. აშშ-ის არმიისა და დაზვერვის ოფიცერთათვის ეს ყველაზე უარესი დასასრული იქნებოდა.

მესამე ვარიანტი იყო შტურმი ვერტმფრენებისა და შეიარაღებული ძალების სპეცქვედანაყოფების მონაწილეობით. მაგრამ ეს ძალზე სარისკო იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მესამე ვარიანტი ყველაზე სახიფათოდ შეფასდა, მაინც ის იქცა პრიორიტეტულად.

ვიცეადმირალმა მაკრეივენმა მიიღო დავალება, დაეწყო მზადება ოპერაციის განხორციელებისთვის.

**ჯიმ მიკლაჟევსკი:**

— შეიქმნა სამიზნე შენობის ზუსტი ასლი ვარჯიშისთვის. იმისათვის, რომ სიბნელეში სივრცეში ორიენტირება ესწავლათ, ჯარისკაცები ბევრს ვარჯიშობდნენ და ეს გრძელდებოდა მანამ, ვიდრე მათ თვალდახუჭულებმა არ შეძლეს შენობაში მოძრაობა.

***2011 წლის 28 აპრილი.***

პრეზიდენტმა ობამამ ნაციონალური უშიშროების ოფიცრები უკანასკნელად შეკრიბა. მას სერიოზული გადაწყვეტილება უნდა მიეღო. მტკიცებულებებს უტყუარს ვერავინ უწოდებდა.

**ჯონ ბრენანი:**

— მე არ შემეძლო დაზუსტებით მეთქვა, რომ ეს ბენ ლადენია, მაგრამ ასევე არ შემეძლო მეთქვა, რომ ეს არაა ბენ ლადენი. პრეზიდენტი ობამა კრების ყველა წევრს ამ საკითხთან დაკავშირებით აზრს ეკითხებოდა.

დამსწრეთა აზრი ორად გაიყო, მაგრამ ობამას მრჩევლებმა გადაწყვიტეს, რომ დაახლოებით 60%-იანი ალბათობით სამიზნე შენობაში სწორედ ბენ ლადენი იმყოფებოდა. როდესაც კრება დასრულდა, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თავისი გადაწყვეტილების შესახებ დილით გამოაცხადებდა.

***2011 წლის 29 აპრილი.***

მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო ბრიტანეთის სამეფო ქორწილს ადევნებდა თვალს, ობამა თავის მრჩევლებს უხმობს.

**ჯონ ბრენანი:**

— მან შემოგვხედა და გვითხრა, საჭიროა ოპერაციის ჩატარება. ეს იყო ერთ-ერთი რთული გადაწყვეტილება, რომლის მიღებაც პრეზიდენტს მოუხდა.

ობამამ ოპერაცია 30 აპრილისთვის დანიშნა, მაგრამ უამინდობის გამო ოპერაცია მეორე დღისთვის გადაიდო. 30 აპრილის საღამოს ობამა თეთრ სახლში გამოვიდა და მოახერხა, დაძაბულობა არ შეემჩნია.

**ჯიმ მიკლაჟევსკი:**

— პრეზიდენტ ობამასთან პოკერს არავითარ შემთხვევაში არ ვითამაშებდი.

კვირას, 1 მაისს, ბარაკ ობამა მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენელთან ერთად თეთრი სახლის ოპერატიულ ცენტრში მივიდა, რომ ოპერაციის მსვლელობისთვის ედევნებინა თვალი.

**ბარი მაკკაფრეი:**

— მთავრობას აღარაფერი შეეძლო, ყველაფერი 25-35 წლის ჯარისკაცებზე იყო დამოკიდებული. ისინი კი იმ მომენტში საკუთარი სიცოცხლით რისკავდნენ.

**ტომ ვალენტინი:**

— პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ მისიის ჩაშლა არ შეიძლებოდა. ეს უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანესი ოპერაცია იყო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ოპოზიციური გაზეთებისთვის მთავარ საინფორმაციო-შემეცნებით ამოცანად ტვინის გამორეცხვა იქცა. ვენესუელელებს თავში უჭედავენ, რომ მათ ქვეყანაში ყველაზე მაღალია დანაშაულის რაოდენობა, რომ ნარკობარონები აბსოლუტურად თავისუფლად დაპარპაშებენ, რადგან პოლიციის მხრიდან არანაირ წინააღმდეგობას არ აწყდებიან, რომ ჩავესი მთავრობის ორგანოებში კორუფციის მომხრე და წამახალისებელია, რათა ჩინოვნიკთა გულის მოლბობისკენ ისწრაფვის.**

# აშშ ვენესუელის ნავთობრესურსების მიტაცებისთვის ემზადება




**ის აზრი, რომ ვენესუელა ნავთობისა და გაზის რესურსებზე კონტროლის დამყარების მიზნით მიმდინარე აშშ-ის გლობალური ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგი სამიზნეა, სულ უფრო აქტიურად განიხილება. წარმოუდგენლად გამოიყურება ის ფაქტი, რომ აზიისა და აფრიკის ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში პენტაგონისა და აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული უამრავი სისხლისმღვრელი ოპერაციის შემდეგ ვენესუელის ნახშირწყალბადოვანი რესურსები ჯერაც არაა იმპერიის კონტროლქვეშ. დაახლოებითი გათვლებით, ეს რესურსები 100-150-წლიან ინტენსიურ ექსპლოატაციას გაუძლებს.**






ვაშინგტონს ვენესუელური ნავთობის მითვისების „რკინისებური“ საფუძველი აქვს: ქვეყანას სათავეში უდგას „ანტიამერიკული დიქტატორი“, ძმები კასტროების, ირანელი ახმადინეჯადის, ლიბიელი კადაფის, სირიელი ასადისა და „მოსაშორებელი“ ჩინოვნიკების სიის კიდევ რამდენიმე წევრის მეგობარი. ჩავესი „არარაციონალურად“ ხარჯავს ნავთობდოლარებს — კონტინენტზე თავისი რევოლუციის ექსპორტს აფინანსებს და სტიმულირებას უწევს ინტეგრაციული გაერთიანებების შექმნას აშშ-ის მონაწილეობის გარეშე. მისი მიზანია, ვენესუელა „კბილებამდე შეიარაღებულ რეგიონალურ ზესახელმწიფოდ“ აქციოს. მაგრამ, თუ დიქტატორს თავის უზარმაზარ ფინანსურ რესურსებს ჩამოართმევენ, მისი ყველა პროექტი ერთ საათში დაინგრევა.

**ვენესუელის წინააღმდეგ აშშ-ის ნავთობის ომის თაობაზე პერმანენტურად ისმის საუბარი 2002 წლის დეკემბრიდან, მას შემდეგ, რაც ნავთობკომპანია „PDVSA“-ს მმართველებმა 20 ათასი მუშისა და თანამშრომლის მონაწილეობით გაფიცვა მოაწყვეს.** ნავთობგადამამუშავებელ კომპლექსებში საბოტაჟი, ბენზინგასამართ სადგურებზე მრავალკილომეტრიანი რიგები, საყოფაცხოვრებო გაზის კრიზისი — შეთქმულების მონაწილეთა ჩანაფიქრით ეს ყველაფერი ჩავესის რეჟიმის საფუძვლიანად შერყევის საბაბი უნდა გამხდარიყო. მაგრამ რეჟიმის მომხრეებმა სიმტკიცე გამოიჩინეს და **2003 წლის თებერვალში გაფიცვამ კრახი განიცადა, „PDVSA“ კი სახელმწიფო კონტროლს მთლიანად დაექვემდებარა. კომპანიაში აშშ-ის ინტერესების სასარგებლოდ მომუშავე „მეხუთე კოლონა“ გამოაშკარავდა, მისი მრავალი მეთაური საზღვარგარეთ გაიქცა. 15 ათასამდე მენავთობე სამსახურიდან გააგდეს, კომპანიის დანაკარგებმა 10 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.**

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ სერიოზული გავლენა მოიპოვა საერთაშორისო არენაზე. ამ ყველაფრიდან არც თუ მცირე სარგებელი ნახა რუსეთმაც, რომლის ეკონომიკას ნახშირწყალბადებზე მაღალმა ფასმა დიდად შეუწყო ხელი, კარაკასი ენერგეტიკული კრიზისის დროს დაეხმარა სოციალისტურ კუბასაც, რომლის აღსასრულსაც უახლოეს მომავალში ვარაუდობდნენ.

**აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის ნავთობკომპანიებთან მომუშავე ანალიტიკოსების შავბნელი პროგნოზები, რომ თითქოს „სოციალურად ორიენტირებული“ ჩავესის მიერ შემუშავებული ენერგეტიკული პოლიტიკა, რომელიც ლათინოამერიკული მომხმარებლისთვის შეღავათიან ფასებს ითვალისწინებდა, კრახისთვის იყო განწირული, არ ასრულდა. სწორედ ნავთობის ფაქტორი უზრუნველყოფს ჩავესის მმართველობის სტაბილურობასა და საერთაშორისო წრეებში მის ავტორიტეტს.**

ვენესუელის ლიდერი წარმატებით ამტკიცებს, რომ ნავთობზე სახელმწიფო კონტროლი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ელემენტია. შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ აშშ-მა სახელმწიფო ნავთობკომპანია „PDVSA“-ს მიმართ სანქციები მხოლოდ იმიტომ დააწესა, რომ მან ირანში 20 ათასი ტონა ბენზინით დატვირთული ტანკერი გაგზავნა. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჯეიმს სტეინბერგმა ხაზი გაუსვა, რომ სანქციებს სხვა ქვეყნების კომპანიებიც დაექვემდებარნენ და რომ ეს არის სიგნალი იმ ნავთობისა და სანაოსნო ქვეყნებისთვის, რომლებიც ნახშირწყალბადებით თეირანთან ვაჭრობენ. **„გვინდა, მივახვედროთ ყველა, ვინც მომავალშიც აპირებს უპასუხისმგებლოდ დაუჭიროს მხარი ირანის ენერგეტიკულ სექტორს, რომ ისინი ძალზე სერიოზული შედეგების წინაშე დადგებიან,“** — განაცხადა მან.

ვენესუელაში დარწმუნებული არიან, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის რეპრესიების მთავარ სამიზნეს არაბეთის, სინგაპურის, მონაკოსა და სხვა ქვეყნების მეორეხარისხოვანი კომპანიები კი არა, სწორედ „PDVSA“ წარმოადგენს. ჯერჯერობით სანქციებს „გამაფრთხილებელი გასროლის“ ხასიათი აქვს: **ვენესუელური ნავთობკომპანია მოკლებულია აშშ-თან სახელმწიფოებრივი კონტრაქტების გაფორმების, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებსა და ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფინანსების მიღების შესაძლებლობებს.** ეს არც ისე სერიოზულია, **„PDVSA“ მშვენივრად გადის ფონს აშშ-თან კონტრაქტების გარეშეც, დიდი ხანია, არ საჭიროებს ნავთობის სფეროში იმპერიის ფინანსურ მხარდაჭერას და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვისთვისაც საკუთარი საიმედო ბაზები აქვს.**

უგო ჩავესმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გამოხდომას ტვიტერის საშუალებით უპასუხა: **„ბოლივარის სამშობლოს წინააღმდეგ სანქციები გრინგოს იმპერიალისტური ხელისუფლებისგან. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მისტერ ობამა! არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ ბოლივარის შვილები ვართ!“** — დაწერა მან საკუთარ გზავნილში და ხაზი გაუსვა, რომ ვენესუელის სახელმწიფო კომპანიას არ აეკრძალება აშშ-სთვის ნავთობის მიყიდვა. სანქციების დაწესების დღესვე ორგანიზებულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიკოლას მადურომ თქვა, რომ მინისტრთა კაბინეტი განიხილავს სიტუაციას და განსაზღვრავს, რამდენად შეეხება აშშ-ის სანქციები „PDVSA“-ს სტაბილურ მუშაობასა და დღეში 1,2 მილიონი ბარელი ვენესუელური ნავთობის მიწოდებას ჩრდილოამერიკული ბაზრისთვის.

მინისტრმა აღნიშნა, რომ იმპერიალისტურ აგრესიაზე პასუხი ადეკვატური იქნება. **„ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც არასდროს, გავამყარებთ ირანთან მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც ცალსახად მშვიდობიანი ხასიათისაა“,** — თქვა მინისტრმა. **ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის მითისადმი ვენესუელის მთავრობამ არაერთხელ გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება. ვაშინგტონი თეირანის წინააღმდეგ ტყუილს ზუსტად ისევე იყენებს, როგორც ბაღდადის წინააღმდეგ იყენებდა ერაყში შეჭრის წინ.**

ანტიჩავესური სტერეოტიპები ჭარბი რაოდენობით იქმნებოდა ბუშ-უმცროსის პერიოდშიც. საყრდენი თეორია იყო ის, რომ ჩავესი მხარს უჭერდა არაბ ტერორისტებს, რომლებიც სამხედრო-დივერსიული მზადებისთვის ვენესუელის საიდუმლო პოლიგონებს იყენებდნენ. ყველაზე ხშირად მოიხსენიებოდა კუნძული მარგარიტა, რომელიც თავისუფალი სავაჭრო ზონაა და სადაც ახლო აღმოსავლეთიდან ჩასულთა პატარა კოლონა ცხოვრობს. ამ არაბ ვაჭრებთან ურთიერთობის მქონე ადამიანს აზრადაც არ მოუვა, რომ ყველა მათგანს ამერიკელი მზვერავები „ჰეზბოლას“ საბრძოლო უჯრედებში ჩარიცხავენ. მაგრამ ამ მითმა თავისი ცხოვრებით განაგრძო ცხოვრება და ახლა აშშ-ის სამხედრო ძალების სამხრეთის ჯგუფის ყველა ახალი სარდალი დარწმუნებით აცხადებს, რომ ვენესუელის კუნძულ მარგარიტაზე ტერორისტული ბანაკებია. **აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ ექსპლოატირებადი თემაა ვენესუელის შტატ ბოლივარში ირანის მიერ ურანის დამუშავებაც. სადღაც იქვე უნდა იყოს ირანის „საიდუმლო ლაბორატორიები“, სადაც ატომური იარაღის ნიმუშების გამოცდებიც მიმდინარეობს.**

ამ სერიიდან უკანასკნელი ცნობა გერმანულ გაზეთ „Die Welt“-ში დაიბეჭდა: ირანელები ქმნიან ბაზას აშშ-ის ობიექტებისკენ რაკეტების გაშვებისთვის პარაგუანას ნახევარკუნძულზე. ჩავესმა უმალ მოახდინა რეაგირება და მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ამ ნახევარკუნძულის ქარის გენერატორების ფოტოები უჩვენა ტელეკამერებს. **„აი, ესაა ირანული რაკეტები,** — განაცხადა ჩავესმა, — **ყოველი გამშვები დანადგარი მოიცავს სამ რაკეტას, რომელთაგან ერთი მიმართულია ვაშინგტონის, მეორე — ნიუ იორკის, მესამე კი — მაიამისკენ. როგორც ჩანს, იანკების სადაზვერვო თანამგზავრი მწყობრიდან გამოვიდა“.** ვიცეპრეზიდენტმა ელიას ჰაგუამ კი განმარტა, რომ ეს ყოველივე ვენესუელაზე თავდასხმისთვის მიზეზად შეთხზეს.

ამგვარ დასკვნამდე ახლა მრავალი ადამიანი მიდის. **ახლოვდება 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და, გამოკითხვების მიხედვით, ჩავესს მოწინააღმდეგე არ ჰყავს. არჩევნები დღეს რომ გამართულიყო, ის უდავოდ გაიმარჯვებდა. ამიტომაცაა, რომ აშშ ცდილობს, ქვეყანაში შიდა კონფლიქტების კერები შექმნას და საამისოდ** ტუნისის, ეგვიპტის, ლიბიის გამოცდილებას იყენებს.

**დღის წესრიგში ვენესუელის დესტაბილიზაცია დგას! ოპოზიციის მოსაძლიერებლად გამოიყენება სოციალური ძალები, პროამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდული მოძრაობების რადიკალები, კოლუმბიელი ბოევიკები, თითქოსდა თავდაცვის დაშლილი რაზმებიდან. შეთქმულების კოორდინატორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ბოლივარიანული რიგებიდან დეზერტირების გადაბირების საქმეს. ჩავესთან განხეთქილების მქონე ამბიციური პოლიტიკოსების რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება. სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია.**

ოპოზიციური გაზეთებისთვის მთავარ საინფორმაციო-შემეცნებით ამოცანად ტვინის გამორეცხვა იქცა. ვენესუელელებს თავში უჭედავენ, რომ მათ ქვეყანაში ყველაზე მაღალია დანაშაულის რაოდენობა, რომ ნარკობარონები აბსოლუტურად თავისუფლად დაპარპაშებენ, რადგან პოლიციის მხრიდან არანაირ წინააღმდეგობას არ აწყდებიან, რომ ჩავესი მთავრობის ორგანოებში კორუფციის მომხრე და წამახალისებელია, რათა ჩინოვნიკთა გულის მოლბობისკენ ისწრაფვის, რომ ნავთობი ბოლივარიული ალიანსის ქმედუუნარო მოკავშირეებისა და, პირველ რიგში, კუბის ინტერესებზე იფლანგება, რომ ვენესუელის ინფრასტრუქტურამ მიაღწია კრიზისულ მდგომარეობას, რის გამოც რეგულარულად ითიშება დენი, მწყობრიდანაა გამოსული საგზაო საფარი, პრობლემებია სასმელ წყალთან დაკავშირებით და დროდადრო სურსათის პრობლემები იქმნება.

**მასმედია აქტიურად განიხილავს ვენესუელის პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკურ და სამხედრო თანამშრომლობის უპერსპექტივობას რუსეთთან და ჩინეთთან. ვენესუელის თავდაცვითი პოტენციალი სუსტდება აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციებით სამხედრო-სამრეწველო კორპორაცია Cavim-ის წინააღმდეგ. რუსულ მედიაში გაიელვა ცნობამ იმის შესახებ, რომ გაურკვეველი მიზეზების გამო სახელმწიფო დეპარტამენტმა Cavim-ის წინააღმდეგ აშშ-ის სანქციების საფუძველი არ დაასახელა, მაგრამ რა არის აქ გაურკვეველი ან რა საჭიროა რაიმეს საფუძვლის ძებნა? აშშ-ს ძალიან არ უყვარს, როდესაც ტრადიციული იარაღის ბაზრებიდან დევნიან.**

ვარაუდობენ, რომ ვენესუელაში აფეთქების დეტონატორი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის მკვლელობა გახდება. მეტი ეფექტისთვის, შესაძლოა, სასიკვდილოდ რამდენიმე ადამიანიც კი გაიმეტონ. შემდეგ კი ყველაფერი კარგად ნაცნობი სცენარით გაგრძელდება. „ბალბოას გეგმა“, რომელიც ვენესუელაში მდგომარეობის „ნორმალიზაციას“ ითვალისწინებს, პენტაგონსა და ნატოს შტაბ-ბინაში არავის გაუუქმებია...

*fondsk.ru*

ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს ზრდის სტიმულირებას, რადგან 1930 წლის განმეორებისა ეშინია, მაგრამ თანამედროვე „ზრდის ელექსირზე“ ულიმღამო რეაქცია გვაიძულებს, ვიფიქროთ, რომ, სტრუქტურული თვალსაზრისით, აშშ ახლა ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე 1930 წელს იყო.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# გენმოდიფიცირებული კულტურები, როგორც ბიოლოგიური იარაღი



**გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები, რომლებიც კვების ახალი პროდუქტებისა და სოფლის მეურნეობის კულტურების შესაქმნელად გამოიყენება, მთელ მსოფლიოში ბიოლოგიური იარაღის სახით მოქმედებს და უნაყოფობას განაპირობებს.**



28 მაისს გამოქვეყნებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ გაეროს მარეგულირებელი ორგანი — საერთაშორისო ორგანიზაცია Codex-ი, რომელიც დედამიწაზე მთელი საკვების, წყლის, მინერალებისა და ბალახის კონტროლირებას ცდილობს, გენური მოდიფიკაციის შედეგად მიღებულ პროდუქტებს საკვებად არ მიიჩნევს და ამიტომ ამგვარი პროდუქტები გამოყენების განცალკევებულ სფეროში უნდა გადავიდეს.

მაგალითად, შობადობის კონტროლისა და უშვილობის განვითარების სფეროში დედამიწის ზოგიერთი ხალხისა თუ ქვეყნისთვის.

**არსებობს საერთაშორისო სამოქალაქო მოძრაობა, რომელიც ცდილობს, აშშ-ის ხელისუფლება აიძულოს, გენმოდიფიცირებული პროდუქტი მარკირებული სახით გაიყიდოს, მაგრამ, ხელისუფლებას არა მხოლოდ ის სურს, რომ ამგვარი პროდუქტი არამარკირებული დარჩეს, არამედ ცდილობს, CODEX-ის საშუალებით გენმოდიფიცირებული პროდუქტი არამარკირებული გახადოს საერთაშორისო დონეზეც.**



პრობლემა ისაა, რომ Codex-ს შეხება აქვს ყველაფერთან, რაც საკვებად გამოიყენება, გენმოდიფიცირებული პროდუქტი კი ამ კატეგორიას არ განეკუთვნება.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროსა და კალიფორნიის მომცრო ზომის ბიოტექნოლოგიური ფირმის, სახელად Epicyte-ს მიერ დაფინანსებული გამოცდის ობიექტი სიმინდი იყო. 2001 წელს მიღწეულ საკუთარ წარმატებებზე საუბრისას ამ კომპანიის პრეზიდენტი მიტჩ ჰეინი თავის გენმოდიფიცირებულ კულტურებზე სიამაყით აცხადებდა: **„ყველა საცავი სავსე გვაქვს ისეთი სიმინდით, რომელიც სპერმის მომაკვდინებელ ანტისხეულებს გამოიმუშავებს“.**

**ორსულობის თავიდან ასაცილებელი მცენარის შემქმნელებმა აღმოაჩინეს ადამიანის ანტისხეულების იშვიათი კატეგორია, რომლებიც სპერმატოზოიდებს ესხმიან თავს. ამ ანტისხეულების წარმოქმნის მარეგულირებელი გენების იზოლირებითა და მათი მცენარის ჩანასახში ჩანერგვით კომპანიამ შექმნა მცენარეული მინიფაბრიკები, რომლებიც ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს აწარმოებს.**

სპერმის მტერ ანტისხეულებს ქალის ორგანიზმი გამოიმუშავებს. ისინი სპერმატოზოიდებს ზედაპირზე ეკვრებიან და იმდენად ამძიმებენ, რომ ამ უკანასკნელთ საერთოდ აღარ შეუძლიათ გადაადგილება.

ჰეინის მტკიცებით, ამას შეუძლია ჭარბი მოსახლეობის პრობლემა გადაწყვიტოს.

**გენმოდიფიცირებული სიმინდისა და სხვა კულტურების შექმნისა თუ სამხრეთ ამერიკაში, მექსიკასა და აფრიკის ქვეყნებში გამოყენების შემდეგ თავად აშშ-შიც საინტერესო ფაქტები გამოვლინდა.** მას შემდეგ, რაც 1996 წელს გენმოდიფიცირებული საკვები ოფიციალურად აღიარებულ და მოწონებულ იქნა, აშშ-ში შობადობის დონემ კლება დაიწყო, კლების ტემპმა კი ამ პროდუქტის გამოყენების დაწყებიდან სამი წლის შემდეგ, 1999-ში, მკვეთრად მოიმატა.

**ვინაიდან გენმოდიფიცირებულ საკვებს Codex-ი საერთოდ არ განიხილავს ბუნებრივ ნედლეულად და რადგან მეცნიერები მიზანმიმართულად ნერგავენ სიმინდსა თუ სხვა კულტურებში შობადობაზე მოქმედ ელემენტებს მსოფლიო მოსახლეობის გამრავლების გასაკონტროლებლად, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტის გამოყენების ერთ-ერთი მიზანი მისი ბიოლოგიურ იარაღად ქცევაა.**

მრავალი გლობალური ორგანიზაცია გენმოდიფიცირებულ პროდუქტს, განსაკუთრებით სიმინდს, ბრინჯსა და სოიოს, მსოფლიოში სიღატაკის წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებს და, უპირველესად, მესამე მსოფლიოს ქვეყნებს ამარაგებს. გეიტსების, როკფელერებისა და აგრას (გაეროს ყოფილი თავმჯდომარის კოფი ანანის ორგანიზაცია) ფონდები სხვა არაფერია, თუ არა სამი გავლენიანი ორგანიზაცია, რომლებიც მსოფლიოში გენმოდიფიცირებული პროდუქტის გავრცელებას უზრუნველყოფს.

**ადამიანის საკვებ პროდუქტში იმ ცვლილებების შეტანა, რომლებიც უშვილობას განაპირობებს ან შობადობაზე პირდაპირ კონტროლის დაწესების საშუალებას იძლევა, თავისი არსით სხვა არაფერია, თუ არა ბიოლოგიური იარაღის შექმნა, იარაღისა, რომლის ერთადერთი მიზანი ამა თუ იმ რეგიონში მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაა.**

*mixednews.ru*

# ამერიკული იმპერიის ვარდნა და ნგრევა

**გასულ კვირას ამერიკამ რეკორდი დაამყარა: უძრავ ქონებაზე ფასები კვლავ დაეცა და, როგორც გაირკვა, საცხოვრებელი სახლები, ბუნის პერიოდთან შედარებით, 33%-ით გაიაფდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „დიდი დეპრესიის“ რეკორდი მოხსნილია — მაშინ უძრავ ქონებაზე ფასმა 31%-ით დაიკლო. მართალია, ახლა უმუშევართა რაოდენობა ნაკლებია (9,1%), ვიდრე იმ პერიოდში იყო, მაგრამ თეთრი სახლი მაინც გვარიანადაა შეშფოთებული — აშშ-ის უკანასკნელი პრეზიდენტი, რომელმაც 7,2%-ზე მეტი უმუშევრობის პირობებში ხელახალ არჩევნებში გამარჯვებას მიაღწია, ფრანკლინ რუზველტი იყო.**



მაშ ასე, აშშ-ს დიდი პრობლემები აქვს: კოლოსალური საბიუჯეტო დეფიციტი და ვაშინგტონის პოლიტიკური პარალიჩი. ამასთანავე, ამერიკელები ვარაუდობენ, რომ პრობლემები ადვილად გადაწყდება ამერიკის ეკონომიკის მასშტაბებისა და სამხედრო სიძლიერის წყალობით, იპოთეკური კრიზისიდან კი აშშ არნახულად გაძლიერებული გამოვა.

თუმცა არსებობს სხვა ჰიპოთეზაც: **2011 წლის ამერიკა იგივეა, რაც რომი ჩვენი წელთაღრიცხვის 200 წელს ან დიდი ბრიტანეთი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე — ძლიერების მწვერვალზე მყოფი იმპერია დაბზარული საძირკვლით.**

თუ ლპობა დაიწყო, მისი შეჩერება იოლი საქმე არაა. ყველაზე სახიფათო სიმპტომებია, როდესაც არმიის შესაძლებლობები ცვდება შეუძლებელი დავალებებით, მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრული ღრმავდება, ეკონომიკის რეალური სექტორი ამოწურულია, მოქალაქეები კრედიტების წყალობით ცხოვრობენ საკუთარ შესაძლებლობებთან შედარებით უკეთ, ძველი პოლიტიკა ეფექტურობას კარგავს.

გარდა ამისა, აშშ-ში უკვე შორს წავიდა კულტურის ვარდნის პროცესი, რისი დამადასტურებელი ფაქტებიც — მძიმე დანაშაულებათა მაღალი დონე, ჭარბწონიანობის ეპიდემია, პორნოგრაფიაზე ნარკოტიკული დამოკიდებულება და ელექტროენერგიის ჭარბი მოხმარება — სახეზეა.

**იმპერიის დაცემის საერთო მაჩვენებლებია პირველყოფილი უსურვილობა აღიარებისა, რომ შეშფოთებისთვის სერიოზული მიზეზები არსებობს და იმ ქვეყნების გამოჩენა, რომლებიც მსოფლიოს მოძველებულ წყობას გამოწვევას უგზავნის. დღეს ასეთი ქვეყანაა ჩინეთი. აშშ-ში, ისევე, როგორც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ბრიტანეთში, ეკონომიკა წარმოებიდან ფინანსურ სექტორზე გადადის.**

ახლა კი დავფიქრდეთ ეკონომიკის გაჯანსაღების მიმდინარე ეტაპების რადიკალურ განსხვავებულობაზე წინამორბედ ციკლებთან შედარებით. ტრადიციულად, როდესაც აშშ კრიზისიდან გამოდის, უმუშევრობის დონე მცირდება, დაბალი საპროცენტო განაკვეთები წამახალისებელ როლს ასრულებს მომხმარებლისთვის და საცხოვრებელი სახლების მშენებლობები მატულობს.




## 2011 წლის ამერიკა — ძლიერების მწვერვალზე მყოფი იმპერია დაბზარული საძირკვლით

ახლა უძრავი ქონების ბაზარს განმეორებითი კრიზისი ახრჩობს. ამერიკელებმა ფულის გაცილებით უფრო ფრთხილად ხარჯვა ისწავლეს. ნედლეულსა და სურსათზე ფასების ზრდა კი პრობლემას მხოლოდ ამძიმებს: ინფლაცია იზრდება, მსყიდველუნარიანობა იკლებს.

**ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს ზრდის სტიმულირებას, რადგან 1930 წლის განმეორებისა ეშინია, მაგრამ თანამედროვე „ზრდის ელექსირზე“ ულიმღამო რეაქცია გვაიძულებს, ვიფიქროთ, რომ, სტრუქტურული თვალსაზრისით, აშშ ახლა ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე 1930 წელს იყო.**

გამოსავალი ეკონომიკის ფინანსური სისტემის ბრჭყალებისგან გამოგლეჯა და რიგითი ადამიანების მსყიდველუნარიანობის ასამაღლებლად ზომების გატარებაა, რათა ამერიკის ჩვეულებრივი მოკვდავნი ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი კრედიტებზე. რაც შეეხება უძრავი ქონების ბაზარს, იქ ამნისტიაა საჭირო. ამერიკისთვის ახლა მთავარია, ხელახლა აღმოაჩინოს საკუთარ თავში ის შტრიხები, რომელთაც საკუთარ სიდიადეს უნდა უმადლოდეს.

*The Guardian*

მემკვიდრეობა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველო გახდა რა კავკასიის არმიის მთავარსარდალთა რეზიდენცია, თბილისმა ბევრი რამ ნახა და გადაიტანა. სხვადასხვა დროს ქალაქი ხდებოდა გენერლების — კნორინგ მეორის, თავად ციციანოვის, გრაფ გუდოვიჩის, რტიშჩევის, ერმოლოვის, ნეინდგარდისა და სხვათა რეზიდენცია. თანამედროვეთა მოგონებების თანახმად, თბილისში ვორონცოვის ჩამოსვლამ ქალაქის ცხოვრება მთლიანად შეცვალა და სულ სხვა ხასიათი შესძინა.**

# ვორონცოვის დროის თბილისი
# კულტურა, ხელოვნება, განათლება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №20

**მეცხრამეტე საუკუნის შუა წლები ქართული კულტურის, საზოგადოებრივი აზრისა და საერთოდ, ეროვნული ენერგიის აღდგენისა და განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისად არის მიჩნეული. იმჟამინდელმა ქართველობამ, გარეშე მტერთაგან თავდახსნილმა და ფეხზე წამომდგარმა, „თავისი დაკარგული ვინაობის აღდგენაზე“ ფიქრი დაიწყო და ძიებებით აღსავსე გზას დაადგა.**
**„ქართველ საზოგადოებას XIX საუკუნის პირველ ნახევარში, — როგორც ამას არჩილ ჯორჯაძე შენიშნავდა, — ეროვნულად გარკვეული ფიზიონომია აღარ ჰქონდა. ძველ დროში თუ იყო რაიმე კულტურის ნასახი, თითქოს წაშლილიყო. პოლიტიკურად დასნეულებული ეროვნული სხეული დასნეულდა ზნეობრივად და გონებრივადაც. ორმოციან წლებში უკვე დასრულებული იყო დეზორგანიზაცია ეროვნულ ცხოვრებისა“. ამის შემდეგ კი, ე.ი. XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან, „მიძინებული ერი თითქოს გამოფხიზლდა და დეზორგანიზაციაში მოყვანილი საზოგადოებრივი სხეული გამთლიანებისა და განკურნების იმედმა შეიპყრო... ვორონცოვის ხანა შეიქნა ქართული კულტურის აღორძინების ხანად“.**
**ასე გაჩნდა ქართულ სინამდვილეში გამოთქმა „ვორონცოვის ხანა“...**
**კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი (1782-1856) უაღრესად საინტერესო ფიგურად წარმოგვიდგება.**
**შევეცდებით, ვრცლად მოგითხროთ ვორონცოვის მიერ საქართველოში გატარებული რეფორმების, ქალაქმშენებლობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილის შესახებ, რის გამოც ქართულმა საზოგადოებამ მას თბილისში ძეგლიც კი დაუდგა.**

მიხეილ ვორონცოვი მთელი ძალისხმევით მუშაობდა გზების კეთილმოწყობაზე. „ნაჯახის საშუალებით“ მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო კავკასიის დაპყრობა. აშენდა ხიდები მდინარეებზე: მტკვარზე, თერგზე, სუნჟზე, ლაბეზე; საფუძველი ჩაეყარა სანაოსნო მიმოსვლას შავ და კასპიის ზღვებზე, მდინარე მტკვარზე; განხორციელდა ამიერკავკასიის მიწების დანაწევრება, 1850 წელს აშენდა ოლაგირის ქარხანა. მეფისნაცვალი ზრუნავდა მხარეში მევენახეობის, მელვინეობის, მეაბრეშუმეობის, ცხენოსნობისა და სოფლის მეურნეობის სხვა მიმართულებათა განვითარებაზე. თავადის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი სფერო იყო განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარება.

ასე რომ, თბილისში 1848 წელს გამოსვლას იწყებს გაზეთი „კავკაზი“, ყალიბდება „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“, რომელმაც შეცვალა „გუბერნსკიე ვედომოსტი“. ამ გაზეთებმა ნოვოროსიისა და კავკასიის შორეული ტერიტორიები დაუახლოვა რუსეთს. ნოვოროსიის კალენდრის წარმატებამ უკარნახა ვორონცოვს, მსგავსი გამოცემა 1847 წელს თბილისშიც გაეკეთებინა. კალენდარი შეიცავდა მდიდარ ისტორიულ, გეოგრაფიულ, ტოპოგრაფიულ და სხვა სახის მასალებს, შეგროვილს მცოდნე და შრომისმოყვარე ადამიანების მიერ.

**გახსნა რა ოდესაში საჯარო ბიბლიოთეკა, მიხეილ სიმონის ძემ მას პირადი ბიბლიოთეკიდან 400 ტომი ძვირფასი და იშვიათი გამოცემა უსახსოვრა, ხოლო 1846 წელს მეფისნაცვლის კანცელარიასთან შექმნა ბიბლიოთეკა იმ წიგნებისგან, რომლებიც მან და კერძო პირებმა** (სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან) **შემოსწირეს ბიბლიოთეკას. შესაფერისი შენობის შერჩევის შემდეგ, 1859 წელს თბილისში გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა, რაც მრავალეროვანი მხარისთვის მოვლენა იყო.**

ფლობდა რა უძველეს ენებს (ლათინურს და ბერძნულს), ჯერ კიდევ ბავშვობაში ვორონცოვს გაცნობიერებული ჰქონდა კავკასიის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ცივილიზაციების შესწავლის აუცილებლობა.

**1846 წელს თბილისში მეფისნაცვლის კანცელარიასთან საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივ ნუმიზმატურ კოლექციას. თავადის მიერ მოწვეული ცნობილი მეცნიერების** (რომელთა შორის იყვნენ ბროსე, იოსელიანი, ბართლომეი, ხანიკოვი და სხვ.) **შრომებმაც შეუფასებელი როლი**



**შეასრულა კავკასიის მხარის შესწავლაში.**

1850 წელს თბილისში შეიქმნა სოფლის მეურნეობის ამიერკავკასიის საზოგადოება, რომელიც ვორონცოვის მიერ 1828 წელს ოდესაში გახსნილი საზოგადოების მსგავსი იყო. 1850 წელს კავკასიაში სამირკველი ჩაეყარა რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებას: მაგნიტურ და მეტეოროლოგიურ ობსერვატორიას, შედგა არარატზე ასვლის გეგმა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ვორონცოვმა გახსნა ალიევის სექტის მუსლიმანური სასწავლებელი, 1849 წელს დააფუძნა კავკასიის ცალკე არსებული სასწავლო ოლქი, ბევრ ქალაქში შექმნა და გახსნა სამაზრო სასწავლებლები.

**ვორონცოვის მეუღლის — ელისაბედ ვორონცოვის მონაწილეობით ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ქალიშვილებისთვის თბილისში, ქუთაისში, შირაქში გაიხსნა წმ. ნინოს დაწესებულებები; წმ. ალექსანდრესი — სტავროპოლში, წმ. რიფსიმესი — ერევანში.**

პატრიარქმა ნერსესმა წმ. რიფსიმეს ქალთა სასწავლებელს მნიშვნელოვანი ფულადი დახმარება გაუწია და მოუწოდა როგორც სომხებს, ასევე მუსლიმან ბეგებს, ამ სასწავლებელში შეეყვანათ თავიანთი ქალიშვილები. 1850 წლის 2 იანვარს სასწავლებელი გაიხსნა და მისი ზედამხედველობა ერევნის გუბერნატორის მეუღლეს — ელისაბედ იგორის ასულ ნაზიროვას დაეკისრა.

სასწავლებლის მოსწავლეთა პირველი ნამუშევრები — ნაქარგობა — პატრიარქ ნერსესს უსახსოვრეს. პასუხად სასწავლებელმა პატრიარქისგან შექება და ჯილდოდ 300 მანეთი დაიმსახურა (მისი პირადი სახსრებიდან). ამის თაობაზე ვორონცოვის მეუღლე ნერსესს სწერდა, რომ მადლიერებას გამოხატავს პატრიარქისადმი გამოჩენილი გულუხვობისთვის და საჭიროდ თვლის, საქმის კურსში ჩააყენოს პატრიარქი, თუ რაში გამოიყენებენ მის მიერ ნაჩუქარ თანხას.

1851 წლის ზაფხულში ნერსესმა სასწავლებელს დარაჩიჩაგში საეკლესიო მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი უსახსოვრა საზაფხულო შენობისთვის. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პატრიარქი ნერსესი სომხეთში ქალთა განათლებისთვის ზრუნავდა.

**ვორონცოვის სიკვდილის შემდეგ მისმა მეუღლემ 200 ათასი მანეთი ვერცხლის სახით გაიღო მის მიერ დაარსებული ქალთა ხუთი საქველმოქმედო დაწესებულებისთვის, მასში შედიოდა თითოეულ კურსდამთავრებულზე 200 მანეთის ოდენობით დახმარების გაცემაც.**

**კავკასიის ნაკლებად შესწავლილი ადგილების გამოსაკვლევად ვორონცოვი გზავნიდა სპეციალისტებს. ამ მიზნით აკადემიკოსმა გ.ვ. აბიხმა შემოიარა კავკასია და არარატი; აკადემიკოსმა მ.ი. ბროსემ — საქართველო.** მეცნიერები, სამხედროები, ჩინოვნიკები, მხატვრები, ლიტერატორები, რომლებიც მაშინ კავკასიაში ჩამოდიოდნენ, ხშირ შემთხვევაში თბილისში, მეფისნაცვლის რეზიდენციაში ჩერდებოდნენ.

**იყო რა საქართველოს გუბერნიის (1846 წლიდან თბილისის) ადმინისტრაციული ცენტრი, თბილისი კავკასიაში წარმოადგენდა ცენტრალურ პუნქტს ნედლეულის შესყიდვისა და პროდუქტების რეალიზაციის მხრივ.** თბილისის მეშვეობით რუსეთი ამყარებდა დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან. საფრანგეთის კონსული გამბა, რომელიც ქალაქში XIX საუკუნის 20-იან წლებში იმყოფებოდა, წერდა:

**„ტიფლისში ერთსა და იმავე დღეს ჩამოდიან ნეგოციანტები (ბითუმად მოვაჭრეები) საფრანგეთიდან, კურიერები — პეტერბურგიდან, ვაჭრები — კონსტანტინოპოლიდან, ინგლისელები — კალკუტიდან და მადრასიდან, სომხები — სმირნიდან, იეზიდები და უზბეკები — ბუხარიდან; ასე რომ, ეს ქალაქი შეიძლება ჩაითვალოს ევროპისა და აზიის მთავარ საკვანძო ადგილად“.**

თბილისში ევროპული ჩვევები ადგილობრივი ტრადიციების პრიზმაში იყო გატარებული. აქ ერთდროულად არსებობდა ფრაკი და ჩოხა, ჩეფჩიკი და ჩადრი, ქარავანი და ფაიტონი, იტალიური არია და მკაცრი ქართული პოლიფონიური სიმღერა, პოლონეზი და ლეკური, ევროპული მაღაზიები და აღმოსავლური ბაზარი.

**რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველო გახდა რა კავკასიის არმიის მთავარსარდალთა რეზიდენცია, თბილისმა ბევრი რამ ნახა და გადაიტანა. სხვადასხვა დროს ქალაქი ხდებოდა გენერლების — კნორინგ მეორის, თავად ციციანოვის, გრაფ გუდოვიჩის, რტიშჩევის, ერმოლოვის, ნეინდგარდისა და სხვათა რეზიდენცია. თანამედროვეთა მოგონებების თანახმად, თბილისში ვორონცოვის ჩამოსვლამ ქალაქის ცხოვრება მთლიანად შეცვალა და სულ სხვა ხასიათი შესძინა.**

ვორონცოვს შეეძლო, დაახლოებოდა უნარიან, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებს. **„...ყველანი აღფრთოვანებული იყვნენ ვორონცოვის ადამიანებისადმი დამოკიდებულებით“.** 1845 წელს თბილისში ვორონცოვთან ერთად და შემდგომში ჩამოსულ ხალხს ქალაქის ცხოვრებაში სიახლეები შეჰქონდათ. ევროპულმა კულტურამ დაიწყო აღმოსავლური პატრიარქალური სიტუაციის შეცვლა.

ოდესისა და პარიზის მოდელები გემოვნებას ევროპული ტუალეტის შესაბამისად ცვლიდნენ; კუაფერ ვლოტემ, ჩამოვიდა რა პარიზიდან, თბილისში უზარმაზარი მაღაზია და მოდური ატელიე გახსნა.

**„მტკვრის მარცხენა სანაპიროზე წარმოიქმნა ახალი ევროპული კვარტლები ყველა პირობებით, განსაკუთრებით ვორონცოვის ახალი ხიდით, ძველის სანაცვლოდ. თავადი და ქალბატონი თავიანთი პირადი საქციელით იძლეოდნენ უბრალოებისა და განსაკუთრებული გულისხმიერების მაგალითს.**

**მთავარმართებლის სახლში იგივე სახელმწიფო ავეჯი იდგა, რაც ადრე; საჭმელი, თუმცა ყოველთვის გემრიელი იყო, განსაკუთრებით არაფრით გამოირჩეოდა; ღვინოს კახურს ან ყირიმულს სვამდნენ; ლაშქრობაშიც და გზაშიც თავადი სხვებისგან არ გამოირჩეოდა, თუ მის სტუმართმოყვარეობის მასშტაბებსა და ყველასადმი კეთილ დამოკიდებულებას არ ჩავთვლით. მის ამ ბუნებრივ უბრალოებას ყველა ამჩნევდა და უნებლიეთ აცნობიერებდა, რომ ის სხვა მაღალ წრეს ეკუთვნოდა როგორც შეხედულებებით, ისე წარმომავლობითა და შეფასებებით“.**

წლებთან ერთად თავადის სიკეთე ზოგიერთი პიროვნების მიმართ უკიდურესობამდე მივიდა. მას არ შეეძლო უარის თქმა ძალზე მომთხოვნი მთხოვნელებისთვის, რითაც ისარგებლეს ზოგიერთებმა, როცა გაიგეს მისი თბილისში დანიშვნის ამბავი. საერთოდ კი, **იმდროინდელი თბილისის საზოგადოება შედგებოდა ნათელი, კეთილსინდისიერი ადამიანებისგან, რომელთა დიდი ნაწილის სახელი სამართლიანად შევიდა რუსეთისა და საქართველოს ისტორიაში.**

ისევე, როგორც ნოვოროსიაში, საქართველოშიც, ვორონცოვის გარემოცვაში, საკმარისად იყვნენ ბრწყინვალე მეცნიერ-მკვლევარები, რომლებმაც თავიანთი შრომებით ფასდაუდებელი ამაგი დასდეს მხარეს. მათ შორისაა ცნობილი ნუმიზმატი ივანე ალექსანდრეს ძე ბართლომეი, რომელიც არც საშუალებას, არც დროს არ იშურებდა მონეტების მოძიებისა და შესყიდვისთვის, იყო „ჩეჩნეთის ანბანის“ ავტორი. ივანე ალექსანდრეს ძე, ასევე, აგროვებდა მწერების კოლექციას. თავადი ა.ა. დონდუკოვ-კორსაკოვი იგონებს, 1851 წელს ყუბანს იქეთ ლაშქრობაში ყოფნისას, მდინარე ბელოიზე, თუ როგორ შეაგროვა ბართლომეიმ მწერები და შეინახა თუნუქის სპირტიან კოლოფებში. კოლექციას დიდხანს არ უარსებია. ერთ-ერთი ვიზიტის დროს სტუმრები ცუდმა სუნმა შეაწუხა, რაც ამ კოლოფებიდან ამოდიოდა. აღმოჩნდა, რომ კაზაკებს ის სპირტი დაულევიათ, რომელშიც მეცნიერი მწერებს (ფარულ ექსპონატებს) ინახავდა. გაცოფებული მეცნიერი კარგა ხანს ვერ დაწყნარდა, სტუმრები კი სიცილს ვერ იკავებდნენ.

**კავკასიაში მცხოვრებ მეცნიერთა შორის იყო ასევე აკადემიკოსი გ.ვ. აბიხი, უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც 1845 წელს მოაწყო არარატზე ასვლა და რომელიც 1853 წელს კავკასიის მხარის აღწერისთვის აკადემიკოსი გახდა. გენერალ-ლეიტენანტ ხოდზკოსგან კავკასია დავალებულია ტოპოგრაფიული სამუშაოების ორგანიზაციით.**

ცარსკოსელსკის ლიცეუმის აღზრდილი ნ.ვ. ხანიკოვი თბილისში 40-იანი წლების ბოლოს ჩამოვიდა; დამოუკიდებლად შეისწავლა რა აღმოსავლური ენები, კარგად გაეცნო აღმოსავლურ ლიტერატურას, გეოგრაფიას. მისი ჩანაწერები ენების შესწავლისა და კავკასიური კილოების შესახებ პარიზში, გეოგრაფიული საზოგადოების დიდ ოქროს მედალზე იქნა წარდგენილი.

**იმ დროს თბილისში ცნობილი იყო ორბელიანის, ჭავჭავაძის, გ.ვ. აბიხას, ნ.ვ. ხანიკოვის, ი.ი. ხოდზკოს სახლები, რომელთა პატრონები ღირსეულად ემსახურებოდნენ ამ მრავალტანჯულ მიწას და თავიანთი სიყვარულის საზომად მის მიმართ შესრულებული კეთილი საქმეები მიაჩნდათ.**

თბილისი 40-50-იან წლებში გასაოცარი კოლორიტული ცხოვრებით ცხოვრობდა. იმ დროის სახელოვან პიროვნებათა შორის იყვნენ: ბარონი ა.კ. მაინდორფი, ასაკოვანი ადამიანი, არაჩვეულებრივად არისტოკრატული და ყურადღებიანი პიროვნება, რომელიც სისტემატურად ქმნიდა განუხორციელებელ პროექტებს ვაჭრობაში, ▶

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**კავკასიის მხარე და, ნაწილობრივ, თბილისი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, რომელზეც გარკვეულწილად მოქმედებდა საგანგაშო საომარი მდგომარეობა. ადგილობრივი ადმინისტრაციული პრობლემები ამ პირობებში სახელმწიფო მნიშვნელობას იძენდა. ამასთან, არ შეიძლებოდა ამიერკავკასიის საზღვრისპირა მდებარეობის, თურქეთთან და სპარსეთთან მისი მეზობლობის დავიწყება. ყველაფერი ეს აიძულებდა ხალხს, რომელიც ომსა და მშვიდობას შორის ცხოვრობდა, გაფრთხილებოდა ყოველ დღეს და დრო არ დაეკარგა წვრილმანებზე.**

◀ ფინანსებსა და მრეწველობაში. სურდა რა განეხორციელებინა თავისი პროექტები, მან შემოიარა მთელი კავკასია; გადაწყვიტა, გაეწმინდა მტკვრის კალაპოტი ნაოსნობის მოსაწყობად; მან, ასაკისა და ავადმყოფობის მიუხედავად, აქტიურად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს.

თბილისში ცნობილი პიროვნება გახდა ინგლისელი სეიმური. ის, სპარსეთში მიმავალი, თბილისში ხუთი დღით უნდა შეჩერებულიყო, სინამდვილეში კი სამი წლით დარჩა და ამის შესახებ არავისთვის უცნობებია. ნათესავებმა ის თავად ვორონცოვის დახმარებით იპოვეს. სეიმური ერევანში წავიდა, იპოვა რა იქ გამყოლები, არარატზე ავიდა, რომლის მწვერვალზეც ინგლისში გასაგზავნი თავისი პირველი წერილი დაწერა.



**ხალხური ტრადიციების შენახვა — ეს ხალხის სულის მონაპოვარია, რამდენადაც უცნაურად უნდა მოეჩვენოს ეს ევროპაში განათლებამიღებულ ადამიანებს, რომელთათვისაც მსგავსი რამ უცხოა.**

თბილისში უძველესი დროიდან ეწყობოდა ე.წ. თამაშები, მასში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები. საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ წლებში თბილისში მსგავსი თამაშები აკრძალული იყო, მაგრამ თავად ციციანოვის ჩამოსვლის შემდეგ და ადგილობრივთა თხოვნით თამაშები აღდგა.

აურზაურის თავიდან აცილების მიზნით, ვორონცოვი თამაშების ქალაქგარეთ გამართვას სთავაზობდა, სადაც მეტი სივრცე იყო და საზოგადოებრივი შენობები ხელს არ შეუშლიდათ. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ: **„ქალაქგარეთ ნებას ვრთავ იმ პირობით, რომ ჩხუბში მხოლოდ შიშველი ხელებით თუ მიიღებენ მონაწილეობას და ყოველთვის — პოლიციის ზედამხედველობით“.**

სახალხო დღესასწაულებს შორის ყველაზე მეტად უყვარდათ თბილისში საყოველთაო ხმაურიანი კარნავალი. ის ეწყობოდა ყველიერის მომდევნო ორშაბათს. XIX საუკუნეში ეს დღესასწაული დაკავშირებული იყო ქართველთა ჯარის სპარსელებზე გამარჯვებასთან, რომლებმაც ჯერ ქალაქი დაიკავეს, მაგრამ შემდგომ დამარცხდნენ. ამასთან, ტყვედ ჩავარდა სპარსეთის შაჰი. მას გადააცვეს მასხარას ტანსაცმელი და ნახშირით მოთხუპნული სახით დაატარებდნენ ქალაქის ქუჩებში. **თბილისელებმა დღესასწაულების გამართვა სისტემატურად დაიწყეს, წარმოადგენდნენ რა სპარსელებთან ბრძოლის ეპიზოდებს, ვორონცოვი სასახლიდან სიამოვნებით ადევნებდა თვალს პროცესიას და ბრბოს ვერცხლის მონეტებს ესროდა.**

იმ დროის თბილისი სავსე იყო ახალგაზრდა მეომრებით, რომელთაც სხვადასხვა მიზეზთა გამო უნდოდათ ვორონცოვთან სამსახური. მოგვიანებით ბევრი მათგანი საერთოდ აღარ დაბრუნებულა რუსეთში, ზოგმა კი მაღალი თანამდებობები დაიკავა. ვორონცოვს უყვარდა ახალგაზრდები და გაგებით ეკიდებოდა მათ ინტერესებსა და სურვილებს.

ერთხელ, თეატრიდან დაბრუნებისას, გაზაფხულის ერთ თბილისურ საღამოს დონდუკოვ-კორსაკოვი სავახშმოდ კლუბში შევიდა, რომელიც მთავარმართებლის სახლის წინ მდებარეობდა. კლუბის შენობას ბაღი ეკვროდა, სადაც ის ღია ცისქვეშ სამ ნაცნობთან ერთად ვახშმად მყოფ თავად ვასილჩიკოვს შეხვდა. გადაწყვიტეს, მუსიკოსები მოეწვიათ. მალე ბაღში რამდენიმე რუსი ოფიცრისთვის 60 მუსიკოსი უკრავდა. შემდეგ პროცესია ქალაქში სასეირნოდ გაემართა, ისინი სერენადებს უმღეროდნენ თავიანთ ამხანაგებს.

გაელვიძა რა ღამის პირველ საათზე ხმაურისგან შეწუხებულ ვორონცოვს, კამერდინერს უბრძანა, გაერკვია, რა ხდებოდა; შეიტყო თუ არა, რაც იყო საქმე, უთქვამს: **„მადლობა ღმერთს, ჩემი ახალგაზრდები კმაყოფილი არიან და მხიარულობენო“.** შესაძლოა, ამ დროს თავადს თავისი ახალგაზრდული ცელქობები ახსენდებოდა, როცა თბილისში 1803 წელს თავად ციციანოვთან მსახურობდა.

ახალგაზრდა ოფიცერთათვის თავისებურ ცენტრს წარმოადგენდა თავადების — ვასილჩიკოვის, დონდუკოვ-კორსაკოვისა და კოჩუბეის ბინები. **„ჩვენი ბინა,** — წერდა დონდუკოვ-კორსაკოვი, — **ერთგვარ შემკრებ პუნქტს წარმოადგენდა მთელი ჩვენი წრისთვის: ჩვენთან ეწყობოდა ლაშქრობაში მიმავალი ამხანაგების გაცილება, სადილები და შეხვედრები ექსპედიციიდან მშვიდობით დაბრუნებულთათვის, ჩვენთან დგებოდა ყველა პიკნიკის გეგმა, რასაც ვორონცოვის მამობრივი მზრუნველობა ყოველთვის ეტყობოდა“.**

**მიხეილ სიმონის ძე ყოველთვის მონაწილეობდა მისი ახლობლების საქმეებში, პირადშიც კი, არასოდეს ამბოგდა უარს დახმარებაზე; ამასთან, ამას დიდი ტაქტით აკეთებდა.**

საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა ოფიცრებს შორის ტიმერგოევის სიმაგრის მარჯვენა ფლანგის კომენდანტი გენიგი. ამ ადამიანს დიდი გავლენა ჰქონდა მეზობელ ჩერქეზთა ტომზე. **„მისი სამართლიანობა; საჭიროების შემთხვევაში, საბრძოლო ენერგია, რაც მთავარია, მოსახლეობის ხასიათის ცოდნა და მისი დიდი სტუმართმოყვარეობა ცნობილი იყო მთელი მარჯვენა ფლანგის ჩერქეზებისთვის. იგი არასდროს არ ტეხდა მიცემულ სიტყვას, ამიტომ მოჩხუბარი თავადები ხშირად მიდიოდნენ მასთან სიმართლის დასადგენად, მოსარიგებლად ან რჩევის მისაღებად“.**

აღმოსავლეთის წეს-ჩვეულებების თანახმად, პოლკოვნიკი გენიგი სტუმრებს ძვირფასი საჩუქრებით უშვებდა, რის გამოც მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავდა. ვორონცოვი კარგად იცნობდა და აფასებდა გენიგს. გაიგო რა მისი ფინანსური პრობლემების თაობაზე, ბრძანა, პოლკოვნიკისთვის 4000 მანეთი გაეგზავნათ მისი პირადი შემოსავლებიდან.

**აქვე უნდა გავიხსენოთ ვორონცოვის კიდევ ერთი ცნობილი კეთილშობილური საქციელი. დატოვა რა საფრანგეთი 1818 წელს, რუსული საოკუპაციო კორპუსის მომავალმა მეთაურმა, დაფარა არამარტო ოფიცერთა ყველა ვალი, არამედ დაბალჩინოსნებისაც და დაახლოებთ ერთი მილიონი ფრანკი საკუთარი ფული გადაიხადა. ცხადია, ამის შემდეგ ფრანგებს არავითარი პრეტენზია აღარ ჰქონიათ.**

რუსეთის იმპერიის ცენტრალური გუბერნიიდან კავკასიის სიშორე ხელს უწყობდა იქ განსაკუთრებული ატმოსფეროს შექმნას მათივე შეხედულებებით, ინტერესებით, თავისებურებებით. კავშირი დედაქალაქიდან იშვიათად იყო, ფოსტა თვეში ორჯერ მოდიოდა, ზოგჯერ ზვავების გამო კავშირი რუსეთთან მთლიანად წყდებოდა. **„მშვენიერია,** — აღნიშნავდა დონდუკოვ-კორსაკოვი, — **რომ თბილისის საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან შორს მდებარეობდა პეტერბურგიდან, აქ არ იყო იმ ხასიათის პროვინციული ცხოვრება, როგორიც არსებობდა და დღესაც არსებობს ჩვენი დიდი სამეფოს ყველა მსგავს პროვინციულ ქალაქში. აქ არ იყო ის წვრილმანი ინტრიგები, ისეთი ჭორაობა, რაც აუტანელს ხდის ცხოვრებას პროვინციაში“.**

კავკასიის მხარე და, ნაწილობრივ, თბილისი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, რომელზეც გარკვეულწილად მოქმედებდა საგანგაშო საომარი მდგომარეობა. ადგილობრივი ადმინისტრაციული პრობლემები ამ პირობებში სახელმწიფო მნიშვნელობას იძენდა. ამასთან, არ შეიძლებოდა ამიერკავკასიის საზღვრისპირა მდებარეობის, თურქეთთან და სპარსეთთან მისი მეზობლობის დავიწყება. ყველაფერი ეს აიძულებდა ხალხს, რომელიც ომსა და მშვიდობას შორის ცხოვრობდა, გაფრთხილებოდა ყოველ დღეს და დრო არ დაეკარგა წვრილმანებზე.

**თბილისი, როგორც მხარის დედაქალაქი, ბევრისთვის იქცა მეორე სახლად, სადაც ლაშქრობებს შორის ყოფნის დროს ტკბილ მოგონებებს ეძლეოდნენ, იხსენებდნენ იმას, რაც ძვირფასი იყო მათთვის და რაც რუსეთში დარჩათ.**

1850 წლის 25 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა ხელმწიფის მემკვიდრე. მისი ჩამოსვლიდან მეორე დღეს ვორონცოვმა საზეიმო სადილი გამართა, საღამოს კი — დიდი მეჯლისი. 27-ში მემკვიდრე ქართველ მემამულეთა მეჯლისს ესწრებოდა, რომელიც ქალაქგარეთ, ორთაჭალაში, ნ. თერშმავონოვის ბაღში გაიმართა, სადაც სტუმარს თავად ორბელიანი შეეგება, მასპინძელმა, ძველი აღმოსავლური ტრადიციის თანახმად, ტახტის მემკვიდრეს ფეხქვეშ ფიანდაზი დაუფინა.

მეჯლისი ევროპული ცეკვებით დაიწყო, რომელიც მალე ეროვნულმა შეცვალა. ცეკვები ბრწყინვალე ფეიერვერკმა შეაჩერა.

მდინარე მტკვრის მეორე ნაპირზე ცეცხლოვანი დეკორაციები ერთმანეთს ცვლიდა. ერთდროულად ცა გაანათა მრავალმა ცეცხლოვანმა ვარსკვლავებად გაფანტულმა ნაპერწკლებმა. შემდეგ ცეკვები შუაღამემდე გაგრძელდა.

პარკის ერთ ხეივანში ე.წ. ევროპული მაგიდა იყო გაწყობილი. ტახტის მემკვიდრემ თავდაპირველად ყურადღება ამ ნადიმს მიაქცია. „ვაშას“ ძახილით მისმა უდიდებულესობამ გაიარა ნადიმის მონაწილეთა შორის და შემდეგ სუფრასთან, დღესასწაულის საპატიო სტუმრების გვერდით დაიკავა ადგილი. შეისვა იმპერატორის სადღეგრძელო, შემდეგ — მისი მემკვიდრის. ადგილობრივმა და პოლკის გუნდებმა შეასრულეს „ღმერთო, მეფე დაიფარე“. თავის მხრივ, ტახტის მემკვიდრემაც წარმოთქვა ქართველი მემამულეების სადღეგრძელო.

**მეორე დღეს, საღამოს რვა საათზე, მემკვიდრისთვის მოეწყო საზეიმო მიღება, რომელიც თბილისის საზოგადოებამ მოაწყო.**

ეს იყო სიონის გვერდით, ქარავან-სარაიში. მოქეიფე ხალხის ჯგუფებს შორის დალაგებული იყო სხვადასხვა სახის საქონელი; სხვადასხვა ადგილებზე იმართებოდა იმპროვიზებული კომედიები. **მეფის მემკვიდრე აღფრთოვანებული და მოხიბლული იყო იმ სანახაობით, რაც მის საპატივცემულოდ მოაწყვეს.**

გამოვიდა რა აივანზე, მის წინაშე ზღაპრული სანახაობა გადაიშალა: მთელი ავლაბრის მთა „დახაზული“ იყო ცეცხლის ხაზებით. მტკვარს ოქროსფერი გადაჰკრავდა. გადაუხადა რა მადლობა თბილისის მოქალაქეებს, ტახტის მემკვიდრე ღამის 12 საათზე მთავარსარდლის სახლში წავიდა.

უმაღლესი სტუმრის წასვლის შემდეგ ქარავან-სარაი ყველა მსურველისთვის გაიხსნა და ღამის სამ საათამდე ასობით ცნობისმოყვარეს უმასპინძლა, ხოლო სომხურ ბაზარში ხალხი გამთენიამდე ღრეობდა.

**„ჟამი ხსნისა“, ნაწილი მეექვსე**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




# გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთვრამეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## მელოტი ზღარბი



**ინგლისში მელოტი ზღარბი აღმოაჩინეს. 6 კვირის ცხოველზე, რომელიც თავისიანებს არ ჰგავდა, მისმა გვარმა უარი თქვა.** ვეტერინარებმა დაასკვნეს, რომ ის სრულიად ჯანმრთელია, მხოლოდ ეკლები აკლია. ზღარბს სახელად ბეტი დაარქვეს. ზღარბისთვის აკრძალულია მზეზე ყოფნა, გამუდმებული გაუწყლოების გამო ბეტის კანი შრება. ზღარბს ზურგზე ჩაის ხის ზეთს უსვამენ. ზღარბის ბუნებაში დაბრუნება სახიფათოა, მას სხვა ზღარბების ძალიან ეშინია.

# მარად 27-ანელთა კლუბი

**1975 წელს ჟურნალისტებმა შეამჩნიეს, რომ ბევრი ცნობილი მუსიკოსი 27 წლის ასაკში გარდაიცვალა. სწორედ ამ აღმოჩენის შემდეგ შეიქმნა „კლუბი 27“, რომელიც ასევე ცნობილია როგორც „მარად 27-იანელთა კლუბი“. მასში ის ყველაზე ცნობილი მუსიკოსები გააერთიანეს, რომლებიც 27 წლის ასაკში გარდაიცვალნენ.**



**ჯიმი ჰენდრიქსი**
ოფიციალური მიზეზით, ღვინოსთან საძილე წამლების შერევის შედეგად გულისრევისგან გაიგუდა და 1970 წლის 18 სექტემბერს გარდაიცვალა ელექტრო გიტარისტი, მომღერალი და კომპოზიტორი **ჯიმი ჰენდრიქსი.** იგი 27 წლის და 295 დღის იყო.



**ჯენის ჯოპლინი**
ჰეროინის ჭარბი დოზის მიღების შედეგად 1970 წლის 4 ოქტომბერს გარდაიცვალა ჯგუფების — Big Brother and the Holding Company, The Kozmic Blues Band and Full Tilt Boogie Band-ის ვოკალისტი და კომპოზიტორი **ჯენის ჯოპლინი.** იგი 27 წლისა და 258 დღის იყო.



**ბრაიან ჯონსი**
მუსიკალური ჯგუფის Rolling Stones-ის დამაარსებელი და გიტარისტი, მულტი-ინსტრუმენტალისტი **ბრაიან ჯონსი** 1969 წლის 3 ივლისს გარდაიცვალა. ოფიციალური მიზეზით, იგი საცურაო აუზში დაიხრჩო. ბრაიანი 27 წლის და 125 დღის იყო.



**კურტ კობეინი**
1994 წლის 5 აპრილს, თვითმკვლელობის მიზნით, იარაღიდან გასროლით გარდაიცვალა ჯგუფ Nirvana-ს წამყვანი მომღერალი, გიტარისტი და კომპოზიტორი **კურტ კობეინი.** იგი 27 წლისა და 44 დღის იყო.



**ჯიმ მორისონი**
როგორც ოფიციალურად სიკვდილის გამომწვევ მიზეზად აღიარეს, გულის სისუსტით 1971 წლის 3 ივლისს გარდაიცვალა ჯგუფ The Doors-ის წამყვანი მომღერალი, კომპოზიტორი და ვიდეორეჟისორი **ჯიმ მორისონი.** გვამი არ გაუკვეთიათ. იგი 27 წლისა და 207 დღის იყო.

# Waverly-ს მთების სანატორიუმი — მოკლე და მტანჯველი გზა სიკვდილისკენ

**აშშ-ში, კერძოდ ლუისვილში, ოდესღაც მდებარე სანატორიუმი ახლაც მრავალ ადამიანს სცემს შიშის ზარს. მეცნიერებმა არაერთხელ სცადეს საიდუმლოს ამოხსნა, თუმცა უტყუარ შედეგებამდე მისვლას ვერავინ დაიკვეხნის. ყველაფერი კი ასე დაიწყო.**





1800-1900 წლებში ამერიკა გაანადგურა საშინელმა სასიკვდილო დაავადებამ, რომელსაც მაშინ „თეთრ სიკვდილს“ უწოდებდნენ, ახლა კი ტუბერკულოზი ჰქვია. ამ გადამდები დაავადების სამკურნალო საშუალებები არ არსებობდა; ამიტომ „თეთრი სიკვდილი“ ოჯახებსა და ხშირ შემთხვევაში მთელი ქალაქების მოსახლეობას ანადგურებდა. 1900 წლიდან ამერიკაში მოსახლეობის სიკვდილიანობის მხრივ კენტუკის შტატის უდიდესი ქალაქი ლუისვილი ლიდერობდა. აუცილებელი გახდა სპეციალური სანატორიუმის აშენება. ასეც მოხდა, 1910 წელს ჯეფერსონების ოლქში აიგო საავადმყოფო, რომელიც მალევე გადაივსო, ამიტომ სხვა, ახალი სანატორიუმის აგების საჭიროება დადგა.

ახალი სანატორიუმი, რომელსაც WAVERLY HILLS-ი დაერქვა, 1926 წლს გაიხსნა. იგი ქვეყანაში ყველაზე მოწინავე სანატორიუმად ითვლებოდა, მაგრამ ამავე დროს პაციენტების მაღალი სიკვდილიანობით გამოირჩეოდა. იმ დროისთვის სპეციალისტებს ჩამოყალიბებული ჰქონდათ ტუბერკულოზის მკურნალობის გზები: სუფთა ჰაერი, ნატურალური საკვები და სხვ. ასე რომ, ეს მთებში ჩაფლული სანატორიუმი თითქოსდა პირველი წინგადადგმული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო დაავადების წინააღმდეგ...ბრძოლის საქმეში, მაგრამ მალე ის ნამდვილ სასაკლაოდ იქცა.

**არავინ იცის, თუ რას ფიქრობდა მომსახურე პერსონალი, ექიმები, ექთნები, როდესაც თვალისდაუხამხამებლად უსწრაფებდნენ სიცოცხლეს თავიანთ პაციენტებს. მათი მკურნალობის მეთოდები სისხლიანი და შოკისმომგვრელი იყო. ფილტვების გაფართოების მიზნით, ისინი პაციენტებს ნეკნებსა და კუნთების ნაწილს აჭრიდნენ. ასევე მილისმაგვარ ხელსაწყოს უდგამდნენ დარჩენილ ორგანოებში. ამ ყველაფერს მკურნალობის თავიანთი მეთოდების არსებობით ხსნიდნენ. თუმცა ამ „მკურნალობის“ შემდეგ 1-2 დღის განმავლობაში ყველა საშინელი ტანჯვით იღუპებოდა. ადმინისტრაციას სახელის გაფუჭება არ აწყობდა, ამიტომ რკინიგზაზე გამავალი საიდუმლო გვირაბის საშუალებით გაჰქონდათ გვამები, რათა დარჩენილ ავადმყოფებს არ დაენახათ და არ მიმხვდარიყვნენ, თუ რა ელოდათ მომავალში.**

1930 წლიდან ტუბერკულოზმა მთელ მსოფლიოში იწყო კლება. 1961 წელს სანატორიუმი დაიხურა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ სხვა სახელწოდებით გაიხსნა. ახალ სანატორიუმს პაციენტები არ ეკარებოდნენ, რადგან კარგად ესმოდათ, თუ რა ელოდათ იქ. მასზე ნათქვამი თითქმის ყველა ჭორი გამართლდა, უფრო მეტიც: დადგინდა, რომ ექიმები ელექტროშოკს იყენებდნენ, რაც სასტიკად იყო აკრძალული. 1982 წელს სანატორიუმი საბოლოოდ დაიხურა, თუმცა შენობამ არსებობა განაგრძო.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ სანატორიუმი მუდამ ექცეოდა ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღების ცენტრში. ღამღამობით დახურული შენობიდან მტვრევის, მსხვრევისა და ყვირილის ხმა ისმოდა. არაერთხელ დაუნახავთ პატარა გოგონასა და ბიჭის მოჩვენებები, ყველაზე საზარელი მოსასმენი კი ქალის განწირული კივილი იყო. მოსახლეობის აზრით, იქ ნაწამები ხალხის სულები ვერ პოულობდნენ სიმშვიდეს. ადგილზე მალე პარანორმალური მოვლენების მკვლევართა ჯგუფი ჩავიდა. სხვა ყველა სიკეთესთან ერთად ჯგუფის წევრებს უამბეს, რომ შენობიდან ხშირად კერძების სუნი გამოდიოდა. შიგ შესულებს სამზარეულოს ოთახი ერთიანად დალეწილ-გაპარტახებული დახვდათ. სხვა სართულების დათვალიერების დროს კი ახლადგამომცხვარი პურის სუნი ეცათ. მაშინვე შეამოწმეს ყველა ოთახი, თუმცა, რა თქმა უნდა, ხორციელს ვერავის მიაგნეს.

თქმულებების თანახმად, სანატორიუმში ყველაზე საშიში ადგილი მე-5 სართული იყო. ამ სართულზე ექთნებისა და იმ პაციენტთა ოთახები იყო განლაგებული, რომლებსაც წამებით ხდიდნენ სულს. მეცნიერებმა, რომლებმაც ღამით ამ შენობის მონახულება და იქაურობის შესწავლა მოინდომეს, სისხლიან სამოსში გახვეული გრძელთმიანი ქალის აჩრდილი და მის კვალდაკვალ მიმავალი ექიმის ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი იხილეს. ორივე — პაციენტიცა და ექიმიც — შენობის კუთხეებში უკვალოდ უჩინარდებოდნენ.

სანატორიუმით შემდგომშიც არაერთი მკვლევარი დაინტერესდა. კეთდებოდა რეპორტაჟები, იწერებოდა სტატიები თავისებური ახსნა-განმარტებებით, თუმცა საიდუმლო კვლავ საიდუმლოდ დარჩა.

## ჩერნობილი



**აქ ყველა ნივთი სიჩქარეშია მიტოვებული. ბინები ღიაა, ქალაქი ჩამკვდარია, კატასტროფის დღის გაზეთები მიწაზე წაუკითხავი ყრია.** ახლა, როდესაც რადიაციის დონე იქ ცოტა ხნით ყოფნისთვის დასაშვებია, ჩერნობილში ტურისტები ჩადიან. ექსკურსიები თითქმის ერთნაირია, რადგანაც გადაადგილების ზონა მკაცრად კონტროლდება. ქალაქი-მოჩვენება ამ სიაში, ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება.

ქრონოგრაფი
მოგზაური და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ყველაზე შემზარავი ადგილები დედამიწაზე



## მიუტერის სამედიცინო ისტორიის მუზეუმი ფილადელფიაში

**ეს არის პათოლოგიის, ძველი სამედიცინო ხელსაწყოების მუზეუმი, რომელიც ამერიკის უძველეს სასწავლო კომპლექსშია განლაგებული. მუზეუმი სახელგანთქმულია თავის ქალების უდიდესი კოლექციით.** ასევე, აქ შეკრებილია სხვადასხვანაირი უნიკალური ექსპონატი. მაგალითად, ქალის ცხედარი, რომელიც მიწაში საპნად გადაიქცა. აქვე შეგიძლიათ ნახოთ სიამის ტყუპები, რომელთაც ერთი ღვიძლი აქვთ, ორთავიანი ბავშვის ჩონჩხი და კიდევ უამრავი საინტერესო და საშინელი ექსპონატი.



## ლაგუნა „ტრუკი“ მიკრონეზიაში

**იაპონური სამხედრო-საზღვაო ძალების უდიდესი ნაწილი ახლა ზუსტად ლაგუნას ფსკერზე დევს.** მიკრონეზია ჰავაის არქიპელაგის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშია. ლაგუნას ფსკერი, რომელიც 1971 წელს ჟაკ კუსტომ გამოიკვლია, დაფარულია სამხედრო გემების ნაწილებით, რომლებიც 1944 წელს ჩაიძირა. ახლა ისინი დაივერებისთვისაც ხელმისაწვდომია. თუმცა...ბევრს ახლაც ეშინია იმ ეკიპაჟების, რომლებმაც ვერ მოასწრეს პოსტის დატოვება. ცნობისმოყვარე ტურისტებს ხშირად ემართებათ უცნაურობები.



## მაგიური ბაზარი სონორა მეხიკოში

**მეხიკოს ალქაჯები, რომლებიც თავის ჯიხურებში სხედან, 10 დოლარად გპირდებიან სიღარიბისგან სწრაფ გათავისუფლებას. ჯიხურების კედლებზე კი ჩამწკრივებულია გალიები მტაცებელი ფრინველებით.**

ეს ბაზარი აქ სპეციალურად ჩამოსული ტურისტებისთვის ყოველდღე ღიაა. ეს ის ადგილია, სადაც მკვიდრი მოსახლეობა ყიდულობს ათას სისულელეს, რაც მათ „ჯადოსგან“ იხსნის. ნამდვილ ენთუზიასტებს კი შეუძლიათ იყიდონ გველის სისხლი, რათა მათი ბიზნესი განვითარდეს.



## აღდგომის კუნძული

**ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და საიდუმლოებით მოცული ადგილი ზუსტად აღდგომის კუნძულია, რომლეზეც უდიდესი ზომის ქვისგან გამოთლილი ურჩხულების ნაკეთობებია.** ეს გიგანტები ცაში იყურებიან, თითქოს შემჩნეული არიან რაიმე დანაშაულში. მხოლოდ ქვებმა იციან, სად გაქრა ხალხი, ვინც მათ აკეთებდა. ამ კუნძულზე სხვამ არავინ იცის, როგორ გააკეთოს მსგავსი რამ. ქანდაკებების სიმაღლე 20 მეტრია, ხოლო სიმძიმე — 90 ტონა! ახლა აღდგომის კუნძულზე, სადაც ოდესღაც მშვენიერი ცივილიზაცია სახლობდა, აქა-იქ თუ მოჩანს სიცოცხლის ნიშნები.



## მანჩაკის ჭაობი ლუიზიანაში

**ჩირაღდნის შუქზე ჭაობის გადაცურვისას ტურისტებს გარს აკრავს ლიანები. შორიდან ისმის საშინელი ყმუილი, რომელიც, არავინ იცის, საიდან მოდის.**

მანჩაკის ჭაობს მეორენაირად მოჩვენებების ჭაობსაც ეძახიან. ეს ჭაობი ნიუ-ორლეანის მახლობლად მდებარეობს, ის გოთების „ოცნებაა“. ამბობენ, რომ ჭაობი ვუდუს დედოფალმა დაწყევლა, როდესაც იგი ტყვედ აიყვანეს მეოცე საუკუნის დასაწყისში. 1915 წლის ქარიშხლის შედეგად აქ 3 სოფელი უკვალოდ გაქრა.



## პარიზის კატაკომბები

**გრძელი კარიდორის გასწვრივ დაწყობილია თავის ქალები და ჩონჩხები, თითქოს დახლებზე შემოლაგებული პროდუქტი იყოს....აქ მშრალი ჰაერია და ხრწნის სუნი იგრძნობა.** არის საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი წარწერები, რომლებიც მეფეს წყევლიან. კატაკომბების სიგრძე 187 კილომეტრია და მათი მხოლოდ პატარა ნაწილია ღია მნახველებისთვის.



## ვინჩესტერების სახლი

**ეს არის კოლოსალური კონსტრუქცია, რომელსაც მრავალი ცრურწმენა უკავშირდება.** სარა ვინჩესტერს, იარაღის კომპანიის მემკვიდრეს, ერთმა მკითხავმა უთხრა, რომ ვინჩესტერების მიერ მოკლულთა აჩრდილები მუდმივად თან სდევდა მას, თუ კონექტიკუტიდან დასავლეთში არ წავიდოდა და არ ააგებდა სახლს, რომლის მშენებლობაც მის სიცოცხლეში ვერ დასრულდებოდა. მშენებლობა 1884 წელს სან-ხოსეში დაიწყო და 38 წელიწადს გაგრძელდა, ვიდრე სარა არ გარდაიცვალა. ახლა სახლის 160 ოთახში მოჩვენებები დაძრწიან და ამაში ყველაზე ურწმუნო ტურისტებიც კი დარწმუნდნენ.



## მერი კინგის ჩიხი ედინბურგში

**ეს რამდენიმე ქუჩაა საშინელი წარსულით. ეს ის ადგილია, სადაც XVII საუკუნეში შავი ჭირით დაავადებულებს კეტავდნენ.** განსაკუთრებით მამაც ტურისტებს, რომლებიც დათანხმდნენ ექსკურსიაზე, ხელებსა და ფეხებზე ვიღაც უხილავი ჰკიდებდა ხელს. თვლიან, რომ ეს ენის მოჩვენებაა, ახალგაზრდა გოგონასი, რომელიც მისმა მშობლებმა 1645 წელს იქ დატოვეს.



## ალისტერის სააბატო

**ალისტერ კროული, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე სამარცხვინო ოკულტისტია და ეს ქვის ფერმერული სახლი, საშინელი ფრესკებით რომაა სავსე, ოდესღაც სატანისტური ორგიების მსოფლიო დედაქალაქი იყო.** კროული ცნობილია თავისი თაყვანისმცემლებით და იმ ფაქტით, რომ ბითლზების ალბომის ყდაზე მოხვდა (Sgt. Pepper‘s Lonely Hearts Club Band). ალისტერმა დააარსა ეს სააბატოც. ახალბედებს აიძულებდნენ, ღამე გაეტარებინათ კოშმარების ოთახში, სადაც ჰეროინით გაჭყიპულები დედამიწის, ჯოჯოხეთისა და სამოთხის ფრესკებს უყურებდნენ. 1945 წელს კენეტ ეჯერმა გამოიყენა ეს ისტორია და გადაიღო ფილმი, რომელიც შემდგომში სადღაც გაქრა. ახლა ეს სააბატო სრულიად დანგრეულია.

# მირიან ტორონჯაძე: შერონს გებჟალიისა და ხინკლის რეცეპტები გამოურთმევია რესტორნის შეფ-მზარეულისთვის. განა ეს ქართული გენის გამარჯვება არაა?!

**თბილისი პატარა ქალაქია და ახალი ამბებიც სწრაფად ვრცელდება. პროცესი კულმინაციას მანამდე აღწევს, სანამ რომელიმე ჩაძიებული მკითხველი არ მიხვდება, რომ შოკისმომგვრელი ახალი ამბავი მორიგი სატყუარაა „ნი2 ნიუსისგან“. ყველამ არ იცის, რომ „ნი2 ნიუსი“ დეზინფორმაციული სააგენტოა. თუმცა მკითხველი ძალიან ადვილად იჯერებს, რაც ნიუსების ერთ-ერთი ავტორის, მირიან ტორონჯაძის, იგივე bigcrow-ს აზრით, კარგიც კია და, რაც მეტი დაიჯერებს, მით უკეთესი. „საქართველო და მსოფლიო“ „ნი2 ნიუსის“ ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ავტორს — მირიან ტორონჯაძეს დაუკავშირდა.**





**— როდის და ვისი ინიციატივით დაარსდა „ნი2 ნიუსი“?**

— მე და ჩემმა მეგობრებმა ვნახეთ Onion News-ი — ამერიკული სააგენტო, რომელიც სახალისო ფორმით ავრცელებდა დეზინფორმაციას ან, უბრალოდ, მოგონილ ამბებს. გადავწყვიტეთ, რომ საქართველოსაც სჭირდებოდა მსგავსი რამ და გავაკეთეთ „ნი2 ნიუსი“. რადგან ნიორი საქართველოში უფრო პოპულარულია, ვიდრე ხახვი, ამიტომაც დავარქვით მას ასეთი სახელი. ეს მოხდა 2009 წლის მარტში. თავიდან მხოლოდ მიმდინარე ამბების გადაკეთებითა და მათი „ნიუსების“ ფორმით მიწოდებით ვიყავით დაკავებულნი. შემდეგ გავაფართოეთ მოღვაწეობის სფეროები — დავიწყეთ ვიდეოების კეთება, ფოტოშარჟები, ფეისბუქისა და სხვა გვერდების სტატუსები... მოკლედ, „ნი2“-ს დავამატეთ არტი. სამწუხაროდ, ისე გამოვიდა, რომ, რაც უფრო ფართოვდებოდა ჩვენი საქმიანობის სფერო და მატულობდა მკითხველთა რაოდენობა, „ნი2“-ს ნელ-ნელა ეცლებოდა ავტორები. დღეისათვის, მხოლოდ მე დავრჩი, უკანასკნელი მოჰიკანივით, იმ ადამიანებიდან, ვინც თავიდან „ნი2“-ის კეთება დავიწყეთ. თუმცა არის ახალი სისხლიც და შესაბამისად — ახალი იდეებიც.

**— დღეს „ნი2“ დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს, ალბათ, როგორც თქვენ ხშირად ახსენებთ ხოლმე, „ნი2“-ის არაგოიმი ჯგუფის დამსახურებაა, რომელსაც, ძირითადად, კრიტიკული დამოკიდებულება აქვს საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი.**

— „ნი2“-ის არაგოიმი ჯგუფი, რომელიც ღიმილით უყურებს ქვეყანაში და მის გარეთ მიმდინარე მოვლენებს, თვლის, რომ ხალხს უნდა მოასმენინო ის, რისი მოსმენაც უნდა. სტანდარტული ნიუსები, რითაც უხვად გვკვებავს დღევანდელი მედია, ხშირად დამახინჯებულად ასახავს ხოლმე რეალობას. თან ჩვენ, რეალური ნიუსსააგენტოებისგან განსხვავებით, ხალხს ვატყუებთ ისე, რომ წინასწარ ვაფრთხილებთ — ჩვენ თქვენ გატყუებთ, ეს არის დეზინფორმაცია! „ნი2“ აჩვენებს პუბლიკას ამბის იმ მხარეს, რომელსაც ხშირად მალავენ. სატირა და იუმორი ამისთვის ყველაზე კარგი ფორმაა.

**— ხშირად გყავთ ამოჩემებული ე.წ რესპონდენტები. ასეთია, მაგალითად, ინფორმაციის შემფასებელი უცვლელი ექსპერტი ანდრო ბარნოვი. რატომ მაინც და მაინც ანდრო?**

— **ჩვენი უცვლელი ექსპერტი ანდრო ბარნოვი, რომელიც ჩვენი პიარის შედეგად სამხედრო აკადემიის რექტორად დაინიშნა, სტანდარტული სახეა ქართველი „ყოვლისმცოდნე ექსპერტებისა“. ასეთი ექსპერტები საექსპერტო ბიუროებშიც სხედან და ნებისმიერ ბირჟაზე, სადაც „ბიძები“ დომინოს აჭახუნებენ. „ნი2-მა“, უბრალოდ, მათი სახის იდეალიზაცია მოახდინა და ექსპერტ ანდრო ბარნოვში ჩაასახლა.** ჩვენ გამოგონილი ექსპერტებიც გვყავს, მაგალითად, ქიშვარდი მამისაშვილი, მაგრამ ანდროსთან პოპულარობით ვერც ერთი ვერ მივა. ალბათ, იმიტომ, რომ ის ყველაფერში რუსულ კვალს ხედავს, როგორც ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა. შეიძლება ითქვას, რომ ანდროს პირით ქართველი ერის ქვეცნობიერი ლაპარაკობს.

**— ბევრმა არ იცის, რომ თქვენი სააგენტო დეზინფორმაციულია...**

— მათ, ვინც არ იცის, რომ ჩვენ დეზინფორმაციული სააგენტო ვართ, ვურჩევ, პირველ რიგში, კითხვა ისწავლონ. ჩვენი საიტის თავში დიდი და ლამაზი ასოებით წერია „Ni2 News“ — სადეზინფორმაციო სააგენტო“. ჩვენს საიტზე კიდევ ბევრი რამ წერია, მაგრამ, როგორც წესი, ადამიანი კითხულობს იმას, რისი გაგებაც უნდა. მაგრამ ჩვენ სულაც არ გვადარდებს ის, რომ ჩვენს ნიუსებს სიმართლედ იღებენ ხოლმე. პირიქით, რაც მეტი დაიჯერებს, მით უკეთესი — ჩვენთვის. ნიორი ისეთი მცენარეა, რომელსაც სიმართლესავით მყრალი სუნი აქვს, მაგრამ სასარგებლოა.

## ანდრო ბარნოვი სტანდარტული სახეა ქართველი «ყოვლისმცოდნე ექსპერტებისა»

**— ხშირად ისეთი რამ წამიკითხავს, რაც რეალობასთან ძალიან ახლოსაა. უბრალოდ, ამის ხმამაღლა და ღიად თქმას მხოლოდ ისეთი ფორმით თუ შეძლებ, როგორსაც „ნი2 ნიუსი“ აკეთებს.**

— ჩვენ მეზღაპრეები არ ვართ, რომ აბსურდული ამბები ვწეროთ. **ჩვენ ვართ სატირულ-იუმორისტული ჯგუფი, სატირა კი სწორედ ესაა — უთხრა ხალხს სიმართლე, თუნდაც ღიმილით. მახინჯი და გასაკრიტიკებელი მხარე ყველაფერს აქვს, განსაკუთრებით საქართველოში, და ამაზე ვინმემ უნდა ილაპარაკოს. იმის გამო, რომ ფინანსურად და იდეოლოგიურად არავისზე ვართ დამოკიდებული, იმის თამამად თქმა შეგვიძლია, რაც ყველამ იცის, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო არ ამბობს.** თან ჩვენ ხომ გოიმებიც არ ვართ, არ დაგავიწყდეთ.

**— ყველაზე ცხელი და აქტუალური ნიუსი რა არის „ნი2 ნიუსისგან“?**

— ასეთები ბევრია. არ დამავიწყდება ნიუსი ლისაბონის სამიტის სექს სკანდალზე, როდესაც საქართველოს დელეგაცია ნომრებში 80 მეძავის აყვანაში დაადანაშაულეს. ეს რეალური ამბავი იყო, რომელიც ჩვენ ოდნავ შევალამაზეთ — მეძავები ჩავანაცვლეთ რუსული დელეგაციის „გოგოებით“. რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა არ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ „ნი2“ დეზინფორმაციული სააგენტოა და გაავრცელეს ეს ამბავი. სანდო წყაროდ კი „ნი2“-ის სპეციალური კორესპონდენტი ლისაბონიდან“ მოიყვანეს.

**— ხშირად ფიგურირებს ნიუსები ჰომოსექსუალისტებზე. როგორი დამოკიდებულება აქვს „ნი2 ნიუსს“ ზოგადად სექსუალური უმცირესობებისადმი?**

— „ნი2-ის“ ჯგუფს როგორც სექსუალური, ასევე ნებისმიერი უმცირესობებისადმი ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს. ჟარგონულად რომ ვთქვათ, გვკიდია. ჩვენ ბათუმის გეი-პარადიც გავაშუქეთ და საერთაშორისო ორგანიზაციებს მადლობაც გამოვაცხადებინეთ საქართველოს მთავრობისთვის. მართალია, გეი-პარადი არ ჩატარებულა, მაგრამ „ნი2“-ისთვის ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენს მკითხველს ხომ სჯერა, რომ ჩატარდა?

**— ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე აქტუალური თემა შერონ სტოუნის ვიზიტია. რაიმე განსაკუთრებულ ინფორმაციას ხომ არ ფლობთ ამასთან დაკავშირებით?**

— **შერონ სტოუნის ვიზიტი და მასთან დაკავშირებული ხმაური ჩვენთვის იმავე კატეგორიაში გადის, როგორიც იყო ბიონსის კლიპში ერთი წამით გამოჩენილი ქართული წარწერა „ცხინვალი“. ესაა კატეგორია „გოიმი ერის სინდრომი“, ანუ უნახავმა რა ნახაო.** თუმცა აქვე გაგიმხელთ ერთ საიდუმლო ინფორმაციას, რომელიც ჩვენმა უტყუარმა წყარომ მოგვაწოდა, რომლის მეზობელიც დაცვის ბიჭია. თურმე იმ დღეს, როდესაც შერონ სტოუნი თავის ნომერში ისვენებდა, ხინკლითა და ხაჭაპურით გამაძღარი, მიხეილ სააკაშვილის აღნაგობის მამაკაცი დაუნახავთ მისი ნომრის ფანჯრებთან. მართალია, მას მექსიკური ულვაშები ჰქონდა და სომბრერო ეხურა, მაგრამ „ნი2“-ის ყოვლისმჭვრეტელი ჯგუფი დარწმუნებულია, რომ ეს გადაცმული სააკაშვილი იყო. **შერონს ქართული სამზარეულოც ძალიან მოწონებია და ხინკლის, ხაჭაპურისა და გებჟალიის რეცეპტები გამოურთმევია რესტორნის შეფ-მზარეულისთვის. განა ეს ქართული გენის გამარჯვება არ არის?**

**— ზოგს თქვენი საქმიანობის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება აქვს. ვინ გიდგათ ოპოზიციაში — ე.წ. შარფიანი ლიბერალები?**

— ჩვენ ვიცნობთ შარფიანი ლიბერალების ფენას, ისევე, როგორც დანარჩენ სხვას და დარწმუნებული ვართ, რომ მათ ოპოზიციაში დგომის ერთი ადგილი ნამდვილად არ აქვთ. და რომც იდგნენ, ჩვენთვის ეს სულერთია. ადამიანი, რომელსაც არ ესმის სატირა და იუმორი, ჩემთვის არ არსებობს, მე მას ადამიანად არ ვთვლი.

**— ხშირად არის ხოლმე პოლიტიკური ნიუსებიც. როგორია ქართული პოლიტიკა „ნი2 ნიუსისთვის“?**

— პოლიტიკა სახალისოა, ქართული პოლიტიკა — განსაკუთრებით. თუმცა ამ ბოლო დროს მას ნაკლებად ვეხებით, რადგან ძალიან ერთფეროვანი და მოსაწყენი ხდება. წლიდან წლამდე ერთი და იგივე, თითქოს წინასწარ დამუშავებული სცენარი — რა შეიძლება ამაზე წერო. ყველამ ყველაფერი იცის უკვე, ახალს და სკანდალურს ვეღარაფერს იტყვი. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა. ვნახოთ, უახლოეს მომავალში თუ ქართულ პოლიტიკაში ვინმე ახალი და პერსპექტიული მოთამაშე გამოჩნდება, ამას „ნი2“-ის ფურცლებიდან აუცილებლად შეიტყობთ.

**— „ჩვენ გვამხილეს, ჩვენ წინააღმდეგ ააგორეს ბინძური პიარი, განახორციელეს უამრავი ზარი, მუქარითა და ცრუ დაპირებებით აღსავსე, გვემუქრებოდნენ, გვთხოვდნენ, ცოლობას გვპირდებოდნენ, მილიონებს გვთავაზობდნენ, მაგრამ ვერ დაგვაშინეს, ვერ მოგვერივნენ, ვერ გაგვაჩუმეს და ვერ დაგვამონეს“, — საკმაოდ სკანდალური და რეალური პროლოგია რეკლამისთვის.**

— რეალური რომაა, მაგაშია საქმე. ამ პროლოგიდან, როგორც თქვენ მას უწოდებთ, ალბათ, ბევრი ნაცნობი ფრაზაა, განსაკუთრებით დაშინებასა და მილიონების შეთავაზებაზე. ესეც ქართული საინფორმაციო სააგენტოების გაერთიანებული სახეა — სიმართლისთვის მებრძოლი გმირი, რომელსაც არაფრის ეშინია. სასაცილოა მათი ასეთი პათოსი და, ეს რომ არ გაგვენიორებინა, არ შეიძლებოდა.

**„ნი2“ კოკა-კოლასავითაა. ყველამ იცის მისი არსებობის შესახებ. ჩვენი რეკლამა ჩვენივე ნიუსებია და ჩვენი სტილი, რომელიც ერთადერთი და განუმეორებელია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში. ჩვენ შეიძლება გამოგვიჩდნენ მიმბაძველები, მაგრამ „ნი2“ მაინც დარჩება პირველ სადეზინფორმაციო სააგენტოდ. მე რომ საქართველოს პრეზიდენტი ვიყო, „ნი2“-ის ჯგუფს ღირსების ორდენზე წარვადგენდი.**

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო
საქინფორმი
www.saqinform.ge

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net